ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდის ოთხშაბათობით
№36
ფასი: 1 ლარი
4–10.IX 2013





გვ.36

შეეყარათ თუ არა ვარსკვლავური სენი ჯულიანა ბარ-გნარს და ოთო ფოლადაშვილს

„ის არის ტიპური აზიელი, ძლიერი მამაკაცი, სიმპათიური, სექსუალური“

„ორმა ტელეკომპანიამ წამყვანობა შემომთავაზა“

გვ.20

# ნინო გაჩეჩილაძის ცხოვრებაში დაღესტნელი მამაკაცი გამოჩნდა



წმინდა ნინოს როლის შემსრულებელი მონასტერში იცხოვრებს

გვ.24

რა სასწაული იხილა ფილმ „ნინოს“ რეჟისორმა



გვ.33

ნანიკო ხაზარაძემ „მაესტრო“ „დღის შოუს“ გამო დატოვა



გვ.14

მიშა მშვილდაძე: „ჩემს ცხოვრებაში ახალგაზრდული შეცდომები დღემდე გრძელდება“



გვ.37

კრისტი ყიფშიძე: „მამაჩემის გვარი დღემდე არ მეღირსა“

„ჩემმა დაქალმა ოქროსავით ქმარი ვერ შეიშნოვა“ — ცოლი, რომელიც საკუთარ ინტრიგებში გაიხლართა გვ.42

ISSN 1987-9369
9 771987 936002



გვ.23

**ოლგა ბაბლუანი**

„მამა ჩემს პირად ცხოვრებას ყოველთვის აკონტროლებდა"

როგორ შეცვალა ბაბლუანების ცხოვრება საფრანგეთმა



გვ.21

**ზაზა ბექაშვილი:** „სარკის" ამ ინტერვიუთი ბევრ მსახიობს მოუფხან გულს"

„სახლი არ მაქვს და სასაცილო იქნება ლაპარაკი, ხომ ცოლი მომყავს"



გვ.39

„ესტონეთში ისეთი გოგოები დადიან... დორბლი გვდიოდა"

რატომ აყურყუტეს გიორგი ვარდოსანიძე მთელი ღამე ედინბურგის პოლიციაში



გვ.30

**ეკო ფანგანი:** „ბექა ჩხაიძეს თუ ჩემს მაგარ მძღოლობაში ეჭვი შეეპარება, მასაც შევეჯიბრები!"



გვ.31

ბექა ჩხაიძე ეკო ფანგანის დასაბრუნებლად იბრძვის

„საყვარელ ქალთან მტყუანი ვარ"



გვ.32

გოგა მესხს ოთხ ტონანახევრიანი კედელი დაეცა



გვ.35

**ლიზი ნიკლაური:** „ქუსლიანი ფეხსაცმელები დავივიწყე"



გვ.46

ბექა ონიანი ცოლმა ჭკვიან კაცად აქცია

# ნომერში


### გახმაურებული საქმე
მეგლუდ ადუაშვილი: „გაღატაკებულ სოსო პავლიაშვილს, რომელიც ჭუჭყიანი შარვლით დადიოდა, ჩემი ძმა ეხმარებოდა“ 6

### ნაცნობი სახე
ქეთი დოლიძემ „საჩუქარი“ დაიბრუნა 9

### ტენდენცია
ახალი ტიპის სერიალები — თურქული ექსპანსია საქართველოში? 10

### გულახდილი საუბრები 12

### ცხოვრების გაკვეთილები
მიშა მშვილდაძე: „ჩემს ცხოვრებაში ახალგაზრდული შეცდომები დღემდე გრძელდება“ 14

### პოლიტიკა
- დავით ზურაბიშვილი: „განცდა, რომ ნაცმოძრაობის მიმართ სამართალი არ აღსრულდა, ბევრს აქვს“ 16
- ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილს გარკვეული ჯგუფი ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს“ 17
- სოსო ცისკარიშვილი: „რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები თუ არ ჩატარდა, ხელისუფლებაში სააკაშვილ-უსუფაშვილ-ალასანიას ტრიოს ვიხილავთ“ 19

### ეტაპი
- ნინო გაჩეჩილაძის ცხოვრებაში დაღესტნელი მამაკაცი გამოჩნდა 20
- ზაზა ბეჟაშვილი: „სარკის“ ამ ინტერვიუთი ბევრ მსახიობს მოვფხან გულს“ 21

### დინასტია
როგორ შეცვალა ბაბლუანების ცხოვრება საფრანგეთმა 23

### კინოპროექტი
წმინდა ნინოს როლის შემსრულებელი მონასტერში იცხოვრებს 24

### მოზარდები 28

### ავტომოყვარული
ეკო ფანგანი: „ბექა ჩხაიძეს თუ ჩემს მაგარ მძღოლობაში ეჭვი შეეპარება, მასაც შევეჯიბრები!“ 30

### სიყვარულის ამბები
ბექა ჩხაიძე ეკო ფანგანის დასაბრუნებლად იბრძვის 31

### მეორედ დაბადება
გოგა მესხს ოთხ ტონანახევრიანი კედელი დაეცა 32

### ტელესახე
ნანიკო ხაზარაძემ „მაესტრო“ „დღის შოუს“ გამო დატოვა 33

### სცენა
ლაშა ღლონტი: „ამერიკაში კონცერტის დროს არ მინერვიულია იმდენი, რამდენიც ბათუმში ვინერვიულე“ 34

### სარკის წინ
ლიზი წიკლაური: „ქუსლიანი ფეხსაცმელები დავივიწყე“ 35

### წყვილი
შეეყარათ თუ არა ვარსკვლავური სენი ჯულიანა ბარ-გნარს და ოთო ფოლადაშვილს 36

### ლამაზმანი
კრისტი ყიფშიძე: „მამაჩემის გვარი დღემდე არ მეღირსა“ 37

### ცხოვრება ჩემოდნებზე
რატომ აყურყუტეს გიორგი ვარდოსანიძე მთელი ღამე ედინბურგის პოლიციაში 39

### მეგზური
აპია — ჩანჩქერებისა და მარჯნის ტყვეობაში 41

### ასეც ხდება
ცოლი, რომელიც საკუთარ ინტრიგებში გაიხლართა 42

### მხოლოდ ქალებისთვის 44

### დედიკოების სკოლა 45

### ჩემი მშვენიერი ლედი
ბექა ონიანი ცოლმა ჭკვიან კაცად აქცია 46

### სპორტის მიღმა 47

### ადამიანის ინსტიტუტი 48


## მორის ფოცხიშვილის ყველა ლექსი ერთ ქალს ეძღვნება

შორეულ 1958 წელს გაგრის ულამაზეს სანაპიროზე თბილისელმა ქალ-ვაჟმა ერთმანეთი შემთხვევით გაიცნეს. გოგონამ, რომელსაც უცხო სახელი როზიტა ერქვა, მაშინ არ იცოდა, რომ ბიჭი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი იყო. მით უმეტეს, ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ისინი ერთად, ერთ ჭერქვეშ მთელ ცხოვრებას გაატარებდნენ. არადა სწორედ ასე მოხდა. მორის ფოცხიშვილს, ასე ერქვა იმ ბიჭს, გოგონა მაშინვე ჩაუვარდა გულში, თუმცა ეს მოგვიანებით თბილისში გაუმხილა...



პოეტის ცხოვრების ერთადერთი ქალი, როზიტა ფოცხიშვილი, „სარკესთან“ ქმრის ცხოვრებას იხსენებს.

გვ.26


### სახალისო 52

### იყავით ჯანმრთელი 54

### ქალური მოთხრობები
- თინათინ ბონი — „ბედნიერების ძიებაში“ (გაგრძელება, დასაწყისი №30-35) 62
- ლელა ცუცქირიძე — „საზღვაო რომანი“ 64

### გზა ტაძრისაკენ
მამა გიორგი: „ადამიანი სადაც უნდა წავიდ-წამოვიდეს, ყველაზე დიდ სიყვარულს, სიკეთესა და სიმართლეს ეკლესიაში იპოვის“ 67

### წმინდანები
ღმერთი ყველგან ჩვენ გვერდით არის, თუ ჩვენ გვაქვს მის გვერდით ყოფნის სურვილი — ცხოვრება ღირსისა მამისა მიქაელ აღმსარებელისა, სინაიდელი ეპისკოპოსისა 68

### კითხვები მოძღვარს
„მლიქვნელ ადამიანთან შეხვედრა უდიდესი განსაცდელია“ 69

### საბავშვო გვერდი 72

### კულინარიული შედევრები 73

### ხელსაქმე 74


№ 36(802) 4 — 10 სექტემბერი, 2013
ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 2.09.2013, 21.00 სთ-ზე.

# „თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას“



ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება 10 გვერდიან სპეციალურ მიმართვაში განმარტა.

„დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი საჯარო ფუნქციები შეიძლება სამი მიმართულებით განისაზღვროს: 1. სახელისუფლებო (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი); 2. პოლიტიკური (კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი); 3. საზოგადოებრივი (აქტიური მოქალაქე). მე ვაპირებ უარი ვთქვა პირველ და მეორე (სახელისუფლებო და პოლიტიკურ) ფუნქციებზე და მთელი გამოთავისუფლებული რესურსი მოვახმარო მესამე (საზოგადოებრივ) ფუნქციას. ამას ვაპირებ იმიტომ, რომ პირველი (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის) და მეორე (მრავალპარტიული დემოკრატიის) მიმართულებით ჩემი მოკრძალებული როლი უკვე შევასრულე და მჯერა, რომ ჩემი გუნდის წევრები დაწყებულ საქმეს ჩემ გარეშე უფრო უკეთ გაართმევენ თავს. აი, მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით კი საკეთებელი უამრავია, გამკეთებელი ცოტაა და პირადად მე გარკვეული გარემოებების გამო ბევრი შემიძლია გავაკეთო.

მე ვაპირებ წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში. ჩვენ, საზოგადოებამ, უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ავირჩიოთ და, უფრო მნიშვნელოვანი, როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფოს მეთაური და მისი მთავრობა. უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს...

არაფერს ვერჩი პირადად მიხეილ სააკაშვილს ან სხვა რომელიმე პოლიტიკოსს. ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში. ამისათვის კი არსებული მესიის დამარცხება არ არის საკმარისი, აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე. ამიტომ მე უნდა წავიდე სწორედ ახლა... სამოქალაქო საზოგადოებაში ჩემი გადასვლის მიზანია, შეძლებისდაგვარად დავაჩქაროთ: სამოქალაქო საზოგადოების აქტორების — „აზრის ლიდერების“ პროფესიული ზრდა; ადამიანური რესურსის, ახალი სახეების შემოყვანა სამოქალაქო სექტორში და მათთვის მოტივაციის გაჩენა; ინოვაციური იდეების აკუმულირება და დანერგვა; ხელისუფლების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკას, არამედ მისთვის ჯანსაღი იდეების შეთავაზებას ქვეყნისა თუ ხელისუფლების ნებისმიერი შტოს განსავითარებლად. ამ გზით ჩვენ ხელისუფლების კონტროლის ყველაზე ეფექტიან მექანიზმსაც ვქმნით და საზოგადოებასაც ხელში ვაძლევთ ბერკეტს — იტვირთოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე“, — წერს ის და ფიქრობს, რომ გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება იმისათვის, რომ დასრულდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ორგანიზაციულ-სტრუქტურული მშენებლობა.

„...მაგრამ ამას აუცილებლად მოვახერხებთ. მიუხედავად იმისა, რომ მე ამ პარტიის მენეჯერი, თავმჯდომარე არასოდეს ვყოფილვარ, ბუნებრივია, ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას იმ თანამოქალაქეების მიმართ, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩემს ინიციატივას და პარტიაში გაერთიანდნენ. პარტიაში საკმაოდ საინტერესო და ძლიერი გუნდია შეკრებილი, რომელსაც სხვებთან სამართლიან კონკურენციაში მოუწევს წარმატების მიღწევა მომავალ არჩევნებში, ცხადია, ჩემი ერთი ხმის გათვალისწინებით“, — წერს პრემიერი.

ივანიშვილი წერილში მის შემცვლელზეც საუბრობს. მისი თქმით, ახალი პრემიერმინისტრი, რომელსაც საკუთარ გუნდსა და საზოგადოებას შესთავაზებს, ძალიან საინტერესო პიროვნება იქნება. მის ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ის ყველა დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს. ივანიშვილის განმარტებით, მისი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მთავრობა დარჩება ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს.

„მე ვიძლევი გარანტიას, რომ მთავრობა დარჩება ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს. თუმცა გარანტია, როგორც წესი, რამით უნდა იყოს გამყარებული. ჩემს შემთხვევაში კი ცოტა რთულადაა საქმე, რადგან იმ თანამდებობით ვარ პასუხისმგებელი, რომლის დატოვებასაც ვაპირებ. ამიტომ რჩება მარტო ჩემი პატიოსანი სიტყვა, რომელსაც მე ისეთივე მნიშვნელობას ვანიჭებ, როგორსაც ჩვენი წინაპრები ანიჭებდნენ.

საზოგადოებაში მყოფი და საზოგადოებასთან ერთად, ჩვენ მოვახერხებთ საჯაროდ მივცეთ გუნდს შენიშვნები, რომლებიც, გარწმუნებთ, უფრო მტკივნეული და უფრო ეფექტურიც იქნება, და არა მარტო შენიშვნები, არამედ პოზიტიური შეფასებებიც, რაც არანაკლებ საჭიროა. და, რაც მთავარია, თუ ჩვენ გვექნება ქვეყნისა თუ ცალკეული სამინისტროების განვითარების ჯანსაღი იდეები, არც ამ იდეების მიწოდება გახდება რთული მთავრობისა და პარლამენტისთვის. გარდა უშუალოდ მთავრობის გამართული საქმიანობისა, ჩვენ საზოგადოებას შევთავაზეთ ევროპული ღირებულებების მატარებელი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც თავისუფალია ტრადიციული მესიანისტურ-ავტორიტარული მიდრეკილებებისგან“, — წერს ივანიშვილი,

მათთვის, ვისთვისაც ივანიშვილის განმარტებები საკმარისი არ არის, დასძენს:

„ის, რაც ჩვენ უკვე შევძელით, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილებების მიმართ ნდობის საფუძველი ნამდვილად არის. მე ზუსტად ვიცი, რისი გაკეთება მინდა და რას მოუტანს ეს საზოგადოებას. გავკადნიერდები და შეგახსენებთ — პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის შეცდომების გარეშე გავაკეთე ყველაფერი, პროგნოზებიც კი. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს სამშობლოს. მგონი, პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ქვეყნის წინაშე. 2011 წლის 4 ოქტომბერს პოლიტიკაში შემოსვლით, პირდაპირი მნიშვნელობით, თავი გავწირე და გავწირე ჩემი ოჯახიც. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ ჩემს სამშობლოს ახლა შევაქცევ ზურგს, ასეთ საინტერესო დროს, როცა აღმშენებლობა იწყება, და არ გავაკეთებ მაქსიმუმს ჩემი ქვეყნისათვის?!“ — წერს ივანიშვილი და წერილის ბოლოს ყველაზე დიდი სკეპტიკოსებისთვისაც იმეტებს ორიოდ სიტყვას.

„მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის საჭიროება არ დადგება, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას. ვფიქრობ, ამ წერილის შემდეგ აღარ უნდა დარჩეს კითხვები პოლიტიკიდან ჩემი წასვლის მიზეზებისა თუ მიზნების შესახებ. რაც შეეხება წასვლის დროს, ამასაც წინასწარ ვაცნობებ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც დავრწმუნდები, რომ წარმატებით ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მჯერა, რომ ამ არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებს კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. მე წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩვენ არჩეულ კურსს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, როდესაც ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი მწყობრად იმუშავებს და როდესაც დავრწმუნდები, რომ ქვეყანა სტაბილურად ვითარდება, — აცხადებს პრემიერი.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black

## „პრემიერმა ყველა დაპირება შეასრულა“

საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, პრემიერმა შეასრულა ყველაფერი, რაც საზოგადოებას დაჰპირდა.

— პრემიერი იმოწმებს თავის ძველ განცხადებას, სადაც ეს ყველაფერი, რასაც ამბობს, 2 წლის წინ უკვე გაცხადებული იყო. შესაბამისად, ამაში მოულოდნელი არაფერი არის. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ მან რამდენჯერმე განაცხადა პოლიტიკიდან თავისი წასვლის სურვილის შესახებ. მის განცხადებაში ყველაფერი ძალიან კარგად არის დასაბუთებული, თუ როგორ იმუშავებს მთავრობა მისი წასვლის შემდეგ.

პრემიერის განცხადებაში საუბარია იმაზე, რომ სურს, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ფუნქციები დათმოს იმისთვის, რათა სამოქალაქო საზოგადოებას გაძლიერებაში დაეხმაროს. მე აბსოლუტურად ვეთანხმები პრემიერს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას გაძლიერება სჭირდება. მას ამაში დადებითი როლის შესრულება შეუძლია. ვფიქრობ, რომ ეს მისი მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა და ჩვენ ყველანი, როგორც უწყებები, ისე სამოქალაქო საზოგადოება, უნდა ვეცადოთ, ყველაფერი, რაც მოცემულია პრემიერის წერილში, მართლაც შევასრულოთ. ვიზრუნოთ იმაზე, რომ ახალი სახეები გამოჩნდნენ, ახალგაზრდობა აღიზარდოს უკვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პრინციპების მიხედვით და, საბოლოო ჯამში, მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებამ საქართველოში პოლიტიკურ პროცესს კონტროლი გაუწიოს, — აცხადებს ფანჯიკიძე და დასძენს, რომ შემცვლელს უნდა დაველოდოთ.

— შემცვლელს უნდა დაველოდოთ. პრემიერს არ უთქვამს ზუსტი თარიღი, თუ როდის აპირებს პოლიტიკის დატოვებას. ეს არ იქნება არჩევნებამდე, ხოლო, თუ ის შეიტყობს, რომ ვითარება არასტაბილურია, ამ გადაწყვეტილებას გადახედავს. ვფიქრობ, პრემიერმა რაც თქვა, ყველაფერი შეასრულა, საზოგადოებას რაც შეჰპირდა, ყველაფერი შეასრულა და შესაბამისად, იგი საზოგადოებას ამ დაპირებასაც შეუსრულებს, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

## თურქი ინვესტორი იაშვილის კლინიკის პალატებიდან ხატების ჩამოხსნას ითხოვს

იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის პერსონალი ახალ ინვესტორს — „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპს“ დაუპირისპირდა. როგორც ექიმები აცხადებენ, მას შემდეგ, რაც „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპმა“ იაშვილის კლინიკასთან ერთად კიდევ ოთხი კლინიკა შეიძინა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, მედიკოსები აცხადებენ, რომ ინვესტორი თექინ ატიკი კლინიკაში ღამით ნასვამ მდგომარეობაში მიდის. ოთახების კედლებიდან კი ხატების ჩამოხსნა მოითხოვა. ექიმები იმასაც ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, თექინ ატიკი ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშაც იყოს და ამიტომ მედპერსონალის მიმართ არაადეკვატურია.

თავად ინვესტორი ყველა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

— ერთ-ერთი გორელი პაციენტი მომსახურებით უკმაყოფილო იყო, რაც მე არ მომეწონა და ექიმს სიტყვიერი შენიშვნა მივეცი. ვადასტურებ, რომ კომპიუტერს დავარტყი ხელი, მაგრამ ექიმებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, — აცხადებს თექინ ატიკი და დასძენს, რომ რეანიმაციულ განყოფილებაში არც ნასვამ მდგომარეობაში და არც ნარკოტიკული საშუალებების თრობის ქვეშ არ ყოფილა. ასევე განმარტავს, რომ მედპერსონალმა თურქული ენა არ იცის და მისი ხმამაღალი საუბარი ვერ გაიგო.

რაც შეეხება აღნიშნული კლინიკის პალატებსა და კაბინეტებში ხატების ჩამოხსნის ფაქტს, თექინ ატიკმა განმარტა, რომ კაბინეტებსა და პალატებში ხატების ჩამოხსნის გადაწყვეტილება სტამბულში იქნა მიღებული. მისი თქმით, სამლოცველოების მოწყობას კლინიკის თითოეულ სართულზე აპირებს, თუმცა ხატები და ჯვრები კაბინეტებში არ იქნება გამოფენილი. თექინ ატიკმა ჟურნალისტებს თავისი კაბინეტიც დაათვალიერებინა და ის კედლები აჩვენა, სადაც ხატებია გამოფენილი.

მედპერსონალი კი თურქ ინვესტორს უნდობლობას უცხადებს და კლინიკაში ძველი დირექტორის დაბრუნებას ითხოვს.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო იაშვილის კლინიკაში განვითარებულ მოვლენებზე ინფორმირებულია. მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კლინიკა მფლობელებმა რამდენიმე დღის წინ ყველასგან დაუკითხავად გაყიდეს.

— კლინიკაში მომხდარი სკანდალები ჩვენთვის ცნობილია. არანაირი მნიშვნელობა აქვს, კლინიკის ახალი მფლობელი თურქია თუ სხვა ეროვნების, რადგან კანონის წინაშე ყველას თანაბრად მოუწევს პასუხისგება, — განაცხადა სერგეენკომ და აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთვის ინფორმაცია კლინიკის ახალ მფლობელს არ მიუწოდებია.

## პაატა ზაქარეიშვილი ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას გონივრულ ნაბიჯს უწოდებს

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას გონივრულ ნაბიჯს უწოდებს.



— ბატონმა ბიძინამ არაერთხელ გააკეთა მკაფიო მინიშნება, რომ წასვლას აპირებდა. ეს ღია წერილი ცალსახად ადასტურებს, რომ მისი ნებაა, პოლიტიკიდან წავიდეს და არა საქართველოდან და საზოგადოების ცხოვრებიდან. ის მიდის მხოლოდ პოლიტიკიდან და ეს არის მკაფიო. მინდა, შეგახსენოთ, რომ ბატონი ბიძინა პრემიერმინისტრად არ დაბადებულა, ამაში ტრაგედია არ არის და პირიქით, სულ მალე ჩვენ დავინახავთ, რომ მისი ახალი ამპლუა უფრო ეფექტური იქნება და უფრო მნიშვნელოვნად მოემსახურება ქართველ საზოგადოებას და სახელმწიფოს ინტერესებს, ვიდრე გარკვეულწილად შეზღუდული პრემიერმინისტრის თანამდებობიდან. მას უფრო მეტი გეგმა აქვს, ვიდრე შეიძლება ეს პრემიერმინისტრის თანამდებობიდან გაეკეთებინა.

მის პოზიციაში მომწონს, რომ მესია უნდა მოკვდეს საქართველოში. მე მივესალმები მის გადაწყვეტილებას, ძალიან გონივრულია. პოლიტიკაში უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მისმა წინამორბედებმა ვითომ პოლიტიკოსებმა. ორი აზრი არ არის, რომ მისი ნაბიჯი მისასალმებელია და საშუალებას აძლევს ქართველ საზოგადოებას, სახელმწიფოს მშენებლობა ახალი ეტაპიდან დაიწყოს“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

## ვანო მერაბიშვილი ჯანმრთელობას უჩივის

ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ადვოკატის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მერაბიშვილს ექიმები ყურადღებას აქცევენ და გამოკვლევებს უტარებენ, ზოგადი სისუსტე და გულთან დაკავშირებული პრობლემები მაინც აღენიშნება. ადვოკატი სასჯელაღსრულების მინისტრს, სოზარ სუბარს სთხოვს, ან ვანო მერაბიშვილი გადაიყვანოს საავადმყოფოში, სადაც მისი სრულფასოვანი გამოკვლევა მოხერხდება, ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეიყვანოს ექიმთა ჯგუფი, რომლებიც მერაბიშვილს დამატებით სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# „გალატაკებულ სოსო პავლიაშვილს, რომელიც ჭუჭყიანი შარვლით დადიოდა, ჩემი ძმა ეხმარებოდა“

## რატომ ადანაშაულებს მკვლელობაში მომღერალს ადუაშვილის ოჯახი



■ მევლუდ ადუაშვილი

რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერლის, სოსო პავლიაშვილის გარშემო სკანდალი კვლავ გრძელდება. მას ბავშვობის მეგობრისა და ბიზნესპარტნიორის, ავთანდილ (ანტონ) ადუაშვილის მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებენ.

ავთანდილ ადუაშვილი 2012 წლის 23 ნოემბერს, თბილისში, ზაზიაშვილის ქუჩაზე, „ემელის“ მარკის ავტომობილის უკანა სავარძელზე ჩაცხრილული იპოვეს, სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ის 46 წლის გახლდათ. ამ ფაქტიდან ძალიან მალე მკვლელობაში ეჭვმიტანილები, 7 ადამიანი დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი, ვახტანგ ჩხაპელია, სოსო პავლიაშვილის სიძეა. ვახტანგ ჩხაპელიამ მოწმის სახით მიცემულ ჩვენებაში მკვლელობის ფინანსურ მხარდამჭერად საკუთარი ცოლის ძმა, სოსო პავლიაშვილი დაასახელა.

ვახტანგ ჩხაპელიას ჩვენებაში წერია: „ანტონს სოსო პავლიაშვილთან ფარული უთანხმოება ჰქონდა. ანტონი სოსოს დიდი ოდენობით თანხებს მოტყუებით, სისტემატურად ართმევდა. სწორედ ამ ფაქტების სიმრავლის გამო გადავწყვიტეთ მე და სოსომ, დაგვესაჯა ანტონ ადუაშვილი, რისი შესრულებაც მე ვითავე, ხოლო ფინანსური დახმარება სოსომ გამიწია... სოსომ საუბრისას მითხრა, — თუ ანტონი ცოტა ჭკუაზე არ მოვიდა, მართლაც რაღაც უნდა მოვიფიქროთო. ვუთხარი, რომ ამ საქმეს თავად მივხედავდი.

ანტონის დასჯაში ვგულისხმობდი მის ცემას. დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, მენახა ისეთი ვინმე, რომელიც ადუაშვილის გონების დაკარგვამდე ცემას და მის დაინვალიდებას შეძლებდა. ზაფხულის პერიოდში დავუკავშირდი ერთ ჩემს ახლობელს, თემურ ქობალიას, „მუხას“... ვუთხარი, რომ ერთ ძალიან ცუდ პიროვნებასთან მქონდა პრობლემები. ეს მე და ჩემს ოჯახს გვეხება და ჭკუის სწავლება მინდა-მეთქი. ქობალიამ დახმარებაზე უარი მითხრა. მეორე დღეს თემურ ქობალიამ თავისი ახლობელი, გელა უბილავა გამაცნო, რომელიც შეკვეთის შესრულებას 50.000 დოლარის სანაცვლოდ დამთანხმდა... სოსო პავლიაშვილმა მკვლელობის ამბავი რამდენიმე საათში გაიგო, თუმცა არაფერი უთქვამს“.

ამ ჩვენების მიცემის შემდეგ ჩხაპელიამ მალევე განაცხადა, რომ ეს სიტყვები პროკურატურაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად ათქმევინეს.

მომღერალი სოსო პავლიაშვილი ამ საქმესთან დაკავშირებით კომენტარს დროდადრო ქართულ და რუსულ მედიაში აკეთებს. ქართული პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს, რომ ავთანდილ ადუაშვილის სიკვდილი არაფერში აწყობდა, რადგან მას მომღერლისთვის ვალი ჰქონდა დასაბრუნებელი. ბრალდებას, რომ მეგობარი სასიკვდილოდ გაიმეტა, სამარცხვინოს და ამაზრზენს უწოდებს და იმედი აქვს, რომ სასამართლოზე ყველაფერი გაირკვევა.

სოსო პავლიაშვილთან დაკავშირება ჩვენც ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. ჩვენს სატელეფონო ზარებს და მესიჯებს არ უპასუხა.

ავთანდილ ადუაშვილის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 აგვისტოს დაიწყო. სამი ბრალდებულის, გელა უბილავას, ვახტანგ ჩხაპელიას და კობა ყურუას საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ. სასამართლო სხდომები თითქმის ყოველდღე მიმდინარეობს. სასამართლო საბოლოო ვერდიქტს დაახლოებით პარასკევს, 6 სექტემბერს გამოიტანს. რაც შეეხება სოსო პავლიაშვილს, მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.

**მევლუდ ადუაშვილი: „ავთოს და სოსოს ბიზნესპარტნიორობა ოფიციალურად გაფორმებული არ იყო. ჩემმა ძმამ მას ყველაფრის ოფიციალური გაფორმება მოსთხოვა. უთხრა, 1998 წელს საქმეში ჩადებული ნახევარი მილიონი, ახლა რამდენია, საბუთები მაჩვენეო. მათ შორის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, სოსოს ეს არ აწყობდა. საბუთები, რომლებიც ავთოს მანქანაში ჰქონდა, დაკარგულია".**

ავთანდილ ადუაშვილის ძმა, მევლუდ ადუაშვილი, ამ საქმის შესახებ პირველად „სარკესთან“ ყვება.

**— ბატონო მევლუდ, თქვენი ძმის მკვლელობიდან მალევე გაგიჩნდათ ეჭვი, რომ ამ საქმეში შეიძლებოდა სოსო პავლიაშვილი ყოფილიყო გარეული?**

— მაშინ ამაზე ფიქრის თავი არავის ჰქონდა. შემდეგ ეჭვები კი გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ადამიანს ხელს ვერ დავადებდით. როგორც ახლა ირკვევა, ყველა ახლობელს ერთი და იგივე ეჭვი გვქონდა. ვახტანგ ჩხაპელიას ჩვენებამ კი ეს ეჭვი მეტად გაამყარა. ვახტანგი სოსო პავლიაშვილის სიძეა. 2012 წლის ივლისში ვახტანგი და მისი მეუღლე, მაკა პავლიაშვილი, თურქეთში წავიდნენ. იქ სოსო, მისი ცოლი და სიმამრი, ბორია პატლახი დახვდნენ. სოსო და ვახტანგი მთელი თვე ერთად იყვნენ. იქიდან ჩამოსულმა ვახტანგ ჩხაპელიამ მითხრა, რომ სამსახურს თავს ანებებდა და ბიზნესს იწყებდა. დაბალი ხელფასი არ ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სამსახურს მაინც დაანება თავი. როგორც გაირკვა, თურქეთიდან ჩამოსულ ვახტანგ ჩხაპელიას სოსო პავლიაშვილმა თვეში 2.000 ევრო დაუნიშნა. მას სამსახური აღარ სჭირდებოდა, ავთოს მკვლელობისთვის ხალხი ჰყავდა შესაკრები.

**— ანუ ამბობთ, რომ თქვენი ძმის მკვლელობა ვახტანგ ჩხაპელიამ და სოსო პავლიაშვილმა თურქეთში ყოფნისას დაგეგმეს?**

— დიახ, ეს სიბინძურე იქ მოიფიქრეს. თავდაპირველად ვახტანგ ჩხაპელიამ თემურ ქობალია, მეტსახელად „მუხა“, იპოვა, რომელიც ჩვენთან სახლშიც კი მოიყვანა, მაღაზია, სახლი — ყველაფერი აჩვენა. თემურ ქობალიამ უთხრა, რომ ფულის გამო კაცს არ მოკლავდა. ამის შემდეგ ვახტანგ ჩხაპელიამ ქობალიასთან გაიცნო გელა უბილავა და მკვლელობა მას შეუკვეთა. გელა უბილავამ კი მოძებნა კობა ყურუა, მურთაზ გერგაია და დანარჩენები. ვახტანგს გელა უბილავაც ჰყავდა ჩვენთან სახლში მოყვანილი. მეორედ კი ავთოს რესტორანშიც მიიყვანა, მას ავთოს სახლი, რესტორანი აჩვენა. მახსოვს, იმ დღეს ავთოს მანქანა გზის მეორე მხარეს იდგა, როცა მე და ვახო ვსაუბრობდით, გელა უბილავა ავთოს „ემელის“ ჯიპთან მივიდა, ათვალიერებდა. ვახოს ვკითხე, ვინ არის-მეთქი. დედაჩემის ნათესავია, მანქანის ყიდვა უნდაო.

**— რა ურთიერთობა ჰქონდა თქვენს ძმას ვახტანგ ჩხაპელიასთან?**

— ვახოს ავთო მამასავით ჰყავდა. რაც ის სოსოს სიძე გახდა, ჩვენ მხოლოდ არ დაგვიბანია და მისთვის სამოსი არ გაგვირეცხავს, თორემ დანარჩენს ყველაფერს ჩვენ ვუკეთებდით. ავთო მასზე თან იყო გადაყოლილი. ვახტანგს თავი დაჩაგრულად და უპატრონოდ რომ არ ეგრძნო, ყველანაირად ეხმარებოდა. ვახო დევნილია, სანზონაში, საბავშვო ბაღის შენობაში ცხოვრობს, სახლისთვის 7.000 დოლარი დასჭირდა. სოსომ მას ფულის მიცემაზე უარი უთხრა და ვახოს ეს თანხა ავთომ მისცა.

**— თუ ვახტანგ ჩხაპელიას თქვენი ძმა მამასავით ჰყავდა, რატომ გაიმეტებდა სასიკვდილოდ?**

— მას ფული ძალიან უყვარს. ეს ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ, თუ ამ დონეზე უყვარდა და ავთო ადუაშვილს ფულის გულისთვის მოკლავდა, ნამდვილად არ გვეგონა. პანაშვიდებზე სულ ნასვამი იყო, ცდილობდა, იქ არ ყოფილიყო, დასაფლავების შემდეგ უკრაინაში გაფრინდა, სოსოს შეხვდა... მკვლელობის ღამეს, 23 ნოემბერს, ვახო ჩხაპელიასთან სტუმრად მისი ბავშვობის მეგობარი იყო. ვახო დილის 4-ის ნახევარზე ადგა და მეგობარს უთხრა, ქვემოთ უნდა ჩავიდე, მობილურზე თანხა ჩავრიცხოო. ის კი ამ დროს გელა უბილავას შეხვდა და მკვლელობისთვის



Cyan Magenta Yellow Black

განკუთვნილი ფული გადასცა. ეს ყველაფერი სატელეფონო ანძებს აქვს დაფიქსირებული.

— **ერთ-ერთ ინტერვიუში სოსო პავლიაშვილი ამბობს, რომ თქვენს ძმას ვალები ჰქონდა და 3 წლის განმავლობაში პროცენტი — 60.000 დოლარი და 160.000 ევრო გამოუგზავნა. თანხით მართლა ეხმარებოდა?**

— სოსო ფულს საჩუქრად საკუთარ დედ-მამას, დასაც არ უგზავნიდა, არათუ ავთოს. სოსო რუსული გაზეთისთვის, „კომსომოლსკაია პრავდასთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ ავთოს საჩუქრებს, ფულს უანგაროდ უგზავნიდა. იქაური მოქალაქეებისთვის ამბობს, რომ ეს მისი მხრიდან უმნიშვნელო დახმარება იყო. ქართულ პრესაში კი წერს, რომ ეს ფული მან ავთოს სესხად მისცა.

თავიდან, როცა ავთო სოსოსთან მოსკოვში ჩავიდა, სოსო გალატაკებული იყო, ბევრი ვალი ჰქონდა. ავთომ ვალების ნაწილი გადაუხადა. ეს 1993 წელს მოხდა. ავთომ იქ სახლი იმავე წელს იყიდა. მაშინ სოსოს კაპიკი ფული არ ჰქონდა. ჭუჭყიანი კედებით და ჯინსის შარვლით დადიოდა. ავთომ სახლი 130.000 დოლარად გაყიდა, ისევ სოსოს ვალების გასასტუმრებლად. ჩემმა ძმამ სოსოს ამ ფულიდან 100.000 დოლარი მისცა. მან კი ეს თანხა ვინმე ღურწკაიებს საქმეში ჩასადებად მისცა. მათ კი სოსო „გადააგდეს". 4 თუ 5 წლის შემდეგ ღურწკაიები თვითონ გამოჩნდნენ და ავთოს ისევ იმავე ფართის სახლი უყიდეს. ამის შემდეგ ავთო თბილისში რამდენიმე თვით ჩამოვიდა. ბინა სოსოზე იყო გაფორმებული, რადგან იქაური მცხოვრები იყო. მან ბინა ავთოს დაუკითხავად გაყიდა. ამის გამო ჩემი ძმა ძალიან გაბრაზდა. სახლი ნახევარ მილიონ დოლარად გაიყიდა. მოკლედ, ავთომ და სოსომ ის ფული ბიზნესში ჩადეს. ფული, რომელზეც სოსო რუსულ გამოცემასთან საუბრობს, რომ ავთოს პატივისცემის ნიშნად უგზავნიდა და ჩუქნიდა, ის თანხაა, რაც ავთოს იმ ნახევარი მილიონიდან მოგების სახით ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, სოსო პავლიაშვილი იტყუება!

— **სოსო ამბობს, რომ მეგობარს ვალებს უხდიდა.**

— ავთოს ვალი კი არ ჰქონდა, ის მოგების წილიდან იღებდა თავის ფულს, ის იყო ავთოს ფული და თუ უნდოდა, იმ ფულით კრედიტს გადაიხდიდა და თუ უნდოდა, რესტორანში დახარჯავდა. სოსო ავთოს ბიზნესპარტნიორი იყო და ვალდებული გახლდათ, გამოეგზავნა.

— **რატომ დასჭირდებოდა სოსო პავლიაშვილს თქვენი ძმის თავიდან მოშორება?**

— მათი ბიზნესპარტნიორობა ოფიციალურად გაფორმებული არ იყო. ავთომ სოსოს ყველაფრის ოფიციალური გაფორმება მოსთხოვა. უთხრა, 1998 წელს საქმეში ჩადებული ნახევარი მილიონი, ახლა რამდენია, საბუთები მაჩვენეო. მათ შორის ხელშეკრულება 2012 წლის 24 ნოემბერს ერევანში უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, სოსოს ეს არ აწყობდა. საბუთები, რომლებიც ავთოს მანქანაში ჰქონდა, დაკარგულია.

— **სოსო პავლიაშვილის თქმით, ის და თქვენი ძმა საქართველოში ბავშვთა გასართობი ცენტრის გახსნას აპირებდნენ და ამისთვის მას 200.000 დოლარი გამოუგზავნა. ესეც ტყუილია?**

— 200.000 დოლარი გამოაგზავნა, მაგრამ ის ავთოს ფული იყო და, არ ვიცი, მას რესტორანში ჩადებდა, გასართობ ცენტრში თუ სხვაგან დახარჯავდა. ეს ვისი რა


ავთანდილ ადუაშვილი

საქმეა?! ერთი რამ კი ვიცი, სოსოს იმ ფულის გამოგზავნა თუ არ ეკუთვნოდა, არ გამოგზავნიდა. იმ გასართობ ცენტრის ბიზნესში ავთოს 40 პროცენტიანი წილი ჰქონდა. აქედან მან სოსოს შვილს, ლევანს, 20 პროცენტი აჩუქა, 20 პროცენტი კი თავის შვილს, გიორგის, დაუტოვა. ეს ცენტრი მალე გაიხსნება. სოსო ტყუილს ამბობს, როცა წერს, რომ 200.000 დოლარი ავთოს ვალის სახით გამოუგზავნა. თუ ავთოს ის ფული სოსოსთვის უკან უნდა დაებრუნებინა, 20 პროცენტიან წილში რატომ იყო? მიუხედავად იმისა, რომ ერთიც და მეორეც, სოსოც და ავთოც, ჩემს ხელში გაიზარდნენ, სოსოსთან ახლო ურ-

**მევლუდ ადუაშვილი: „კითხვა მაქვს, სოსო პავლიაშვილმა თავისი და, მაკა პავლიაშვილი საქართველოდან რატომ წაიყვანა? 25 წელი მას აქედან არც დედა, არც მამა წაუყვანია. მაკა პავლიაშვილმა სიმართლე იცის, როცა ეს ყველაფერი დაიგეგმა, ისიც თურქეთში იყო".**

თიერთობა არ მქონია და ამის მიზეზები მაქვს.

— **რას გულისხმობთ, იქნებ გვითხრათ.**

— უმადური კაცია და მასზე არც არასდროს მითქვამს, რომ ჩემი მეგობარია. სოსო სიკეთეს ვერ ხედავს. სოსოს გვერდში სულ ავთო ედგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლოს აღარ სჭირდებოდა, რადგან ახლა გვერდით მილიარდერი სიმამრი ჰყავს. სოსოს ავთოსთვის არც იმ ფულის დაბრუნება უნდოდა. ამიტომაც მოიცილა თავიდან.

— **მომღერალი ამბობს, რომ თქვენი ძმის სიკვდილის შემდეგ მის შვილს, გიორგის, ბინა უყიდა. არც ეს არის სიმართლე?**

— არა! რა სჭირს გიორგის სოსოს ბინის საყიდელი?! თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე, იმხელა სახლი აქვს... ავთოს კიდევ ავჭალაში ნახევარმილიონიანი სახლი აქვს. გიორგი სახლების კოლექციას აგროვებს? სოსო ყველაფერს იტყუება. თუ ყიდვას აპირებდა და გულში ფიქრობდა, ეს არ ვიცი.

— **რამდენი ხნის მეგობრები იყვნენ სოსო პავლიაშვილი და თქვენი ძმა?**

— რაც დაიბადნენ, მას შემდეგ ერთად არიან. იმ ეზოში 8 ოჯახი ვცხოვრობდით. ჩვენ ყველანი ერთად გავიზარდეთ. სოსოს დედ-მამა დღე და ღამე მუშაობდნენ, ის ფაქტობრივად დედაჩემმა გაზარდა. სოსო ჯარში რომ წავიდა, ავთომ იქაც ჩააკითხა, რაღაცეები ჩაუტანა, ჯგუფის შექმნაშიც დაეხმარა, რომ ემღერა. ავთო მას სკოლაშიც და უბანშიც პატრონობდა. უბანი, ხომ იცით, როგორი თემაა, სოსო „სკრიპკით" ხელში რომ მოდიოდა, „შენ სკრიპაჩოო" ეძახდნენ.

— **ერთმანეთში უთანხმოება მოსვლიათ?**

— არა. ამ ბოლო დროს იმ თანხასთან დაკავშირებით ცოტა ურთიერთობა დაეძაბათ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, სოსოს სამეგობრო კაცად არ ვთვლიდი, რადგან ვხედავდი, უმადური იყო. სოსოს პირველი მეუღლე ნინო უჩანეიშვილი გახლდათ. გალატაკებულ სოსოს, წინდიდან და საცვლებიდან დაწყებული, ყველაფერს სიდედრი და სიმამრი ყიდულობდნენ, საჭმელს ისინი აჭმევდნენ, წასასვლელ-წამოსასვლელ ფულსაც ისინი აძლევდნენ, მათთან ცხოვრობდა. როცა მისი სიდედრი ცუდად გახდა, გადასასხმელი სისხლი ჩვენ მივუტანეთ. როცა გარდაიცვალა, საქართველოში კი ჩამოვიდა, მაგრამ დაკრძალვაზე მოსვლა ერთი საათით დააგვიანა. საქეიფოდ იყო წასული. მანქანა სამჯერ გავუგზავნეთ და ძლივს მოვიყვანეთ. მისთვის არავინ არსებობდა, ამიტომ არის ის უმადური.

— **ძმის გარდაცვალება მოგისამძიმრათ?**

— 9 თვე გავიდა და არც კი დაურეკავს. ჩვენ ვურეკავთ და არ გვპასუხობს. ამ ყველაფრის შემდეგ დაკავშირებაც კი არ უნდა და ამდენ ტყუილს წერს, ამდენს კადრულობს. ავთოს მკვლელობა სოსო პავლიაშვილმა შეუკვეთა! როგორც ის ამბობს, თუ ავთოს ამდენი მტერი ჰყავდა, ამდენი ფული როგორ ასესხა? გაზეთში ხომ წერს, ფული ვასესხეო და ბევრი მტერი ჰყავდა, იარაღით იძინებდა და იარაღით იღვიძებდაო. თუ ეს ყველაფერი იცოდა და ასე იყო, ამდენი ათასი დოლარი როგორ ასესხა?! 4 ბრალდებულს 12 ადვოკატი ჰყავს. მათ ფულის გამო ადამიანი მოკლეს და საიდან აქვთ ბრალდებულებს ადვოკატის გადასახდელი ფული? ადვოკატი რომ დაიქირავო და ოფიციალური ბაჟი გადაიხადო, 12 ადამიანს 20.000 ლარი მაინც სჭირდება. ყველა ადვოკატს ფულს სოსო პავლიაშვილი უხდის, მაგრამ სოსო მათ თავის ფულს კი არ უხდის, ავთოსთვის რაც უნდა გამოეგზავნა, იმ ფულს. კითხვა მაქვს, ადვოკატებს სოსო პავლიაშვილი რატომ უხდის ფულს? ვახო ჩხაპელიას მძახალი, გოდერძი მარღანია, რომელიც აქამდე ამბობდა, რომ ტაქსის ფულიც კი არ ჰქონდა, ამ 9 თვის განმავლობაში ათასჯერაა გაფრინდა ხან — მოსკოვში, ხან უკრაინაში. აქამდე სოსო მას სახეზეც არ იცნობდა. ამ 9 თვეში კი მეგობრად გაიხადა.

— **რატომ აწყობდა სოსო პავლიაშვილს ამ ყველაფრის საკუთარი სიძის ხელით გაკეთება?**

— თბილისში მეტი არავინ ჰყავდა. ეს სუფთა რუსული მკვლელობაა! საქართველოში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

— **მომღერალმა მეგობრის საფლავის გასაკეთებლად 10.000 ევრო მართლა გამოგზავნა?**

— ჩვენ ეს ფული არ მიგვიღია.

— **ერთ-ერთ ინტერვიუში მომღერალი ამბობს, ჩხაპელიამ ჩვენება ზეწოლის შედეგად მისცა, ოჯახს ახლა კრედიტის გადასახდელი ფული შემოაკლდა და ხმაც ამიტომ ამოიღოო.**

— როგორიც თვითონ არის, სხვაც ეგეთი ჰგონია. სასამართლოზე დაისვა საკითხი, რომ გელა უბილავას და ვახო ჩხაპელიას დაკითხვის ვიდეოჩანაწერი ეჩვენებინათ. გამომძიებელმაც და პროკურორმაც თქვეს, ამ ჩანაწერში ერთ მომენტსაც თუ ნახავთ რაიმე ძალადობის, ჩვენ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძარითო. ბრალდებულებმა კი მისი ჩვენება არ მოისურვეს. ვახტანგ ჩხაპელიამ ჩვენება თავისი ნებით დაწერა. არავის ვემუქრე-

→ 8



Cyan Magenta Yellow Black

ბით, მაგრამ ავთოს საბუთები თუ ვიპოვეთ, რაზეც სოსოს ხელი უნდა მოეწერა, ხომ კარგი, თუ არადა, დრო მოვა და ყველაფერი გამოაშკარავდება.

ვახო ჩხაპელია ციხიდან რეკავს ახლობლებთან, ნუ გეშინიათ, გამოვალო. მერე სად აპირებს წასვლას? რა, ან ვინ აძლევს ვახო ჩხაპელიას იმედს, რომ ციხიდან გამოვა? ამ ყველაფრის იმედს სოსო პავლიაშვილი აძლევს! როგორც ჩანს, ატყუებს, რომ მათ ხმა არ ამოიღონ. პირობას გაძლევთ, ამათ გამამტყუნებელ განაჩენს რომ წაუკითხავენ, ერთმანეთს თვითონ დაჭამენ და პროცესზე ნახეთ, რა მოხდება. ვერც კობა ყურუას გააჩერებთ და ვერც გელა უბილავას. ვახო შეიძლება იქვე მოკლან, სოსო რომ გვპირდებოდა, გამოგიშვებთო, სად არისო, ეტყვიან. აი, მერე რაღას იტყვის სოსო პავლიაშვილი? სოსომ ფულის გულისთვის ბავშვობის მეგობარი გაიმეტა. ავთო რამეს ართმევდა? კითხვა მაქვს, სოსო პავლიაშვილმა თავისი და, მაკა პავლიაშვილი საქართველოდან რატომ წაიყვანა? 25 წელი, მას აქედან არც დედა, არც მამა წაუყვანია. მაკა პავლიაშვილმა სიმართლე იცის, როცა ეს ყველაფერი დაიგეგმა, ისიც თურქეთში იყო. სოსოს მაკა ყელში ჰყავს გაჩხერილი, მაგრამ რა ჰქნას? მას ესემეს-იც კი მივწერე, ახლა იმის დროა, მაკა მოაკვლევინო, რადგან სადმე პირი თუ დააღო და თქვა, დაღუპული ხარმეთქი. ამის შემდეგ მაინც ხომ უნდა დაერეკა?



■ სოსო პავლიაშვილი

პავლიაშვილი რუსეთის მოქალაქეა, ჩვენ რუსეთთან ისეთი ურთიერთობა არ გაქვს, რომ ის დასაკითხად ჩამოიყვანონ. მაგრამ ნურც ამაზე ნერვიულობს, სასამართლო რომ დასრულდება, მაკას ჩამოყვანის იურიდიულ ხერხსაც მოვძებნი. სოსოს ჩამოყვანის გზებიც იქნება, მაგრამ ახლა სამაგისოდ არ გვცალია. მაკაზე საქმეს აღვძრავ თუნდაც დანაშაულის დაფარვაზე.

ჩხაპელია, ვიცი, რომ ფულის მონაა, მაგრამ სოსომ ავთო როგორ გაიმეტა მოსაკლავად?! თან ის ავთოს ფული იყო, თავისას ხომ არ ართმევდა? თუ ავთო ადუაშვილი ფულს ართმევდა, როგორც ახლა თქვა, მაშინაც განეცხადებინა, ფულს მძალავსო. სოსოს მოსკოვში გავლენა აქვს, მისი სიმამრი გავლენიანი პირია.

ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ პავლიაშვილმა შეიძლება თქვას, მევლუდ ადუაშვილს არასდროს ვუყვარდიო. მე ის მიყვარდა, მაგრამ პატივს არ ვცემდი.

— **თქვენს ძმას და სოსო პავლიაშვილს, გასართობის ცენტრის გარდა, თბილისში საერთო ბიზნესი ჰქონდათ?**

— არა. ავთოს აქ რესტორანი, მაღაზია და რაღაცეები ჰქონდა. ბიზნესი კი სოსოსთან ერთად მოსკოვში ჰქონდა. სამშენებლო ბიზნესში იყვნენ ერთად და თან რაღაც მაღაზიებიც ჰქონდათ, ზუსტად არ ვიცი.

■

„სარკე“ სოსო პავლიაშვილის სიძის, ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატს, **ლევან ჯავახაძეს** ესაუბრა.

— **ბატონო ლევან, ავთანდილ ადუაშვილის ოჯახი სოსო პავლიაშვილს და თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ ვახტანგ ჩხაპელიას ადებენ ხელს, რომ ისინი მკვლელობის მონაწილეები არიან.**

— დაზარალებულები შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი.

— **კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— არ ვიცი, პროკურატურას ჰყავს თუ მავანს და მავანს. ის ხალხი ძალიან მეცოდება და ვუთანაგრძნობ... ისინი დაარწმუნეს, რომ ამ საქმეში პავლიაშვილია გარეული და რომ მკვლელი ისაა. მათ ეჭვის რეალური საფუძველიც კი არ გააჩნიათ. პროცესებზე დაკითხულ ოჯახის წევრებს არაერთხელ ვკითხე, თუ რა აძლევთ მათ ამ ეჭვის საფუძველს, მაგრამ დამაჯერებელი პასუხი ვერავინ გამცა, თქვეს, სოსო დამნაშავე თუ არ იყო, გასვენებაში ჩამოვიდოდაო... ძალიან მინდოდა, დაზარალებულებისგან რაიმე არგუმენტირებული პასუხი მომესმინა და ეთქვათ, თუ რატომ აქვთ სოსოზე ეჭვი, მაგრამ უშედეგოდ.

— **მათი ძირითადი არგუმენტი თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ვახტანგ ჩხაპელიას ჩვენებაა, სადაც მკვლელობის ფინანსურ მხარდამჭერად სწორედ სოსო პავლიაშვილს ასახელებს.**

— ამას თუ სამართლებრივად მივუდგებით, ეს მტკიცებულება საქმეში არ არის და განხილვას არ ექვემდებარება. არასამართლებრივად თუ მივუდგებით, ვახტანგ ჩხაპელიამ განაცხადა, რომ ეს ჩვენება ზეწოლის შედეგად იყო მიღებული. ეს ჩვენება მას დაწერილი დაახვედრეს და აიძულეს, რომ სოსო პავლიაშვილი დაესახელებინა. ჩხაპელიას ჩვენებაში მკვლელად და შემკვეთად სოსო პავლიაშვილი არ ჰყავს დასახელებული, ის უბრალოდ ფინანსულ მხარდაჭერაზე საუბრობს.

**ლევან ჯავახაძე: „ეს საქმე რომ შეთითხნილია, უფრო და უფრო ვრწმუნდები და თანდათან მეტად იკვეთება, რომ სოსო პავლიაშვილს ამ საქმესთან არანაირი შეხება არ აქვს. ადამიანური კუთხით გიპასუხებთ, სადღაც მეც ეჭვი გამიჩნდა, იქნებ ვცდები-მეთქი, მაგრამ სოსოს წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვიპოვე".**

— **ვის ინტერესებში შედიოდა სოსო პავლიაშვილის ამ საქმეში გარევა?**

— ვერ გეტყვით. ეს საქმე რომ შეთითხნილია, უფრო და უფრო ვრწმუნდები და თანდათან მეტად იკვეთება, რომ სოსოს ამ საქმესთან არანაირი შეხება არ აქვს. ადამიანური კუთხით გიპასუხებთ, სადღაც მეც ეჭვი გამიჩნდა, იქნებ ვცდები-მეთქი, მაგრამ სოსოს წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვიპოვე.

— **მაშინ რისთვის არიან ეს ადამიანები დაკავებულები?**

— 1 სექტემბერს გელა უბილავამ სასამართლოს ჩვენება მისცა, მთელი დღის განმავლობაში ის იკითხებოდა. სასამართლოზე ძალიან სკანდალური განცხადება გააკეთა. ამიტომ იძულებულები გავხდით, პროკურატორისთვის მიგვემართა, რომ გელა უბილავას განცხადების საფუძველზე გამოძიება დაეწყოთ. საუბარია, მკვლელობის საქმესთან მეგის ქარდავას და კოხტა კოდუას კავშირზე. ეს განცხადება მხოლოდ კვირას არ გაკეთებულა. გელას უფლებადამცველებმა ჯერ კიდევ თებერვალში მთავარ პროკურატურას და პროკურორს, არჩილ კბილაშვილს მიმართეს და გელა უბილავას უსაფრთხოების უზრუნველყოფა სთხოვეს. მთავარ პროკურორს ისიც მოახსენეს, რომ გელა უბილავა მზად იყო, მთავარი პროკურატურისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეცა.

— **რა კავშირი უნდა ჰქონდეთ მეგის ქარდავას და კოხტა კოდუას ამ მკვლელობასთან?**

— ზოგადად შემიძლია გელა უბილავას ჩვენების შესახებ გითხრათ. მან სასამართლოზე ცალსახად თქვა, რომ სანამ ქარდავა და კოდუა ავთო ადუაშვილით დაინტერესდებოდნენ, ის აიძულეს, აფხაზეთში საიდუმლო ოპერაციაზე გადასულიყო. მან არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ ეს დავალებები გარკვეული მიზეზების გამო არ შეასრულა. ამის შემდეგ გელა უბილავა მათ აფხაზეთში სამუშაოდ აღარ აწყობდათ, რადგან მან რამდენიმე ოპერაცია ჩააგდო. ამიტომ მათ გადაწყვიტეს, უბილავა საზღვარს აქეთ ემუშავებინათ, რადგან უფრო კონტროლირებადი იქნებოდა. გელას თქმით, მას ძალიან შეეშინდა და მიხვდა, რომ არანაკლებ ბინძური საქმეების კეთება მოუწევდა.

უბილავას ჩვენების მიხედვით, 2012 წლის არჩევნების მოახლოებისას, როცა ნაციონალურ მოძრაობას კრიზისი ჰქონდა, ის მანქანაში ჩაისვეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ მათთან ეთანამშრომლა. გელა უბილავას ავთო ადუაშვილის და მისი მანქანის სურათი აჩვენეს და უთხრეს, რომ მომდევნო ოპერაცია ამ კაცს უკავშირდებოდა. როგორც ჩხაპელია ამბობს, ამ ამბით კოდუა და ქარდავა ჯერ კიდევ აგვისტო-სექტემბერში იყვნენ დაინტერესებულები. გელა უბილავას თქმით, მათ ოპერაციის შესრულება სხვადასხვა მიზეზების გამო დროში გაუწელა, არჩევნების შემდეგ კი ხელიდან დაუსხლტდათ.

— **ანუ უბილავას თქმით, მკვლელობა მეგის ქარდავამ და კოხტა კოდუამ შეუკვეთეს?**

— გელა უბილავა ამბობს, რომ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია, მე არაფერ შუაში ვარო.

— **გელა უბილავას არ უთქვამს, რა მიზეზების გამო უნდოდათ ავთანდილ ადუაშვილის სიკვდილი?**

— როგორც გელა უბილავა ამბობს, ქარდავა-კოდუამ მას უთხრა, რომ ადუაშვილმა ნაცები გადააგდო.

— **კიდევ ერთხელ უნდა გკითხოთ, მაშინ დანარჩენი ის ადამიანები, ვინც დაკავებულები არიან, ამ საქმესთან რა კავშირში არიან?**

— იმ პერიოდში გელა უბილავას ვახტანგ ჩხაპელიასთან თხილის ბიზნესი და მასთან სისტემატური კავშირი ჰქონდა. სწორედ მათი ხშირი კონტაქტი გახდა საეჭვო. უბილავამ ჩხაპელია, ნებსით ნუ უნებლიეთ, ამ საქმეში ჩაითრია. გელა უბილავამ თქვა კიდეც, იძულებული გამხადეს, ვახტანგ ჩხაპელია, როგორც ადუაშვილთან დაახლოებული პირი, ამ საქმეში ჩამეთრია და საბოლოოდ ჩემს სასარგებლოდ გამომეყენებინაო. ძალიან რთული სქემაა და ბევრი რამ არის დამალული.

— **სოსო პავლიაშვილზე თუ არის საქმე აღძრული?**

— საქმე შემკვეთთა მიმართ არის აღძრული. სოსოსთან კონტაქტი არ მაქვს...

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# ქეთი დოლიძემ „საჩუქარი" დაიბრუნა

## „პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ყოველთვის ვეხმარები მათ, ვინც უნდა გაიმარჯვონ ქვეყანაში"



„ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა მაპატიონ, მაგრამ მათ უნდა ისწავლონ, როგორ შეიძლება 4 აბზაცში სპექტაკლის შეფასება. ჩვენთან ეს არავინ იცის".

რეჟისორმა ქეთი დოლიძემ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ძველი ცხოვრებისეული მიღწევები დაიბრუნა — ფესტივალი „საჩუქარი", რომელიც 5 წელი დაბლოკილი იყო, აღადგინა. წლევანდელ ფესტივალზე ქალბატონი ქეთი დიდ იმედებს ამყარებს. თბილისში თეატრალურ სამყაროში ავტორიტეტული კრიტიკოსები და რეჟისორები ჩამოჰყავს. აღარ უწევს ჭიდილი ხელისუფლებასთან და პოლიტიკური მოვლენებისგან განზე გადგა. ახალი რეალობით კმაყოფილია და თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილმა მისი მოლოდინები გაამართლა.

რეჟისორი რამდენიმე კვირის წინ დაბრუნდა ედინბურგიდან, სადაც წაღებული ჰქონდა სპექტაკლი „დილა მშვიდობისა, 100 დოლარიანო". ამ სანახაობას დიდი წარმატება ხვდა წილად. საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

**ქეთი დოლიძე:**

— ეს სპექტაკლი ჩემი სიამაყე და დიდი სიხარულია. მე ყოველთვის კარგ მსახიობებთან ვმუშაობ. სპექტაკლში თამაშობენ ვარსკვლავები: ნანა ფაჩუაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი. სპექტაკლში ასევე თამაშობს ჟურნალისტიკის ვარსკვლავი ნუგზარ რუხაძე.

— **ედინბურგში მაყურებელმა კიდევ რომელი ქართული სპექტაკლი ნახა?**

— წავიღეთ ნანა კვასხვაძის და ჩემი სპექტაკლი „ჩემი თაობის ავტოპორტრეტი, ჰილარი ვუდის „კაბის დღიური" (პიესის ავტორი თამარ ბართაია გახლავთ), დათო დოიაშვილის დადგმა „ზაფხულის ღამის სიზმარი", ზურაბ გეწაძის „მელოტი მომღერალი ქალი". აღსანიშნავია, რომ სპექტაკლებმა „ჩემი თაობის ავტოპორტრეტი და „კაბის დღიური" 2001 წელს და 2005 წელს 5-5 ვარსკვლავი მიიღო. ფესტივალის დირექტორატის მოთხოვნით, ეს სპექტაკლები წელსაც მიიწვიეს.

ედინბურგის ფესტივალზე ყველაფერს ჟურნალისტები წყვეტენ, თუ დაიწერა სტატია და მიიღე გარკვეული რაოდენობის ვარსკვლავი, ეს უკვე დიდი წარმატებაა. ორ სპექტაკლში უმაღლესი დონის კრიტიკოსისგან, ჯოის მაკმილანისგან უმაღლესი შეფასება მივიღეთ. სამწუხაროდ, ჩვენს ვიზიტს უსიამოვნებაც ახლდა თან, დათო დოიაშვილის სპექტაკლს „ზაფხულის ღამის სიზმარი" პრობლემები შეექმნა. დოიმ ქართულ კომპანიას ანდო თავისი დეკორაციის გადატანა. მათ საბუთები არასწორად გააფორმეს, ტვირთი ედინბურგში ჩამოვიდა, მაგრამ ადგილზე ვერ მივიტანეთ. მოვიდნენ კრიტიკოსები და სპექტაკლი არ დახვდათ. შემდეგი სპექტაკლის დროს მსახიობმა გიორგი ვარდოსანიძემ მხრის სახსარი ამოიგდო და სპექტაკლი ჩაიშალა.

წელს ამ ფესტივალის ფარგლებში 2.800 სანახაობა იყო, თქვენ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა აარჩიოს მაყურებელმა, სად უნდა მივიდეს? მხოლოდ გაზეთით. თუ გაზეთის საშუალებით მიიღე ვარსკვლავები, ეს დიდი გამარჯვებაა. ჯოის მაკმილანი 5-ს არ წერს. 4 ვარსკვლავი არის მისი უმაღლესი შეფასება. ერთადერთი გამონაკლისი მისთვის ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო, რომელსაც თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „ანტიგონე" 5 ვარსკვლავი მისცა. მეორე ასეთი შემთხვევა დათო დოიაშვილის სპექტაკლი „მეფე ლირი" იყო, სადაც ოთარი ასევე 5 ვარსკვლავით შეაფასეს. ოთარი მათთვის იყო აბსოლუტური ფენომენი. დარბაზის გავსების ერთადერთი შანსი არის სტატია და ვარსკვლავები.

ზურა გეწაძის სპექტაკლზე დაიბეჭდა სტატია ფოტოთი და 4 ვარსკვლავი მიიღო. მაკმილანმა სანახაობა დადებითად შეაფასა, განსაკუთრებით მოეწონა მსახიობი ნანა შონია. ჩემმა სპექტაკლმა ფანტასტიკური შეფასება მიიღო — 4 ვარსკვლავი, ასევე გაარჩიეს პიესაც. სამსახიობო ანსამბლი საუკეთესოდ შეაფასეს. ვინც ნახა სპექტაკლი, ყველა აღფრთოვანებული იყო.

— **მალე თბილისი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქარს" უმასპინძლებს. 5 წლის წინ ამ ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა. როგორ მოახერხეთ მისი განახლება?**

— 5 წლის წინ ჩვენი ფესტივალი გააჩერეს და გიგი უგულავამ ის „თეატრალური ფესტივალით" ჩაანაცვლა. ეს ტრაგიკული 5 წელი ამ ფესტივალის გარეშე ძალიან მძიმედ გავატარე. იმ პერიოდში გადამარჩინეს კოლეგებმა, ჩემმა თეატრმა. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უკანონოდ მოხდა ჩემი გათავისუფლება თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტიდან, ფესტივალის წართმევა, კოლეგებმა ჩემ წინაშე ძალიან ღირსეულად დაიჭირეს თავი. ყოველ შემთხვევაში, სპექტაკლის დადგმა არ გამჭირვებია. მერიამაც კი გაიღო ფული, როდესაც სპექტაკლი „სამეფო ოჯახი" დავდგი. პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, ჩვენ ვრჩებით.

ფესტივალი „საჩუქარი" 13 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე გაიმართება. ჩამოდიან უილიამ ბარდეკუცსი, ნინა სუფი, ჰილარი ვუდი, ჯოის მაკმილანი. ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა მაპატიონ, მაგრამ მათ უნდა ისწავლონ, როგორ შეიძლება 4 აბზაცში სპექტაკლის შეფასება. ჩვენთან ეს არავინ იცის.

— **ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ რა შეცვალა თქვენს საქმიანობაში?**

— საქმიანობაში — არაფერი, პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ყოველთვის ვეხმარები მათ, ვინც უნდა გაიმარჯვონ ჩვენს ქვეყანაში. ადრეც ვეხმარებოდი, მაგრამ ეს პოლიტიკოსები გულს მტკენდნენ და ჩემს ოცნებებს ამსხვრევდნენ. მერე ოპოზიციაში გადავდიოდი. ხელოვანი ყოველთვის უნდა იყოს ოპოზიციაში, ხელოვანს მახვილი თვალი უნდა ჰქონდეს, სხვანაირად არ გამოვა. თუ ჩვენი მთავრობა ფხიზლად იქნება, ორიენტაციას ხალხზე, ხელოვანებაზე აიღებს, მაშინ ყველაფერი გამოვა.

— **რამდენიმე წლის წინ თეატრალური უნივერსიტეტიდან გაგათავისუფლეს. ახლა ისევ ხომ არ დაუბრუნდებით პედაგოგიურ საქმიანობას?**

— მე და ნანა კვასხვაძე პირველები ვიყავით, ვინც იქიდან გამოგვიშვეს. ბოდიშს ვიხდი ყველა პედაგოგთან, მაგრამ ჩვენნაირი წარმატებული ჯგუფი ბოლო 20 წლის განმავლობაში თეატრალურს იშვიათად ჰყოლია. გაუგებარი სილაბუსების, განათლების საზიზღარი სისტემის გამო ყველანი გამოგვიშვეს. ყველა ჩემი სტუდენტი წარმატებულია და რა ვქენით ისეთი, რომ გამოგვიშვეს? ზოგიერთ ვითომ პროფესორს სპექტაკლი არ აქვს დადგმული დიდ სცენაზე. მაინტერესებს, მათ როგორ მისცეს პროფესორობა? მთავრობამ ეს უზნეობა უნდა გამოასწოროს. ჩემი მთავარი ამოცანაა, თუმანიშვილის თეატრთან არსებული თეატრალური სტუდია გაიხსნას.

— **მოტივი რა იყო, რის გამოც თეატრალური უნივერსიტეტიდან გაგათავისუფლეს?**

— დისერტაცია არ გაქვს დაცულიო. ნახეთ ჩემი ფილმები, სპექტაკლები, ეს არის ჩემი დისერტაცია! იცით, თეატრალურ უნივერსიტეტში დისერტაციები როგორ აქვთ დაცული? მიხეილ თუმანიშვილის წიგნებიდან იწერენ და ასე იცავენ. ძალიან ცუდად ვლაპარაკობ? მაინც ყოველთვის ვილაპარაკებ! ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი გავლილი მაქვს, დრო ტყუილზე არასდროს დამიხარჯავს. ვისაც უნდა ეტკინოს, მაინც ვიტყვი, თეატრალურ უნივერსიტეტში ძირფესვიანად არის ყველაფერი შესაცვლელი.

— **თქვენი შვილებიც მსახიობები არიან. როგორც რეჟისორი, მათ როგორ აფასებთ?**

— შვილებზე ლაპარაკი არ შემიძლია. მათთვის მკაცრი შემფასებელი ვარ. მიმაჩნია, რომ თორნიკეს საქმე ჯერჯერობით კარგად მიდის, მიხარია, რომ ის არასდროს არის კმაყოფილი და არასდროს იყურება უკან. არავინ იცის, რამდენი პრემია აქვს მიღებული — დაახლოებით 37. ძალიან გაბრაზდება, რომ ამაზე ასე საჯაროდ ვისაუბრე. თამრიკო თუმანიშვილის თეატრის მსახიობია. გული მწყდება, რომ ქართული კინო მას არ იყენებს. არიან არტისტები, რომლებიც ეკრანისთვის არიან დაბადებულები და ასეთი არტისტია თამრიკო. ჩემი შვილებისთვის დედა არც რეპეტიციებზე ვარ და არც უნივერსიტეტში ვიყავი. მათთვის რეჟისორი ქეთი დოლიძე ვარ!

მათ პირად ცხოვრებაში არ ვერევი. თორნიკეს პირველი ქორწინება, სამწუხაროდ, დაინგრა. თამრიკო გათხოვებას არ ჩქარობს. შემიძლია შვილებს რაღაც ვურჩიო, გავაფრთხილო, მაგრამ გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ. ყველამ თვითონ უნდა გაიაროს თავისი ცხოვრების გზა და თავიანთი წილი შეცდომები დაუშვან.

✓ ლანა კიკნაძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ახალი ტიპის სერიალები – თურქული ექსპანსია საქართველოში?

თურქულმა სერიალებმა საქართველოში ყოველგვარი რეკორდი მოხსნა. ლათინოამერიკული სერიალებით მობეზრებულმა მაყურებელმა „ახალი ამერიკა“ თურქულ სერიალებში აღმოაჩინა. პირველი თურქული სერიალი, რომელიც ქართულ ტელეეთერში „მაესტროზე“ გავიდა, „სიყვარული და სასჯელი“ იყო. მთელი საქართველო სერიალში მონაწილე მთავარ გმირებზე, სავაშსა და იასემინზე ალაპარაკდა. მათ ცხოვრებას ყველგან განხილავდნენ. სერიალში მონაწილე მსახიობების ცხოვრებაც განხილვის თემად იქცა — სავაშის როლის შემსრულებელს, მურატ ილდირიმს ქართველი ცოლი ჰყავს და ბათუმში ხშირად ხედავენო.

თურქული სერიალის რეიტინგით გათამამებულმა „მაესტრომ“ კიდევ ორი თურქული სერიალი ჩაუშვა თავის საეთერო ბადეში. „მაესტროს“ მალე სხვა ქართულმა ტელეარხებმაც მიბაძეს. ახლა თურქული სერიალები ორ ქართულ არხზე — „მაესტროსა“ და „რუსთავი 2“-ზე გადის. ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებისთანავე „იმედიც“ ჩაანაცვლებს სხვა სერიალებს ჩვენი მეზობელი ქვეყნის პროდუქციით.

**რამაზ საყვარელიძე: „ქართულმა ბაზარმა მოითხოვა ამ ტიპის სერიალები, როგორიც თურქებს აქვთ და ტელევიზიებს უარი რატომ უნდა ეთქვათ?".**

თურქული სერიალები ყველა არხზე დღეში 2 საათი გადის. ქართველი საზოგადოების ნაწილი ამით აღფრთოვანებულია, ნაწილი — შეშფოთებული. ზოგი თვლის, რომ საქართველოში თურქეთის კულტურული ექსპანსია დაიწყო. სოციალურ ქსელებში თურქული სერიალების შემოტევას „დიდი თურქობაც“ კი უწოდეს.

■

„საბერძნეთში თითქმის ყველა არხზე თურქული სერიალები გადის. ბერძენმა მსახიობებმა დაგმეს, აღშფოთდნენ, რომ თურქული პროდუქცია საღდება და მათი — არა. ვიდეორგოლები გაუშვეს, სადაც ბერძნულ სერიალში თურქულად ლაპარაკობენ, წაგვლეკა თურქეთმაო“, „ვენესუელამ და ბრაზილიამ ექსპანსია გაგვიკეთა სერიალებით და ახლა თურქეთი გვიპირებს“, „თურქეთს აწყობს, ქართველებში კეთილგანწყობა დათესოს, მით — უმეტეს აჭარაში. ტელევიზია კი მძლავრი იარაღია“, „მაესტროში“ ამხელა რესურსი იმიტომ ჩაიდო, რომ თურქული სერიალები გავიდეს?“, „სირცხვილია, ყველგან ექსპანსია გველანდება. სერიალიც კი პოლიტიკურ ჭრილში გადაგვყავს“, „ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ მათ ტრადიციებზე. მაგალითად, ოჯახური ტრადიციები, როცა რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს. გლოვაც მსგავსი გვაქვს — წივილ-კივილით და თავში ხელის ცემით. ქალიშვილობის ინსტიტუტი, რომელიც, როგორც საქართველოში, ისე თურქეთშიც იკლებს. იქაც აქვთ ტერმინი — რას იტყვის ხალხი?“ — ასე აფასებენ ქართველები თურქულ სერიალებს სოციალურ ქსელებში.

**ბაჩო კიკაბიძე: „ბავშვი უნდა აღზარდო წიგნით და არა — სერიალით. ჩვეულებრივმა სერიალმა არ უნდა მოახდინოს კულტურული ექსპანსია. თურქები ნამდვილად არ მოსულან და არ შემოუთავაზებიათ ჩვენთვის. ჩვენ მივედით მათთან. ასე რომ, თურქები არაფერ შუაში არიან, ეს ჩვენი მარკეტინგული გათვლაა".**



■ „სიყვარული და სასჯელი“

■

„მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, ბაჩო კიკაბიძე ამბობს, რომ თურქული სერიალები მთელ მსოფლიოში ყველაზე რეიტინგულია და თუ ქართულ არხებზე აქამდე არ გადიოდა, ეს ტელეკომპანიების მფლობელთა უვიცობის ბრალი იყო.

**ბაჩო კიკაბიძე:** რამდენიმე თვის წინ, გაზაფხულზე, ჩვენი კომპანიის გაყიდვების მენეჯერმა ნანა აბურჯანიძემ თქვა, თურქულ სერიალებს მაღალი რეიტინგი აქვთო. სხვადასხვა ქვეყანაში შევისწავლეთ მათი რეიტინგი და მართლაც მაღალი იყო. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, შეგვეძინა. გაამართლა, მაყურებელს მოეწონა.

**— თურქული პროდუქცია ლათინოამერიკულ სერიალებთან შედარებით ბევრად ძვირია?**

— დიახ, დაახლოებით 20-ჯერ ძვირია. თუ თურქული სერიალის ერთი საათი 5 ათასი ევრო ღირს, მათი ღირებულება 500 დოლარია. თანაც, ჩვენ ვყიდულობთ ყველანაირი წესების დაცვით და არა — რუსული კომპანიებისგან თუ სხვა მაქინაციებით. პირდაპირ თურქულ კომპანიებთან გვაქვს კონტრაქტები გაფორმებული. ერთი პერიოდი „მაესტროს“ ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე. არჩევნების შემდეგ, როცა გარკვეულწილად დაწყნარდა პოლიტიკური ვითარება და შეიცვალა მთავრობა, ისეთი სპეციფიკური არხის, როგორიც „მაესტროა“, რეიტინგი სტაბილური გახდა და გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა საერთო არხი, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა სერიალებსაც. ამიტომაც გავიზიარეთ ჩვენი თანამშრომლის, ნანა აბურჯანიძის აზრი.

**დავით ბუცხრიკიძე: „ლათინოამერიკულმა სერიალებმა თავისი დრო მოჭამა".**

თურქული სერიალის, „სიყვარულის და სასჯელის“ გაშვების შემდეგ ათმაგად გაიზარდა ჩვენი რეიტინგი. ამ სერიალში მთავარ როლში თამაშობდა მურატ ილდირიმი. მასთან ჩვენ მოლაპარაკებასაც ვაწარმოებდით, რომ თბილისში ჩამოგვეყვანა, რადგან ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გაუჩნდა. ყველა ის სერიალი, სადაც ეს მსახიობი თამაშობს, შეძენილი გვაქვს და უახლოეს პერიოდში შევთავაზებთ ქართველ მაყურებელს. ახლა დავიწყეთ შუადღის სერიალი, „ღრუბლებს მიღმა“, რომელიც ძალიან კარგი რომანია. თურქი მწერალი ქალის დაწერილია. ეკრანიზაციაც კარგია და მაღალი რეიტინგიც აქვს. სრულდება „ათას ერთი ღამე“, რომელიც ძალიან რეიტინგული იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ჩვენთანაც მაღალი რეიტინგი აჩვენა. ახლა ვიწყებთ ორ ისეთ ძლიერ სერიალს, რომელთაც, ვფიქრობთ, უმაღლესი რეიტინგი ექნებათ. ერთია „დიდებული საუკუნეები“, რომელიც ძალიან ძვირადღირებული, ისტორიული სერიალია, მეორე — „ასი“, სადაც ასევე მურატ ილდირიმი თამაშობს. ქართველ გოგონებს ვაფრთხილებ, დაშორდნენ შეყვარებულებს და ჩაუსხდნენ ტელევიზორებს.

**— მურატ ილდირიმის ჩამოყვანას აღარ აპირებთ?**

— ვაპირებთ. მან მოითხოვა გარკვეული თანხა. მოლაპარაკებები დიდხანს გაიწელა. ამ დროს დასრულდა სატელევიზიო სეზონი. ახალი სეზონიდან, როცა „ასი“ გავა ეთერში, ქართველ გოგონებს მის მიმართ სიყვარული კვლავ გაეღვიძებათ და აუცილებლად ჩამოვიყვანთ. თანხის გადახდა არ იყო პრობლემა. უბრალოდ, სეზონი რადგან დასრულდა, თავი შევიკავეთ. ახალი სერიალის გახურებული ჩვენების დროს ჩამოვიყვანთ. სტუდიაში მოვიყვანთ და თავის ცხოვრებაზე გავესაუბრებით.

**— მასზე ათასი ჭორი გავრცელდა, მათ შორის ერთი ასეთი იყო — ქართველი, ბათუმელი ცოლი ჰყავდა და დაშორდაო.**

— სერიალ „შტორმის“ გადაღებები ბათუმშიც მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, მაშინ ნახეს ბათუმში. ცოლი ჰყავს. ის გოგონაა მისი ცოლი, ვისთან ერთადაც „შტორმში“ თამაშობდა. ეს სერიალი ჩვენი შუადღის ეთერში გადიოდა. გადაღებების დროს მოსწონებია და მაშინ მოუყვანია ცოლად. გარდა ამისა, რომანი ჰქონდა გოგონასთან, რომელიც სერიალში „სიყვარული და სასჯელი“ იასემინის როლს თამაშობს. მის გამო ლამის ცოლს დაშორდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**ბაჩო კიკაბიძე: „მურატ ილდირიმთან მოლაპარაკებასაც ვაწარმოებდით, რომ თბილისში ჩამოგვეყვანა, რადგან ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გაუჩნდა".**

**— თურქულ სერიალებს ჩვენს ქვეყანაში უარყოფითი გამოხმაურებაც მოჰყვა — საქართველოში თურქეთის კულტურული ექსპანსია დაიწყო, ეს ყველაფერი თურქეთის ბიზნესი, მაგრამ ქვეყანური პროპაგანდააო.**

— ბრაზილიურ-ვენესუელურ-მექსიკური ექსპანსია რატომ არ დაიწყო ამდენ ხანს?! სერიალი რომ კულტურულ ექსპანსიას ახდენდეს, მაშინ მთელ მსოფლიოში ერთნაირი კულტურა იქნებოდა. სერიალები ამაზე არანაირად არ მოქმედებს. ბავშვი უნდა აღზარდო წიგნით და არა — სერიალით. ჩვეულებრივმა სერიალმა არ უნდა მოახდინოს კულტურული ექსპანსია. თურქები ნამდვილად არ მოსულან და არ შემოუთავაზებიათ ჩვენთვის. ჩვენ მივედით მათთან. არც იაფად მოუციათ. ნამდვილად ბევრი ფული გადავიხადეთ. ასე რომ, თურქები არაფერ შუაში არიან, ეს ყველაფერი ჩვენი მარკეტინგული გათვლაა.

**— თურქებს ბევრად უკეთესი ფილმები აქვთ, ვიდრე სერიალები.**

— დიახ და სამომავლოდ არ გამოვრიცხავთ, რომ ის თურქული ფილმებიც შევიძინოთ, რომლებსაც დიდი რეიტინგი ექნებათ. შეიძლება ინდური სერიალებიც გავუშვათ, რადგან ამ ქვეყანამ საკმაოდ ასწია პროდაქშენის დონე.

**— რატომ იდება უზარმაზარი რესურსები იმაში, რომ ქართველმა მაყურებელმა სერიალებს უყუროს? ქართული სერიალების გადაღება ძალიან ძვირს?**

— სერიოზულად ვმუშაობთ, რომ ქართული სერიალები გადავიღოთ. ზოგიერთ არხს რომ ჰგონია, ნომერი პირველია რეიტინგში და ასე იქნება უკუნითი უკუნისამდე, ვარწმუნებთ, რომ ცდება. საკმაო აღმასვლა გვაქვს რეიტინგებში.



Cyan Magenta Yellow Black

ფაქტობრივად პირველ-მეორე ადგილზე ვართ და ყველას ვარწმუნებთ, რომ მალე ქართული სერიალების პროდაქშენს უმაღლეს დონეზე დავიწყებთ და მათი უკბილო სცენარები და ცხოვრებასთან შეუსაბამო სერიალები მესამე-მეოთხე ადგილზე გადაიწევს. საკმაოდ რთულია ამ ყველაფრის აწყობა. ჩვენ გვაქვს მოლაპარაკებები, კონსულტაციები როგორც უკრაინასთან, ასევე რუსებთან. მათ ძალიან ძლიერი სკოლა აქვთ, სერიალების წარმოების კუთხით მაღალ დონეზე არიან. ასე რომ, მოკლე ხანში ქართველ მაყურებელს ისეთ სერიალებს შევთავაზებთ, როგორიც ჯერ არ უნახავს. ვისაც ჰგონია, რომ მაღალი ხარისხის სერიალებს ილებენ, დავუმტკიცებთ, რომ ასე არ არის. სცენარებიც და გადაღებაც მაღალი ხარისხის გვექნება. რეიტინგებს ჩახედონ ცოტა ხანში. ისე, ახლაც ჩახედონ! ისწავლონ რეიტინგების კითხვა და ნახავენ, რომ კვირის გარკვეულ დღეებში პირველ ადგილას ვართ!

— **სხვა ტელევიზიებმაც დაიწყეს თურქული სერიალების ჩვენება.**

— რომ დაინახეს ჩვენი წარმატება, მერე დაიწყეს თურქული სერიალების შეძენა. მანამდე ბაიყუშებივით ისხდნენ და ჭერში ბუზებს ითვლიდნენ. ჩვენ სამ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ. ორთან ექსკლუზიური კონტრაქტი გვაქვს, რომ საქართველოდან ფილმების შეძენა მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის. სხვებთან ურთიერთობას კი ვერავის ავუკრძალავთ. უბრალოდ, ამდენი ხანი რას აკეთებდნენ და რატომ ახრჩობდნენ ამ ხალხს ისეთი ამბებისგაგებაში, როგორიც არის ვილაცის მამიდა ქალია თუ კაცი?! ეს მათი უცოდინრობის ბრალია.

— **ბევრად მეტი თანხა სდომებია თურქულ სერიალებს...**

— იმ ორ ტელეკომპანიას, რომლებიც ბრაზილიურ და ვენესუელურ სერიალებს აჩვენებდნენ, ხომ იცით, რომ არ უჭირთ. პირდაპირ ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ და მთავრობა მილიონობით ლარს ჩუქნიდა. დღემდე არიან სასათბურე პირობებში. ასე რომ, მათთვის ფულის გადარიცხვა პრობლემა არ უნდა ყოფილიყო და არც ახლაა. აქამდე თურქულს რომ არ უშვებდნენ, სწორედ მათი უცოდინრობის და მენეჯმენტის დაბალი დონის ბრალია!

— **თქვენი აზრით, რატომ მოეწონა ქართველ მაყურებელს თურქული სერიალი უფრო მეტად, ქართულ მენტალიტეტთან უფრო ახლოსაა?**

— არა მგონია, ქართულ მენტალიტეტთან ახლოს იყოს. უბრალოდ, ეს ყველაფერი ახალია, კარგად გადაღებულია და უფრო მეტად ნაცნობია, ვიდრე ის სერიალები, რომლებსაც აქამდე უყურებდნენ. ეს წარმატების ერთ-ერთი მიზეზია. თუმცა ქართველისთვის ალბათ უფრო ადვილი გასაგებია, როცა დედამთილი რძალს წასვლის უფლებას არ აძლევს, ვიდრე ის, რომ სერიის ბოლოს კაცი ეუბნება ბიჭს, მე მამა კი არა, დეიდაშენი ვარო.

■

კინოკრიტიკოსი დავით ბუცხრიკიძე ამბობს, რომ ბრაზილიურ-ვენესუელური სერიალებით მობეზრებული ქართველი მაყურებელი სიახლეს ითხოვდა. თურქულმა პროდუქციამ კი მათ ეს მოთხოვნა შეუვსო.

**დავით ბუცხრიკიძე:** ბრაზილიურმა და ვენესუელურმა სერიალებმა თავისი თავი მოჭამა პრიმიტიულობით თუ დაშტამპული სახეებით. ამ ყველაფერს კი დაუპირისპირდა თურქული სერიალი, რომელშიც მეტი ცხოვრებისეული ამბავია, უფრო ხარისხიანია. „ათას ერთი ღამე" განსაკუთრებული მხატვრული ხარისხით არ გამოირჩევა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის მეტად დამაჯერებელია. სიახლეს კი მაყურებელი უფრო მეტი გაფაციცებით აღიქვამს. ადამიანს ყველაფერი ბეზრდება და სიახლეს ითხოვს. ამით აიხსნება თურქული სერიალების წარმატება და ბუმი. მსახიობებიც უფრო დამაჯერებლად თამაშობენ. მთელ აღმოსავლეთ ევროპაში მოდებულია თურქული სერიალი. რაც აქამდე ქართულ ტელესივრცეში გადიოდა, ისინი თავიანთ ქვეყნებშიც კი მეორეხარისხოვანი იყო. მობეზრდა ქართველ მაყურებელს ერთი და იმავე ჟანრის სისულელეების ყურება.

**დავით ბუცხრიკიძე: „ასეთ სერიალებს არავითარი კულტურული ექსპანსია არ მოჰყვება. საქართველოს არაფერი ემუქრება, ეს შიში გადაჭარბებულია. იდეოლოგიური გავლენა ყოველთვის არსებობს, მაგრამ ეს რჩება 5-10 აქტიური მაყურებლის დონეზე".**



■ „ათას ერთი ღამე"

— **როგორ ფიქრობთ, სერიალებმა შეიძლება საზოგადოებაზე ზეგავლენა მოახდინოს ან უფრო მეტიც, კულტურული ექსპანსია გამოიწვიოს?**

— ასეთს სერიალებს არავითარი კულტურული ექსპანსია არ მოჰყვება. ეს სისულელეა. ეს არის კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც ყოველთვის იყო. საქართველოს არაფერი ემუქრება, ეს შიში გადაჭარბებულია. იდეოლოგიური გავლენა ყოველთვის არსებობს, მაგრამ ეს რჩება 5-10 აქტიური მაყურებლის დონეზე. რელიგიური დეტალებიც არ წარმოადგენს გარკვეულ საშიშროებას, რადგან ეს არ არის ქადაგება და არც დომინანტურია სერიალისთვის. ჩაკეტილ სივრცეში არ ვცხოვრობთ, გახსნილი, დემოკრატიული სახელმწიფო გვაქვს. როცა რეიტინგები არსებობს და მთელ მსოფლიოში „ათას ერთი ღამე" ყველაზე პოპულარულია, რატომ არ უნდა ნახოს ჩვენმა მაყურებელმა?!

— **ქართულ ტელესერიალებზე რას ფიქრობთ?**

— სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" კარგად გამართული დრამატურგიაა. კარგი სამსახიობო ანსამბლია, შეკრულია ყველაფერი. სცენარის ავტორს, ქეთი დევდარიანს კარგი უნარი აქვს, სხვადასხვა აქცენტები წამოსწიოს. ქალების თემა კარგადაა წამოწეული. სოციალური პრობლემებიც მახვილგონივრულად არის ასახული. ერთადერთი, რაც არ მომწონს და მავნე ტენდენციად მიმაჩნია, ის არის, რომ ბოლოს ამ სერიებს ერთად კრებენ და ფილმს იღებენ. ფილმი „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი" არ მომეწონა, რადგან, ვინც სერიალს არ უყურებდა და პერსონაჟებს არ იცნობდა, ვერაფერს გაიგებდა. როცა ფილმს ვუყურებ, არ მომეთხოვება, რომ მისი წინაისტორია ვიცოდე.

■

ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი, რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ქართველებს თურქების მიმართ არც აქამდე ჰქონდათ არამეგობრული ურთიერთობა, მაგრამ მათი სერიალები ამ ყველაფერს კიდევ უფრო კეთილგანწყობილს გახდის.

**რამაზ საყვარელიძე:** არა მგონია, შესწავლილი იყოს, რაში მდგომარეობს თურქული თუ ლათინოამერიკული სერიალების გავლენა. ლათინოამერიკული სერიალებისგან განსხვავებით, თურქული რეალობა, ადამიანური ურთიერთობები ჩვენთვის უფრო ნაცნობია. ადამიანურ ურთიერთობებში ვგულისხმობ იმას, თუ ვის ვისი სიყვარული შეუძლია და ვის ვისი — არა. ამდენად, თურქული ცხოვრების წესი ჩვენთვის შეიძლება უფრო მისაღები იყოს. შეიძლება თურქულმა სერიალებმა უფრო ნაცნობი გახადა ის ქვეყანა, რომელთანაც კონტაქტი საკმაოდ ხშირია. ამდენად, მხატვრული და რეალური ცხოვრება ერთმანეთს გადაება. ერთის ინტერესმა მეორე განამტკიცა.

სერიალი გახდა ფენომენი და ამაზე მიუთითებს მათი გაშვების სიხშირე ყველა ქვეყანაში. სერიალი საშუალებას იძლევა, ადამიანმა იცხოვროს ამ გმირების ცხოვრებით. ისინი დეტექტივის პრინციპზეა აგებული. ანუ გარკვეული მოვლენა ხდება და ეს პროცესი არ წყდება ერთ სერიაში. მისი გადაწყვეტა შემონახულია შემდეგი სერიისთვის და ა.შ. ასე იქმნება ჯაჭვი უსასრულობისა სხვა ადამიანების ცხოვრებაში. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ საკუთარი, ემოციურად მეტნაკლებად გალარიბებული ცხოვრება შეავსოს იმ სიუჟეტით.

**რამაზ საყვარელიძე: „შეიძლება თურქულმა სერიალებმა უფრო ნაცნობი გახადა ის ქვეყანა, რომელთანაც კონტაქტი საკმაოდ ხშირია. ამდენად, მხატვრული და რეალური ცხოვრება ერთმანეთს გადაება. ერთის ინტერესმა მეორე განამტკიცა".**

სერიალები უფრო დატვირთულია ემოციურად. ვიღაცას ვიღაც სძულს და ვიღაც უყვარს და ამაზეა აწყობილი სიუჟეტები. საკუთარ ემოციურ ცხოვრებას მოკლებული ადამიანები კი ეჩვევიან და ამით ცხოვრობენ. ემოციებით ცხოვრების საშუალებას უმეტეს შემთხვევაში სერიალი უფრო იძლევა, ვიდრე რეალობა. ამიტომაც არიან სერიალის მოყვარულები პენსიონერები და ის ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ.

ქართულმა ბაზარმა მოითხოვა იმ ტიპის სერიალები, როგორიც თურქებს აქვთ და ტელევიზიებს უარი რატომ უნდა ეთქვათ?! შესაბამისად, მივიღეთ ყველა არხზე თურქული სერიალი. შეიძლება ამ სერიალებით თურქეთში მცხოვრები ადამიანების მიმართ დამოკიდებულება უფრო ჩამოყალიბდეს.

— **და უფრო კეთილგანწყობილი გახდეს?**

— რა თქმა უნდა! თურქების მიმართ კეთილგანწყობა ისედაც არის ქართული მოსახლეობის დიდ ნაწილში, რომელსაც თურქეთთან კონტაქტი აქვს. ეს კი კიდევ უფრო დაგვაახლოვებს.

✓ რუსუდან ადვაძე


გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „მე და დედა რძალმა სახლიდან გამოგვყარა“



„სარკის“ მუდმივი მკითხველი ვარ. არ არსებობს, ოთხშაბათი ისე გავიდეს, თქვენი ჟურნალი არ ვიყიდო. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ასეთები ხართ. ახლა იმას გეტყვით, რატომაც გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. საქართველოში არსებობს სტერეოტიპი, რომ მულები რძლებს ჩაგრავენ. ასეთი „დაჩაგრული“ ქალები თქვენც ხშირად მოგმართავენ და წერენ, როგორ უნგრევენ მულები ოჯახს, როგორ საშინლად იქცევიან. მსხვერპლის როლში რატომღაც თითქმის ყოველთვის რძლები არიან. მე კი მინდა, მოგიყვეთ, როგორ მექცევა ძმის ცოლი.

დედამ მე და ჩემი ძმა ობლობაში გაგვზარდა. ოჯახში ერთადერთ მამაკაცს თავზე დავფოფინებდით, მისთვის ვცხოვრობდით. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მის მომავალზე უფრო მეტს ვფიქრობდი, ვიდრე საკუთარზე. ჩემზე ბევრად უმცროსი იყო და ძმასავით კი არა, შვილივით ვექცეოდი. კარგი ძმა მყავს. ძალიან კარგი, პატიოსანი კაცი დადგა და ამით ვამაყობ, რადგან ამაში მეც მიმიძღვის წვლილი.

ოჯახის შექმნა რომ გადაწყვიტა, მის საქმეში არ ჩავრეულვართ. დედას სარძლო არ მოსწონდა, მაგრამ ჩემი თხოვნით შვილისთვის არაფერი უთქვამს. ვთქვით, მისი არჩევანია, უყვარს და ჩვენც პატივი უნდა ვცეთო. ოჯახის ახალი წევრი ისე მივიღეთ, როგორც საკუთარი სისხლი და ხორცი. თავიდანვე ვუთხარი, ჩემი უმცროსი დაიკო იქნები-მეთქი. მე და დედა მის გარშემო ციბრუტივით ვტრიალებდით. ისიც ამ ყველაფერს იფერებდა. ზედიზედ ორ სიტყვას არ ამბობდა ერთად. მშვიდი, ჩუმი გოგო იყო. ამის გამო მეტ პატივს ვცემდით. ქმართან რომ კამათი მოუვიდოდა, ჩემს ძმას ცეცხლის ალში ვატარებდით, ცოლს როგორ აწყენინეო. მოკლედ, მისი დამცველები ვიყავით.

ღვთის მადლით, ჩემს ძმას ისე მოემართა ხელი, რომ წელში გაიმართა, ფინანსურად მოძლიერდა. აი, სწორედ მაშინ მოხდა ჩემს რძალში უეცარი ცვლილება. მშვიდი გოგო ბოლმიან ქალად გადაიქცა. მე ამითვალწუნა. სულ რაღაც მიზეზს ეძებდა, რომ ჩემთან ეჩხუბა. ბოლოს ქმარს გამოუცხადა, ამათ გვერდით ვერ ვიცხოვრებ, ცალკე უნდა გავიდეთ საცხოვრებლადო. დედამ ამის გამო ძალიან ინერვიულა. ერთადერთი ვაჟი და ნანატრი შვილიშვილები ცალკე გასაშვებად არ ემეტებოდა, მეც ვერაფერს მეუბნებოდა. ვატყობდი, ორ ცეცხლშუა იწვოდა. მისი თხოვნით რძალს ბოდიშიც კი მოვუხადე, მაგრამ ამან არ გაჭრა. რძალმა მითხრა, შენი ძმის ფული გაინტერესებს და ბოდიშს ამიტომ მიხდიო.

ეზოში სათავსო, ავტოფარეხი და სამზარეულო გვქონდა, რომელსაც მხოლოდ ზაფხულში ვხმარობდით. გადავწყვიტე, ეს ფართი საცხოვრებლად მომეწყო. ჩემი ხელით გავარემონტე. კარგა ხანს არავის ვეუბნებოდი, ეს რისთვის მჭირდებოდა. ჩემს ძმას ვეუბნებოდი, სტუმრების მისაღებად სასადილო ოთახს მოვაწყობ-მეთქი. ეს იდეა ჩემს ძმასაც მოსწონდა და რძალსაც. ჩემი საძინებლის ავეჯი რომ დავდგი, მაშინ კი მიხვდნენ, რომ ჩემთვის და დედაჩემისთვის საცხოვრებელ კუთხეს ვიწყობდი. ძმას ვუთხარი, მე და დედა აქ ვიცხოვრებთ და თქვენს ცოლქმრულ ურთიერთობაში არ ჩავერევით-მეთქი. ამის გამო ჩემმა ძმამ ძალიან ინერვიულა, ხალხი რას იტყვისო, მაგრამ ბოლოს დაგვთანხმდა.

რძალი თავიდან კარგად იქცეოდა, თითქოს რცხვენოდა კიდეც, ის მამაჩემის აშენებულ სახლში რომ ცხოვრობდა, ჩვენ კი — ეზოში, მაგრამ მერე ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი. მე და დედას იქაც გადმოგვწვდა. ძმისშვილებთან კონტაქტი ამიკრძალა, მითხრა, ბავშვებს ჩემზე ცუდ რაღაცეებს ელაპარაკებიო. არადა ამას როგორ ვიკადრებდი, ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია.

ერთ დღეს ჩემმა ძმამ სამწვადე ხორცი მოგვიტანა. მე და დედას გვითხრა, შეიწვით და ჭამეთო. ათასი მადლობა გადავუხადეთ. საერთოდ, მას არაფერში ვაწუხებდით. მე ვმუშაობდი, დედა პენსიას იღებდა. მხოლოდ დედისთვის წამლისა და ექიმის ფულს თუ გამოვართმევდით, ისიც ძალიან იშვიათად. უფრო მეტიც, დედაჩემი თავისი პენსიიდან დანაზოგს აკეთებდა და შვილიშვილებს ფულს ჩუქნიდა. ჩემმა რძალმა რომ გაიგო, მისმა ქმარმა ხორცი მოგვიტანა, შემოგვივარდა და სულ მუქთახორები გვიძახა. არასოდეს დამავიწყდება ჩემი საყვარელი დედიკოს სახე. როგორ მინდოდა, იმ წუთში დედაჩემს ავფარებოდი, მისთვის სმენა დამეხშო, რომ ის სიტყვები არ გაეგონა. არც მე ამომიღია ხმა და არც — დედას. ტაფა გაზქურიდან გადმოვდგით და ეზოში გავდგით. მთელი საღამო მე და დედას ერთი სიტყვაც არ გვითქვამს, თვალგახეხილები ვიწექით და ჭერს მივშტერებოდით.

დილით კი გადაწყვეტილება მივიღეთ, ჩვენი ეზოც დაგვეტოვებინა. ჯერ ნაქირავებში გადავედით, მერე უცხოეთში მცხოვრებმა ნათესავმა დაგვირეკა, ჩემს სახლში შედით, მაინც დაკეტილი მაქვს და მიხედავთ მაინცო. ახლაც მის სახლში ვცხოვრობთ. ალბათ საინტერესოა, ჩემი ძმა როგორ მოიქცა. ითაკილა, ნათესავის სახლში რომ შევსახლდით. გვითხრა, მთელ ქვეყანაზე თავი მომჭერითო. მე და დედას ხმას არ გვცემს, ზედ არ გვიყურებს. არ კითხულობს, როგორ ვართ. იმას კი არ ამბობს, რომ მისმა ცოლმა გვაიძულა, ასე მოვქცეულიყავით, ფაქტობრივად სახლიდან გამოგვყარა.

ჩვენი რძალი აქაც არ გვასვენებს და სიცოცხლეს გვიმწარებს. თავი რომ ემართლებინა, საშინელი ჭორები მოიგონა, ვითომ მე საყვარელი მყავს, ძმამ მასთან სიარული ამიკრძალა და საცხოვრებლად ცალკე ამიტომ გადავედი. ლაპარაკობს, რომ საყვარელი სახლში დამყავს და დედის თვალწინ ვმრუშობ. არ ვიცი, მის ნათქვამს ვინმე თუ იჯერებს, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია. რისთვისაც ვცხოვრობდი, რა გეგმებსაც ვაწყობდი, ყველაფერი ხელიდან გამომეცალა. ვფიქრობდი, სიბერეს ძმასთან და ძმისშვილებთან გავატარებდი, ამიტომ დიდად არ ვნერვიულობდი, საკუთარი ოჯახი რომ არ მქონდა. ახლა 44 წლის ქალი ვარ. გეგმების თავიდან დალაგება და ჩემს მომავალზე ფიქრი უკვე ძალიან გვიანია. დღეს მხოლოდ უფალზე ვარ მინდობილი. ერთადერთი, რაზეც სულ ვლოცულობ, ის არის, რომ ჩემი ერთადერთი იმედი და საყრდენი, ჩემი დედიკო კარგად მყავდეს და ჩემ გვერდით დიდხანს იყოს.

**მკითხველი**

გამოხმაურება

## „ჩემი გოგონა მითოლოგიურ დედასთან გაიქცა“

ჟურნალ „სარკის“ 35-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ბიძაშვილმა თავისი შვილი გამაზრდევინა და ახლა მართმევს“. ჩემი ამბავიც ბევრმა კი იცის, მაგრამ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მომინდა, ჩემი საყვარელი ჟურნალის მკითხველებსაც მოვუყვე.

მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ გვეყოლა. 40 წელს რომ გადავიბიჯეთ, მივიღეთ გადაწყვეტილება, ბავშვი აგვეყვანა. ეს ადრეც გვინდოდა, მაგრამ დედამთილი იყო წინააღმდეგი. რა ვიცი, ბრძენი ქალი იყო და იქნებ გული უგრნობდა, რომ არ გაგვიმართლებდა... ერთი სიტყვით, გოგონა ვიშვილეთ და რაც ამ ქვეყანაზე რამე გაგვაჩნდა, მატერიალურიდან დაწყებული სულიერით დამთავრებული, ყველაფერი მასში ჩავდეთ. ღმერთმაც იცის და ხალხმაც, რომ მისთვის არაფერი დაგვიკლია.

17 წლის ასაკში გაიგო, რომ ნაშვილები იყო. მე და ჩემს ქმარს პირველად ამის გამო გვეჩხუბა, სიმართლე როგორ არ მითხარით, ტყუილებში რატომ მაცხოვრებდითო. ავუხსენი, რომ მისი დაკარგვის მეშინოდა, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდა. ბიოლოგიური დედის პოვნაში ჩემი მაზლის ცოლი დაეხმარა, მან ჩემს შვილზე ბევრი რამ იცოდა და სიბერეში მიღალატა... მაინც იმედი მქონდა, რომ შედარებას გააკეთებდა, ნახავდა, როგორი იყო მისი ბიოლოგიური დედა და ჩვენ როგორები ვიყავით და ისევ დაგვიბრუნდებოდა. იმ ქალმა კი ამბები შეთხზა, რომ ვითომ ჯერ სიყვარულის მსხვერპლი გახდა, მერე — მშობლების. მამას გადააბრალა, რომ ბავშვი მან გაუშვილა. ის კაცი გარდაცვლილია და სიმართლეს ველარ იტყვის. თვითონ შვილი არ ჰყავს, თურქეთში დაწოწიალობს, ჩამოყალიბებული გოგონა ჩაუვარდა ხელში და მასზე უარს რატომ იტყოდა? ისე ჩაიჭირა ხელში, ჩვენთან არ უშვებს. ჩემი გოგონა გვირეკავს, გვკითხულობს, გვეუბნება, რომ ვენატრებით, მაგრამ სახლში მაინც არ ბრუნდება.

თავს საშინლად ვგრძნობ, სიცოცხლე აღარ მინდა. ქმარს თავს ვაჩვენებ, რომ არ ვნერვიულობ, სინამდვილეში საშინლად განვიცდი. წარმოიდგინეთ, ამდენი წელი ვზარდე შვილი და სხვამ წამართვა. ჩემს თავს არ დავეძებ, მხოლოდ იმის მეშინია, ამ ამბავს ჩემი ქმარი არ გადაჰყვეს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემი ჯიბრით შვილმა ორჯერ განათხოვარი და შვილებიანი ქალი შეირთო ცოლად“

შვილების ცხოვრებაში არასოდეს ჩაერიოთ! მიეცით სრული თავისუფლება, თორემ ყველა შეცდომას, რასაც ოდესმე დაუშვებენ, თქვენ გადმოგაბრალებენ. მეც ასე დამემართა. სიკეთე კი ცუდად შემომიტრიალდა.



შვილისთვის ყველა დედას კარგი უნდა, მისთვის საუკეთესო საცოლეს, საქმროს არჩევს. არც მე ვიყავი გამონაკლისი, მით უმეტეს, რომ ერთადერთი შვილი მყავს. 21 წლის ასაკში გადაწყვიტა ცოლის შერთვა. შევეწინააღმდეგე, ვუთხარი, ჯერ გზაზე არ დამდგარხარ, სტუდენტი ხარ, შენი დაქორწინება ადრეა-მეთქი. მაინც არ დამიჯერა და ერთ დღეს შეყვარებულთან ერთად გაიპარა. შეცდომა დავუშვი, გოგოს მშობლებთან მივედი და გავაფრთხილე, ჩემი შვილი იმ ასაკში არ არის, ცოლი მოიყვანოს, იმედი ნუ გექნებათ, რომ რძლად მივიღებ-მეთქი. მაშინ ჩემს ბიჭთან დაკავშირებით დიდი გეგმები მქონდა, თანაც ის გოგო დიდად არ მომწონდა და არ მინდოდა, ცოლად შეერთო. ჩემმა მუქარამ გაამართლა, იმ გოგოს მშობლებმა შვილი მოძებნეს და სახლში წაიყვანეს.

ჩემი შვილი მთელი ორი თვე სახლში არ მოდიოდა, ძმაკაცის აგარაკზე ცხოვრობდა. ვერ მპატიობდა, რომ ასე მოვექეცი. მითვლიდა, შენი დანახვა არ მინდაო. ისე გავნერვიულდი, ბოლოს შევუთვალე, დაბრუნდი, ის გოგო დავნიშნოთ და ქორწილიც გადავიხადოთ-მეთქი. დამაგვიანდა, იმ დროს ჩემი შვილი და მისი შეყვარებული უკვე ერთად აღარ იყვნენ. გოგონამ დამცირება ვერ აიტანა და ჩემს შვილს დაშორდა. იმ მდგომარეობამდე მივედი, რომ იმ გოგოს მშობლებს მუხლებში ჩავუვარდი, რძლად გამომაყოლეთ-მეთქი. მათ კი ზედ არ შემომხედეს, ჩემი სიტყვები გამახსენეს, იმ დღეს რომ ვუთხარი. ზუსტად სამ თვეში კი სხვა საქმრო უშოვეს და გაათხოვეს.

ჩემი ბიჭი სახლში დაბრუნდა, მაგრამ გამიუცხოვდა. ისეთ წრეში დაიწყო ტრიალი, რომელიც არ მომწონდა. მე რომ რამეზე მეთქვა, თეთრიაო, ის იტყოდა, შავიაო, ყველაფერს საწინააღმდეგოდ აკეთებდა. სმასაც მიეძალა. რამეს რომ ვეტყოდი, სიტყვიერ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდა. მე და მამამისი გაყრილები ვართ. ჩემს ყოფილ ქმარს ვთხოვე, დამხმარებოდა და შვილისთვის რამე ეთქვა, მაგრამ არც მას დაუჯერა.

ერთი წლის წინ კი სახლში ორჯერ განათხოვარი და შვილებიანი ქალი მომიყვანა, მითხრა, გაიცანი, ეს შენი რძალიაო. პირკატა მეცა. ვიფიქრე, უბრალოდ, ჩემს გასამწარებლად ამბობდა. გვიან გავაცნობიერე, რომ ეს ჩემი ჯიბრით გააკეთა. სხვათა შორის, საყვედური არ მითქვამს, ვუთხარი, შენი არჩევანია, მე არ ჩავერევი-მეთქი. ამ სიტყვებზე სახე წამოენთო, მიყვირა, ჩემი არჩევანი, იცი, ვინც იყო და მაშინ ყველაფერი გააკეთე, ბედნიერი რომ არ ვყოფილიყავიო.

ის ქალი თავის ორ შვილთან ერთად ჩვენს სახლში ცხოვრობს. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მით უმეტეს, რომ არაჩვეულებრივი შვილები ჰყავს, მაგრამ ჩემი შვილი ბედნიერი არ არის. ცოლ-ქმარი სულ კინკლაობენ, მე კი ბავშვები მეცოდებიან. არ არის ლამაზი, დედის და მამინაცვლის ჩხუბს უყურონ. ვხედავ, ჩემი შვილის ცხოვრება თანდათანობით როგორ ინგრევა, ეს კი ჩემი ბრალია. მე ვარ დამნაშავე, რომ დღეს მას ასეთი ცხოვრება აქვს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

# „ახლობლებმა იმის გამო გამრიყეს, რომ ბავშვი ქორწინების გარეშე გავაჩინე”

ქალის ბიოლოგიური საათი დაუნდობლად წიკწიკებს. 41 წლამდე არ მიფიქრია, რომ უკან ბევრი რამ მრჩებოდა. 41 წლის რომ გავხდი, დედამ მომილოცა და თან ამოიხვნეშა, შვილის გამო მაინც უნდა გათხოვილიყავიო. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მაჭანკლები მოვიდნენ, 50 წლის კაცს მირიგებდნენ, ქვრივს. ერთმა ნათესავმა მითხრა, შვილი უკვე აღარ გეყოლება და ახლა შანსი გაქვს, სხვისი შვილების დედა მაინც გახდეო. ამ სიტყვებმა თითქოს რაღაც გადამიტრიალა თავში. განგაშის ზარების ჩამოკვრას ჰგავდა. თუმცა ეს იყო რეალობა, მართლაც დიდი შანსი იყო, რომ დედა ველარასოდეს გავმხდარიყავი.

ასაკით პატარა თაყვანისმცემელი მყავდა. მასთან რაიმე ურთიერთობაზე არასოდეს მიფიქრია. პატარა ბიჭად ვთვლიდი, ზოგჯერ დავცინოდი კიდეც. იმ დღის შემდეგ კი პრაგმატულად დავიწყე ფიქრი. იმ ბიჭს პირდაპირ ვუთხარი, რომ შვილის გაჩენა მსურდა. არც მას დაუმალავს, რომ მოვწონდი, მაგრამ ჩემთან ოჯახის შექმნას არ აპირებდა. ამ ურთიერთობას ორივემ გამორჩენის თვალით შევხედეთ და ჩვენ ჩვენი სურვილები ავისრულეთ. მე დავფეხმძიმდი და ის ჩემი ცხოვრებიდან წავიდა. მისთვის გვარი ან შვილზე პასუხისმგებლობა არ მომითხოვია. თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს ჯვარი მხოლოდ ჩემი სატარებელი იქნებოდა.



ჯერ ოჯახში გავამხილე, რომ ორსულად ვიყავი. საშინელი რეაქცია ჰქონდათ. ძმამ იმ დღესვე სახლიდან გამაგდო. დედამ მითხრა, ჯობდა, მომკვდარიყავი, მერჩივნა, შენს საფლავზე მევლო, ვიდრე ეს ამბავი გამეგოო. არავის უნდოდა იმის გაგება, რომ მე შვილზე ვოცნებობდი და ასე იმიტომ მოვიქეცი. მითხარით, არ მქონდა დედობის უფლება?! ეს უფლება ვინმემ ჩამოგვართვა ქალებს?!

სამშობიარო ტკივილები რომ დამეწყო, საავადმყოფოში მარტო წავედი. ჩემ გვერდით არავინ იყო. იყო მომენტი, როცა ვინატრე, რომ მომკვდარიყავი. ჩემს შვილს კი ვინმე კეთილი ადამიანი გაზრდიდა. მერე კი ჩემი შვილის დანახვამ ყველაფერი გადამავიწყა. ხელი რომ შევახე, ისეთი ძალით ავივსე, მთებს გადავდგამდი.

პირველი რამდენიმე თვე გამიჭირდა ბავშვის მოვლა, მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. ახლა ვმუშაობ, ჩემი გოგონა კი საბავშვო ბაღში დადის. არაფერი გვიჭირს, მაგრამ ჩემები ხმას არ მცემენ. ნათესავებმაც ზურგი მაქციეს, კეთროვანივით მომიწყვიტეს თავიდან. მათ ბოდიშს ნამდვილად ვერ მოვუხდი იმის გამო, რომ გავბედე და დედა გავხდი. ჩემი შვილი ყველაფერზე და ყველაზე წინ დგას. იმედია, რომ გაიზრდება, ისიც არ მისაყვედურებს, ქორწინების გარეშე რომ ვაჩუქე სიცოცხლე.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# მიშა მშვილდაძე: „ჩემს ცხოვრებაში ახალგაზრდული შეცდომები დღემდე გრძელდება“

## ტელეპროდიუსერი ქართველ რძლებზე სერიალს იღებს

ტელეპროდიუსერ მიშა მშვილდაძეს ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენს გრძელ თმასა და დასარტყამ ინსტრუმენტებთან. მის ცხოვრებაში კი ასეთი პერიოდიც იყო, როცა როკჯგუფში უკრავდა, რომელიც მის თაობაში საკმაოდ პოპულარულიც იყო. მერე იყო „კავეენი“, რადიო „105“, ტელეკომპანია „202“... ამბობს, რომ რთული გზა გაიარა. იყო შეცდომები, რთული ეტაპები, ბევრი რამის დაწყება მოუხდა თავიდან, მაგრამ ამან უფრო გააძლიერა. ყველაზე გამოუვალ სიტუაციაშიც კი გამოსავალს პოულობდა. „მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც ძალიან ბევრი რამ აინტერესებს. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ სრულიად ახალ პროდუქტს შემოგთავაზებთ“, — გვითხრა მან და ეს „ახალი პროდუქტი“ შეიძლება მუსიკალური ტელეპროექტებით „გამოჩეკილი“ მომღერლების პრომოუშენი გახდეს. მიშა ამ თემაზე სერიოზულად ფიქრობს. ის სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ პროდიუსერიც გახლავთ. ელოდება, რომ მისი რეიტინგის უკუსვლა მოხდება, ამიტომ პარალელურად ახალ სერიალზე მუშაობს. ამჯერად ის ქართველი რძლების კოაბიტაციის რთულმა თემამ გაიტაცა. მოკლედ, წინ ბევრი გეგმა აქვს.



**„საქართველოში მხოლოდ ბევრი ფიქრით, მონდომებით შეიძლება რაღაცის მიღწევა. ალბათ რაღაცეებში გამიმართლა კიდეც. შეცდომებიც მაქვს დაშვებული, რამაც სწორ დასკვნებამდე მიმიყვანა“.**

წარმატებული კარიერის პარარელურად მის პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი კარგადაა. 8 წელია, რაც თეონა ავალიანთან ერთჭერქვეშ ცხოვრობს. ამბობს, რომ მათ ურთიერთობაში სიურპრიზები ნაკლებადაა, რადგან ერთმანეთს კარგად იცნობენ.

— **მიშა, ადამიანის ცხოვრებაში ბავშვობის წლები თავის კვალს ტოვებს, მის პიროვნებად ჩამოყალიბებას განსაზღვრავს. გაიხსენეთ ის პერიოდი.**

— ჩემი ბავშვობა 14 წლამდე გაგრძელდა და ეს წლები საბჭოთა კავშირის პერიოდს დაემთხვა. დღევანდელი ბავშვების ცხოვრება გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მე მქონდა. მაშინ სულ სამი ტელეარხი იყო, სადაც ძალიან იშვიათად აჩვენებდნენ საინტერესო რაღაცეებს. არაფერი ვიცოდით, მსოფლიოში რა ხდებოდა. სპორტით ვიყავი დაინტერესებული, ფეხბურთი მიყვარდა, ჭადრაკზე დავდიოდი. მუსიკითაც სერიოზულად ვიყავი გატაცებული. იმ პერიოდში მამა ციხეში იყო. მე და ჩემი და იძულებულები ვიყავით, ჭკვიანი ბავშვები ვყოფილიყავით. საკუთარ თავზე ზრუნვის უნარი ორივეს კარგად გვქონდა გამომუშავებული. მაგალითად, შეგვეძლო საუზმე მოგვემზადებინა, ჩაი დაგველია ან კვერცხი შეგვეწვა. კერძებს, რა თქმა უნდა, დედა აკეთებდა. გაკვეთილებსაც დამოუკიდებლად ვსწავლობდით, არ მახსოვს, ოდესმე დედას გაკვეთილების ჩაბარება მოეთხოვა... დედა 1989 წლის 9 აპრილის დარბევაში მოჰყვა, ისიც ეროვნული მოძრაობის იდეებით იყო შეპყრობილი. ის ძალიან კეთილი ქალია და ბავშვობიდან ამას მეც მასწავლიდა.

— **მამასთან მეგობრობდით?**

— კი, მამა ძალიან მეგობრული ტიპი იყო. საკმაოდ ტრაგიკული ბედის ადამიანი გახლდათ. ვერც ცხოვრება აიწყო, ვერც კარიერა გაიკეთა, მაგრამ ვინც კი მას იცნობდა, ყველას უყვარდა. მის ირგვლივ სულ საინტერესო ამბები ხდებოდა. იცით, როგორი ტიპი იყო? სულ თვალში რომ გხვდებიან და წინა პლანზე არიან, ისეთი. ის მართლა ყველას გვიყვარდა.

— **მშობლების რას თვისებებს ხედავთ საკუთარ თავში?**

— ყველაფერი მათი მაქვს. გამორიცხულია, მათი ხასიათი რაღაც დოზით მეც არ მქონდეს გამოყოლილი. ალბათ მათგან რაღაცით განსხვავებულიც ვარ. ბავშვობიდან „პაპსავიკი“ ვიყავი, ყურადღების ცენტრში ყოფნა მიყვარდა, თუმცა ეს მამაჩემსაც მოსწონდა.

— **რას აკეთებდით იმისთვის, რომ ყურადღების ცენტრში ყოფილიყავით?**

— კარგად ვსწავლობდი, ბევრი ლექსი ვიცოდი ზეპირად. ყველა „პაპსავიკურ“ ხერხს მივმართავდი, რაც კი შეიძლება ბავშვმა გამოიყენოს, რომ ყურადღების ცენტრში მოექცეს. ფეხბურთსაც კარგად ვთამაშობდი.

— **სკოლის დამთავრების შემდეგ რა ეტაპი დადგა თქვენს ცხოვრებაში?**

— სკოლა 1992 წელს დავამთავრე. საქართველოს ისტორიაში ეს ყველაზე მძიმე წელი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან მარტივად ჩავაბარე, რადგან სკოლაში კარგი მოსწავლე ვიყავი. დამოუკიდებლობა რადგან ახალი მოპოვებული გვქონდა, საუბრობდნენ, რომ ქვეყანას იურისტები და ეკონომიტები სჭირდებოდა, ამიტომ მეც გადავწყვიტე, ეკონომისტი გავმხდარიყავი. საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩავაბარე მანქანათმშენებლობის განხრით. მესამე კურსზე ვიყავი, როცა მივხვდი, რომ არ არსებობდა შანსი, ჩემი პროფესიით სადმე მემუშავა. სტუდენტობის წლებში მეგობრებთან ერთად ჯგუფში, რომელსაც „რეკვიემი“ ერქვა, დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავდი. მაშინ გრძელ თმას ვატარებდი. სოსო თოლორაია ვოკალისტი იყო, დათო რატიანი გიტარაზე უკრავდა, მერაბ ზარიძე, რომელიც ახლა მღვდელ-მონაზონია, სოლო გიტარისტი გახლდათ. ჯაბა ტაბატაძე, ჩვენი დიდი ბასისტიც, ჩვენთან იყო. ჩვენთვის რაღაცეებს ვმღეროდით. ერთ-ერთ ჟურნალში ჩვენი ჯგუფის პოსტერიც კი დაიბეჭდა.

— **იუმორის სფეროში როგორ აღმოჩნდით?**

— სკოლის მოსწავლემ „კავეენ“-ში ვითამაშე და იუმორის ბაცილა მაშინ შემეყარა. ალბათ როკმაც მიბიძგა სცენისკენ და ასე დავიწყე „კავეენ“-ის თამაში. მერე იყო რადიო „105“, ტელეკომპანია „202“... და ასე მოვედი აქამდე.

— **ფიქრობთ, რომ რთული გზა გამოიარეთ თუ იღბალი გწყალობდათ და ყველაფერი თავისით ეწყობოდა თქვენს ცხოვრებაში.**

— ვინც იმ წლებში საქართველოში ცხოვრობდა, ყველამ რთული გზა გაიარა. მე კაცის მოკვლა არ დამჭირვებია იმისთვის, რომ გადავრჩენილიყავი. ასე რომ, ვილაცეებმა ჩემზე რთული ცხოვრებით იცხოვრეს. ტყვიის სროლაში, ათას უბედურებასა და სისულელეში მოვხვედრილვარ, ისევე როგორც ჩემი ასაკის ყველა ქართველი. საქართველოში მხოლოდ ბევრი ფიქრით, მონდომებით შეიძლება რაღაცის მიღწევა. ალბათ რაღაცეებში გამიმართლა კიდეც. შეცდომებიც მაქვს დაშვებული, რამაც სწორ დასკვნებამდე მიმიყვანა. მქონდა ენთუზიაზმი, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, მაგრამ ძალიან მინდოდა, მეკეთებინა და ამიტომ მივდიოდი იმ სფეროში, სადაც ჩემთვის ბოლომდე ნათელი არაფერი იყო. ენთუზიაზმით გამოწვეული ადრენალინი ისეთი შეუცვლელი რამაა, რომ ამას ისეთ დალაგებულ ქვეყანაში, როგორიც, მაგალითად, შვეიცარიაა, ვერ „გააძრობ“.

— **ახალგაზრდულ შეცდომებზე რას იტყვით?**

— ახალგაზრდული შეცდომები იყო და დღემდე გრძელდება. მუდმივად სწორ გადაწყვეტილებებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტიც ვერ იღებს და მასაც უწევს საკუთარი პოლიტიკის გადახედვა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია შეცდომებისგან თავის დაზღვევა. როცა რაღაც არ გამოდის, „ტეხავს“ და როცა გამოდის, გიხარია და ეს პროცესი ძალიან კარგია. ყველაფერი რომ დაწყობილი იყოს, ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა.

— **მაგრამ დიდი იმედგაცრუებაა, როცა რაღაცას აშენებ და უცებ ინგრევა.**

— მართალია, მაგრამ ყველაფრის დასასრული რაღაც ახლის დასაწყისია. მთავარია, ერთ ადგილას არ გაჩერდე.

— **ბევრჯერ დაგიწყიათ თავიდან?**

— მუდმივად თავიდან ვიწყებ. ძალიან ფართო ინტერესების სფერო მაქვს და ბევრ სხვადასხვა სფეროში ვცდილობ რაღაცის კეთებას. ეს ძალიან საინტერესოა და ამიტომ ჩემი ცხოვრება რუტინული არასოდესაა.

— **მეგობრებში იმედი გაგცრუებიათ?**

— არა, იმედგაცრუება ძალიან ცუდი რაღაც არის. ყველა ადამიანს აქვს თავისი ინტერესები — სოციალურ სტატუსზე ინსტინქტური მზრუნველობა. ამიტომ ყოველთვის შეიძლება ვიღაცის ინტერესები არ დაემთხვეს ჩემს ინტერესებს. როცა ასეთი ფაქტი ხდება, გაუგებრობები იწყება. ასეთ დროს გულჩვილი ადამიანები ამბობენ, ვერ გამიგო, იმედი გამიცრუაო. თუ ადამიანის მიმართ სენტიმენტები გიჩნდება, მაშინ შეუძლებელია ეს სენტიმენტები რამემ გააქროს.

**„შალვა რამიშვილის მიმართ სენტიმენტები მქონდა და ახლაც მაქვს. ვფიქრობ, რომ შალვა თავის საქმეს არასწორ ადგილას აკეთებს და არასწორ „ნაჩალნიკს“ ემსახურება. „ნაჩალნიკში“ კონკრეტულად პრემიერმინისტრს არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ თუნდაც იმ იდეალებს, რასაც ის ემსახურება“.**

— **ყოფილ თანაგუნდელ შალვა რამიშვილის მიმართ გქონდათ სენტიმენტები?**

— რამიშვილის მიმართ სენტიმენტები მქონდა და ახლაც მაქვს. ვფიქრობ, რომ შალვა თავის საქმეს არასწორ ადგილას აკეთებს და არასწორ „ნაჩალნიკს“ ემსახურება. „ნაჩალნიკში“ კონკრეტულად პრემიერმინისტრს არ ვგულის-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნიკო მუსერიძე** *(56 წლის, ბიზნესმენი, თბილისი).* **დიაგნოზი** – *პოდაგრული ართრიტი:* 15 წელია, პოდაგრა მაწუხებს. ტკივილი პერიოდულად მიმწვავდება. თუ დავლევ, ან დიეტას დავარღვევ, საშინელი ტკივილი მეწყება, მისივდება მუხლები, კოჭები, ტერფები. ამ წლების განმავლობაში მკურნალობის უამრავი მეთოდი მაქვს ნაცადი, ხალხური თუ საექიმო, მაგრამ ვერაფერმა მიშველა. მერე მეზობელმა მომასწავლა ალექსიშვილის კლინიკაში – აქ ჩემი მეზობლის თანამშრომელი პოდაგრისგან ძალიან მალე განუკურნავთ. მეც დავუჯერე და მოვედი. მკურნალობამ საოცრად ეფექტურად ჩაიარა – ამ კლინიკის ექიმებმა სისწრაფის ყველა რეკორდი მოხსნეს. გაოცებული ვარ: დასიებული სახსრები ერთ დღეში დამიცხრა, ტკივილმა კი რამდენიმე საათში იკლო. მეორე დღეს ჩემი ფეხით მოვედი კლინიკაში. გაიხაროს მანანა ექიმის მარჯვენამ, იმ საშინელი ტკივილებისგან რომ გამათავისუფლა. ახლა მკურნალობის მეორე კურსს ვიტარებ, აღარც ტკივილი მაქვს, აღარც ფეხები მისივდება, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს.



**მარინა ნაცვლიშვილი** *( 65 წლის, პენსიონერი, საგარეჯო).* **დიაგნოზი** – *კოქსართროზი, მეოთხე ხარისხის:* მენჯ-ბარძაყის სახსარში მარილები ახალგაზრდობაშივე გამიჩნდა. თავიდან თეძოსა და საზარდულში ვგრძნობდი პატარ-პატარა ტკივილს, მერე ჩემი მდგომარეობა გართულდა – მუხლიც ჩაითრია და, ბოლოს დამაკოჭლა კიდეც. სურათი რომ გადავიღე, რენტგენოლოგმა მითხრა, აქამდე სად იყავი, მეოთხე ხარისხიაო. აბა, მე ოპერაციის გამკეთებელი ვიყავი?! სად აღარ ვიარე, მერე ჩემმა ნათესავმა ქალმა ალექსიშვილის კლინიკაში გამომგზავნა, თვითონ ხერხემლის ოსტეოქონდროზი, კისრისა და წელის რადიკულიტი აწუხებდა და აქ უმკურნალეს, შვილო, ისე, რომ აღარაფერიც აღარ სტკივა. აქ ხელჯოხით მომიყვანა ჩემმა შვილმა, თავს არ ვუჯერებდი, როცა პროცედურის ჩატარების პირველივე ღამეს მშვიდად დამეძინა. მეორე დილით კი ისე მსუბუქად ავდექი, თავი სიზმარში მეგონა. ათი დღეა, რაც ვმკურნალობ და დღითიდღე თავს უკეთ ვგრძნობ, ჯოხიც კი გადავაგდე. მკურნალობას ბოლომდე ვაგრძელებ, მანანა ექიმს ყველაფერს ვუჯერებ. ტკივილები აღარ მაწუხებს და ოპერაცია რაღა ჯანდაბად მინდა?! დიდი ამბავი, ცოტა თუ ვიკოჭლე, რაც მთავარია აღარც ტკივილი მაქვს და სიარულიც ჯოხის გარეშე შემიძლია. ღმერთმა დალოცოს ეს ექიმები, მართლა ძალიან ყოჩაღები არიან, შვილო!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, წვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!**

**ნუნუ კურდღელია** *(44 წლის ფტიზიატრი, თბილისი):* 12 წელია, რაც ყაბზობა მაწუხებს, მეორე მშობიარობის შემდეგ დამემართა. ამ დაავადების ფონზე ნელ-ნელა თავი იჩინა ჰემოროიდულმა დაავადებამაც. ოჯახში ბევრი ექიმი ვართ და როგორ არ ვიმკურნალე, მაგრამ, დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ მივიღე, პირიქით, უფრო დავმძიმდი – ჩემს დაავადებას დაერთო სისხლდენა, ქავილი, ტკივილი. ქალბატონმა მანანამ თავისი საგვარეულო, ხალხური რეცეპტით სასწაულის მოხდენა შეძლო. დღეს მკურნალობას ვამთავრებ, დიდი მადლიერი ვარ ჩემი კოლეგის, მანანა ალექსიშვილის, რომელიც კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარებაშიც დამეხმარა. ვერც კი გადმოვცემ, თავს უკვე ისე კარგად ვგრძნობ. მადლობა მანანა ექიმს ამისთვის!

**რეზო ნინოშვილი** *(50 წლის, ინდმეწარმე, თბილისი):* შარშან კვანძებისა და სისხლდენის გამო ოპერაცია გავიკეთე. ცოტა ხანს არა მიშავდა, თითქოს, ჩემი მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ, მალე იგივე ჩივილები დამეწყო და ისევ ოპერაცია დამინიშნეს, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე. თქვენს ჟურნალში წავიკითხე ეს მისამართი და მაშინვე მოვედი. მკურნალობა დაავადების გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით დავიწყეთ, პირველი კურსის დასრულებისთანავე მომეხსნა ჩივილების 90 პროცენტი. ახლა მეორე კურსს ვიტარებ, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ღმერთმა დალოცოს ჩემი ექიმები!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*


ხმობ. ვგულისხმობ თუნდაც იმ იდეალებს, რასაც ის ემსახურება. ვფიქრობ, რომ შალვა საკუთარ თავთან ბევრ კომპრომისზეა წასული, რაც ძალიან ცუდია, მაგრამ ტრაგედია არაა. ყველას ჩვენი ცხოვრება გვაქვს. მან თავისი გზა აირჩია, რამდენადაც წარმომიდგენია, დღეს ის კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს.

**— ყოფილა მომენტი, როცა ბრძოლის, ახალი საქმის კეთების სურვილი დაგიკარგავთ?**

— როგორ შეიძლება ადამიანს აღარაფერი გინდოდეს მაშინ, როცა დღეში, მინიმუმი, სამჯერ გშივდება, ბანაობა გინდება... ასე რომ, ცხოვრების მიმართ ინტერესი არასოდეს დამიკარგავს. ყველაზე მწარე გაკვეთილი, რაც ცხოვრებისგან მივიღე და ამას აღარასოდეს გავაკეთებ, ისაა, რომ თუ კონტრაქტს არ გავაფორმებ, ეკონომიკურ აქტივობას არასოდეს დავიწყებ. სიტყვიერი შეთანხმება არ არის მყარი გარანტი, რომ მერე რთულ ფინანსურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდები.

**— ამას რატომ ამბობთ, თქვენი ნდობით ხშირად სარგებლობენ?**

— ასე ვერ ვიტყოდი. კანონმდებლობა არეგულირებს იმას, რომ ადამიანის ნდობით ზედმეტად არ უნდა ისარგებლო... ნებისმიერი მწარე გაკვეთილი რაღაც გამოცდილებაა და მაძლიერებს.

**— რაც მეტია გამოცდილება, მით ნაკლებია შეცდომა?**

— რაც მეტია გამოცდილება, მით უფრო ნაკლებია შეცდომა.

**— სერიალმა „ჩემი ცოლის დაქალები“, რომლის პროდიუსერიც ხართ, გაამართლა, საკმაოდ რეიტინგულია. მეხუთე სეზონში რა ცვლილებებს გეგმავთ?**



■ თეონა და მიშა

**„მე და თეონა 8 წელია ცოლ-ქმარი ვართ და ჩვენს ურთიერთობაში სიურპრიზები ნაკლებადაა, ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ".**

— სერიალში ბევრი სიახლე იქნება, მაგრამ ისევ იმავე მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას. აბსოლუტურად აპოლიტიკური სერიალი იქნება. ბევრი კარგი სიახლე გვექნება, ყველაზე საინტერესო სეზონი ახლა იწყება.

**— როგორ ფიქრობთ, ხალხს არ მობეზრდება?**

— სტატისტიკურად ამ პერიოდში სერიალებს უკუსვლა ეწყება, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. სერიალების რეიტინგი მესამე-მეოთხე სეზონზე ადის პიკზე. ალბათ იქნება პრობლემები, მაგრამ რაღაც სერიალები 10 სეზონიც გაგრძელებულა სიახლეების ხარჯზე. ვნახოთ, ამ შემთხვევაში რა იქნება. ჩვენ პარალელურად ახალ სერიალს ვიწყებთ და ისიც მოფიქრებული გვაქვს, რას გავაკეთებთ, როცა „ჩემი ცოლის დაქალები“ გაჩერდება.

**— რა სერიალის გადაღებებს იწყებთ?**

— სერიალს „ნათია და ნათია“ ერქმევა. მაგარი იქნება, კომედიური ჟანრის მოყვარული მაყურებლით და ცოცხალი ჩაწერით. ნათია და ნათია იქნებიან ერთი ოჯახის ორი რძალი. თემა იქნება მათი კოაბიტაცია სამზარეულოში. ქართულ ურთიერთობებში სამზარეულოში გადის ფრონტის ხაზი. რძლების კოაბიტაცია, მგონი, ყველაზე საინტერესო იქნება. სერიალი სექტემბრიდან დაიწყება.

**— ხშირად გადანაშაულებენ, რომ „ჩემი ცოლის დაქალებით“ სხვადასხვა თემების პროპაგანდა ხდება.**

— თქვენ თუ იმას გულისხმობთ, რომ სერიალში ვანიკო თარხნიშვილის გმირს გიტარა ცისარტყელას ფერების სარტყელით აქვს ჩამოკიდებული და ეს სექსუალური უმცირესობების პროპაგანდა იყო, სრული სისულელეა. ვინც ამაში რაიმე პროპაგანდის ელემენტს ხედავს, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფია. თარხნიშვილის გმირს პირველივე სეზონიდან უკეთია ის სარტყელი და ვიღაცეებმა 17 მაისის აქციის მერე შეამჩნიეს.

**— თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ. როგორ მიდის თქვენი და თქვენი მეუღლის თანაცხოვრება?**

— ნორმალურად, მშვიდად, სტაბილურად, ბედნიერად და განსაკუთრებული სიახლეების გარეშე.

**— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?**

— თეონა ფინანსისტია და ბევრი წელია, რაც მუშაობს. მას თავისი დამოუკიდებელი სამსახურებრივი კარიერა და საერთო პირადი ცხოვრება აქვს ჩემთან ერთად. 8 წელია ცოლ-ქმარი ვართ და ჩვენს ურთიერთობაში სიურპრიზები ნაკლებადაა, ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black



# დავით ზურაბიშვილი: „განცდა, რომ ნაცმოძრაობის მიმართ სამართალი არ აღსრულდა, ბევრს აქვს“

განათლების ახალმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ უკვე მოასწრო გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორ მაია მიმინოშვილთან დაპირისპირება. მიზეზი ის 700 აბიტურენტია, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური ზღვარი გადალახეს, მაგრამ ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდნენ. განათლების მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ეს აბიტურიენტები სტუდენტები გახდებიან. მიმინოშვილის თქმით კი, ეს უსამართლო გადაწყვეტილებაა და შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი სტუდენტის სტატუსის გარეშე დარჩენილი ამ 700 აბიტურიენტის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის და მათი გადანაწილების პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს. მიმინოშვილის მოსაზრებას იზიარებს განათლების მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე, რესპუბლიკელი დათო ზურაბიშვილიც. „სარკესთან“ მან ამ და სხვა არანაკლებ საინტერესო თემებზე ისაუბრა.

— **ბატონო დავით, რამდენად სწორად მიგაჩნიათ განათლების მინისტრის გადაწყვეტილება მეორად ჩარიცხვებთან დაკავშირებით?**

— მე ვიხრები მიმინოშვილისკენ, თუმცა მესმის მინისტრის მოტივაციაც, რომ აბიტურიენტებს კიდევ ერთი შანსი მისცა. მაგრამ, როცა არსებობს რაღაც წესი და მას იმიტომ ცვლი, რომ შედეგი არ მოგწონს, ეს არის ცუდი პრეცედენტი, თანაც, იმდენად ცუდი, რომ ამის დაშვება არ შეიძლება. ამის შემდეგ ყოველთვის იქნება იმაზე საუბარი, მაშინ ხომ იყო, მოდი, ახლაც იყოსო.

— **ამას მინისტრი ალბათ აცნობიერებს.**

— ამ დროს უამრავი საჩივარი შემოდის, ამბობენ, არ მითხრეს, რომ შეიძლებოდაო და ა.შ. მაგრამ ყველა უნდა მიეჩვიოს, რომ ყველაფერი აკეთოს თავის დროზე და არა — მერე.

— **პედაგოგთა სერტიფიცირებაზეც იყო პრეტენზიები, თან ორივე მხრიდან — გამოცდების ცენტრი ცუდ შედეგებს ჩიოდა, მასწავლებლები — ცუდად შედგენილ კითხვებს.**

— ეს არის შედეგი იმ ყბადაღებული წარმატებული განათლების რეფორმის. არადა 9 წელი საკმარისი დრო იყო, ძველი კადრები გადაემზადებინათ და ახალი თაობაც წამოსულიყო. ვერ ან არ გააკეთეს, მე მგონია, რომ ორივე იყო. რაც შეეხება კითხვარს, ყველაზე მეტი ჩაიჭრა ფიზიკაში, მათემატიკაში. ნიუტონის კანონი არის ნიუტონის კანონი. ან ქართულში რა უნდა იყოს ისეთი?

— **თქვენ წაგიკითხავთ?**

— არა, მაგრამ რა იქნება?

— **ამდენს რომ ლაპარაკობენ, იქნებ ინტერესისთვის მაინც ჩაგეხედათ.**

— ქართულის მასწავლებელს რა მოეთხოვება? წერა-კითხვის, ენის და ლიტერატურის ცოდნა. სხვა რა უნდა ყოფილიყო?

— **რას ფიქრობთ წინასაარჩევნო პერიოდზე?**

— ჯერ არ გახურებულა. წინ ორი თვეა და გამოჩნდება. ჯერჯერობით გამოკვეთილია გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე. პირველ ადგილზე მარგველაშვილი იქნება, მაგრამ გააჩნია, ვინ იქნება მეორე. მე პერსპექტიულად უფრო ბურჯანაძის შანსებს ვაფასებ, რადგან ისეთი სიტუაცია შეიქმნა ქვეყანაში და დიდწილად ხელისუფლების დამსახურებაც არის ამაში, რომ ძალიან აქტუალური გახდა ე.წ. სამართლიანობის აღდგენის თემა. ბურჯანაძის მთავარი თემაც ეს არის. ამბობს, სააკაშვილს დავიჭერ და ნაცმოძრაობას გავასამართლებო. რადიკალურად განწყობილ ადამიანებს ის თავისკენ წაიყვანს, რადგან განცდა, რომ ნაცმოძრაობის მიმართ სამართალი არ აღსრულდა, ბევრს აქვს.

> **„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ბურჯანაძე რომელ ადგილზე გავა და რა შედეგით. თუ 25 პროცენტი აიღო, ეს იქნება სერიოზული არგუმენტი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. თუ პირველ ტურში წააგო ბურჯანაძემ და ბაქრაძე გავიდა, მაშინ დარჩება ისევ ის რეალობა, რაც არის“.**

— **სამართლიანობის აღდგენა რომ ვერ ხერხდება, რესპუბლიკურ პარტიას ბრალდება.**

— ეს ორიგინალური ბრალდებაა. სამართლის სწრაფი აღსრულება, რომ ნაცმოძრაობის ყველა ლიდერი ციხეში წასულიყო, შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ ჩვენი აზრი იყო, შექმნილიყო საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიძიებდა წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულობებს. ეს იქნებოდა რეჟიმის გასამართლების ვარიანტი. კომისია კონკრეტულ ბრალდებებს დადებდა, მერე გადასცემდა პროკურატურას, ამასობაში კი პროკურატურა შეძლებდა, საკადრო ცვლილებები განეხორციელებინა, მტკიცებულებებიც შეეკრიბა, მაგრამ არ მოინდომეს და ისეთი ტვირთი აიკიდეს, რისი ზიდვაც არ შეეძლოთ. ამიტომ უცნაურია, რომ ეს ჩვენ გვბრალდება. პლუს, პროკურატურაში არ მუშაობს არც ერთი რესპუბლიკელი, არც შს სამინისტროში. და თუ პრეტენზიებია, ეს უნდა იყოს ძალოვანი სტრუქტურების მიმართ, რომ მათ ვერ იჭერენ, ჩვენ რა შუაში ვართ?

> **„ის, რომ ბაჩო ახალაია „ვაშლის“ გამო დაიჭირეს და ბრალს ვერ უმტკიცებენ, ეს რესპუბლიკელების დანაშაული ნამდვილად არ არის. უსუფაშვილი ხელისუფლებას ვიღაცეების დაპატიმრებას არ უკრძალავს“.**

— **მაგრამ ყველას ახსოვს თქვენი პარტიის ლიდერის, დავით უსუფაშვილის განცხადება კოაბიტაციაზე...**

— უსუფაშვილი არის პარლამენტის თავმჯდომარე და, ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობის ფრაქციასთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. სახელმწიფოს შიგნით ომი არ უნდა იყოს, ამიტომ გვინდოდა ამ საკითხის გადატანა პარლამენტში, თორემ ნაციონალების დანაშაულობებზე ჩვენზე მეტი ვის ულაპარაკია, თანაც დასაბუთებული ბრალდებებით. არ გაკეთდა სწორად და რომ არ გაკეთდა სწორად, ხალხში უკმაყოფილება გაჩნდა. ის, რომ ბაჩო ახალაია „ვაშლის“ გამო დაიჭირეს და დანაშაულს ვერ უმტკიცებენ, ეს ჩვენი ბრალი ნამდვილად არ არის. უსუფაშვილი ხელისუფლებას ვიღაცეების დაპატიმრებას არ უკრძალავს.

— **ამბობენ, რომ ირაკლი ალასანიასთან და დავით ბაქრაძესთან აპირებთ გაერთიანებას. მართალია?**

— სისულელეა, გამორიცხულია!

— **არც სახეშეცვლილ ნაციონალებთან?**

— ჯერჯერობით 52 კაცით არიან პარლამენტში და ბაქრაძე ჰყავთ საპრეზიდენტო კანდიდატად, ლიდერებად — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბოკერია, უგულავა... ამ ხალხთან თუ ვინმეს პოლიტიკური თვითმკვლელობა უნდა, კი, ბატონო, გაერთიანდნენ. თვითონ ნაცმოძრაობასაც თუ უნდა გაჯანსაღება, პირველი ესენი უნდა მოიცილოს თავიდან. დიდი რაოდენობა რომ უჭერდეს მხარს, კიდევ — ჰო, მაგრამ, დიდი დიდი, 5-10 პროცენტი ჰყავდეს მხარდამჭერი. მათ, ვინც არ ჩანდნენ და არაფერი ეკითხებოდათ, რაღაც შანსი აქვთ, თუ გაემიჯნებიან.

— **თქვენს პარტიას დღემდე აყვედრიან, რომ დაბალი რეიტინგი აქვს...**

— ამას ის ხალხი ამბობს და წერს, ვისაც ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს. როცა ივანიშვილის მოვიდა პოლიტიკაში, ვის ჰქონდა მეტი რეიტინგი? დღეს კი, ყველა გამოკვლევით, რესპუბლიკურ პარტიას საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს.

— **რამდენი პროცენტი გაქვთ?**

— 10-15 პროცენტი. „თავისუფალ დემოკრატებსაც“ დაახლოებით ასეთივე აქვს. „ოცნებას“ აქვს მაღალი რეიტინგი, მაგრამ ეს არ არის კოალიციის რეიტინგი, ეს მხარდაჭერა ივანიშვილისაა.

— **პროგნოზს აკეთებენ, რომ კოალიცია „ოცნება“ ვერ მივა ადგილობრივ არჩევნებამდე.**

— რა იქნება და როგორ იქნება, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაირკვევა. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ბურჯანაძე რომელ ადგილზე გავა და რა შედეგით. თუ 25 პროცენტი აიღო, ეს იქნება სერიოზული არგუმენტი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. თუ ახლოს იქნა პროცენტით პირველ ადგილზე გასულ კანდიდატთან, ჩათვალეთ, რომ უფრო დიდი პრეტენზიები გაუჩნდება. თუ პირველ ტურში წააგო ბურჯანაძემ და ბაქრაძე გავიდა, მაშინ დარჩება ისევ ის რეალობა, რაც არის.

— **ანუ „ოცნებას“ ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლა აწყობს? ალბათ ამიტომაც ლაპარაკობენ, რომ „ქართული ოცნების“ წევრები რაიონებში ხალხს მოუწოდებენ, ბურჯანაძეს მისცენ ხმა.**

— სისულელეა! ამ ხმებს თვითონ ბურჯანაძის ხალხი ყრის. მათი ელექტორატი არის ივანიშვილის მომხრე და არა — მოწინააღმდეგე, ამიტომ ამბობენ, სინამდვილეში ბიძინა მხარს ჩვენ გვიჭერსო. მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ დაახლოებით იმავე ხმებს ყრიან ნაციონალებიც. რადგან თვითონ ვერ დაამტკიცეს, რომ ივანიშვილი რუსეთის აგენტია, ახლა მისი რუსეთთან ასოცირება რომ მოხდეს, ამბობენ, ბურჯანაძის მოყვანა უნდა, რომ რუსეთს ჩაგვაბაროსო. როცა ორივე ამას ამტკიცებს, ბუნებრივია, ჭორები ვრცელდება და ეს ყველაფერი ბურჯანაძის სასარგებლოდ არის მიმართული.

— **რიგგარეშე არჩევნები ახსენეთ და ბევრი თვლის, რომ ამის გაკეთება თქვენი და ნაციონალების პარლამენტში ყოფნის გამოა აუცილებელი.**

— ვინც ამას ამბობს, მათი აზრი ნაკლებად



Cyan Magenta Yellow Black

გასათვალისწინებელია. ჩვენ ვართ სულ 9 კაცი პარლამენტში და 3 ვიყავით მთავრობაში, ჩემს მერე კი ხელისუფლებაში ორნი დარჩნენ. არც პარლამენტია ჩვენს ჭკუაზე, მიუხედავად იმისა, რომ უსუფაშვილს დიდი ავტორიტეტი აქვს და მთავრობა ხომ სულ არ არის. რა ვქნათ, თუ უფრო ჩვენ ვჩანვართ, ვიდრე სხვა პარტიის წარმომადგენლები? ან რანაირად ვმართავთ ამ ქვეყანას? მე პირიქით მგონია, ნაკლებად ვართ წარმოდგენილი და გვინდა, უფრო აქტიურად ვიყოთ ჩართულები. უბრალოდ, ვიღაცეებს ჰგონიათ, რომ ჩვენი გაგდებით თვითონ დასხდებიან სკამებზე. თუ რიგგარეშე არჩევნები იქნება, გარწმუნებთ, რომ რესპუბლიკური პარტია ისევ იქნება წარმოდგენილი პარლამენტში.

**— 9 კაცით თუ ნაკლებით?**

— არ ვიცი, შეიძლება მეტითაც, მაგრამ რიგგარეშე არჩევნების საკითხი ასე მარტივად ვერ გადაწყდება.

**— მაგრამ პრეტენზია გასაგებია, თუ ივანიშვილი წავიდა...**

— ივანიშვილი მიდის, ეს არის მოცემულობა, თუმცა მეც მგონია, კარგი იყო, რომ დარჩენილიყო და გაგვევლო ერთი საპარლამენტო ციკლი, მაგრამ თუ გადაწყვეტილი აქვს, ვერ გადაათქმევინებ. მერე რა მოხდება, აქ კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ წარიმართება „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის ბედი. რამდენად შეძლებენ ივანიშვილის გარეშე არსებობას და იმ პოზიციის და პოლიტიკური კურსის შენარჩუნებას,რომელიც აქვთ. თუ შეძლეს, ბევრი არაფერი შეიცვლება, თუ — ვერა, მაშინ კი ნამდვილად იქნება ცვლილებები.

**— პარტიაში ირწმუნებიან, რომ ივანიშვილი პარტიულ მუშაობას გააგრძელებს, თვითონ კი ამბობს, საზოგადოებაში წავალო.**

— პარტიაში ალბათ არ იქნება... პირველად ხდება, რომ კაცი თავისით მიდის პოლიტიკიდან და ესეც გასათვალისწინებელია.

**— ჰოდა, ამბობენ, ვის იმედად გვტოვებს — მარგველაშვილის თუ რესპუბლიკური პარტიისო.**

— მარგველაშვილი, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, „მრეწველები“, კონსერვატორები... ეს არის „ქართული ოცნება“. უკვე ჩვენ უნდა მოვნახოთ ძალა და დალაგდება სიტუაცია. წარმოიდგინეთ დიდი ველი, სადაც დიდი ნაწილი უკავია ივანიშვილს და ის რომ გადის, ეს ადგილი უნდა შეივსოს. აი, აქ გამოჩნდება, ვის რა რეიტინგი და ძალა აქვს.

ივანიშვილმა ორი სერიოზული რამ გააკეთა — გაისტუმრა ნაცმოძრაობა და საფუძველი ჩაუყარა დღეს არსებული ძალების თანამშრომლობას, დანარჩენი უკვე პარტიებზეა დამოკიდებული, როგორ „გაქაჩავენ“. მერე დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორი იქნება საარჩევნო სისტემა, ეს განსაზღვრავს პარლამენტს, პარლამენტი კი — მთავრობას. ჯერ კოალიციური მთავრობის სისტემა არ არის და ადგილები გაუნაწილებულია, მაგრამ, როცა ივანიშვილი არ იქნება, ეს საკითხიც დადგება.

**— წარმომიდგენია, რა ამბები წავა...**

— ეს თუ არ მოხდა, უფრო დახოცავენ ერთმანეთს. ფაქტია, რომ როგორი პრემიერიც უნდა დატოვოს მან, ვერ იქნება ისეთი ავტორიტეტული, როგორიც თვითონ არის.

**— გიორგი მარგველაშვილი გაამართლებს მის იმედებს?**

— მარგველაშვილი შეირჩა იმ პრინციპით, როგორიც უნდა იყოს ახალი პრეზიდენტი — მომრიგებელი და არა — ქვეყნის პატრონი.

**— პრემიერის შემცვლელზე თუ გიფიქრიათ?**

— ეჭვები კი მაქვს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი. რამდენადაც ვიცი, ივანიშვილიც რამდენიმეზე ფიქრობს.

# ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილს გარკვეული ჯგუფი ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს“

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია დარწმუნებულია, რომ ივანიშვილს რამდენიმე პირისგან შემდგარი ჯგუფი მართავს. „პრემიერი საკმაოდ ჯიუტი კაცია, კარგი გაგებით, რომ ვიღაცის გავლენის ქვეშ არ მოექცეს, მაგრამ ის არ არის ინფორმირებული ბევრ რამეზე, ხშირ შემთხვევაში, მართლა არის ინფორმაციულ ვაკუუმში, რადგან ინფორმაციას ისმენს ჩრდილოვანი „ფილტრით“, — ირწმუნება „ქართული დასის“ ლიდერი. მან „სარკესთან“ საუბარი ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზით დაიწყო.



„პარლამენტში აქეთ ზის 80 მანდატით ხიდაშელ-უსუფაშვილის, იქით, 60 მანდატით — თაქთაქიშვილ-წიკლაურის გუნდი. ეს არის ბალანსი? ეს აირჩია ქართველმა ხალხმა? თუ ივანიშვილი წავიდა, ეს გაამწვავებს სიტუაციას ხალხსა და პარლამენტს შორის და აუცილებელი გახდება რიგგარეშე არჩევნები".

**ჯონდი ბაღათურია:**

— იმას, რასაც „ოცნება“ აკეთებს, უპასუხისმგებლობა ჰქვია. მესმის, რომ რთული მემკვიდრეობა დახვდათ, მაგრამ შესაძლებელი იყო, ახალი ხელისუფლება გაცილებით ეფექტური ყოფილიყო, ვიდრე დღეს არის. ეს რამდენიმე სუბიექტური გარემოთია განპირობებული. პირველი, აშკარად თვალშისაცემია უცოდინრობა და არაკვალიფიციურობა; ასევე პრემიერის გამოუცდელობა და სიჯიუტე. წარმოუდგენია, რომ ყველაფერი იცის. არადა პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებს. მეორე, რამაც განაპირობა ეკონომიკური სტაგნაცია „ქართული ოცნების“ ლიდერების ერთი ნაწილის ხარბი და ანგარებითი საქციელია.

**— ივანიშვილის მნიშვნელოვან შეცდომებში რას გულისხმობთ?**

— „ოცნების“ უპასუხისმგებლო უმრავლესობამ ჩააგდო სასამართლო რეფორმა. შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენა ზუსტად იმდენი ხნით გადაიდება, რამდენი ხანიც ისინი დარჩებიან ხელისუფლებაში.

სოციალური რეფორმები — წესიერი კაცი ჩანს ჯანდაცვის მინისტრი, მაგრამ შეუძლებელია რამე რეფორმა გატარდეს, რადგან გუნდი არც კი ფიქრობს მწვავე რეფორმებზე. არის მცდელობა სადაზღვევო პროგრამის ამუშავების, მაგრამ დიდი შეფერხებებით მიდის. რაც შეეხება სიღატაკის პროგრამას, სოციალურ აგენტებში კორუფცია ყვავის. ყველა — არა, მაგრამ ბევრი დაკავებულია თავისი ნათესავების ჩაწერით და ვისაც სჭირდება, ის ისე რჩება. საპენსიო რეფორმაც, შემიძლია ვთქვა, რომ ჩავარდა. იყო შეპირება, რომ საარსებო მინიმუმამდე გაიზრდებოდა პენსია, მაგრამ სექტემბრიდან მხოლოდ 150 ლარი ხდება. პრემიერის განცხადება, რომ გაგებით უნდა მოვეკიდოთ ამ ყველაფერს, არ არის სამართლიანი, რადგან ხალხი ამას არ ელოდა.

განათლების რეფორმა — წიგნების მონაცვლეობით გადაცემა, კარგია, რომ გაკეთდა, მაგრამ სხვა რეფორმები არ მიმდინარეობს. ძვირია უმაღლესებში სწავლა და რა იწვევს ამას? მხოლოდ მონოპოლია. მონოპოლია უჭირავს ძველი ხელისუფლების ორ გადმონაშთს — გიული ალასანიას და კახა ბენდუქიძეს. რა უნდა ამ პრობლემის გადაჭრას? და კიდევ, უმაღლეს სასწავლებლებში გრანტის მოპოვება კი არაა აუცილებელი, არამედ უფასო სწავლისადგენა. იმ გრანტს რომ იღებს სტუდენტი, მერე ის მიაქვს და მდიდრდება ბენდუქიძე და ალასანია.

ეკონომიკური რეფორმებიც შეჩერებულია. ვიცეპრემიერი გიორგი კვირიკაშვილი კარგი კაცია, მაგრამ „ფოკუზნიკი“ ხომ არ არის, რამე შეძლოს, თუ პრემიერმა არ მოინდომა. ნუთუ არ შეეძლო საკუთარი კაპიტალი მაინც შემოეტანა და ამით სხვებისთვის ეჩვენებინა, რომ ფულის დახარჯვა აქ საშიში არ არის.

**— მეტი რა ქნას, მილიარდს ჩავდებო ფონდში, ამბობს.**

— ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ რეალურად საქმე არ კეთდება. ერთი სამუშაო ადგილი არ შექმნილა. ფულს რომ არიგებს, ეს არ არის გამოსავალი. ჯობია, შენს ხალხს თევზი კი არ მისცე, თევზის ჭერა ასწავლო. მინიმუმი შეეძლო, ერთი რაიონისთვის საკონსერვო ქარხანა გაეკეთებინა და გლეხს ატამი არ დაულპებოდა, ხალხიც დასაქმდებოდა. შენ არ დებ და სხვა რას ჩადებს, თან რომ იძახი, არჩევნების მერე წავალო. ეს ხომ

→18

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

სიგნალია, მოსალოდნელია, არასტაბილური გარემო შეიქმნასო.

— **რატომ გგონიათ, რომ ივანიშვილის წასვლა ქვეყნის არევას ნიშნავს?**

— იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს, ხალხმა ხმა ივანიშვილს მისცა. მას ენდობოდა და არა — ხიდაშელ-უსუფაშვილს. მაშინ, მინიმუმი, უნდა უზრუნველყოს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტი ასეთი მივიღეთ, აქეთ ზის 80 მანდატით ხიდაშელ- უსუფაშვილის, იქით, 60 მანდატით — თაქთაქიშვილ-წიკლაურის გუნდი. ეს არის ბალანსი? ეს აირჩია ქართველმა ხალხმა? თუ ივანიშვილი წავიდა, ეს გაამწვავებს სიტუაციას ხალხსა და პარლამენტს შორის და აუცილებელი გახდება რიგგარეშე არჩევნები. ჩვენ, „ქართული დასი“ კი ვიქნებით ხალხთან ერთად და არავის ეგონოს, რომ მათ ფილოსოფიურ წიაღსვლებს მოვისმენთ, რომ თურმე ქვეყანას სტაბილურობას სჭირდება და უსუფაშვილმა მართოს ეს 4 წელი ქვეყანა.

— **რას ერჩით ამ რესპუბლიკელებს?**

— ეს არ არის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ძალა და ბევრ შემთხვევაში მათი პოზიცია არის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული. ჩემს ნეგატიურ განწყობას ეს განაპირობებს. თუმცა ამ შემთხვევაში იმიტომ ვახსენე, რომ თანამდებობა მეტი აქვთ და, ხომ იცით, ვისაც მეტი მიეცა, იმას მეტი მოეკითხება. თორემ რესპუბლიკელებზე უარესიც არის იქ ბევრი. თუმცა პატიოსნებიც მრავლად არიან, რომელთაც არ ეძლევა რამის კეთების შესაძლებლობა ინტრიგების გამო. ასეთი ინტრიგანები კი პარლამენტის შიგნითაც არიან და გარეთაც. გადაწყვეტილებებსაც იღებს არა ის ხალხი, ვისაც ჩვენ ვხედავთ ეკრანებზე, არამედ, ცუდი გაგებით, ჩრდილოვანი მთავრობა, ანუ პირები, რომლებსაც აქვთ გავლენა ივანიშვილის გადაწყვეტილებებზე.

**„ოცნებაში" ახლა არის მძაფრი ბრძოლა ფინანსური და პოლიტიკური გავლენისთვის. მისი დაშლა გაფორმდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და ეს იქნება ცუდი, რადგან შეიქმნება სახელისუფლებო კრიზისი, რაც ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს".**

— **გია ხუხაშვილზე მიანიშნებთ?**

— არის რამდენიმე პირისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, მერე კი აცნობს ივანიშვილს.

— **რას ამბობთ, რომ პრემიერს ვიღაც ჯგუფი მართავს და მათი გავლენის ქვეშაა?**

— პრემიერი საკმაოდ ჯიუტი კაცია, კარგი გაგებით, რომ ვილაცის გავლენის ქვეშ არ მოექცეს, მაგრამ ის არ არის ინფორმირებული ბევრ რამეზე. აქვს ასეთი თვისება, დელეგირებას უკეთებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და საქმე ფუჭდება. მერე კი მიხვდება, მაგრამ პირობითად, შეცვლის ერთ კეზერაშვილს მეორე კეზერაშვილით. თვითონ უნდა ჩასწვდეს რეალობას. არ ვარ მომხრე, რომ ამბობენ, პრემიერმა ყველაფერი არ იცისო, თუ მართლა არ იცის, მით უარესი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მართლა არის ინფორმაციულ ვაკუუმში, რადგან ინფორმაციას ისმენს ჩრდილოვანი „ფილტრით“ ანუ იმას უყვებიან, რაც მათ სჭირდებათ და არა — სახელმწიფოს.

„ოცნებაში“ ახლა არის მძაფრი ბრძოლა ფინანსური და პოლიტიკური გავლენისთვის. მისი დაშლა გაფორმდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და ეს იქნება ცუდი, რადგან შეიქმნება სახელისუფლებო კრიზისი, რაც ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს.

— **საპრეზიდენტო არჩევნებში მართლა განზე დგომას აპირებთ?**

— კი, არავის ვუჭერთ მხარს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავერთვებით, თუ შედგება ახალი კონფიგურაცია, გაერთიანება, რომელიც ამომრჩეველს შესთავაზებს არა მარტო კანდიდატს, არამედ ალტერნატიული განვითარების გზას, უფრო სოციალურზე ორიენტირებულს და, რაც მთავარია, გასაგებს. ჰკითხეთ ხალხს, თუ იცის ვინმემ, სად მიჰყავს ივანიშვილის მთავრობას ქვეყანა. ხალხმა კი არა, პარლამენტის წერებმა და მინისტრებმა არ იციან, ხვალ რა უნდა მოხდეს და ამას არც მალავს პრემიერი.

— **წინასაარჩევნო კამპანიას ალბათ თვალს ადევნებთ. როგორ აფასებთ?**

— არ ვარ კმაყოფილი, არ არის კონკურენცია და ამას ის კი არ განაპირობებს, რომ მარგველაშვილი სხვებზე უკეთესია, არამედ, პირიქით, ბევრი კარგი კანდიდატია ოპოზიციიდან, მაგრამ შედეგებს ვერ აიღებენ, თუ არ იქნება ერთიანი ძალისხმევა. ამაზე ვსაუბრობ კოლეგებთან, კონსულტაციებიც მიდის. საზოგადოებას უნდა ვაჩვენოთ, რომ პოლიტლიდერები გავიზარდეთ. შეიძლება მართლა გინდა პრეზიდენტობა, მაგრამ ერთია, შენ რა გინდა, მეორე, რა შეგიძლია და მესამე, ხალხს რა სჭირდება. თუ არ ნახა ხალხმა, რომ სახელმწიფოებივად ვაზროვნებთ, მართლა აღარ მოვა არჩევნებზე და იმ მარგველაშვილის 25 პროცენტი გამოჩნდება 60-ად. თან არ არის სწორი სტრატეგია, მეორე ადგილისთვის რომ იბრძვიან, რომ მერე თქვან, მე ვარ მთავარი ოპოზიციონერიო და ზევიდან დახედონ სხვას. კარგი იქნებოდა, ოპოზიცია ერთის გარშემო გაერთიანებულიყო, მაგრამ, თუ ამას ვერ მივაღწიეთ, არჩევნების შემდეგ შევქნით ხალ ძალას. უკან დასახევი გზა აღარ არსებობს.

# სოსო ცისკარიშვილი:

## „რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები თუ არ ჩატარდა, ხელისუფლებაში სააკაშვილ-უსუფაშვილ-ალასანიას ტრიოს ვიხილავთ“

„დაბნეულობაა და უკვე ყველა თავისი ზურგის გადასარჩენად იბრძვის“, — ასე აფასებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ბოლო დროს „ქართულ ოცნებაში“ დაწყებულ „დუღილს“. კოალიციის წევრები უკვე ხმამაღლა ჩივიან, რომ „ქართულ ოცნებას“ ბევრი უღირსი ადამიანი აფარებს თავს და თითს ერთმანეთისკენ იშვერენ. „სარკე“ ამ და სხვა საინტერესო თემებზე ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

— **ბატონო სოსო, რა ხდება „ოცნებაში“, უკვე დაიწყო პოსტივანიშვილის პერიოდისთვის მზადება?**

— მეოცნებენი ორი კურდღლის მადევრის როლში აღმოჩნდნენ. რეალობაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორზედაც ისინი ოცნებობდნენ. ჯერ ერთი, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის ერთი წლის თავზე ამ კოალიციის შემკრები გადაწყვეტდა, ჩამოშორებოდა ქართულ პოლიტიკას და დაბრუნებოდა გარემოს, სადაც მის წარმატებებში ეჭვი არავის ეპარებოდა. კოალიციას არასოდეს გააჩნდა ერთიანი პოლიტიკური ხედვა, ვგულისხმობ მემარცხენეობას, ცენტრისტობას, მემარჯვენეობას, მასში შემავალი პარტიები სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მატარებლები არიან, ამიტომ ამ ერთობის შემქმნელის განზე გადგომის ფონზე, დაბნეულობა მათთვის ბუნებრივი პროცესია. საკუთარი თავის გადარჩენის სურვილი, რასაკვირველია, სძლევს ყველა სხვა ამოცანას, რომელიც პოლიტიკური გუნდის წინაშე შეიძლება დადგეს.

— **ანუ პრემიერის განცხადებამ, რომ პოლიტიკიდან წავა, კოალიციაში დაბნეულობა გამოიწვია?**

— წარმოუდგენელია, დაბნეულობა არ იყოს გუნდში, მაშინ, როცა მთელ საქართველოშია დაბნეულობა იმის გამო, რაც მათ ირგვლივ ხდება. პრემიერის უფლებამოსილებები ძნელად გადასაბარებელია ვინმესთვის. თან, როცა პრემიერის მიერ დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატი არ არის ცალსახად ფავორიტი თავად ამ კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკოსებისთვის და, თუ

**„30 პროცენტი არის იმის ალბათობა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ დატოვებს მთავრობას და დარჩება პოლიტიკაში. მას საქმის შუა გზაზე მიტოვება არ სჩვევია, წარმატებული ბიზნესმენები ასე არ იქცევიან. ვფიქრობ, მას აქვს გარკვეული გეგმა, რომლის შესრულებასაც საკუთარ თავს დაავალდებულებს".**

თავის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატსაც თავად ივანიშვილი წარმოაჩენს, ეს უკვე კრიტიკის საგანი გახდება. მონარქია საქართველოში კარგა ხანია არ არის, რომ საკუთარი მემკვიდრეები ასახელონ და მათ გადასცენ ძალაუფლება. არსებული კონსტიტუცია არჩევითს ხდის, როგორც პარლამენტს, ასევე პრეზიდენტს და ახალი კონსტიტუციით, სწორედ პარლამენტის გადასაწყვეტია, ვინ მოვა პრემიერმინისტრის თანამდებობაზე. მოკლედ, საფიქრალი საკმარისი აქვს ჩვენს მოსახლეობას, ხოლო პოლიტიკოსებს, არიან ისინი ამ კოალიციის წევრები თუ არა, კიდევ უფრო მეტი თავისტკივილი მოელით.

— **„ოცნების“ წევრები ამბობენ, რომ კოალიციაში სიტუაციას რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანიას პარტიის წევრები ურევენ.**

— ეს განწყობა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებიდან მოდის, მაგრამ ამ ეტაპზე ასეთ გამოკვეთილ დაპირისპირებას ადგილი არ აქვს. სრულიად მკაფიოა, რომ ნაცმოძრაობა გახლავთ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, კრავს კოალიციის კომპონენტებს ერთ ძალად, რადგან ცალ-ცალკე მათი განეიტრალება უფრო გაადვილდება. ამომრჩევლები კი, რომლებიც ყოველწლიურად იმაღლებენ თავიანთი პოლიტიკური აზროვნების ხარისხს, მარტივად გაარჩევენ მტყუანს და მართალს იმ შემთხვევაში, თუ კოალიციას ბზარი გაუჩნდება. ნაცმოძრაობა იყო კოალიციის შემდუღაბებელი შარშანაც და ეს ფუნქცია ახლაც არ დაუკარგავს.

— **ამ მოძრაობების მიღმა ზოგი რესპუბლიკელების, ირაკლი ალასანიას და დავით ბაქრაძის შესაძლო გაერთიანების კონტურებს ხედავენ.**



Cyan Magenta Yellow Black



„ბევრად საინტერესო იქნებოდა 2014 წელი ივანიშვილის მონაწილეობით, ვიდრე უმისოდ, რადგან გვჯეროდა, რომ პირველი წელი იქნებოდა ყველაზე მძიმე, მეორე — უკეთესი, მესამე — უფრო უკეთესი და მეოთხე — შესანიშნავი. ამიტომ საზოგადოებაში იმედგაცრუება არის და ეს დიდი ალბათობით შეეხება არამხოლოდ პრემიერს, არამედ მის მიერ დასახელებულ პრეზიდენტობის კანდიდატსაც".

— ძნელია ჭორებზე საუბარი, თუმცა, თუ არსებობს მსოფლიოში რაიმე პოლიტიკური ძალა, რომელსაც სურს ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა, შეიძლება მხოლოდ მათ ტვინში ტრიალებდეს ასეთი ვერსია. საზღვარგარეთიდან არაერთი ამგვარი მცდელობა კრახით დამთავრებულა და ვფიქრობ, არც ქართველი საზოგადოებაა მოტივირებული, ასეთი „აჯაფსანდალის" მსგავსი კოალიცია აღიაროს. ნაცმოძრაობა ძალიან აქტიურად კი იბრძვის საკუთარი თავის გადასარჩენად, მაგრამ მეორედ მოსვლა პოლიტიკაში შესაძლებელია იმ ძალისთვის, რომელსაც გაცნობიერებული და აღიარებული აქვს საკუთარი შეცდომები, ხოლო საკუთარ დანაშაულობებზე პასუხი აქვს ნაგები. ამის გარეშე ვერავინ მოვა ხელმეორედ სათავეში, რადგან ხალხის მეხსიერება ბევრად უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ეს სურთ ვაიპოლიტიკოსებს.

— **დანაშაული რომ აღიარონ, უნდა დაუმტკიცო. ბევრი ლაპარაკობს, რომ „ოცნების" ხელში სამართალი იგვიანებს.**

— უკვე 11 თვე გავიდა და აშკარაა, რომ კოაბიტაცია იყო მთავარი ვირუსი, რომელმაც „ქართული ოცნება" დააავადა და მისი მორჩენის რეცეპტი ჯერ ვერ უპოვიათ. ვიღაცის სმენას შეიძლება ატკბობს ტერმინი „კოაბიტაცია", მაგრამ ეს ის არ არის, რის გამოც ხელისუფლება შეიცვალა. არ გამოვრიცხავ, რომ ნოემბერ-დეკემბერში ახალი პრეზიდენტის პირობებში შესაძლებელი გახდეს მათი იმიჯის გადარჩენა, ყოველ შემთხვევაში, მცდელობა მაინც იქნება.

— **რატომ დეკემბერში და არა — დღეს?**

— ამ კოალიციის მამოძრავებელი ძალა არ აღმოჩნდა ისეთი, როგორითაც წარდგა ამომრჩევლის წინაშე. ანუ მოლოდინები იყო მაღალი, თითქოს მზაობა ამ მოლოდინების აღსრულებისა არსებობდა, შემდგომ კოაბიტაციის ვირუსმა შთანთქა ეს მოლოდინი და ზედმეტად აკადემიურ სტილს დაეწაფა „ქართული ოცნება". არაერთი ხმაურიანი სესია გაიმართა ორი პოლიტიკური ძალის მიერ. ჩვენ მოწმენი ვართ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის არსებობის. არ მოინდომეს თუ ვერ შეძლეს, ეს ხანგრძლივი კამათის თემაა, მაგრამ, როცა ხელისუფლებას გაბარებს ხალხი და შენ ძალაუფლების ნაწილს უტოვებ არალეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც განაგებს ყველა გუბერნიის, კონტროლის პალატის, დიპკორპუსის საქმიანობის უდიდეს ნაწილს, ასევე თვითმმართველობას, მედიას, საბანკო ნაწილს და სასამართლო სისტემას... მერწმუნეთ, მსოფლიოში არც ერთ ოპოზიციურ ძალას ასეთი ძალაუფლება ხელთ არ უპყრია.

— **მაგრამ პრეტენზიები მხოლოდ კოაბიტაციას არ ეხება, წინ წამოიწია სოციალურმა პრობლემებმაც — უმუშევრობამ...**

— ეს თემა არის მუდმივად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით გადაიდგა ნაბიჯები, თუმცა წინა მთავრობისგან განსხვავებით, ახალ ხელისუფლებას ტრაბახი არ დაუწყია. ჩვენ ტელეეკრანზე ვერ ვხედავთ იმ ათასობით სკოლის მოსწავლეს, რომელთაც კილომეტრების ფეხით გავლა — სკოლამდე და უკან — აღარ დასჭირდებათ, რადგან ავტობუსები მოემსახურებიან; ჩვენ არ გვაჩვენებენ ტელეეკრანებზე ოჯახებს, რომელთაც არ აქვთ შიში ახალი სასწავლო წლის მოახლოების, რადგან უფასოდ გადაეცემათ მათ შვილებს სახელმძღვანელოები; ჩვენ ვერ ვხედავთ მართლა კმაყოფილ პაციენტებს, რომელთაც დაზღვევის კუთხით ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე აქამდე იყო; ვერ ვხედავთ კმაყოფილ გლეხებს, რომელთაც დაუხნეს მიწები და მისცეს საშუალება, რომ წლევანდელი ხვნა-თესვის პროცესი სრულყოფილად ჩაეტარებინათ. ზედმეტი ტრაბახი არასერიოზულია, მაგრამ იმას, რაც გაკეთებულია, წარმოჩენა უნდა.

სოციალური საკითხები ვერ მოგვარდება სტაბილურობის გარეშე. ჩვენ ცალსახად ვართ მოწმენი, რომ ნაციონალური მავნებლური მოძრაობა დაკავებულია ფინანსურ-ეკონომიკური სიტუაციის დისკრედიტაციით და პოლიტიკური არასტაბილურობის გამოწვევის მცდელობით, ხშირად — წარმატებულადაც. როცა ქვეყნის პრეზიდენტი დღედაღამ ამბობს, რომ ქვეყანა მიდის ჭაობისკენ, რომ შეწყვეტილია ყველანაირი ეკონომიკური აქტივობა და რომ პრემიერს შეუძლია თავისი თანხითააყვავოს ეკონომიკა, რასაკვირველია, ამით აფრთხობს ბიზნესს. ამიტომ ბევრად საინტერესო იქნებოდა 2014 წელი ივანიშვილის მონაწილეობით, ვიდრე უმისოდ, რადგან გვჯეროდა, რომ პირველი წელი იქნებოდა ყველაზე მძიმე, მეორე — უკეთესი, მესამე — უფრო უკეთესი და მეოთხე — შესანიშნავი. ამიტომ საზოგადოებაში იმედგაცრუება არის და ეს დიდი ალბათობით შეეხება არამხოლოდ პრემიერს, არამედ მის მიერ დასახელებულ პრეზიდენტობის კანდიდატსაც.

— **ოპოზიცია ირწმუნება, რომ რაიონებში გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების შანსი მინიმალურია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— მარგველაშვილი არის ადამიანი ბრწყინვალე პროფესიული და მოქალაქეობრივი თვისებებით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი მთელი საქართველოსთვის ცნობილი პირია, მით უმეტეს, როგორც სახელმწიფო მოხელე. ცნობადობის გარეშე კი ძნელია რაიმე წარმატებაზე საუბარი პოლიტიკაში. ასეთები ერთეულები არიან და საქართველოში ჯერ არ დაბადებულან. საუბარი იმაზეც, რომ მისი რეკომენდატორი ტოვებს პოლიტიკას, მეტ საფიქრალს უჩენს იმ ამომრჩეველსაც, რომელსაც საკუთარი ორიენტაცია თითქოსდა არ ჰქონდა შესაცვლელი პოლიტიკური არჩევანის კუთხით. ახლა დაბნეულობას აქვს ადგილი. აქვე მინდა დავძინო, რომ დახლოებით 30 პროცენტი არის იმის ალბათობა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ დატოვებს მთავრობას და დარჩება პოლიტიკაში.

— **ამას რა გაფიქრებინებთ?**

— ბევრი რამ მომავალ 45 დღეზე იქნება დამოკიდებული. ბატონ ივანიშვილს საქმის შუა გზაზე მიტოვება არ სჩვევია, წარმატებული ბიზნესმენები ასე არ იქცევიან. ვფიქრობ, მას აქვს გარკვეული გეგმა, რომლის შესრულებასაც საკუთარ თავს დაავალდებულებს, სანამ პრემიერის თანამდებობას დატოვებს. არსებობდა შესაძლებლობა, რომ ბევრად უფრო მკაფიო ყოფილიყო პოლიტიკური სურათი ქვეყანაში.ეს კი იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ივანიშვილი საკუთარი კოალიციის ლიდერებს დაითანხმებდა, რომ 2014 წელს ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ჩატარებულიყო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელ პარლამენტს, რომელიც

„ჩვენ მოწმენი ვართ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის არსებობის. როცა ხელისუფლებას გაბარებს ხალხი და შენ ძალაუფლებას უტოვებ არალეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც განაგებს ყველა გუბერნიის, კონტროლის პალატის, დიპკორპუსის საქმიანობის უდიდეს ნაწილს, ასევე თვითმმართველობას, მედიას, საბანკო ნაწილს და სასამართლო სისტემას... მსოფლიოში არც ერთ ოპოზიციურ ძალას ასეთი ძალაუფლება ხელთ არ უპყრია".

შედგება ორი სახელისუფლებო ძალისგან და არც ერთი ოპოზიციონერისგან, დარჩება მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც ძალიან სავალალო შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნისთვის.

— **მაგრამ მან უარი უკვე თქვა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე.**

— ის საკუთარ მოსაზრებას აჟღერებს, მე — ჩემსას. მაგრამ ეს აუცილებელია, თუ არ სურს, რომ ხელისულებაში სააკაშვილის, უსუფაშვილის და ალასანიას ტრიო ვიხილოთ.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**


## მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია
☎ 514-246-446, 218-48-99





Cyan Magenta Yellow Black

# ნინო გაჩეჩილაძის ცხოვრებაში დაღესტნელი მამაკაცი გამოჩნდა

## „ის არის ტიპური აზიელი, ძლიერი მამაკაცი, სიმპათიური, სექსუალური“



მსახიობ ნინო გაჩეჩილაძის ცხოვრებაში აქტიური პერიოდი იწყება. მისი ტელეპაუზა დასრულდა და მალე ეკრანზე ისევ გამოჩნდება. ეს ზაფხული მისთვის იღბლიანი აღმოჩნდა, კვარიათში კარგად დასვენებაც მოასწრო და ერთდროულად ოთხი საინტერესო წინადადება მიიღო. ნინო შემოდგომით ქართულ-აზერბაიჯანულ სერიალში „ალი და თეო“ გამოჩნდება, სადაც ერთ-ერთ მთავარ გმირს თამაშობს. კიდევ ერთ-ერთ ახალ სერიალში მონაწილეობაზე შეთავაზება „იმედიდან“ მიიღო, პარალელურად ორ ტელეარხზე დღის შოუს წამყვანად მიიწვიეს. მოკლედ, ახალგაზრდა მსახიობს ასარჩევად აქვს საქმე, წინ ნაყოფიერი შემოდგომა ელის.

კარიერული წინსვლისგან განსხვავებით, მის პირად ცხოვრებაში სიახლეები ისევ არ არის. მსახიობი გეგმებზე, ზაფხულის შთაბეჭდილებებსა და თავის ახალ პერსონაჟზე „სარკეში“ საუბრობს.

— **ნინო, როგორ გაატარეთ ზაფხული?**

— მეგობრებთან ერთად კვარიათში ვიყავი, იქ ორი კვირა დავყავით. კვარიათის ყველაზე მაღალ სახლში ვისვენებდი, რომლის აივნიდანაც სანაპირო ხელისგულივით მოჩანდა. ისე გამოვიდა, რომ მთაშიც დავისვენე და ზღვაზეც. სასიამონო გარემოცვაში ვიყავი. ცოტა პენსიონერივით დავისვენე, აქტიური დასვენება არ გამომივიდა, მაგრამ ამ ორი კვირით მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. ცოტა რუჯიც მივიღე და თბილისში კარგი განწყობით დავბრუნდი. სანაპიროზე ბევრი ხალხი არ იყო, სუფთა ზღვა, მზე და ამ ყველაფერმა ჩემზე დადებითად იმოქმედა.

— **საინტერესო არავინ გაიცანით?**

— კომუნიკაბელური არ ვარ, ღამის კლუბებშიც ნაკლებად დავდიოდით, მეტწილად სანაპიროზე ან სახლში ვიყავით, ამიტომ ადამიანების გაცნობის და მათთან ურთიერთობის საშუალება ნაკლებად მქონდა. ასე რომ, საკურორტო რომანი წელს არ მქონია.

— **ახალ სატელევიზიო და თეატრალურ სეზონს რითი იწყებთ?**

— კვარიათში ყოფნის დროს სამი შეთავაზება მივიღე, რამაც ძალიან გამახარა. არჩევანის გაკეთება ძალიან გამიჭირდა. მომიწევს, ერთ-ერთის სასარგებლოდ მივიღო გადაწყვეტილება, ამიტომ ჯერ ფიქრის პროცესში ვარ.

— **იქნებ გვითხრათ, კონკრეტულად რა წინადადებები მიიღეთ და ვისგან?**

— წინადადება მივიღე ტელეკომპანია „იმედისგან“, რომელიც ახალი სეზონიდან ახალ სერიალს იწყებს. ასევე ამავე არხიდან შუადღის ტოქ შოუს წამყვანობა შემომთავაზეს და მესამე, „ტვ 3“-დან დღის შოუს წამყვანად მიმიწვიეს. ჯერ არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მივიღებ.

— **ტელეწამყვანის როლში თავს როგორ ხედავთ? ფიქრობთ, რომ გამოგივათ?**

— 11 წლის ვიყავი, როცა „პირველ არხზე“ საყმაწვილო გასართობი გადაცემა მიმყავდა. ეს იყო სამოქალაქო ომის დაწყებამდე. შემდეგ „მეორე არხზე“ გადამიყვანეს, მერე ომი დაიწყო და ყველაფერი გაჩერდა. ტელევიზიაში „მხედრიონი“ შეიჭრა და სხვებთან ერთად ის ვიდეომასალაც განადგურდა, სადაც ჩვენი გადაცემის ჩანაწერები იყო. გული მწყდება, რომ იქიდან არაფერი შემომრჩა. მას შემდეგ წამყვანობა აღარ მიცდია, თუ არ ჩავთვლი რადიოში მუშაობას. 15 წლის ვიყავი, „პირველ რადიოში“ რომ მიმყავდა გადაცემა „კვირადღე ჯაზისთვის“. მოგეხსენებათ, მამაჩემი (გივი გაჩეჩილაძე) ჯაზმენია და მასალების, ინფორმაციის შეგროვებასა და შერჩევაში მეხმარებოდა. იქ 5-6 თვე ვიმუშავე. 2000 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოდან მივიღე შეთავაზება და გადაცემის „ბრწყინვალე მუსიკა“ ავტორი გავხდი.

ჟურნალისტი არ ვარ, მაგრამ წერა ბავშვობიდან მეხერხებოდა. 1997-98 წლებში ჟურნალ „ვარსკვლავებში“ ვმუშაობდი, სასაცილო ხელფასი მქონდა, მაგრამ ამ საქმით დიდ სიამოვნებას ვიღებდი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მედიასთან, ტელევიზიასთან შეხება არ მქონია, თუ არა ჩავთვლით სატელევიზიო სერიალს. ეს შემოთავაზებები ჩემთვის საინტერესოც არის და ეჭვიც არ მეპარება, რომ კარგ გამოცდილებას მივიღებ. არ ვიცი, რომელ არხს ავირჩევ, ვნახოთ, ამ სფეროში რა გამომივა.

— **უფრო „იმედის“ სერიალისკენ ხომ არ მიგიწევთ გული? თქვენ ხომ პოპულარობა სწორედ სერიალმა მოგიტანათ.**

— ამ კუთხით ცოტა სხვა გეგმები მაქვს. ქართულ-აზერბაიჯანული სერიალის „ალი და თეოს“ გადაღებები მიმდინარეობს და ჯერ არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს. ეს სერიალი ნოემბრიდან ერთ-ერთ ქართულ არხზე გამოჩნდება. ორი ქართველი რეჟისორი, ლევან კიტია და ოთარ შამათავა იღებენ. სერიალში როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი მსახიობები თამაშობენ. მე მთავარი გმირის ყოფილ ცოლს, პოლონელ ბეატას ვთამაშობ. სცენარი ძალიან საინტერესოა. მისი ავტორი თამარ ადორნელი (ეს სახელი და გვარი სცენარის ავტორის ფსევდონიმია) გახლავთ. სერიალი ჟანრობრივად დეტექტიური მელოდრამაა.

— **როგორ მოხვდით ქართულ-აზერბაიჯანულ პროექტში?**

— სერიალის კასტინგის მენეჯერი დამიკავშირდა, დამიბარა, ვისაუბრეთ. ჩემი ტიპაჟი სჭირდებოდათ, მოვილაპარაკეთ და ჩვენი თანამშრომლობა ასე შედგა. აინტერესებდათ, რუსულად საუბრის როგორი მანერა და დიქცია მქონდა. ჩვენს დროში ძალიან ძნელია რუსულად საუბრის პრაქტიკის გავლა. ჩვენი მშობლების თაობამ მშობლიურ ენასავით იცოდა რუსული. მე თბილისში რუსულენოვანი რამდენიმე მეგობარი მყავს და მხოლოდ მათთან მიწევს ამ ენაზე საუბარი. კასტინგზე, რაც მთავარია, მითხრეს, რომ ქართული აქცენტი არ მქონდა და ეს მათთვის პლუსი იყო. ფილმი რუსულენოვანია, ეს ერთგვარად დიდი გამოცდილებაა ჩემთვის, რადგან რუსულ ენაზე არასოდეს მითამაშია. იმედია, ახლო მომავალში ინგლისურ ენაზეც მომიწევს თამაში, გლობალიზაცია თავისას იზამს.

— **პოლონელი ბეატა კატოს მსგავსი პერსონაჟი ხომ არ არის?**

— არა, კატო კირვალიძისგან სრულიად განსხვავებულია. ამ სერიალმა ახალი შეგრძნებები, ახალი ფერები შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. ამ შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობა ძალიან დიდი გამოცდილებაა. პირველი სეზონი 16 სერიისგან შედგება, მე სულ 4 სერიაში ვთამაშობ. ჩემი გმირი ერთ-ერთი მთავარია, მის ირგვლივ საკვანძო ამბები ვითარდება. იანვრიდან ახალი სეზონის გადაღებებია დაგეგმილი. ამ ეტაპზე არ ვიცი, ჩემი პერსონაჟის ბედ-იღბალი როგორ წარიმართება.

— **გადაღებები სად მიმდინარეობს, აზერბაიჯანს ხომ არ ესტუმრეთ?**

— სერიალს თბილისის სხვადასხვა ადგილებში იღებდნენ. ერთ-ერთი სცენა ჩემს ახალ სახლშიც გადაიღეს. სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მხატვარიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მთხოვდა, ერთ-ერთი სცენა ჩემს სახლში გათამაშებულიყო, მაგრამ უარს ვამბობდი. არ მინდოდა, ახალგარემონტებულ ბინაში რამე დაზიანებულიყო. გადაღებებისთვის უამრავი აპარატურაა საჭირო, ამის გამო ყოველთვის თავს ვიკავებდი. ამ სერიალის გადაღების დროს იმავე თხოვნით რომ მომმართეს, უარი ველარ ვთქვი. მათ ჩემი სახლი ძალიან მოეწონათ. უნდოდათ, ეს ყოფილიყო ჩემი გმირის, ბეატას სახლი კრაკოვში. ბაქოშიც ვაპირებდით წასვლას, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო ველარ მოხერხდა.

— **თქვენს აზერბაიჯანელ პარტნიორზე გვიამბეთ. რითი განსხვავდება ქართველი მსახიობი მამაკაცებისგან?**

— ალის როლს ზაურ შაპიევი თამაშობს. როგორც გავიგე, ის აზერბაიჯანში საკმაოდ პოპულარული მსახიობია. ზაური წარმოშობით დაღესტნელია. კარგად ფლობს რუსულ ენას, ამიტომ კომუნიკაცია არ გაგვჭირვებია. თავმდაბალი, თავშეკავებული პიროვნებაა. ძალიან მორწმუნე ადამიანია. ზაური შავგვრემანი, სიმპათიური ახალგაზრდაა. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება,

**რატომ თქვა უარი მსახიობმა „ცეკვავენ ვარსკვლავები"-ში მონაწილეობაზე**

**„კვარიათში მეუბნებოდნენ, ჩვენს კაფესთან გვინდა სურათის გადაღებაო. მეკითხებოდნენ, ეკრანზე როდის დაგვიბრუნდებიო“.**

**„პარტნიორებში თითქმის ყოველთვის მიმართლებს. ზაური ზუსტად ისეთ გმირს თამაშობს, რომელიც ქართველ მანდილოსნებს ძალიან მოხიბლავთ“.**

გრძნობს თითოეულ რეპლიკას... ძნელია პარტნიორებს შორის პარალელების გავლება. წინა სერიალში ჩემს პარტნიორს კოტე თოლორდავა თამაშობდა. მას წლებია ვიცნობ. კოტესთან თამაში უადვილესია ჩემთვის. თეატრალურიდან მოყოლებული არაერთხელ მომიწია მასთან სცენაზე დგომა. იმედს ვიტოვებ, მომავალშიც ხშირად შევხვდებით სცენაზე თუ კინოში.

ახალი პარტნიორი არის ახალი ემოცია, გამოცდილება. საერთოდ პარტნიორებში თითქმის ყოველთვის მიმართლებს. ზაური ზუსტად ისეთ გმირს თამაშობს, რომელიც ქართველ მანდილოსნებს ძალიან მოხიბლავთ. სცენარის მიხედვით, ის არის ტიპური აზიელი, ძლიერი მამაკაცი, სიმპათიური, სექსუალური, მენტალურად განსხვავებული... ამ თვისებების გამო ძალიან ბევრი მოიხიბლება მისი გმირით. სერიალში ასევე თამაშობენ ირაკლი აფაქიძე, ლუკა ხოჯავა, ნანა შონია და სხვები.

**— ალბათ ამ სერიალით მოახერხებთ კატოს გმირისგან გათავისუფლდეთ. დღეს სწორედ ამ პერსონაჟთან გაიგივებთ ყველა.**

— კვარიათში არაერთხელ გამაჩერეს, მეუბნებოდნენ, ჩვენს კატოსთან გვინდა სურათის გადაღებაო. ყველა ერთხმად მეკითხებოდა, ეკრანზე როდის დაგვიბრუნდებიო. ეს, იცით, როგორი სასიამოვნოა? თითქოს სიცოცხლე გემატება. არ ვიცი, ჩემი თაყვანისმცემლები როგორ შეხვდებიან ჩემს ტელეწამყვანობას. ასე მგონია, სერიალს უფრო დაელოდებიან. მადლობა მათ სიყვარულისთვის, დაფასებისა და სითბოსთვის.

**— პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მიგიწვიეს. შემოთავაზებაზე უარი რატომ თქვით?**

— იმიტომ, რომ ეს არის ძალიან პოპულარული, რეიტინგული შოუ, მას სიამოვნებით ვუყურებდი და თითოეულ მონაწილეს ვგულშემატკივრობდი, მათ შორის ჩემს — დას, თაკოსაც, რომელსაც სამეჯლისო ცეკვები არ გამოუვიდა. ამის მიუხედავად, არასოდეს გამჩენია სურვილი ამ პროექტში მონაწილეობის. ყველანაირი კონკურსის წინააღმდეგი ვარ. ვთვლი, იმისთვის, რომ მსგავს კონკურსში მიიღო მონაწილეობა და დააკმაყოფილო მკაცრი და მომთხოვნი ჟიური, მაგალითად, გოჩა ჩერტკოევი, საჭიროა, ფიზიკურად სათანადოდ მომზადებული იყო, გქონდეს ისეთი მონაცემები, როგორიც ჰქონდა თიკო სადუნიშვილს, რუსკა მაყაშვილს, ეკა ნიჟარაძეს. ეკა სამეულში გავიდა, თიკო — ფინალში, რუსკამ მოიგო.

მაქსიმალისტი ვარ, ვერ დავუშვებ 2-3 გადაცემის შემდეგ გამოვარდნას, თუ რაღაცას გავაკეთებ, ბოლომდე უნდა მივიყვანო. მატერიალურ დაინტერესებას რაც შეეხება, არც ეს პრიზია ჩემთვის პრიორიტეტი. ბინაც მაქვს და მანქანაც მყავს. მოგება-წაგებას ვერ შევეგუები. ჩემთვის მთავარი ხარისხია. ის, რასაც ვაკეთებ, სრულყოფილი უნდა იყოს და ამიტომაც ყოველთვის კარგ შედეგს ველოდები. მაყურებელს უხარისხოს ვერ შევთავაზებ.

**— მარჯანიშვილში თეატრალური სეზონი როდის გაიხსნება?**

— სექტემბრის ბოლოს. თეატრის სარეპერტუარო 4 სპექტაკლში ვარ დაკავებული („ფერხული“, „დეკამერონი“, „კონტროლიორი“, „ჰაჯი მურატი“). სეზონის გახსნას და ახალ სპექტაკლებზე მუშაობას მოუთმენლად ველი. იქაურობა ძალიან მომენატრა.

✓ ლანა კიკნაძე

# ზაზა ბეჟაშვილი: „სარკის“ ამ ინტერვიუთი ბევრ მსახიობს მოვუფხან გულს“

## „სახლი არ მაქვს და სასაცილო იქნება ლაპარაკი, რომ ცოლი მომყავს“



მსახიობ ზაზა ბეჟაშვილის, მეგობრებისა და თაყვანისმცემლებისთვის — ზუზუს, ცხოვრებაში ამჟამად არც ისე კარგი პერიოდია, პრობლემები არ ასვენებს. გული სწყდება, რომ პროფესია, რომელიც ძალიან უყვარს, მის ფინანსურ დამოუკიდებლობას ვერ უზრუნველყოფს. ახლახან ქართულ-აზერბაიჯანულ სერიალში „ალი და თეოს“ გადაღებებზე მიიწვიეს, მაგრამ პროდიუსერთან კამათი მოუვიდა და გადაღებები მიატოვა. ამჟამად ლოდინის რეჟიმშია, შეიძლება რუსულ-ქართულ სერიალში მთავარ როლზე დაამტკიცონ.

რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, ზუზუ ისევ შეყვარებულია, მაგრამ დაოჯახებაზე, „ტრადიციულად“, არ ფიქრობს. ამისი დროც მოვაო, გვითხრა. მის უახლოეს გეგმებში თურქეთში მარტო გამგზავრება და კარგი დასვენება შედის.

„ჩემს ცხოვრებაში ვიღაცეები „ადამიანჩიკებად“ იქცნენ, ეს კი იმან განაპირობა, რომ მათი ცხოვრება უცებ კარგისკენ შეიცვალა“.

**— ზაზა, ამ ეტაპზე რას აკეთებთ, თქვენს შემოქმედებაში რა სიახლეებია?**

— ცხოვრების ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვარ. ზაფხულია და ამიტომ სამუშაო არ არის. ქართულ-რუსული პროექტის გაკეთების მოლოდინში ვარ. მანამდე იყო სერიალი „ალი და თეო“, სადაც მიმიწვიეს. სერიალში ჩემი შესვლა უცებ მოხდა და ასევე უცებ წამოვედი, რადგან მივხვდი, იქ ჩემი ადგილი არ იყო. ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ რომელ პროექტშიც დამიძახებენ, ყველგან არ უნდა წავიდე.

**— იმ სერიალთან დაკავშირებით რა პრობლემა გქონდათ?**

— პროდიუსერთან მომივიდა უთანხმოება და ამიტომ წამოვედი. ჯერ ვერ ვიტყვი, სულ მივატოვე თუ არა გადაღებები, მაგრამ კამათის დღეს წამოვედი. ვერ გეტყვით, რომ დაბრუნება მინდა, მაგრამ იმდენი პროფესიონალიზმი ნამდვილად მაქვს, რომ გადაღებები არ ჩავუშალო. ჩემი გმირი თუ კიდევ იქნება საჭირო, მივალ და ვითამაშებ.

ამ ეტაპზე ჩემს ცხოვრებაში სხვა არაფერი ხდება. აჭარაში ვიყავი, მაგრამ დასვენება არ მეყო და სექტემბრის 10-ში თურქეთში წავალ.

**— ქართულ-აზერბაიჯანულ სერიალში ვის როლს თამაშობდით?**

— გამომძიებლის, რომელსაც ფარხადი ერქვა. ჩემთვის ძალიან დიდი პრობლემა იყო ტექსტები. ყველა მსახიობმა თვეებით ადრე იცოდა თავისი ტექსტები და მე კი წინა დღით მიგზავნიდნენ. ჩემით უკმაყოფილო არავინ იყო, მაგრამ ჩემ მიმართ დამოკიდებულება არ მომეწონა. ასე კარგად და რბილად არასოდეს მოვქცეულვარ, როგორც მათთან, მაგრამ...

**— კონკრეტულად რა მოხდა, კონფლიქტი რის გამო დაიწყო?**

— ერთ-ერთმა სტუდენტმა მსახიობმა ბიჭმა რაღაცეები აურია, სხვა პროექტში გადავიდა. ამის გამო პროდიუსერმაც ძალიან ინერვიულა და მეც. ვიცი, რას ნიშნავს, როცა მსახიობი გტოვებს და სხვაგან მიდის. იმ დღეს ამის გამო მასთან ერთად ვნერვიულობდი, ისიც კი ვუთხარი, მაქვს დრო და ისე გადმოვეწყობი, როგორც თქვენ გინდათ-მეთქი, მაგრამ თურმე ასე ზედმეტად არ უნდა ჩავრეულიყავი. მივხვდი, რომ უბრალოდ შენი საქმე უნდა აკეთო და მორჩა! კოსტიუმების მხატვარს ყველას ვუყვარვარ, რადგან ვეუბნები, მითხარით, რა გინდათ და მე მოვიტან იმაზე უკეთესს, ვიდრე თქვენ გაქვთ-მეთქი. ვცდილობ, როგორც შემიძლია, ყველას გავუადვილო საქმე. ამ ყველაფრის შემდეგ, როცა გადაღებაზე მივედი და მანქანიდან გადმოსულს ქართველმა პროდიუსერმა ცუდი ტონით მომმართა, მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი აღარ იყო. არადა იმ ადამიანს დიდ პატივს ვცემდი. თუ პროდიუსერი ტონის მაღლა აწევით მეუბნება, რომ ის პროდიუსერია, მე იქვე ვახვედრებ, რომ მსახიობი ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, ქართველ მსახიობებს ასარჩევად გაქვთ საქმე, რომ რაღაც პროექტები დაიწუნოთ, რაღაც მოიწონოთ?**

— 10 უხარისხო პროექტში მონაწილეობას 2 ხარისხიან პროექტში მონაწილეობა მირჩევნია. სადაც არაა საკმარისი ანაზღაურება, სადაც შემოქმედებითად ვერ დავიხარჯები და თანაც ტონს ვერ შეარჩევენ, იქ ჩემი ადგილი არაა. ჩემს პროფესიაში ძალიან განებივრებული ვარ, მეორე კურსიდან ვთამაშობ ცუდ თუ კარგ ფილ-

→22

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

მებში, სერიალებში. არჩევანის უფლებას ყოველთვის ვიტოვებ. ძალიან მაგარ აზერბაიჯანულ ფილმში ვითამაშე, სადაც ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო, მაგარი ჰონორარებიც მოგვცეს. სწორედ ამის გამოა, რომ ეს ფილმი სადაც კი მიაქვთ, პრიზის გარეშე არ ბრუნდება. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მეც მივიღე პრიზი. ბედნიერი ვარ, რომ ერთი რეჟისორიც ვერ იტყვის, ზუზუმ საქმე გამიფუჭაო.

— **როცა შემოთავაზებას იღებთ, რა არის თქვენი მთავარი მოთხოვნა, რაც უნდა დააკმაყოფილონ?**

— გადაწყვეტილებას სცენარის მიხედვით ვიღებ. პირველივე ზარიდან ვხვდები, რა ხდება და ჩემ მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ. ინტუიციაც განმივითარდა და დიდი გამოცდილებაც დამიგროვდა. გამორიცხულია, გადაღებასა თუ მოლაპარაკებაზე ცუდ ხასიათზე მყოფი მივიდე, მაგრამ, თუ თავად მაყანებენ ცუდ განწყობაზე, ამით მხოლოდ საკუთარ საქმეს აფუჭებენ.

ახლაც აპირებენ სერიალის გადაღებას, ვნახოთ, რა გამოვა. ინტელექტუალური იუმორი იქნება, რაც ძალიან მიყვარს. მთავარ როლში მე მოვიაზრები. თუ ეს პროექტი გამოვიდა, ჩემს ცუდ ხასიათს შეცვლის და მერე რომ მესტუმრებით, კარგ განწყობაზე დაგხვდებით. ძალიან მინდა კარგი სამუშაო.

— **ქართველი მსახიობების ფინანსური მხარე გამოსწორდა? დიდ პროექტებში რომ გიწვევენ სამუშაოდ, შესაფერის ანაზღაურებას გაძლევენ?**

— ყველაზე მეტად ფულზე ლაპარაკი მიჭირს და ამის გამო საკუთარ თავზე ძალიან ვბრაზდები. როცა მარაზმ, სასაცილო თანხას გთავაზობენ, საშინელებაა. სერიალებს რომ თავი დავანებოთ და რეკლამებზე ვილაპარაკოთ, გეკითხებიან ჰონორარს, პასუხობ, მერე თავისას გთავაზობენ, ჩვენ ამდენი გვაქვს და მეტს ვერ გადაგიხდითო. ჩემს „შებმას“ არაფერი უნდა, თუ მომიდგები. სულ უფასოდაც მიმუშავია, გააჩნია ზრდილობას და დამოკიდებულებას. უნდა ვიცოდე, რომ იქ, სადაც მე მეძახი, მართლა გჭირდები. არ შეიძლება მსახიობს იმდენს უხდიდე, რომ თუნდაც ერთი ჰონორარით მანქანის ყიდვა ვერ შეძლოს.

გასული საუკუნის 90-იანი წლები აღარ არის, რომ თვითგადარჩენაზე ვიფიქროთ. ყველა ეტაპი გავიარე და ბევრი რამ ვიცი, საზღვარგარეთ შეიძლება დიდი თანხები არ შემოგთავაზონ, მაგრამ იმდენს მაინც მოგცემენ, რომ შეურაცხყოფილად არ იგრძნო თავი. ზოგს უხარია ტელევიზორში გამოჩენა და ამისთვის იქით იხდის ფულს. კი, ბატონო, აიყვანონ ასეთები, მაგრამ მე აღარ შემიძლია, დავიღალე! ბევრჯერ თანხა რომ დაუსახელებიათ, ტელეფონი მიმითხლეშია, არადა შეიძლება იმ წუთში ჯიბეში ორი ლარიც კი არ მქონოდა. უმეტეს შემთხვევებში მოლაპარაკება ასეთი ტექსტით იწყება — „ბიუჯეტი არ გვაქვს“. ჩემი პასუხია კი ასეთია: „არც მე მაქვს ბიუჯეტი და ფული მჭირდება“. ზუსტად ვიცი, რომ ამ ინტერვიუთი ბევრ მსახიობს მოვფხან გულს, ბევრი მათგანი განიცდის იმას, რაზეც ახლა მე ვლაპარაკობ.

— **ზაფხულის თემას დავუბრუნდეთ. ბათუმში ვისთან ერთად დაისვენეთ?**

— ბათუმში მე და რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი წავედით. ვნახე ის ხალხი, ვინც ძალიან მომნატრებია.

— **„ფეისბუქზე“ თქვენი და ნინო გაჩეჩილაძის ფოტოები ვნახე, აჭარაში გაქვთ გადაღებული.**

— მე და გაჩკას ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ბათუმში ვნახე და ძალიან გამიხარდა. ძალიან კარგად გავერთეთ, მაგრამ იქიდან დაღლილი, გაცვეთილი, გამოფხეკილი ჩამოვედი. ახლა სახლში გავდივარ რეაბილიტაციას. იქ ძირითადად მეგობრები მპატიჟებენ და მათთან ჩავდივარ. მეც მინდა, მქონდეს იმდენი ჰონორარი, რომ ერთხელ მე დავპატიჟო ისინი.

— **თურქეთში ვისთან ერთად აპირებთ წასვლას?**

— მარტო მივდივარ. ყველაზე კარგად ამ დროს ვისვენებ. აუზზეც მარტო დავდიოდი, ეს კარგი საშუალებაა, იფიქრო და ყველაფერი დაალაგო.

— **პირად ცხოვრებაში რა სიახლეები გაქვთ?**

— ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა. ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრება ძალიან საინტერესოა.

— **დაქორწინებას არ აპირებთ?**

— ყველას ჰგონია, რომ კარგად მიცნობს, მაგრამ ამ დროს მეც კი არ ვიცნობ ჩემს თავს კარგად. არასოდეს არაფერს ვგეგმავ. არ ვიცი, რას ნიშნავს, როცა ამბობენ, ერთი წლის, ორი წლის შემდეგ ამას და ამას ვიზამო. ეს ჩემთვის ძალიან სასაცილოა. დაახლოებით მაინც რომ ვიცოდე, ვაპირებ თუ არა დაოჯახებას, აუცილებლად გეტყოდით. თუ ეს მოხდება, პირველად „სარკეს“ გავაგებინებ.



„არ ვამბობ, რომ ყველაფრის მღერა შემიძლია და ყველა ცეკვის შესრულება, მაგრამ რაღაცეები გამომდის. ამიტომ, თუკი დამიძახებენ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას“.

— **ახლა თუ ხართ ისე შეყვარებული, რომ უახლოეს მომავალში ოჯახის შექმნაზე იფიქროთ?**

— მსახიობის ცხოვრება ასეთია, ვისაც როგორი უნდა, ისეთი უნდა იყო. მაყურებელმა თუ ისეთი არ დაგინახა, როგორიც აწყობს, არაფერი გამოვა. ვიყო ვილაცისთვის შეყვარებული, ვილაცისთვის — დაოჯახებული, მოკლედ, ვისაც როგორ აწყობს, ისეთი. პრობლემებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ამჟამად ამის მოგვარებაზე ვარ გადართული. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიყვარულს მიტოვებული ვყავვარ. საბედნიეროდ, ჯერ იმ ასაკში ვარ, რომ ვილაცას მოვეწონო, მეც მომეწონოს, იყოს ფლირტი, ურთიერთობები. ძირითადად სულ ჩემნაირ არანორმალურებთან მაქვს ურთიერთობა, ამიტომ მათთან არასოდეს მაქვს იმაზე საუბარი, როდის უნდა მოვიყვანო ცოლად. ალბათ ჩემს ცხოვრებაში ამისი პერიოდიც მოვა.

— **როცა ადამიანი დაქორწინებას აგვიანებს, მას ხშირად ეუბნებიან, რომ იმის გამო მაინც უნდა შექმნას ოჯახი, შვილი ჰყავდეს.**

— შვილიც მინდა და მეორე ნახევარიც, რომელიც ყოველთვის მყავს. რაც მინდა, ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, მეტყვი, აბა, რა დაოჯახებაზე გველაპარაკებოდიო. შეიძლება ძალიან ადვილი მისაღწევია ჩემი „მინდა“, თუნდაც რომელიმე პროექტში რომ მოვიგო ბინა, საკუთარი სახლი არ მაქვს. მყავს დედა, ძმა, ვისთვისაც ყველაფერი ისე უნდა მოვაწყო, რომ მათ თავი არაკომფორტულად არ იგრძნონ. ამ ყველაფრის ფონზე ძალიან სასაცილო უნდა იყოს ლაპარაკი იმაზე, რომ ცოლი მომყავს და ქორწილი მექნება. მინდა, ჰარმონიულად ვიყო ჩემს თავთან, პროფესიასთან, მეგობრებთან... ღმერთმა დამიფაროს, ამ ყველაფერმა პატარა ადამიანად მაქციოს, მაშინ არაფერი მინდა.

იყო დრო, როცა ყველაფერი მქონდა, მაგრამ ამას არ „გავუფუჭებივარ“.

— **ყველაზე მეტად როდის იყავით იმედგაცრუებული?**

— პროფესიაში არ ვყოფილვარ იმედგაცრუებული, რასაც ადამიანებთან მიმართებაში ვერ ვიტყვი. მე თუ ვინმე მიყვარს, მისგან არაფერს ვითხოვ, პირიქით, იქით გავცემ და ამაზე ძალიან „ვკაიფობ“. ამ გრძნობის არქონას სჯობს, გქონდეს და თუნდაც გაწბილდე. ჩემს ცხოვრებაში ვილაცეები „ადამიანჩიკებად“ იქცნენ, ეს კი იმან განაპირობა, რომ მათი ცხოვრება უცებ კარგისკენ შეიცვალა. მე ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი ცხოვრების თეთრი და შავი ხაზებით, ყველაფერი მაქვს განცდილი. ამიტომ მეცინება, როცა ვილაც მანქანას ყიდულობს და მერე აღარ მირეკავს, რადგან ჰგონია, რომ მისთვის ეს ყველაფერია. ყოფილა პერიოდები, როცა ყველაფერი მქონდა და მერე — აღარაფერი, მაგრამ ვინც მიცნობს, ის გეტყვით, რომ ამას არ შევუცვლივარ. სხვის ცვლილებას რომ ვხედავ, იმედები მაშინ მიცრუვდება.

საბედნიეროდ, ისეთი ხალხიც მყავს გვერდით, ვინც ჩემი ცხოვრება გაიტანა, გვერდით დამიდგა, ცუდად ვიყავი და მდგომარეობიდან გამომიყვანა. ეს კი პომპეზურად ან სხვების საჩვენებლად არ გააკეთეს. ძალიან ადვილად ვივიწყებ ცუდს, არავის ვებუტები, მაგრამ „ადამიანჩიკებთან“ ურთიერთობა უკვე აღარ შემიძლია.

— **პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებ“-ის პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ „ფეისბუქის“ საშუალებით კითხვა დასვა, მესამე სეზონის მონაწილედ რომელ ვარსკვლავს ისურვებდითო და უმეტესობამ თქვენ დაგასახელათ. არ გქონიათ შემოთავაზება? ამ პროექტს ხომ ნამდვილად შეუძლია თქვენი ბინის პრობლემა მოაგვაროს.**

— პროექტის მეორე სეზონში დამირეკეს, მაგრამ მერე გადაიფიქრეს, რამაც ძალიან გამალიზიანა. რატომღაც ხალხი დაინტერესდა, რატომ არ ვიღებ პროექტში მონაწილეობას. „ფეისბუქზე“ არაერთხელ მომხვდა თვალში კითხვა, რატომ არ ვიყავი ამ პროექტში. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, ნოეს დავურეკეთ და გვითხრა, ჯერ მხოლოდ გია სურამელაშვილის მონაწილეობაა გადაწყვეტილიო. მე ამ პროექტის ინტერესი მაქვს და არ ვიცი, რა იქნება. თუ უნდათ, დავფიქრდები და თუ არ უნდათ, არც ამ პროექტით დამიწყია კარიერა და არც ამ პროექტით დავამთავრებ.

— **კარგად ცეკვავთ?**

— მიუზიკლებში მიცეკვია. მე ვარ მსახიობი, რომელიც მღერის და ცეკვავს. არ ვამბობ, რომ ყველაფრის მღერა შემიძლია და ყველა ცეკვის შესრულება, მაგრამ რაღაცეები გამომდის. ამიტომ, თუკი დამიძახებენ პროექტში, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას. რისკია და მე მიყვარს გარისკვა. ნოესთან ერთხელ მქონდა ამაზე საუბარი და ვნახოთ, რა იქნება.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

დინასტია

# როგორ შეცვალა ბაბლუანების ცხოვრება საფრანგეთმა

## ოლგა ბაბლუანი: „მამა ჩემს პირად ცხოვრებას ყოველთვის აკონტროლებდა"

ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა თემურ ბაბლუანმა ოთხივე შვილში რეჟისორობის სიყვარული ჩადო, თან ისე, რომ თითოეული მათგანი დარწმუნებულია, მამას ამ კუთხით ზეგავლენა არ მოუხდენია. ბატონი თემურის უფროსი ქალიშვილი, ოლგა ბაბლუანიც, რეჟისორი ისე გახდა, ამას საკუთარ თავისუფალ არჩევანს მიაწერს. ბაბლუანების ოჯახი საფრანგეთში 1996 წლიდან ცხოვრობს, თბილისურ გაჭირვებას და უძრაობას პარიზული ცხოვრება და პერსპექტივები ამჯობინეს. შედეგმაც არ დააყოვნა — დღეს ოჯახის ყველა წევრი წარმატებულია. ბატონი თემურის ვაჟი, გელა ბაბლუანი, თანამედროვე ფრანგულ კინოში სერიოზულ როლს თამაშობს. ის ცნობილი ფილმის, „13"-ის რეჟისორია, რომელიც ჯერ საფრანგეთში გადაიღეს, შემდეგ კი მისი რიმეიქი ჰოლივუდშიც გამოვიდა.

ოლგას სამსახიობო არეალი ძირითადად ძმის ფილმებით შემოიფარგლება, თუმცა ცოტა ხნის წინ გამონაკლისი დაუშვა და რუსუდან ჭყონიას ფილმში „ქიფ სმაილინგ ანუ გაიღიმეთ" მუშაობას დათანხმდა. აქაც საკუთარი მოტივი ჰქონდა. ოლგა მოიხიბლა თავისი პერსონაჟით, რომელიც მისი თაობის ტრაგიზმით არის სავსე — ის აფხაზეთიდან დევნილი დედაა.



■ ოლგა მამასთან ერთად გადასაღებ მოედანზე

**— ოლგა, გაიხსენეთ ის პერიოდი, როცა საქართველოდან მოგიწიათ წასვლა. რა იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც სამშობლოდან წასვლა გადაწყვიტეთ?**

— აქ ომი იყო, არეულობა... საქართველოდან 1996 წელს წავედით. იმ პერიოდში საქართველოში უამრავი ახლობელი ადამიანი გარდაგვეცვალა... სამშობლოდან მოშორება იოლი არ გახლდათ. რთული იყო იმ მხრივაც, რომ სხვა ადამიანები გავხდებოდით, მაგრამ გვინდოდა, ჩვენი თავი გაგვეზარდა...

19 წლამდე საქართველოში ვცხოვრობდი. თავიდან ჭავჭავაძის პროსპექტზე, ძველ, იტალიურ ეზოში ვიყავით. სხვადასხვა ეროვნების ბავშვებთან ერთად ვიზრდებოდით, ძალიან კარგი და ადამიანური ურთიერთობები გვქონდა. 11 წლის რომ გავხდი, დიდუბეში გადავედით საცხოვრებლად. ბავშვობა ძალიან კარგად მახსენდება. ოთხი და-ძმა ვართ — მე, გელა, სოფიო და გიორგი. ამ ეტაპზე ოთხივე რეჟისორობით ვართ დაკავებული.

**— ხელოვანი მშობლები როგორ გზრდიდნენ, რაში იჩენდნენ სიმკაცრეს ან პირიქით, რა შემთხვევაში გაძლევდნენ დიდ თავისუფლებას?**

— მათი სიმკაცრე მხოლოდ სწავლას ეხებოდა. მამაჩემი თავისუფალი ადამიანია და შვილებსაც ასე გვზრდიდა. ჩვენს ოჯახში განსაკუთრებული მოთხოვნები არ ყოფილა. ხელოვანი ადამიანების რეჟიმით, თავისუფლად ვცხოვრობდით.

**— თქვენს ოჯახში რა ღირებულებები იყო მთავარი?**

— ჩვენ ყოველთვის ვიცავდით იმ კულტურის ნაწილს, საიდანაც მოვდიოდით. მამაჩემი ძალიან მორწმუნე ადამიანია. ის ყოველთვის იცავდა მართლმადიდებლურ წესებს. მიუხედავად ამისა, არასდროს მოითხოვდა ჩვენგან, აუცილებლად გვევლო ტაძარში და წირვებს დავსწრებოდით. მამა ცდილობდა, ყოველთვის ისე გვეცხოვრა, როგორც ადამიანის რეალური ბუნებამოითხოვდა. გვზრდიდნენ ისეთ ფასეულობებზე, როგორიც არის ადამიანური ურთიერთობები, მეგობრობა, ნამდვილი სიყვარული და ა.შ. ჩვენი ქვეყნის, კუთხის ტრადიციებს ვიცავდით, მაგრამ არა — დოგმატურს. მამას თავისი მშობლიური კუთხე, სვანეთი, ძალიან უყვარდა და უყვარს.

**— ხშირად ახერხებთ მოინახულოთ ადგილი, სადაც თქვენი ფესვებია?**

— სამწუხაროდ, მე და ჩემი და-ძმები სვანეთში მხოლოდ ერთხელ ვართ ნამყოფი, რადგან ძალიან შორია და იქ წასვლას ვერ ვახერხებდით. მამა ჩვენთან შედარებით სვანეთში ხშირად ჩადიოდა. მახსოვს, დედა ძალიან გემრიელ კუბდარს გვიკეთებდა.

**— ბატონი თემური უფროს ქალიშვილს ალბათ ძალიან გათამამებდათ. გოგონები ხომ მამების ნებიერები არიან.**

— ჭკვიანი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რა მომენტში უნდა ვყოფილიყავი დამჯერი და რა მომენტში — ურჩი.

**— თქვენი პირადი ცხოვრებით მამა ინტერესდებოდა?**

— მას ქართული, ტრადიციული დამოკიდებულებაჰქონდა ოჯახთან დაკავშირებით. შვილების პირად ცხოვრებას ყოველთვის აქცევდა ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა, გავეკონტროლებინე, მაინც იმას ვაკეთებდი, რაც მე მინდოდა. საბოლოო ჯამში, თვითონაც მომყვებოდა. მე და მამას ყოველთვის ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. მას თითქმის ყველაფერს ვუყვებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეიძლებოდა „ცუნამი" მოჰყოლოდა. მაგრამ, როგორც კი საფრანგეთში წავედით, ამ თვალსაზრისით, მისი დამოკიდებულება ბევრად შეიცვალა.

**„გადაღებებზე მამას ჩვენც დავყვებოდით. ის ფილმებს მუდმივად უყურებდა. ჩვენც ვთხოვდით, რომ ერთად გვენახა. ფაქტობრივად კინოში ვცხოვრობდით. მამას შეეძლო თავის ფილმზე წლები ემუშავა".**

**— კონკრეტულად რა შეიცვალა ბატონი თემურის ან თქვენს მსოფლმხედველობაში?**

— ევროპაში განსხვავებული კულტურაა. საქართველოში ხალხს ინტელექტის დიდი რესურსი აქვს და ძალიან ჭკვიანები არიან, მაგრამ ქართველებს უჭირთ საკუთარი თავის კულტურა იცოდნენ. ჩვენ კი ეს ევროპამ გვასწავლა.



■ ოლგა ბაბლუანი

**— რას ნიშნავს „საკუთარი თავის კულტურა"?**

— საქართველოში თუ ადამიანს მატერიალური შემოსავალი არ აქვს, დიდი ჯიპი არ ჰყავს, ისე არ არის ჩაცმული, როგორც პროვინციულ სტანდარტს შეესაბამება, თავს კარგად ვერ გრძნობს. ასე იმიტომ ხდება, არ იციან ის, რომ მთავარია ადამიანმა პიროვნულად შექმნას რამე და ჯიპი არაფერს განსაზღვრავს.

ქართველებს დიდი ინტელექტუალური რესურსი აქვთ, მაგრამ ამას ვერ იყენებენ, რადგან საკუთარი ფასეულობა არ იციან. საფრანგეთში დავინახეთ, რომ მთავარი იყო, ჩვენ ვინ ვიყავით, რა გვაინტერესებდა და ა.შ. იქ არავინ უყურებს ერთმანეთს, როგორც პატარა ქალაქში, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ერთიმეორეზე. ევროპაში ადამიანები საკუთარ თავს პატივს სცემენ. ეს არ ნიშნავს ამპარტავნებასა და თავმოყვარეობას, მიუხედავად იმისა, რომ არც ესაა ცუდი. საკუთარი თავის პატივისცემაა, როცა სხვის განსხვავებულ აზრსაც სცემ პატივს.

**„მამას ძალიან ქართული, ტრადიციული დამოკიდებულება ჰქონდა ოჯახთან დაკავშირებით. შვილების პირად ცხოვრებას ყოველთვის აქცევდა ყურადღებას. მე და მამას ყოველთვის ახლო ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. მას თითქმის ყველაფერს ვუყვებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეიძლებოდა „ცუნამი" მოჰყოლოდა".**

**— თქვენს დაძმობაზე გვიამბეთ. თქვენ და გელა თითქმის თანატოლები ხართ, ალბათ მასთან ყველაზე ახლოს იყავით.**

— კი, მე და გელას ყოველთვის ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, ვმეგობრობდით. ერთ წრეში ვტრიალებდით, მეგობრებიც საერთო გვყავდა.

**— დედაზე, ქალბატონ ლიანა ბაბლუანზეც მოგვიყევით. ის ქართველ მაყურებელს ახსოვს ფილმიდან „უძინართა მზე", სადაც მთავარი გმირის მეუღლეს თამაშობს.**

— დედა მსახიობი იყო, მაგრამ პროფესიას შვილების გამო დაანება თავი.

**— როგორი გარემო იყო თქვენს ოჯახში? ალბათ ხშირად საუბრობდით კინოხელოვნებაზე. მამას გადასაღებ მოედანზე თუ დაჰყვებოდით?**

— კი, მამას გადაღებებზე ჩვენც დავყვებოდით. ის ფილმებს მუდმივად უყურებდა. ჩვენც ვთხოვდით, რომ ერთად გვენახა. ფაქტობრივად კინოში ვცხოვრობდით. დედა და მამა

→24

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38



Cyan Magenta Yellow Black

სულ არჩევდნენ ნანახ ფილმებს. მამას შეეძლო თავის ფილმზე წლები ემუშავა. საბჭოთა ბავშვებისგან აბსოლუტურად განსხვავებული ცხოვრება გვქონდა. საბჭოთა დიქტატურამ ადამიანში ინდივიდუალურობა ჩაკლა. პარაზიტული ფასეულობებით გაჟღინთა საზოგადოებრივი აზროვნება. პროვინციული და დამაკნინებელი სნობიზმი ერთმანეთის მიმართ ხალხში მემკვიდრეობით დღესაც გადადის. კინოხელოვანები იმ დროს საბჭოთა კავშირის კინოსტრუქტურის წევრები იყვნენ. მამაჩემი კი პარტიული არასდროს ყოფილა. ამიტომ პრივილეგიები არასდროს გვქონია. მამაჩემი მხოლოდ ხელოვნებით ცხოვრობდა, მატერიალურს ყოველთვის უკანა მხარეს აყენებდა. დრო რომ გავიდა, მამამ თავისი ფილმებით მატერიალური მხარეც გაიუმჯობესა, მაგრამ ბავშვობაში პრივილეგირებულები ნამდვილად არ ვყოფილვართ.

— **მამას უნდოდა, შვილებიც მის გზას, კინოხელოვნებას გაჰყოლოდნენ?**

— არასდროს უთქვამს, რომ იქნებ ეს ან სხვა პროფესია აგვერჩია. რაც გინდოდა და გიყვარდა, იმას თუ აკეთებდი, ძალიან ბედნიერი იყო. ამიტომ თავისუფალი არჩევანი გვქონდა. მეც დავინტერესდი რეჟისორობით. ერთ-ერთი ფრანგული არხის პროექტში ვმონაწილეობდი, რვა სერია იყო. ამ პროექტმა პრესტიჟული ჯილდოც მიიღო. მასზე მუშაობა მაისში დავამთავრე. ახლა ჩემს სცენარზე ვმუშაობ.

— **მამას ეკითხებით რჩევებს რეჟისორობასთან დაკავშირებით?**

— რა თქმა უნდა, მისი აზრი ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

— **ცოტა ხნის წინ ქართულ ფილმში „ქიშ სმაილინგ“ მიიღეთ მონაწილეობა. აფხაზეთიდან დევნილი დედის, ელენეს როლი შეასრულეთ. რატომ დაინტერესდით ამ გმირით?**

— თავიდან რეჟისორმა და პროდიუსერებმა სხვა როლი შემომთავაზეს. მაგრამ ელენეს როლით დავინტერესდი, რადგან ეს არის პერსონაჟი, რომელსაც ჰყავს რამდენიმე შვილი, მაგრამ დაკარგული დედაა; არის ცოლიც, მაგრამ არანაირი ურთიერთობა აღარ აქვს ქმართან. ამიტომ დრამატურგიულად საინტერესო გმირი იყო. ამ ადამიანს ჩემი თაობის ისტორია ჰქონდა ზურგით ნატარები.

— **დაბოლოს, რას უკავშირდება ამჟამად საქართველოში თქვენი ჩამოსვლა?**

— ახლა დასასვენებლად ვარ ჩამოსული. თან ჩემი სამუშაო მაქვს წამოღებული და გადასაღებ ადგილებს ვათვალიერებ. ალბათ საქართველოდან დავიწყებ ფილმზე მუშაობას და საზღვარგარეთ გავაგრძელებ.

— **იქნებ ქმარზე, შვილებზე გვიამბოთ. თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ არაფერია ცნობილი.**

— ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ არ ვსაუბრობ. ბუნებრივია, რაც ინტიმური და ძვირფასია, მას გაუფასურებისგან დაცვა და შენარჩუნება უნდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მყავს ორი ქალიშვილი. საფრანგეთში ძალიან დიდ პატივს სცემენ სხვის პირად ცხოვრებას. მხოლოდ ორი ჟურნალია იქ, ვინც ცნობილი სახეების პირად ცხოვრებაზე წერს და ისინიც ყოველ კვირა სასამართლოში დარბიან. ფრანგული გამოცემები განსხვავებულია ამერიკული და ბრიტანული ტაბლოიდებისგან. ამერიკასა და ბრიტანეთში ტაბლოიდები ნომერი პირველია გაყიდვების თვალსაზრისით. საფრანგეთში კი ძალიან უფრთხილდებიან ერთმანეთის პირად ცხოვრებას.

— **ქალიშვილებისთვის მკაცრი დედა ხართ თუ მეგობრული?**

— ვცდილობ, რომ სამართლიანი დედა ვიყო. ვინარჩუნებ იმ ღირებულებებს, რაც მშობლებისგან მივიღე და ვცდილობ, ჩემს შვილებს გადავცე. მათ აქვთ გარკვეული თავისუფლება. ჩვენი პრიორიტეტი სწავლაა.

✓ **მანანა ნოდია**

# წმინდა ნინოს როლის შემსრულებელი მონასტერში იცხოვრებს



■ გია კერესელიძე

## რა სასწაული იხილა ფილმ «ნინოს» რეჟისორმა

საქართველოს უდიდესი წმინდანის ცხოვრებაზე ფილმს იღებენ. მისი რეჟისორი ამერიკაში მცხოვრები გია კერესელიძე გახლავთ. მან მთავარი როლის შემსრულებელს ინტერნეტის საშუალებით მიაგნო. არადა მანამდე 4.000-მა გოგონამ გაიარა კასტინგი, მაგრამ უშედეგოდ. 2 წლის შემდეგ კი ნიცა კაპანაძე აღმოაჩინა. როგორც ამბობს, 16 წლის გოგონამ ის თვალებით მოხიბლა. ნიცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც გაიცნო და კურთხევა მისცა, წმინდა ნინოს როლი შეასრულოს.

ფილმს „ნინო“ ერქმევა. მასზე მუშაობა უკვე აქტიურ ფაზაშია, მსახიობებისთვის კოსტიუმები ამერიკაში იკერება. ბატონ გიას დიდი გეგმები აქვს. დარწმუნებულია, რომ საქართველოს უდიდეს წმინდანზე ფილმს მთელი მსოფლიო ნახავს და შეიყვარებს. ამაში ერთმა სასწაულმაც დაარწმუნა, რომელიც მის თავს დატრიალდა. ამის შესახებ რეჟისორი ქვემოთ გვიამბობს.

— **ბატონო გია, აქამდე ანიმაციურ ფილმებს იღებდით, რატომ გადაწყვიტეთ საკმაოდ მძიმე მისიის საკუთარ თავზე აღება და წმინდა ნინოს ცხოვრებაზე ფილმის გადაღება?**

— ყოველთვის მინდოდა, ჩემს ფილმებში უფლის სახელი მედიდებინა და ამას ვცდილობდი კიდეც. თავიდან ასეთი იდეა მქონდა, რომ წმინდა ნინოზე სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი გადამეღო. როცა ნინოს ცხოვრება წავიკითხე, იმდენი საინტერესო მასალა აღმოვაჩინე, რომ მხატვრული ფილმის გაკეთება ვამჯობინე. ეს ფილმი ჩემი დებიუტია და ვიცი, რომ ძალიან მაგარი გამოვა. რა თქმა უნდა, ამის დაწყება საქართველოს პატრიარქის კურთხევის გარეშე არ შეიძლებოდა. ფილმის შექმნაზე კურთხევა კათოლიკოს-პატრიარქისგან, ილია მეორისგან მივიღე. უწმინდესმა მთხოვა, წმინდა ნინოს როლზე მსახიობი არ ამერჩია. ამასთან დაკავშირებით ცოტა სირთულეებს კი წავაწყდი, მაგრამ უწმინდესის ეს გადაწყვეტილება სწორია.

— **რა მხრივ წააწყდით პრობლემებს?**

— ძალიან რთულია, მთავარ როლზე არაპროფესიონალი აიყვანო. თამაშისას მსახიობებსაც კი ეშლებათ და... ნინოს როლზე კასტინგი 2 წლის წინ გამოვაცხადეთ, 4.000 გოგონა მობრძანდა, მაგრამ მათგან ვერავინ შევარჩიე. ისევ უკან, ამერიკაში წავედი.

**„ინდოელი ქალი ყვიროდა, მომნათლეო. ქმარი გათიშული იჯდა, უცებ მომიტრიალდა და მითხრა, მეც მომნათლეო. ორივეს მირონმდინარე ხატის მირონი ვაცხე... პატრიარქს რომ ეს მოვუყევი, გაუხარდა, ორი ადამიანი მოგინათლავსო“.**

— **რატომ არ უნდოდა პატრიარქს, ამ როლზე მსახიობს ეთამაშა?**

— ნინოს როლის შესრულების შემდეგ ის გოგონა სხვა რეჟისორმა საშინელებათა ჟანრის ფილმში რომ გადაიღოს, წარმოიდგინეთ, ეს როგორი იქნება. ამიტომ პატრიარქის ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ვეთანხმები. სხვათა შორის, ფრანკო ძეფირელის ფილმში „იესო ნაზარეველი“ ქრისტეს როლის შემსრულებელ მსახიობს ვატიკანმა სთხოვა, სხვა როლში აღარ ეთამაშა, მან ეს არ გაითვალისწინა და ავტოკატასტროფაში დაიღუპა... ნიცას მსახიობობა არც სურს, მას ჟურნალისტობა უნდა. ამ როლით ეს ბავშვი ისედაც ისტორიაში შევა. მას სხვა არაფერი სჭირდება. სანამ ფილმის გადაღებები დაიწყება, ნიცა ერთი თვით დედათა მონასტერში გაემგზავრება, რომ ის გარემო კარგად გაითავისოს და იქაური აურა კარგად აითვისოს. ეს აუცილებელია. ნიცა ამ როლისთვის შინაგანადაც უნდა მოემზადოს და კარგი ენერგეტიკა მიიღოს.

— **როგორ აღმოაჩინეთ წმინდა ნინოს როლის შემსრულებელი?**

— ნიცა კაპანაძე ინტერნეტით ვიპოვეთ. ფილმში შამირას როლზე ლილიკო ელბაქიძე გვყავს აყვანილი, სწორედ მან ნახა ინტერნეტით ნიცა. ამის შემდეგ ნიცას დავუკავშირდით, თავიდან უარი გვითხრა, ძალიან მორწმუნე და კარგი გოგონაა. მერე რჩევა თავის მოძღვარს ჰკითხა, ძალიან ღელავდა, ასეთ სერიოზულ როლზე დათანხმება ეშინოდა, ის ხომ 16 წლისაა. მოძღვარმა კარგად დაარიგა და ნიცაც დაგვთანხმდა. მოკლედ, მას 2 წელი ვეძებდით და მივაგენით. შეიძლება დამთხვევაა, მაგრამ ფრანკო ძეფირელიც ქრისტეს როლზე მსახიობს 2 წელი ეძებდა. მთელი მსოფლიო მოიარა და ვერავინ ნახა, განსაკუთრებულ თვალებს ეძებდა და იპოვა კიდეც. სრულიად შემთხვევით ნახა ის მსახიობი, სახლთან კიბეზე იჯდა და ძაღლს ეთამაშებოდა. ჩვენც ასე შემთხვევით, ინტერნეტის საშუალებით ვიპოვეთ ნიცა.

— **რითი დაიმსახურა ნიცამ თქვენი ყურადღება? რა ჰქონდა მას ისეთი, რაც 4.000 გოგოში ვერ იპოვეთ?**

— თვალები! სწორედ მას და ასეთ თვალებს ვეძებდი! თვალები ადამიანის სულის სარკეა. ყველა ჩემი მსახიობი თვალებით მყავს შერჩეული. თამაში იმდენად არ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც თვალები. ამით გადმოსცემ ენერგიას და პერსონაჟის შინაგან სამყაროს.

— **როგორ მოერგო ნიცა ნინოს როლს?**

— მან კასტინგი გაიარა, სადაც ტროპარი წაიკითხა და თანაც ისე, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ტიროდა. ეს ბავშვი მართლა უნიჭიერესია, მორცხვი და კარგი გოგონაა.



Cyan Magenta Yellow Black

— **რამდენადაც ვიცი, ნიცა მოდელია. ამის გამო სოციალურ ქსელებში უარყოფითი კომენტარებიც გაკეთდა.**

— ნიცას მოდელობასთან დაკავშირებით ვიღაცეები არასასიამოვნო რაღაცეებს წერდნენ. ვინც უცოდველია, ქვა მან ისროლოს!.. ვიცოდი, რომ რაღაცას მაინც იპოვიდნენ. ჩვენი დიდი შეცდომა ის არის, რომ ადამიანებს მსგავსი რაღაცეებით ვაფასებთ. ჩვენი გულები შიგნიდან უფალმა იცის.

— **პატრიარქმა რა გითხრათ ნიცაზე, მოეწონა?**

— კი, ძალიან მოეწონა. მინდა, ერთი საინტერესო შემთხვევა გიამბოთ. 25 დეკემბერს, კათოლიკური ქრისტეშობის დღესასწაულზე, ამერიკიდან საქართველოში პატრიარქთან შესახვედრად მოვფრინავდი. ამერიკიდან მოძღვრებმა ივერიონის მირონმდინარე ხატი გამომაყოლეს, რომ პატრიარქთან მიმებრძანებინა.

იმ დღეს კინაღამ ტრაგედია დატრიალდა, ჩვენი თვითმფრინავი ოკეანეში ვარდებოდა. მსგავსი სიტუაცია მხოლოდ ფილმებში მინახავს, ხალხი პანიკაში იყო, რეალურად ყველა ვიხოცებოდით. ცხოვრებაში პირველად ძალიან შემეშინდა. ცოტა აზრზე რომ მოვედი, ჩემთვის გავიფიქრე, აღსარება ნათქვამი მაქვს, ზიარება მივიღე, მირონმდინარე ხატი ხელში მიჭირავს, რა მომკლავს-მეთქი და ღმერთს ვთხოვე, უფალო, თუ ამ ფილმის გადაღების ღირსი არ ვარ, ამდენ ხალხს ნუ დახოცავ-მეთქი. თვითმფრინავში გვერდით ინდოელი ცოლ-ქმარი მესხდნენ. ქალმა გამომხედა და მკითხა, ასე წყნარად რატომ ზიხარ, მღვდელი ხარო. მღვდელი — არა, მაგრამ ქრისტიანი ვარ და სიკვდილის შიში არ მაქვს-მეთქი, ვუთხარი. ჩვენ რა ვქნათო, მკითხა. როგორც ქრისტიანს, უფლება მაქვს, მოგნათლოთ, ქრისტე, როგორც უფალი, უნდა მიიღოთ-მეთქი. ცოლი ყვიროდა, მომნათლეო. ქმარი გათიშული იჯდა, უცებ მომიტრიალდა და მითხრა, მეც მომნათლეო. ავდექი და ორივეს მირონი ვაცხე, ლოცვა წავიკითხე და დაწყნარდნენ კიდეც. ლოცვას მოვრჩი თუ არა, ვიგრძენი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამ დროს ბორტგამცილებელმა გამოაცხადა, თვითმფრინავი ექსტრემალურად უნდა დაეშვას იოანე ნათლისმცემლის კუნძულზეო. წარმოიდგინეთ, როგორი დამთხვევა იყო. პატრიარქს ეს ყველაფერი რომ მოვუყევი, ძალიან გაუხარდა, ორი ადამიანი მოგინათლავსო.



ელგუჯა ბურდული



ნიცა კაპანაძე

— **სხვა როლებზე ვინ შეარჩიეთ, თუნდაც მირიან მეფის, ნანა დედოფლის?..**

— ნანას როლის შემსრულებელს ისევ ვეძებთ. მირიან მეფის როლს კი პაატა წიქურიშვილი ითამაშებს. კახა მოისწრაფიშვილი აბიაფარის როლზეა დამტკიცებული, ზურა ბეგალიშვილი — ზევახის როლში, მგელიკას როლს გიორგი გეგელაშვილი თამაშობს. ელენა შამოვა კი სიდონიას როლზე ავიყვანეთ. მას უსიტყვო და ყველაზე რთული როლი აქვს, კვართს ის იღებს. ნინოს ბავშვობის როლზე კვლავ ვეძებთ მსახიობს. ორი ბავშვი შევარჩიეთ, მაგრამ თუ უკეთესი გამოჩნდა, შეიძლება არჩევანი შევცვალოთ. სულ 86 პერსონაჟი გვეყოლება. ფილმის ქრონომეტრაჟი დაახლოებით 2 საათი და 20 წუთი იქნება. ასევე, ერთ-ერთ მთავარ როლს, გუჯა ბურდული ითამაშებს. ის, ზურა ნიჟარაძე და გიორგი გაბუნია იმ მწყემსების როლში იქნებიან, რომლებიც ნინოს საქართველოში შემოსვლისას პირველები შეხვდებიან.

— **რა ეტაპზეა ახლა ფილმი, გადაღებები დაწყებული გაქვთ?**

— არა. ახლა მოსამზადებელ ეტაპზე ვართ, გუნდი იკვრება. მსახიობების უმეტესობა არჩეულია, მაგრამ, როგორც გითხარით, კასტინგი კვლავ მიმდინარეობს. აქვე მინდა გითხრათ, რომ ფილმის დეკორატორები გახლავთ ორი უნიჭიერესი ადამიანი — მარიამ ჭიჭიკვეიშვილი და ნათია ქადაგიშვილი.

— **ფილმის ბიუჯეტი დიდია?**

— ამ ფილმში საქართველოს ჯერჯერობით ერთი თეთრიც არ ჩაუდია, არც კულტურის სამინისტრო დაგვხმარებია. კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“, მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ ამ ფილმის პერსპექტივა დაინახა და გვერდში დაგვიდგა. მათ ერთი თვის განმავლობაში კასტინგის ჩასატარებლად ოთახიც კი გამოგვიყვეს, რისთვისაც მადლობას ვუხდი. სხვათა შორის, ბევრი ადამიანი გამოთქვამს დახმარების სურვილს.

**„სწორედ ასეთ თვალებს ვეძებდი!.. ნიცამ კასტინგზე ტროპარი ისე წაიკითხა, რომ მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ტიროდა. ეს ბავშვი მართლა უნიჭიერესია, მორცხვი და კარგი გოგონაა".**

— **ფილმს რა სახსრებით იღებთ?**

— ლაზარე ალიევი გახლავთ ჩემი ამერიკელი პროდუსერი. ის ჩემი ნათლულია, წარმოშობით აზერბაიჯანელია, მაგრამ ამერიკაში ცხოვრობს. მას ამ ფილმისთვის თავისი ჯიბიდან 200.000 დოლარი აქვს დახარჯული. საქართველოდან კი ყველა რუსეთისკენ იშვერს ხელს, მეუბნებიან, ისინი დაგეხმარონო. რუსეთში რომ ჩავალ, არ მინდა მკითხონ, ქართველებმა არაფერი გაგიკეთესო. ალბათ პირველი კითხვა ეს იქნება, იმასაც იტყვიან, ეს ხომ თქვენი წმინდანიაო. რუსეთის წინააღმდეგი არ ვარ. სამუშაოდ იქაურ გუნდსაც წამოვიყვან, მაგრამ არ მინდა, ეს ფილმი რუსეთს ეკუთვნოდეს და მათ ჩაეთვალოთ გადაღებაში. ამ ფილმს რუსეთის ბაზარზეც გავუშვებთ, საბერძნეთიდან, ბრაზილიიდან მივიღეთ შემოთავაზება, რომ იქაურ ბაზარზეც გავიდეთ. აქაური პროდიუსერები კი შეშინებულები არიან, ფილმში ფულს არ დებენ. როგორც ჩანს, მათ აქამდეც ჩაადებინეს ფული, უკან კი ვერაფერი მიიღეს. როგორც ჩანს, ისეთ ფილმებს არ იღებდნენ, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე გავიდოდა.



წმინდა ნინოს როლში

**„ნინოს როლის შემსრულებელს 2 წელი ვეძებდით. ფრანკო ძეფირელიც ქრისტეს როლზე მსახიობს 2 წელი ეძებდა. მთელი მსოფლიო მოიარა და ვერავინ ნახა, განსაკუთრებულ თვალებს ეძებდა და იპოვა კიდეც. სრულიად შემთხვევით ნახა ის მსახიობი. ჩვენც შემთხვევით, ინტერნეტის საშუალებით ვიპოვეთ ნიცა".**

— **თქვენ რა გათვლა გაქვთ ფილმზე?**

— მომავალზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მჯერა, რომ ეს ფილმი ძალიან ბევრ მაყურებელს მოეწონება. მსოფლიოში ძალიან ბევრია ისეთი, ვინც ასეთ კინოს ელოდება. ფილმი ჰოლივუდის დონის იქნება, ფესტივალებზეც გავა. „ნინო“ იქნება ხელოვნების ნიმუში და, ბუნებრივია, საქართველოს სახელიც იქნება.

— **ამ ფილმით რისი თქმა გსურთ?**

— იმის, რომ უფლისკენ ნაბიჯი უნდა გადავდგათ. როცა უფლისკენ გადადგამ ნაბიჯს, ის შენთან იქნება და ყველაფერს გაგაკეთებინებს, მას უყვარხარ. ნინოც სწორედ ასე მოიქცა...

— **მხატვრულ ფილმებში რეჟისორები რეალურ ისტორიას ფეხდაფეხ არ მიჰყვებიან. თქვენ რა გადახვევები გექნებათ?**

— ამას გადახვევა არ ჰქვია. ეს იქნება დინამიკური, ძლიერი ფილმი. ის კანონიკურად დაცული იქნება, რადგან მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ისეთ არაფერს გავაკეთებ, რომ ეკლესიას ზიანი მივაყენო. რა თქმა უნდა, ფილმში გამოგონილი გმირებიც იქნებიან — ანგელოზები, დემონები.

— **გადაღებებს სად გეგმავთ?**

— იერუსალიმში, კაბადოკიაში, იტალიაში, სომხეთში. ყველაფერი მზად არის, უბრალოდ მხარში დგომა გვჭირდება.

■

ფილმის ფინანსურად დახმარების მსურველებს ნებისმიერი ბანკიდან შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა. ბანკი: PNC BANK. მიმღების სახელი: Artmangia Pictures LLC. ანგარიშის ნომერი: 5309073446. ბანკის საერთაშორისო კოდი:PNCCU533

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# მორის ფოცხიშვილის ყველა ლექსი ერთ ქალს ეძღვნება

შორეულ 1958 წელს გაგრის ულამაზეს სანაპიროზე თბილისელმა ქალ-ვაჟმა ერთმანეთი შემთხვევით გაიცნეს. გოგონამ, რომელსაც უცხო სახელი როზიტა ერქვა, მაშინ არ იცოდა, რომ ბიჭი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი იყო. მით უმეტეს, ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ისინი ერთად, ერთ ჭერქვეშ მთელ ცხოვრებას გაატარებდნენ. არადა სწორედ ასე მოხდა. მორის ფოცხიშვილს, ასე ერქვა იმ ბიჭს, გოგონა მაშინვე ჩაუვარდა გულში, თუმცა ეს მოგვიანებით თბილისში გაუმხილა.

❖

პოეტ მორის ფოცხიშვილის გარდაცვალებიდან წელს 20 წელი შესრულდა. 63 წელი იცხოვრა ამქვეყნად და ისეთი კვალი დატოვა პოეზიაში, ქვეყანაში, ოჯახში, რომელსაც დრო ვერ შლის.

მისი ცხოვრების ერთადერთი ქალი, როზიტა ფოცხიშვილი, „სარკესთან“ პოეტის ცხოვრებას იხსენებს.

### ზღვაზე ნაპოვნი სიყვარული

— მორისის მამა არქიტექტორი იყო, დედა — ეკონომისტი. მშობლები ერთმანეთს ადრე დასცილდნენ. ჰყავდა უფროსი ძმა — ჰენრიხი. მორისმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ლექსების წერა ადრევე დაიწყო. მისმა ახალგაზრდობამ მძიმე წლებში გაიარა. მათი ოჯახი ახალ სახლს იშენებდა, თუმცა ეს კარგახანს ვერ მოხერხდა. ძველი სახლი უკვე დანგრეული იყო და უსახლკაროდ დარჩნენ. რამდენიმე ხანი ნათესავებთან ცხოვრობდნენ.



როზიტა ფოცხიშვილი

„ჩემმა ქმარმა თავისი ცხოვრების წესით ბევრი რამ გვასწავლა, მაგალითად, ის, რომ არ ჩავერიოთ ერთმანეთის ცხოვრებაში, არ მივუთითოთ ერთმანეთს და ა.შ. მე, მორისი და ჩვენი შვილები ერთმანეთის დიდი მეგობრები ვიყავით, თუმცა მამასთან უფრო ახლოს იყვნენ, ბევრ საერთოს პოულობდნენ, ვიდრე ჩემთან“.

მუშაობა პირველად გამომცემლობაში „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაიწყო. შემდეგ ჰქონდა პერიოდები, როცა მუშაობდა და იყო დრო, როცა არ მუშაობდა. იყო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი. ბოლოს კი „წიგნის პალატის“ დირექტორად მუშაობდა.

ერთმანეთი 1958 წელს ქალაქ გაგრაში გავიცანით. სამედიცინო სასწავლებელში ვსწავლობდი, საიდანაც საწარმოო პრაქტიკაზე გაგრის საავადმყოფოში გამაგზავნეს. მე და მორისს აფხაზეთი ძალიან გვიყვარდა, რადგან ჩვენი ბედი ერთმანეთს სწორედ ამ კუთხეში გადაეჯაჭვა.

გაგრაში 3 თვის განმავლობაში ვიყავი ჩემს კურსელებთან ერთად. იმდენად მივეჩვიეთ და კარგად გავიცანით იქაურობა, რომ ზღვაზე პატარა კენჭი რომ ეგდო, იმასაც ვცნობდით.

ჩვენი შეხვედრა შემთხვევით მოხდა, ჩემი პრაქტიკა რომ მთავრდებოდა, იმ დღეებში. ერთხელაც ზღვის სანაპიროზე „თეთრი“ ადამიანები შევნიშნე. მივხვდი, რომ ისინი ახალი ჩამოსულები იყვნენ, ჯერ რუჯი არ ჰქონდათ. მორისი დედასთან, ძმასთან, დეიდაშვილთან ერთად ისვენებდა. მისი მთელი ოჯახი გავიცანი, მორისს კი უფრო მეტად დავუახლოვდი.

მაშინ სიყვარული არ გაუმხელია. ისე მოხდა, რომ გაგრიდან ერთდროულად წამოვედით. მე, ჩემმა კურსელებმა და მორისის ოჯახმა მატარებლით ერთად ვიმგზავრეთ. ახალი ჩამოსულები ვიყავით, როდესაც მე და ჩემი ორი მეგობარი ლექციებიდან ვბრუნდებოდით, მაჩაბლის ქუჩაზე ჩავიარეთ. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მორისი ამ ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა. უცებ დავინახე, რომ იქ იდგა. მასთან ერთად იყვნენ — გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, შალვა აფხაიძე და სხვა ცნობილი მწერლები. რომ დაგვინახა, მორისი ქუჩის მეორე მხარეს გადმოვიდა. ჩემი ნახვა გაუხარდა, მითხრა, ჩემთან წამოდი, დედაჩემს ენატრებიო.

თბილისში მორისს კიდევ უფრო დავუახლოვდი, თუმცა მარტო არასდროს ვხვდებოდი, ყოველთვის მეგობრების წრეში ვიყავით. ხან თეატრში მივდიოდით, ხანაც — კინოში. თავიდან ვერ ვატყობდი, რომ მოვწონდი, რადგან ყველა ჩვენგანთან ახლოს იყო და ყველას თბილად გვექცეოდა.

იმ პერიოდში მისი ლექსების კრებული გამოვიდა. ეს წიგნი ყველა ჩემმა კურსელმა შეიძინა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა კი დედაჩემს უთხრა, ლეილა დეიდა, აი, ეს ბიჭი ეპრანჭება თქვენს ქალიშვილსო. დედამ სათვალე გაიკეთა, კრებული გადაშალა და ფოტოს დახედა — წინა გვერდზე ავტორის ფოტო იყო. მაშინ აუცილებელი იყო, რომ ასეთ ფოტოზე ავტორს ოფიციალურად სცმოდა. მორისი კოსტიუმსა და ჰალსტუხში რომ დაინახა, დედაჩემმა გაკვირვებით მკითხა, დედა, ეს რაიკომის მდივანი ვინ არისო.



„ჩემი ქმრის ბოლო სიტყვები იყო: „ჩემი ხატები აქ არიან, მაგრამ ჩემი ღმერთი ჯერ არ არის ჩემთან მოსული“.

### ქორწილი პოეტებისა და მწერლების გარემოცვაში

— გაცნობიდან 6 თვეში დავქორწინდით. მორისი 28 წლის იყო, მე — 23-ის. ჩვენი ქორწილის თამადა გიორგი ლეონიძე იყო, სტუმრებს შორის კი იმ დროისთვის ყველა ცნობილი მწერალი და პოეტი გახლდათ. სამწუხაროა, რომ მაშინ ვიდეოგადაღება არ არსებობდა და ჩვენი ქორწილი არ გვაქვს ფირზე აღბეჭდილი. კარგი იქნებოდა, რომ მომავალ თაობებსაც ენახათ, მაშინდელი მწერლები და პოეტები როგორ ატარებდნენ დროს სუფრასთან. მინდა გითხრათ, რომ ეს ქორწილი იმდენად არ იყო, რამდენადაც ერთი ლამაზი ლიტერატურული საღამო.

### 34 წელი

— 34 წელი გავატარეთ ერთად. სხვათა შორის, თანაცხოვრების წლები არასდროს დამითვლია. ჩვენი ცხოვრება იმდენად საინტერესო იყო და წლები ისე მიდიოდა, დასათვლელად არ გვეცალა. ორივე ვმუშაობდით, ჩვენი საყვარელი საქმით ვიყავით დაკავებული. ოჯახში ყოველთვის ბევრი საქმე მქონდა — შვილების მოვლა, სტუმრების მიღება და ა.შ. ჩვენს სახლში მუდმივად იშლებოდა სუფრები. მოდიოდნენ მწერლები, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, უცხოელი სტუმრები, შემდეგ უკვე — ჩვენი ქალიშვილების მეგობრები. ასე საინტერესოდ და ლამაზად გადიოდა წლები.

ხშირად გვიწევდა სამოგზაუროდ წასვლა. იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში ვიყავით....

ამ 34 წელმა დიდი სისწრაფით გაიარა. არ გეგონოთ, რომ მხოლოდ კარგი ხდებოდა, ბევრი სირთულეც იყო. უდიდეს შრომაში, სიყვარულსა და სითბოში გავიდა წლები.

### გოგოების მამა

— პირველ შვილს რომ ველოდებოდით, თამრიკოს, მორისი დარწმუნებული იყო, ბიჭი იქნებოდა. სხვებიც ეუბნებოდნენ, ნამდვილად ბიჭი გაგიჩნდებაო. როდესაც გაიგო, რომ ქალიშვილი შეეძინა, თურმე არ ესიამოვნა. ბიჭის დიდი მოლოდინი ჰქონდა და ამიტომ. იქვე მდგარა გოგლა ლეონიძე და იმას გაუმხნევებია, ყველა ვაჟკაცს გოგოები ჰყავსო (თავად გოგლაც ქალიშვილების მამა იყო). ეს იყო წუთიერად, თორემ მერე ძალიან უხაროდა, რომ გოგონას მამა გახდა. ასეთივე სიხარული ჰქონდა მეორე ქალიშვილის, ბასას დაბადების შემდეგ.

მამა და შვილები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იყვნენ. ხშირად მსჯელობდნენ აქტუალურ თემებზე, რაც კინოს, მხატვრობას ანდა პოეზიას ეხებოდა.

მორისი იყო ძალიან მშვიდი, წყნარი, ლმობიერი ადამიანი. განსაკუთრებით რბილ ხასიათს შვილების მიმართ ამჟღავნებდა. მათ ყველაფერს პატიობდა, მათ ცხოვრებაში არ ერეოდა. ერთადერთი, რასაც სულ სთხოვდა, ეს იყო, რომ წიგნები ეკითხათ. უამრავი წიგნი მოჰქონდა სახლში. სამსახურიდან დაბრუნებულს ჩანთაში ყოველთვის ედო ახალი წიგნი. ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი შვილებისთვის. უნდოდა, რომ ისინი ყოველ მხრივ განათლებულები ყოფილიყვნენ. სიმკაცრეს მხოლოდ მაშინ ავლენდა, თუკი საუბრის დროს ბასას და თამრიკოს შეატყობდა, რომ რაღაც საკითხი არ იცოდნენ. ეტყოდა ხოლმე, სირცხვილია, ეს როგორ არ იცითო.

„გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მორისს საქართველოს პატრიარქთან ესაუბრია. უთქვამს, ეკლესიამ სიკვდილს სამჯერ გადამარჩინაო“.

სკოლაში სიარულისა და მეცადინეობის მხრივ ლმობიერი იყო, მაგრამ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისკენ სულ უბიძგებდა. რუსეთში, პუშკინის სახელობის მუზეუმში, თუკი რაიმე მნიშვნელოვანი გამოფენა იმართებოდა, მაგალითად, რომელიმე იმპრესიონისტი მხატვრის, აუცილებლად იყიდდა ბილეთებს. გოგოებს ეტყოდა, ბილეთები აგიღეთ, სასტუმროც დაგიჯავშნეთ და წადით გამოფენაზეო.

ჩემს გოგოებს დილით ადგომა ძალიან ეზარებოდათ, განსაკუთრებით — ბასას. ყოველი დილა იწყებოდა ჩემი სიტყვებით: „ბასა, ადექი! ბასა, გაგვიანდება!“ ამ დროს ჩემი მეუღლე უკვე გაღვიძებული იყო და მუშაობდა. გამოვიდოდა და მეტყოდა: „როზიტა, გაიხედე, რა კარგი ამინდია, ჩიტები ჭიკჭიკებენ. რას ჩააცივდი ამ ბავშვს?“...



Cyan Magenta Yellow Black

ვპასუხობდი, შენ თუ გიყურე, ჩვენი შვილები სკოლას საერთოდ ვერ დაამთავრებენ-მეთქი. არ მახსოვს, რომ ბასასთვის და თამრიკოსთვის დაეყვიროს ან შენიშვნა მიეცეს, არც პატარობაში და არც დიდობაში. მორისი შვილებისთვის იდეალური მამა იყო.

საზღვარგარეთ ხშირად დადიოდა და უამრავი საჩუქარი ჩამოჰქონდა. ბასა ჟურნალში თუ რამეს ნახავდა, მამას დაავალებდა, ასეთი რაღაც ჩამომიტანეო. მორისის მეგობრებიც, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ, ჩემს შვილებს სხვადასხვა საჩუქრებს უგზავნიდნენ. უცხოეთიდან ისე არ დაბრუნდებოდა, ჩემთვის რაღაც საჩუქარი არ ჩამოეტანა. სუვენირების ყიდვა ძალიან უყვარდა, უმეტესობას შემდგომში სხვებს ჩუქნიდა. გერმანიაში რომ წავიდოდა, იქიდან ბასასთვის მინიკაბები და ჯინსები ჩამოჰქონდა. მაშინ საქართველოში ასეთი სამოსი ძალიან იშვიათი იყო. ბასას კი ექსტრავა-




განტურად ჩაცმა უყვარდა. მე ძალიან ვღელავდი ამაზე, მორისი კი — პირიქით, ასეთი ტანსაცმლით ამარაგებდა.

თამრიკოს და ბასას მამის მიმართ დიდი რიდი და პატივისცემა ჰქონდათ. შვილებს არასდროს შეეკითხებოდა, სად მიდიხართ ან სად იყავითო. მათ მიმართ დიდი ნდობა ჰქონდა. რაც უნდა გვიან შემოეღოთ სახლის კარი, არ გაუბრაზდებოდა. მხოლოდ იმით ინტერესდებოდა, კინოში ან თეატრში ხომ არ იყვნენ.

მორისი არც მე და არც ბავშვებს შენიშვნას არ გვაძლევდა, თუმცა იმ ართქმასა და არმითითებაში უკვე იგულისხმებოდა მისი აზრი. ყველაფერს კარგად ხედავდა და გრძნობდა. შვილების პირადი ცხოვრება მისთვის ძალიან დელიკატური საკითხი იყო. ზოგმა მშობელმა იცის, შვილს ჩააცივდება, როდის უნდა დაოჯახდე, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში და ა.შ. მორისს კი ეს საკითხი წინ არასდროს წამოუწევია.

სხვათა შორის, ჩემმა ქმარმა თავისი ცხოვრების წესით ბევრი რამ გვასწავლა, მაგალითად, ის, რომ არ ჩავერიოთ ერთმანეთის ცხოვრებაში, არ მივუთითოთ ერთმანეთს და ა.შ. მე, მორისი და ჩვენი შვილები ერთმანეთის დიდი მეგობრები ვიყავით, თუმცა გოგონები მამასთან უფრო ახლოს იყვნენ, ბევრ საერთოს პოულობდნენ მასთან, ვიდრე ჩემთან. მე ეს არ მწყინდა, რადგან, ხომ იცით, დედა მაინც სხვანაირია, ხან დატუქსავს შვილებს, ხან შენიშვნას მისცემს. მორისი კი შვილებს დიდ თავისუფლებას აძლევდა და ეს სწორიც არის. დოგმები არ უნდა დაუწესო და ყველა ნაბიჯი არ უნდა გაუკონტროლო. თვითონ უნდა მიხვდნენ, საით წავიდნენ და როგორ.

## ფეხბურთი — ფოცხიშვილების სისუსტე

— ჩვენს სახლში ფეხბურთი „მძიმე თემა" იყო. მორისი და ჩვენი შვილები ყველა თამაშს დიდი ინტერესითა და ოვაციებით უყურებდნენ. სახლში ისე იქცეოდნენ, როგორც სტადიონზე. სულ ვეუბნებოდი, რომ წყნარად ყოფილიყვნენ, რადგან მეზობლებთან უხერხული იყო.

ერთხელ მორისის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ფირფიტა გამოვიდა, რომელზეც ის ძაღლით იყო გამოსახული. ერთხელ, ზამთრის საღამოს, სახლში ძალიან დაღლილი დავბრუნდი. ჩემი ქმარ-შვილი ტელევიზორთან ისხდნენ და საფეხბურთო მატჩს უყურებდნენ. რომ დამინახეს, მითხრეს, პეპი (ჩვენი ძაღლი) შენ გელოდება, რომ გაასეირნოო. გაბრაზებულმა დავავლე ძაღლს ხელი და იმ სიცივეში მშიერ-მწყურვალი პეპისთან ერთად გავედი. ქუჩაში დიდი თოვლი იდო. ამ დროს ხანშიშესული ცოლ-ქმარი მომიახლოვდნენ, ძაღლს თბილად შეხედეს და მითხრეს: „უკაცრავად, ეს ძაღლი სად შეიძინეთ? ახლა მორის ფოცხიშვილის ფირფიტა გამოვიდა და იქ ვნახეთ ეს ძაღლი". მე ვუპასუხე: „არც მორის ფოცხიშ-

**„ყოველი დილა იწყებოდა ჩემი სიტყვებით: „ბასა, ადექი! ბასა, გაგვიანდება!" ამ დროს ჩემი მეუღლე გამოვიდოდა და მეტყოდა: „როზიტა, გაიხედე, რა კარგი ამინდია, ჩიტები ჭიკჭიკებენ. რას ჩააცივდი ამ ბავშვს?".**

ვილს ვიცნობ და არც იმის ძაღლს!" სახლში გაღიზიანებული დავბრუნდი. მორისმა მკითხა: „გაისეირნეთ?" ვუპასუხე, კი გავისეირნე, მაგრამ შენს ცოლს კაციშვილი არ ცნობს, სამაგიეროდ ძაღლი იცნეს-მეთქი.

## ყველა ლექსი საყვარელ ქალს

— მორისის სამუშაო ოთახში რომ შევიდოდი, ხშირად მეტყოდა, ერთი წუთით მომისმინეო და თავის ლექსს მიკითხავდა. მას ბევრი ანტისაბჭოთა ლექსი ჰქონდა. ამის გამო ძალიან მეშინოდა. ზოგიერთ ლექსს შეგნებულად არ მიკითხავდა, იცოდა, რომ ავღელდებოდი.



**„სიკვდილამდე ბოლო რამდენიმე თვე წვალობდა, მაგრამ შველა არ უთხოვია. იცოდა, რომ მისი საშველი აღარ იყო. ბასას ისიც კი უთხრა, იმისთვის, რომ ორი-სამი დღე გამიხანგრძლივოთ სიცოცხლე, ნუ დამტანჯავთო".**

ამა თუ იმ ლექსზე ჩემს შეფასებას რომ მოისმენდა, მერე ღიმილით მპასუხობდა, ვიცოდი, ამას რომ მეტყოდიო. მე მხოლოდ ჩემს აზრს ვუზიარებდი, თორემ მის ლექსებში კორექტივები არასდროს შემქონდა.

რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ „ვერის უბნის მელოდიები" რომ გადაიღო, პოლიტიკურად საკმაოდ რთული პერიოდი იყო. როგორც იცით, ამ ფილმისთვის მუსიკა გოგი ცაბაძემ დაწერა, ტექსტი კი — ჩემმა მეუღლემ. ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანმა ხუმრობით თქვა, მე რომ დამეწერა „ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია", ციხეში მოვხვდებოდიო. ჩემი მეუღლე ყოველთვის ახერხებდა, რომ თავისი შემოქმედებით არსებულ ვითარებაზე ესაუბრა. თავისი ქვეყნის ყველა გასაჭირი სტკიოდა.

მორისს ჩემთვის ლექსი არ მოუძღვნია. ერთხელ ხუმრობით ვუთხარი, სხვა პოეტები რომ უძღვნიან ცოლებს ლექსებს, შენ ამას რატომ არ აკეთებ-მეთქი. ღიმილით მიპასუხა, წარმოიდგინე, რომ ყველა ლექსი, რაც კი დამიწერია, მხოლოდ შენ გეძღვნებაო. მისი პოეზიიდან ჩემი საყვარელი ლექსია „ჭადრაკის დაფა".

მორისს დაწერილი ჰქონდა ლექსი „ნადირობა", სადაც თეთრ სეტერზე წერდა. ერთხელ ერთ-ერთმა ქართველმა კრიტიკოსმა დაწერა, თეთრი სეტერი ბუნებაში არ არსებობსო. პოეზია კიდევ ისეთი რამ არის, რომ აქ შესაძლებელია არარსებულის არსებობაც კი. ერთხელ მე და მორისი რუმინეთში ვიმყოფებოდით. იქ ერთმა გამომცემელმა თავის სახლში დაგვპატიჟა. ეზოში შესვლისთანავე შევამჩნიეთ მორბენალი თეთრი სეტერი. მეუღლეს ვუთხარი, ახლა ამ ძაღლს უნდა გადაუღო სურათი და იმ კრიტიკოსს აჩვენო, ვნახოთ, რას იტყვის-მეთქი. მორისს გაეცინა.

კრიტიკას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ვეტყოდი ხოლმე, აი, შენზე რა დაწერეს-მეთქი. გაიღიმებდა და იტყოდა, მადლობელი ვარ, ალბათ უკეთეს ლექსებს დავწეროო.

## ეკლესიასთან ახლოს

მორისი ძალიან მორწმუნე კაცი იყო. ჩვევად ჰქონდა, რომ სულ ხატებს ყიდულობდა. მაშინ ხატის ყიდვა ძნელი იყო. ერთი ნაცნობი ჰყავდა, ვისგანაც ჩუმად იძენდა ძველ ხატებს და სახლში, საძინებელი ოთახის პირდაპირ ელაგა. სხვათა შორის, გარდაცვალების წინ მისი ბოლო სიტყვები ეს იყო: „ჩემი ხატები აქ არიან, მაგრამ ჩემი ღმერთი ჯერ არ არის ჩემთან მოსული". მალევე სული დალია...

სულ ამბობდა — „ნუ განიკითხავ". ეს იყო მისი ცხოვრების მთავარი პრინციპი. მისთვის ბევრჯერ უტკენიათ გული, მაგრამ ამ ადამიანებს მაინც არასდროს განსჯიდა. ჩვენი სახლი სიონის ეკლესიის გვერდით იყო, ერთი კედელი გვყოფდა. ის ყოველდღე შედიოდა სიონში. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მორისს საქართველოს პატრიარქთან უსაუბრია. უთქვამს, ეკლესიამ სიკვდილს სამჯერ გადამარჩინაო. ეს მე შარშან გავიგე, როდესაც ჩვენი უწმინდესი საპატრიარქოში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს ჩემი მეუღლის შესახებ უყვებოდა. მორისი თავისი რწმენით, ხასიათითა და არგანკითხვის უნარით ეკლესიასთან ძალიან ახლოს იყო.

ერთხელ მორისი ბიჭებთან ერთად წასულა საბანაოდ. წყალმა ჩაითრია და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს...

მორისს დიაბეტი ჰქონდა. ბოლო წლებში ავადმყოფობდა, გული აწუხებდა. მიუხედავად ამისა, მაინც მხნედ იყო. თავის ავადმყოფობაზე საუბარი არ უყვარდა, არც წუწუნი. სიკვდილამდე ბოლო რამდენიმე თვე წვალობდა, მაგრამ შველა არ უთხოვია. იცოდა, რომ მისი საშველი აღარ იყო. ბასას ისიც კი უთხრა, იმისთვის, რომ ორი-სამი დღე გამიხანგრძლივოთ სიცოცხლე, ნუ დამტანჯავთო.

✓ თეონა კენჭიაშვილი


**სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!**

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

**გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!**

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

**593-44-58-65. ექიმი. ქალბატონი დეა**



# „ბიჭს, რომლის სიყვარულიც მტანჯავს, გრძნობებს ვერ ვუმხელ“

15 წლის გოგო ვარ. 2 წლის წინ შემიყვარდა ბიჭი, რომელიც ჩემს სკოლაში სწავლობდა. მეგონა, ოდესმე შემამჩნევდა, მაგრამ ჩემი ლოდინი ფუჭი გამოდგა. ის ბიჭი სხვა სკოლაში გადავიდა, რის შემდეგაც დაიწყო ჩემი ტანჯვა და გულის ტკივილი. მისი მონატრება მოსვენებას არ მაძლევს. მეგობარი მირჩევს, გაიცანი და იმეგობრეო, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, რადგან ძალიან მეშინია, რამე არ შემეშალოს და არ დავკარგო. ჩემი გრძნობების გამხელის მერიდება. წელს ისევ ჩემს სკოლაში გადმოდის სასწავლებლად. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

# „ჩემს კლასელს მასწავლებელი დაუმსახურებლად უწერს ათიანებს“

მე-7 კლასში ვსწავლობ, კარგი მოსწავლე ვარ, მაგრამ ჩემს კლასში არის რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც მასწავლებელი დაუმსახურებლად უწერს ნიშანს, განსაკუთრებით კი — ერთს. ბავშვები მას ჩუმად ეხმარებოდნენ საკონტროლოს დაწერაში. ჩემმა კლასელმა ეს დაინახა და მასწავლებელს უთხრა, მაგრამ მან უსაყვედურა, სხვის საქმეში ნუ ერევიო. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე იყო, მაგრამ მასწავლებელი მას სულ ათიანებს უწერს, თან შეცდომებს პატიობს. მართალია, მე მასზე კარგად ვსწავლობ, მაგრამ მასწავლებელი კლასის კაპიტნად მაინც მას აყენებს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

# „დაქალმა საფულედან 50 ლარი ამომაცალა“



შოკურ მდგომარეობაში ვარ, რადგან დაქალმა ფული მომპარა. არაფერს ვაჭარბებ, მომპარა! არ ვიცი, რა ვქნა. ფული რომ დავკარგე, იმის შემდეგ გვითხრა, 50 ლარი ვიპოვეო. ეს კი ზუსტად იმ თანხას შეესაბამება, რაც ჩვენი სახლიდან დაიკარგა, საფულეში მედო და აღარ დამხვდა. ბაბუამ მომცა, შეინახე, ხვალაც მოგცემ და შეაგროვებო. დედამისი აპირებს ჩვენთან მოსვლას და ყველაფერი უნდა ვუამბო. ჩვენი დედები დაქალობენ. თან, არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა...

„სარკის“ ერთგული მკითხველი, 10 წლის

გამოხმაურება

# „ბებია დედას ჯადოს უკეთებს“



„სარკის“ 35-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „ბებია მე და დედას გვთარსავს“. ამ წერილმა მიბიძგა, ჩემი ამბავიც მომეყოლა. თუ საშუალებას მომცემთ, მადლობას გადაგიხდით. საშინელ მდგომარეობაში ვარ. აღარ ვიცი, სიტუაცია როგორ მოვაგვარო.

რაც თავი მახსოვს, დედას და ბებიას, მამაჩემის დედას, ყოველთვის ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. რომ იტყვიან, ბებიამ დედა შეჭამა, დააავადმყოფა. მისი არაფერი მოსწონს, არც დალაგებული, არც გარეცხილი, არც დუმილი და არც ლაპარაკი. ჩემ მიმართაც აგრესიულია. ამბობს, შენ გოგო ხარ და დედაშენის ფეხი ხარ, ჩვენ შენი ძმა გვგავსო. ჩემი ძმა მის ლაპარაკს საერთოდ არ უგდებს ყურს, ამიტომ მასთან კონფლიქტი არ მოსდის. მე კი არ შემიძლია ვუყურო, დედას როგორ ამცირებს.

ბებიაჩემს ერთი დაქალი ჰყავს, რომელიც მისნაირია, ერთმანეთთან ბევრ საერთოს ნახულობენ. მასაც ჰყავს რძალი და შვილიშვილები, რომლებთანაც მუდმივი კონფლიქტი აქვს. სულ იმას წუწუნებს, როგორ ჩაგრავენ, ცუდად ექცევიან. სინამდვილეში თვითონ უშლის ყველას ნერვებს. მარტო ბებიაჩემს უგებს, რადგან ხასიათებით ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. თუ კარგად დააკვირდები, შეიძლება გარეგნობაშიც აღმოაჩინო საერთო.

ამას წინათ ბებიას ის ქალი ესტუმრა. მე და დედა დილიდან გავედით გარეთ. მერე მე დავბრუნდი, მაგრამ ბებიაჩემს არ შევხმიანებივარ, დედას მოსვლამდე ჩემს ოთახში შევიკეტე. ისინი სამზარეულოში დასხდნენ. ჩემი ოთახი სამზარეულოს გვერდითაა, ამიტომ მათი ლაპარაკი კარგად მესმოდა. დაქალი უყვებოდა, როგორ ამწარებდა რძალი. თან წყევლიდა, მისი კუბო როგორ ველარ გავიტანე ჩემი სახლიდანო. ასეთი სიტყვები არ გამკვირვებია, რადგან რძალს და შვილიშვილებს ხშირად წყევლის. აი, ბებიაჩემის ნათქვამმა კი მართლა გამაოცა. კარგად ვიცოდი, რომ სუფთა სულის არ იყო, მაგრამ მისგან ასეთ რამეს მაინც არ მოველოდი. დაქალი რომ რძლის ლანძღვას შეყვა, ბებიაჩემმა უთხრა, გეუბნები, რაც უნდა გააკეთო და არ მიჯერებ, ვერ ხედავ, ჩემი რძალი როგორ მოვსვი თავის ადგილას, ისე ავად არის, ჩემთან შელაპარაკების თავიც არ აქვს, რასაც ვეუბნები, აკეთებს, აბა, სხვანაირად მოიქცეს, ისეთ რამეს გავუკეთებ, ერთ თვეში საიქიოს გავისტუმრებო.

დედაჩემი ბოლო დროს მართლაც ავადმყოფობს. ექიმები ეუბნებიან, არაფერი გჭირს, ნევროზიაო. არ ვიცი, ეს როგორი ნევროზია, როცა ზოგჯერ ისე ცუდად ხდება, რომ სასწრაფოს ვიძახებთ.

შეიძლება ბევრს არ სჯერა ჯადოების, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ბებიამ რაღაც გაუკეთა. ეს თვითონვე თქვა დაქალთან. მე რომ შევუვარდი და ისტერიკული ყვირილი მოვრთე, დედაჩემს რა ჯადოებს უკეთებ-მეთქი, უარყო, ასე არ მითქვამსო. მე კი მჯერა, რომ საშინელი ცოდვა ჩაიდინა. დედაჩემი მის გამო ავადმყოფობს.

მოძღვარმა გვითხრა, კვეთებულის ლოცვებზე იარეთ და ბოროტი ვეღარაფერს დაგაკლებთო. მე, პირადად, ვივლი ეკლესიაში, იქ დავაღამებ და გავათენებ, ლოცვით არ დავიღლები, მეტანიებით მუხლებს გადავიტყავებ, ოღონდ დედაჩემი იყოს კარგად. მას რომ რამე ცუდი დაემართოს, ვერ გადავიტან, მაშინვე მოვკვდები! მშობლებს ვეხვეწები, აქედან წავიდეთ, ეს სახლი არ მიყვარს-მეთქი, მაგრამ მამა ყურს არ მიგდებს, დედა კი მეუბნება, ამის საშუალება არ არისო. მინდა, ბებიას მოვშორდეთ. ვიცი, ის ყოველთვის შეეცდება, რამე გვავნოს. ყველა კეთილ რჩევას მივიღებ და „სარკის“ მომდევნო ნომერს სულმოუთქმელად დაველოდები, რომ გამოხმაურება წავიკითხო. წინასწარ დიდ მადლობა ყველას!

„სარკის“ ერთგული მკითხველი, 16 წლის

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია



Cyan Magenta Yellow Black

## „დედა საზღვარგარეთ მუშაობს, მამას კი აქ საყვარელი ჰყავს“



გამარჯობა! მე 15 წლის გოგო ვარ. ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება. რამდენიმე წელია, რაც დედა საზღვარგარეთაა, მამას კი აქ საყვარელი ჰყავს და სულ მასთან დადის. არ ვიცი, როგორ ჩამოვაშორო. თვითონ ვერც ხვდება, რომ მე სიმართლე ვიცი. ძალიან ვნერვიულობ, არ ვიცი, რა გავაკეთო. ჩემი ძმაც ვერაფერს ხვდება, რადგან ძალიან პატარაა.

მამა და ის ქალი ერთმანეთს მესიჯებს უგზავნიან, ტელეფონით ელაპარაკებიან. იმ ქალის მესიჯიც წავიკითხე. ჯობდა, არ მენახა. წერდა: „ჩემი ბიჭი ხარ, მიყვარხარ, მპუა...“ და ეგეთები. ძალიან ცუდ დღეში ვარ! გთხოვთ, მირჩიეთ, მამას საყვარელი როგორ ჩამოვაშორო.

„სარკის“ მკითხველი

## „ტატა, მადლობა, რომ ცურვა მასწავლე“

მოგესალმებით, „სარკის“ საყვარელო მკითხველებო! მე ვარ დიანა აბრამიანი, 12 წლის, დაბა სურამიდან. ვარ ძალიან მხიარული, მეგობრული და საყვარელი. ბევრი ერთგული მეგობარი მყავს.

წელს ერთი გოგო გავიცანი ბათუმში, რომელსაც ტატა ერქვა. მე და ტატა ერთად ძალიან კარგ დროს ვატარებდით, ყოველ საღამოს ბათუმის ლამაზ ქუჩებში ვსეირნობდით. ზღვაზეც ერთად დავდიოდით. ცურვა არ ვიცოდი და მან მასწავლა. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი!

ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემი მეგობარია. შორიდან ვუთვლი მოკითხვას. დიდი მადლობა „სარკეს“, რომ ჩემს მეგობარზე დაწერის საშუალება მომეცით.

თქვენი მკითხველი



## „საყვარელმა ადამიანმა სხვების თანდასწრებით დამამცირა“

შეყვარებული მყავდა, რომელიც სულ მეფიცებოდა, ჩემი სიცოცხლე ხარ, ძალიან მიყვარხარო. მერე კი, არ ვიცი, რა დაემართა, ერთ დღეს სახალხოდ დამამცირა. მითხრა, უშნო და ცივი გოგო ხარ, აღარ მჭირდებიო. საშინელება იყო, რადგან ეს სიტყვები ბევრი ადამიანის თანდასწრებით მითხრა. მისგან ასეთ საქციელს არ ვიმსახურებდი...

მკითხველი, 14 წლის

## „ნანიკო და მარი, გთხოვთ, შერიგდით!“

მე ვარ 12 წლის ანა. ჩემმა მეგობრებმა, ნანიკომ და მარიმ, იჩხუბეს. ამას ძალიან განვიცდი. მინდა, შევარიგო, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. თქვენ რას მირჩევთ? მათ შესარიგებლად რა გავაკეთო? თქვენი ჟურნალის ფურცლებიდანაც ვთხოვ, რომ შერიგდნენ. ეს მე ძალიან მინდა!

„სარკის“ მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

## „არ ვიცი, ძმაკაცის დედა რას მერჩის“

ჟურნალ „სარკის“ 35-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სათაურით „ბავშვი დახრჩობას გადავარჩინე და დედამისმა მადლობაც არ მითხრა“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ჩემი ამბის მოყოლა მომინდა.

მე და ჩემი მეზობლის ბიჭი ერთ კლასში ვსწავლობთ. ძმებივით გავიზარდეთ, ის ძალიან მიყვარს, მაგრამ დედამისი ცუდად იქცევა. ძმაკაცის დედაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, უხერხულია. უკვე აღარ ვიცი, მასთან როგორი ურთიერთობა შეიძლება მქონდეს. მე რომ ჩამივლის, ისე იქცევა, ვითომ ვერც მხედავს, გამარჯობასაც კი არ მეუბნება. ხმას მაშინ მცემს, როცა უნდა, მეჩხუბოს. დედა მეუბნება, მათთან სახლში ნუ მიდიხარ, ასეთი მეგობარი არ გჭირდებაო, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლი. ის მართლაც კარგი ბიჭია. ჩემი აზრით, ძმაკაცების ურთიერთობაში უფროსები არ უნდა ჩაერიონ.



დასამალი არ არის, რომ სკოლაში კარგად ვერ სწავლობს, მე კი ათოსანი ვარ. საშინაო დავალებებს თუ საკონტროლოებს პირველი კლასიდან მე ვაწერინებ. მასწავლებლები შორი-შორ გვსვამდნენ, რომ არ დავხმარებოდი, მაგრამ მე მაინც ვახერხებდი, მისთვის „შპარგალკა“ მიმეცა. დედამისი თავიდან ამის გამო მეჩხუბებოდა, შენ გააზარმაცე, შენს იმედად არის და ამიტომ არ სწავლობსო. ისიც კი მითხრა, ჩემი შვილი შენზე ბევრად ნიჭიერია, შენ შურიანი ხარ, არ გინდა, გაჯობოს და ამიტომ უწევ დათვურ სამსახურსო. ერთი პერიოდი აღარ მივეხმარე და ისეთი ცუდი ქულები მიიღო, რომ ლამის კლასში ჩატოვეს. იმის შემდეგ არ უთქვამს, აღარ დაეხმაროო, მაგრამ ჩემ მიმართ უფრო გაავდა. ის ქალი ისე მიყურებს, თითქოს მისი მტერი ვიყო. სახეზე ეტყობა, რომ ვერ მიტანს. არადა მისთვის არაფერი დამიშავებია.

სანამ არდადეგები დაიწყებოდა, ორ ბავშვთან ერთად რაღაც პროექტი დავწერე. ჩვენმა პროექტმა ერთ-ერთ კონკურსში გაიმარჯვა და ფულადი ჯილდოები ავიღეთ. ძმაკაცის დედა სახლში მომეჭრა, სულ შურიანი მიძახა. მითხრა, შენ როგორ ეძმაკაცები ჩემს შვილს, როცა მისი შური არ გასვენებს, რადგან შენზე ჭკვიანი და ლამაზიაო. მიყვირა, ნამდვილი მეგობარი რომ იყო, პროექტში სხვების ნაცვლად მას ჩაწერდი, მაგრამ ჩემი შვილი მარტო გამოსაყენებლად გინდაო. დედამ თავი შეიკავა, არაფერი უთხრა. მე მისი ჩაწერა არ შემეძლო, რადგან სამივე ბავშვმა თანაბრად ვიშრომეთ, მისი შვილი კი არაფერ შუაში იყო. მაინც ვერაფერი შევაგნებინე. ჩვენი სახლიდან გავარდა და მომაძახა, ჩემს შვილთან ახლოს გავლილი არ დაგინახოო.

ამ ამბიდან ძალიან მალე არდადეგებიც დაიწყო და მეგობარს აღარ შევხვედრივარ. უბანში რამდენჯერმე ვნახე და შორიდან მივესალმე. ერთმანეთს თვალს ვარიდებთ. ვატყობ, რომ ჩემი ერიდება. ეს პრობლემა ძალიან მაწუხებს.

ახლა ერთ-ერთმა კლასელმა მითხრა, დედამისი ამბობს, სკოლიდან უნდა გადავიყვანოო. უთქვამს, ჩემი შვილი არ გაახარა, პირველი კლასიდან ჩაგრავსო. გაოგნებული ვარ. არ ვიცი, დაჩაგვრას რას ეძახის. მართლა ყოველთვის ყველანაირად ვეხმარებოდი. ვერ ვხვდები, ამ ქალს რა დავუშავე. შეიძლება ჯობია კიდეც, აღარ გავალიზიანო და ძმაკაცთან კავშირი გავწყვიტო.

თქვენი მკითხველი, 14 წლის

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ეკო ფანგანი: „ბექა ჩხაიძეს თუ ჩემს მაგარ მძღოლობაში ეჭვი შეეპარება, მასაც შევეჯიბრები!“



## „ავტომობილი ქალისთვის კაცზე საყვარელია"

მოდელი და ტელესახე ეკო ფანგანი კარგ მძღოლად არის ცნობილი. როგორც თავად გვითხრა, მანქანის სიყვარული ფანგანებს გენეტიკაში აქვთ. მართვა სრულიად დამოუკიდებლად ისწავლა. მამაკაცები ავტომობილით შეჯიბრში ხშირად იწვევენ და ისიც, თუ ხასიათზეა, უკან არ იხევს. ამბობს, რომ არასოდეს მარცხდება.

— **ეკო, ბევრისგან მსმენია, რომ კარგი მძღოლი ხართ. ამბობენ, მანქანას კაცივით მართავსო.**

— მამაკაცები ჩემზე რომ ამბობენ, მანქანას კაცივით მართავსო, „სარკის“ საშუალებით გავიგე. ვინც ეს თქვა, ყველას დიდ მადლობას ვუხდი, მათ შორის — ფოტოხელოვან ბადრი ვადაჭკორიას, რომელიც მამაჩემის მეგობარია. სავარაუდოდ, ქუჩაში შემნიშნავდა, სადმე ჩავუქროლებდი. მიუხედავად იმისა, რომ ამბიციური ადამიანი არ ვარ, მამაკაცების ამ შეფასებას ვეთანხმები. უკან ან გვერდით ვინმე თუ ნერვებს მიშლის, ვიცი, რომ საჭესთან გაპრანჭულ ქალს დავინახავ. რომ მიხვდე, საჭესთან ქალია თუ კაცი, შინაგანად „ავტომობილისტი“ უნდა იყო.

— **ანუ თქვენ ხართ ავტომობილისტი?**

— მგონია, რომ კი. მანქანა ბავშვობიდან მიყვარს. მამაჩემი ხუმრობს „ავტომობილისტების“ ოჯახი ვართო.

— **ვინ გასწავლათ მანქანის მართვა?**

— სრულიად დამოუკიდებლად ვისწავლე. გოგონებს ხომ ძირითადად მასწავლებლები ასწავლიან, ბიჭები კი თვითონვე სწავლობენ, ჰოდა, მეც ბიჭივით დავჯექი მანქანაზე და ტარებაც ვისწავლე. ჩემი მეგობრის „09“-ის საჭესთან დავჯექი და აგარაკზე ვიარე. ერთ დღესაც ძალიან დამჭირდა მანქანა, მეგობარს დავურეკე, მისგან ავტომობილი ვითხოვე და მთელი ქალაქი შემოვიარე.

— **მიუხედავად ასეთი თანდაყოლილი ნიჭისა, თავიდან სირთულეებსაც წააწყდებოდით.**

— პირველი ავტომობილი, „ბეემვე“, ახალი ნაყიდი მყავდა, როცა საქართველოში პატრული გაჩნდა. პატრულის მანქანა დამეჯახა, თუმცა რატომღაც ისე მოხდა, რომ მე დამადანაშაულეს, თითქოს მე დავეჯახე. მათი მანქანის გაკეთებაც მომიწია, მაგრამ საბოლოოდ ძალიან დავმეგობრდით და ის პატრული დღესდღეობით ჩემი უახლოესი მეგობარია.

— **ახლა პატრული ხშირად გაჩერებთ?**

— საქართველოს პატრული ჩემი ფულით იკვებება! რა თქმა უნდა, მოძრაობის წესებს ვარღვევ კიდეც, მაგრამ რამდენ ჯარიმასაც ვიღებ, იმდენი არ მეკუთვნის. ჯარიმის გადახდა ხშირად დამვიწყებია, რის გამოც 10 ლარის ნაცვლად 150 გადამიხდია. მას შემდეგ, რაც მოძრაობის წესები გამკაცრდა, სიჩქარის გადაჭარბებაზე 100 ლარიანი ჯარიმა უკვე მივიღე. ახლა ვცდილობ, სიჩქარე ვაკონტროლო.

ერთხელ მეგობართან ერთად ბათუმიდან თბილისში მოვდიოდი, ძალიან მეჩქარებოდა. ჩემი მეგობარი მთელ თბილისში რეკავდა, ეკოს ისე მოვყავარ, პატრულები სირენებით უკან მოგვყვებიანო. ღერძულა ხაზის გადაკვეთის გამო რამდენჯერმე გამაჩერეს. ვინც იმჩნევს, რომ ეკო ვარ, ის არ მაჯარიმებს, მაგრამ ჩემი ცნობადობით მაინც არასდროს ვსარგებლობ. რადგან ტელეეკრანზე ორჯერ გამოვჩნდი, მოძრაობის წესები უნდა დავარღვიო და ვიხულიგნო?! ჯორჯ მაიკლი, მაიკლ ჯექსონი და ნაომი კემბელი ხან რის გამო ისხდნენ ციხეში და ხან — რის გამო. ჩვენთან კი ხალხს რატომღაც ამბიციები აწუხებთ, ქუჩაში თუ ორი ადამიანი იცნობს, ჰგონიათ, რომ ყველაფერი ეპატიებათ.

— **თბილისურ მოძრაობაზე რა აზრის ხართ?**

— ფართო ქუჩებზე ხომ სამი რიგია და მძღოლს რომ წყვეტილი ხაზი მანქანის შუაში აქვს მოქცეული, გამოდის, მართვა მართლა არ იცის. ბოლო პერიოდში საცობები დიდ დისკომფორტს მიქმნის. კარგია, ახალი გზები რომ გაკეთდა, დღე და ღამე მის გამკეთებელს ვლოცავ. ავარიულ სიტუაციებს ძირითადად ქალები ქმნიან და არა — კაცები. საჭესთან ზომბი ვხდები, ყველას ვეჩხუბები, მაგრამ ქალებს — არა. ფეხით

## „მამაკაცები ჩემზე რომ ამბობენ, მანქანას კაცივით მართავსო, „სარკის" საშუალებით გავიგე".

მოსიარულე ქალს გზას ყოველთვის ვუთმობ. ქალი, რომელიც ავტომობილს კარგად მართავს, სხვა ქალებთან პრივილეგიით არ უნდა სარგებლობდეს. ქალმა საჭესთან რაც უნდა ჩაიდინოს, ვცდილობ, ლმობიერად მოვეკიდო, რასაც კაცებზე ვერ ვიტყვი.

— **კაცი მძღოლების მიმართ აგრესიას გამოხატავთ?**

— გვერდით მივუჩერებ მანქანას და პირდაპირ ვეტყვი, ეგ სარკეები რისთვის გაქვს, თუ არ ჩაიხედები ან მართვის მოწმობა ვინ მოგცა-მეთქი. ყოფილა შემთხვევა, როცა კაც მძღოლს საშინელება ჩაუდენია. თუ დაუსიგნალებ და საჭესთან გოგოს დაინახავენ, ყვირიან, მართვა რა იციო. ასეთ დროს, გაბრაზებულ გულზე, კაც მძღოლებს შეჯიბრში ვიწვევ.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლები ძალიან ცუდად დადიან, ქალის მიმართ არანაირი პატივისცემა არ გააჩნიათ, ხელებს ისე იქნევენ, არ მინდა, ვიფიქრო, რომ ცუდი სიტყვებით მამკობენ. არც ამ შემთხვევაში დამზარებია სამარშრუტო ტაქსზე გაკიდება. ერთხელ დავეწიე, ფანჯარა ჩავწიე და მძღოლს სოფლის ქალივით მივაწყევლე, თუ ჩემზე რამე ცუდი თქვი, ყველაფერი შენ და შენს ოჯახს დაგიბრუნდეთ-მეთქი.

— **მამაკაცები ხშირად გიწვევენ შეჯიბრში?**

— ახლა — არა, მაგრამ, როცა „ბეემვე“ მყავდა, ვილაცეები შეჯიბრში ხშირად მიწვევდნენ. მეც ძალიან აზარტული და ექსტრიმის მოყვარული ვარ და ხანდახან შეიძლება ასეთებს ავყვე კიდეც, მაგრამ ასეთი შემთხვევა სულ 2-3 მახსენდება. ჩემს მანქანას ძალიან დიდი ძრავი აქვს და ვიცი, რომ შანსი არ აქვთ, გამისწრონ. თუ ხასიათზე ვარ, გამოწვევას ვიღებ, ოღონდ ისე არა, მთელი დღე მანქანით ვირბინო. რამდენიმე მეტრს გავყვები და მივახვედრებ, რომ ჩემთან შეჯიბრება არ ღირს.

— **რა მარკის ავტომობილს ატარებთ?**

— უკვე რამდენიმე წელია, რაც „აუდი ა 4“ მყავს. ოთხივე თვალი წამყვანია. როცა ძალიან თოვს და მანქანები სახლში შეჰყავთ, მე გამოვდივარ და ვმანევრირებ. თან მინდა, გამოვცვალო, თან —არა, რომ არ ვაწყენინო. მანქანა პირველივე დღიდან უნდა შეიყვარო. კაცებისგან არ გსმენიათ, მანქანა ცოლივითააო? ვფიქრობ, რომ ავტომობილი ბევრი ქალისთვის ქმარზე საყვარელია. მანქანა რომ მიდის, ხმებს ვუსმენ და ამის მიხედვით ვხვდები, მას რა აწუხებს.

პატარა მანქანა არ მიხდება. ავტომობილი ქალის ხასიათს, ვიზუალს და თმის ფერს უნდა უხდებოდეს, როგორც ჩემი მანქანა მიხდება მე.

— **ალბათ ნაწილებშიც კარგად ერკვევით.**

— საკმაოდ. პროფილაქტიკაში დიაგნოსტიკის ფულს არასოდეს მართმევენ, რადგან როცა მივდივარ, ზუსტად ვეუბნები, მანქანას რა სჭირს. ერთხელ „აუდის“ ცენტრში მივედი და ვუთხარი, ჩემს მანქანას „ბაბინა“ დაეწვა და გაკეთება მინდა-მეთქი. ხელოსნებმა გაკვირვებულებმა შემომხედეს, თან ეცინებოდათ და ცოტა „პროფესორობდნენ“, ამ მანქანას 4 „ბაბინა“ აქვსო. ვუპასუხე, 6 აქვს და ერთ-ერთი დამწვარია-მეთქი. გახსნეს მანქანა და ნახეს, რომ ნამდვილად 6 „ბაბინა“ ჰქონდა და აქედან მე-5 დამწვარი იყო. „ბაბინა“ გახლავთ ნაწილი, რომელსაც ძრავში დენი გადააქვს.

— **თვითონაც შეგიკეთებიათ მანქანა?**

— ზეთი გამომიცვლია, მაგრამ საბურავის გამოცვლა არ მიცდია. პრინციპი კი ვიცი — ავწევ, მოვხსნი და გამოვცვლი. ერთხელ საჭეს ვატრიალებდი და რაღაც ხმას გამოსცემდა, მივხვდი, რომ „რულავოი კალონკას“ სითხე აკლდა. თან გამოპრანჭული ვიყავი, სადღაც მივდიოდი. ძლივს დავდიოდი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით. უცბათ ასფალტზე რაღაც დავაფინე, მუხლებზე დავდექი და მანქანას ქვეშ შევხედე. ზეთი გასდიოდა და ჩავასხი, რა პრობლემა იყო! ზამთარში ანტიფრიზსაც მე ვასხამ.

— **მამა როგორ აფასებს თქვენს უნარებს საჭესთან?**

— მამაჩემი თვლის, რომ კარგი მძღოლობა გენეტიკაში გვაქვს. სვანობა მაინც თავისას შვრება. შინაგანად ექსტრემალი ტიპი ვარ. პატარა თვითმფრინავიც ვმართე. გადასარევი შეგრძნებაა — ცოტა ადრენალინი და აჩქარებული გული.

— **ყოფილი შეყვარებული, ბექა ჩხაიძე, როგორ გაფასებთ, როგორც მძღოლს?**

— რა უფლებით უნდა შემაფასოს, როგორც ცუდი მძღოლი?! თუ ჩემს მაგარ მძღოლობაში ეჭვი შეეპარება, მასაც შევეჯიბრები! სიმართლე გითხრათ, ბექას საჭესთან შენიშვნები ნაკლებად მოუცია.

— **თქვენი ავტომობილის სალონს გულმოდგინედ უვლით?**

— ხან მოვლილია, ხან — არა. საბარგულში ორი წყვილი ფეხსაცმელი, სამი ხელი ტანსაცმელი, საცურაო კოსტიუმი და პირსახოცი გამუდმებით მაქვს. ცხოვრება ისეთი რამაა, არ იცი, სად მოგიწევს წასვლა. მანქანაში სამგზავრო ჩანთა სულ მიდევს, სადაც პატარა კბილის ჯაგრისი, შამპუნი და სხვა პირადი ნივთები მიწყვია.

✓ სოფიო ბოჭორიძე



Cyan Magenta Yellow Black

# ბექა ჩხაიძე ეკო ფანგანის დასაბრუნებლად იბრძვის

## „საყვარელ ქალთან მტყუანი ვარ“



მომღერალი ბექა ჩხაიძე და მოდელი, ახლა უკვე ტელესახეც, ეკო ფანგანი, სამი წელი ითვლებოდნენ შეყვარებულ წყვილად. მერე კი მოულოდნელად ერთმანეთს დაშორდნენ. როგორც ბექა ამბობს, ისინი გარემოცვისა და სხვათა ენების მსხვერპლი გახდნენ, მათი დაშორება შეცდომა იყო და ახლა ის სიყვარულის დასაბრუნებლად იბრძვის. რამდენიმე კვირის წინ ეკომ „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბექასთან შერიგებას არ გამორიცხავდა. სამწუხაროდ, როგორც ბექამ გვითხრა, ენის მიტან-მოტანამ არც ამ სტატიის დაბეჭდვის შემდეგ დააყოვნა და შერიგებამდე მისული საქმე ჩაიშალა.

**— ბექა, თქვენსა და ეკო ფანგანს შორის დიდი სიყვარული იყო. ჰარმონიული წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდით. მერე რა მოხდა თქვენ შორის, რატომ დაშორდით?**

— ჩემი და ეკოს დაშორება ვითომ კეთილისმსურველი ხალხის დამსახურებაა, ვითომ ჯიგრების, რომლებსაც გულის სიღრმეში ჩვენი დაშორება ძალიან უხარიათ. ასეთებს რა გამოლევს? უბრალოდ ხალხს არ უნდა ავყოლოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, მე და ეკო ალბათ სხვების ენებს ავყევით. ჩვენს ურთიერთობას დაშორებას ვერ დავარქმევ.

შეიძლება ვერ გითხრათ, მომავალში რა მოხდება, მაგრამ ისიც ხომ ხშირად ხდება, რომ ნაჩხუბარი, დაშორებული წყვილი წლების შემდეგ რიგდება... მინდა, ჩვენს ყველა „კეთილისმსურველს“ გადავცე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 5-6 თვეა ერთად აღარ ვართ, არ ვთვლი, რომ მასთან დაშორებული ვარ.

> **„ჩვენი დაშორება ვითომ კეთილისმსურველი ხალხის დამსახურებაა, ვითომ ჯიგრების, რომლებსაც ჩვენი დაშორება ძალიან უხარიათ. სამწუხაროდ, სხვების ენებს ავყევით“.**

**— კონტაქტებით ერთმანეთს?**

— კი, ისე რა. ტელეფონით ვეხმიანებით ერთმანეთს. სიმართლე გითხრათ, ერთმანეთის ნახვას ორივე თავს ვარიდებთ, რატომ — არ ვიცით, ალბათ გულის ფართხალის ამბავია! რამდენიმე დღეა, არ დამირეკავს. როცა საჭიროა, თვითონაც მირეკავს, ერთმანეთის მტრები კი არ ვართ!

**— არ გისაუბრიათ ამ თემაზე, რომ ურთიერთობა თავიდან დაგეწყოთ?**

— როგორ არა, მაგრამ რაღაც ნიუანსები არსებობს, რაშიც მტყუანი ვარ და ამის განხილვა-გადახარშვა მიდის.

**— დაშორებაში საკუთარ თავს ადანაშაულებთ?**

— კი, ბევრ რამეს ალბათ მაინც ჩემს თავზე ვიღებ, მაგრამ ვის არ უჩხუბია და ვინ ვის ვითომ არ დაშორებია?

**— რამდენიმე თვე ეკოს გარეშე — როგორ გრძნობთ თავს?**

— ეკოს გარეშე უდიდეს დისკომფორტს ვგრძნობ. სამი წლის განმავლობაში ერთმანეთს შევეჩვიეთ, დროის უმეტეს ნაწილს ერთად ვატარებდით. რთულია იმ ადამიანის გარეშე ყოფნა, რომელიც ძალიან მიყვარს. თუმცა, თუ სამუდამოდ დავშორდებით, არც ეს იქნება კატასტროფა, ვინ არ დაშორებულა?

**— ეკოს სიყვარულის დასაბრუნებლად რას აკეთებთ?**

— ტრაბახს ვერ დავიწყებ, მაგრამ ეკოსთან ერთად ბევრი რამ ხალხმაც ნახა. სადარბაზოსთან გულების დანთებაზე კიდევ რა გითხრათ? ვინ აღარ სთხოვს, რომ შემირიგდეს. ეკო ჩემს ქმედებებს დადებითად აფასებს, ძალიან გაუხარდა და ეს მან პირადადაც მითხრა. ქალია და მაინც ვთვლი, რომ ამ ყველაფრის გადახარშვას დრო სჭირდება. ჩემი გადმოსახედიდან მამაკაცები ცოტა თავხედები ვართ... შეიძლება მასთან ისეთი შეცდომა დავუშვი, დრო სჭირდება. ურთიერთობა მხოლოდ სადარბაზოსთან ცეცხლის დანთებით არ წყდება, ეკოს ჩემზე წყენამ უნდა გაუაროს.

**— შეიძლება ითქვას, რომ შერიგების პროცესში ხართ?**

— არ ვიცი. ამ ტლიკინა და ვითომ კეთილისმსურველი ადამიანების ხელში რამდენჯერაც შერიგებამდე მივედით, იმდენჯერ უბედურება დატრიალდა. ერთ რამეში დავრწმუნდი, არავის უნდა მოუსმინო. ერთმანეთში ყველაფერი პირადად უნდა გაგვერკვია, ამას კი ვერ მივაღწიეთ. ენის მიტან-მოტანამ დაგვაშორა, ვიღაცეებმა ჯერჯერობით თავისი გაიტანეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერავინ გაიტანს თავისას.

**— ბოლომდე იბრძოლებთ?**

— ხელჩაქნეული რომელი კაცი გინახავთ? ან რომელი კაცი გინახავთ მიზნისთვის რომ არ მიეღწიოს?

**— ეკომ რამდენიმე კვირის წინ „სარკესთან“ აღნიშნა, რომ თქვენთან შერიგებას არ გამორიცხავს და ძალიან დადებითადაც მოგიხსენიათ.**

— მე და ეკო ერთმანეთს სამუდამოდ რომ დავშორდეთ, დარწმუნებული ვარ, მთელი ცხოვრება მისთვის ისევ ის ბექა ვიქნები და ის ჩემთვის ისევ ის ეკო იქნება, ვინც მიყვარდა. თუ ყურს მოვკრავ, რომ ეკოს ცხოვრებაში ვჭირდები, მის გვერდით ვიქნები, რადგან ის ყველაზე ერთგული ადამიანია, მე ეს პირადად გამოვცადე. შეიძლება ეკო ჩვენს შერიგებას არ გამორიცხავს, მაგრამ ისიც თქვა, ამ ეტაპზე არ მცალია, სამსახური მაქვსო. ალბათ ამისთვისაც ექნება დასაფიქრებელი დრო.

> **„ჩემთვის ეკოს სამუდამოდ დაკარგვა ჯერჯერობით წარმოუდგენელია. უნდა დავიჯერო, რომ საბოლოოდ ისევ ერთად ვიქნებით. ვიცი, რომ ეკოს სიგიჟემდე ვუყვარვარ და თვითონაც კარგად იცის, რომ მეც სიგიჟემდე მიყვარს“.**

**— სანამ დაშორდებოდით, თქვენი ურთიერთობა რა ეტაპზე იყო, დაოჯახებას ხომ არ აპირებდით?**

— საბოლოო ჯამში, ოჯახი უნდა შეგვექმნა, მაგრამ იმ პერიოდში არ ვფიქრობდით. უკვე ის ურთიერთობა გვქონდა, რომ ქორწინებამდეც მივიდოდით. სიმართლე გითხრათ, ამ საკითხს დიდ ყურადღებას არც ერთი ვაქცევდით. ეკო ისეთი ოჯახის შვილია, ნამდვილად არ მოხდებოდა, რომ ბექა ჩხაიძესთან ერთად ევლო რამდენიმე წელი და ოჯახი არ შეექმნა. ვიცი, ძალიან გულნატკენია. თუ გადახარშავს, ხომ კარგი, თუ არადა, მაინც გადავახარშვინებ. თუ ვერაფერმა გაჭრა, ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს!

> **„თუ შევრიგდებით, მაშინვე ერთნი უნდა გავხდეთ, ერთად ვიცხოვროთ, თორემ ჩვენ შორის ისევ არეულობა მოხდება“.**

**— ეკოს დასაბრუნებლად დიდხანს რომ მოგიწიოთ ბრძოლა, მოთმინება გეყოფათ?**

— ჩემთვის ეკოს სამუდამოდ დაკარგვა ჯერჯერობით წარმოუდგენელია და სადამდეც საჭიროა, იქამდე ვიბრძოლებ. უნდა დავიჯერო, რომ საბოლოოდ ისევ ერთად ვიქნებით. ვიცი, რომ ეკოს სიგიჟემდე ვუყვარვარ და თვითონაც კარგად იცის, რომ მეც სიგიჟემდე მიყვარს. რაც უფრო ნაკლებად მოვუსმენთ ხალხს, ორივესთვის უკეთესი იქნება.

**— მის ხასიათს ალბათ კარგად იცნობთ.**

— ეკო ემოციურია, მაგრამ ვთვლი, რომ ეს საჭიროა. ბევრი დადებითი თვისება აქვს, თურმე ყველაზე კარგი ყოფილა. თუ შევრიგდით, ხომ კარგი, თუ არა და, ამით ქვეყანა არ დაინგრევა, მაგრამ ერთმანეთთან იმხელა სიყვარული გვაკავშირებს, უკეთესია, შევრიგდეთ.

**— ამ 6 თვის განმავლობაში, რაც ერთად არ ხართ, თქვენს ცხოვრებაში სხვა ურთიერთობის დაწყების მცდელობა არ ყოფილა?**

— არა, ეს პერიოდი თვალი არავისკენ გამქცევია, ალბათ არც ეკოს გაქცევია თვალი ვინმესკენ.

**— როგორია სიმღერა მაშინ, როცა საყვარელი ქალი გვერდით არ გყავთ?**

— ეკო რომ ჩემს სიმღერებს უსმენს, რასაც იმ დროს გრძნობს, მეც იმავეს განვიცდი, როცა ვმღერი და ვიცი, რომ ჩემ გვერდით არაა.

**— თქვენს კარიერაში რა სიახლეებია?**

— ჩვენს ანსამბლს უამრავი სიახლე აქვს, ამერიკაში მივდივართ, იქ კონცერტები იგეგმება, მალე კლიპსაც გადავიღებთ. სპონსორის სახითაც ძალიან კარგი პიროვნება გამოჩნდა.

**— ამ ხნის განმავლობაში ეკო თუ ესწრებოდა თქვენს საღამოებს?**

— კი, რა თქმა უნდა. მას ჩვენი საღამო წაუყვანია კიდეც.

**— ამ ეტაპზე შერიგებისკენ მიდის საქმე?**

— მე და ეკო გარემოცვის მსხვერპლი ვართ. უკვე ვრიგდებოდით, მაგრამ ეს „ფეისბუქი“ კიდევ ერთი უბედურებაა. ვიღაც უსახელომ ეკოს მისწერა, ახლა ბექა იქ არის და „გულაობსო“. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი ჟურნალის საშუალებით ჩვენს „კეთილმოსურნეებს“ ვუთხრა: თქვენი დღეც დადგება, ყველა სათითაოდ აგებთ პასუხს!. თუ შევრიგდებით, მაშინვე ერთნი უნდა გავხდეთ, ერთად ვიცხოვროთ, თორემ ვიცი, ჩვენ შორის ისევ არეულობა მოხდება.

✓ სოფიო ბოჭორიძე


**ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი**



სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გპირდებათ...

**ჩაწერა ხდება წინასწარ.**

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.




Cyan Magenta Yellow Black

# გოგა მესხს ოთხ ტონანახევრიანი კედელი დაეცა

## „სამჯერ დავიბადე, ერთხელ — ბუნებრივად, ორჯერ კი — გადარჩენილი ვარ"

2009 წლის აპრილში თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე, ტრაგედია დატრიალდა. ხუთსართულიანი შენობა, სადაც „რუსთავი 2"-ის რეალითი შოუს „ვარსკვლავების აკადემიის" მონაწილეები და შემოქმედებითი ჯგუფი იმყოფებოდა, ჩამოინგრა. შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა, იყო მსხვერპლი — ორი ტექნიკური მუშაკი დაიღუპა, შოუს მონაწილეები კი, რაღაც სასწაულით, უვნებლად გადარჩნენ.

მაშინ პროექტში ახალგაზრდა შემსრულებელი გოგა მესხიც მონაწილეობდა. მან, ისე როგორც დანარჩენებმა, სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო, თუმცა იმ მომენტში არ დაიბნა და მეგობრებს დაეხმარა.

ერთი წლის წინ გოგა იმავე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სახლს არემონტებდა, მუშებს ეხმარებოდა, როცა კედელი ჩამოინგრა და მკერდსა და ფეხებზე დაეცა. ნანგრევები თავს სულ რაღაც ათი სანტიმეტრით ასცდა, სამაგიეროდ სხეულზე გოგამ მძიმე ტრავმები მიიღო...

28 წლის მომღერალმა „სარკესთან" საუბარი ბოლო შემთხვევის გახსენებით დაიწყო:

— შარშან, 23 ივლისს, ბევრი კამათის შემდეგ, ოჯახში ჩემი გავიტანე და სახლში სარემონტო სამუშაოები დავიწყეთ. მუშები დავიბარეთ. ორი კედელი იყო დასანგრევი. ვიფიქრე, მუშებს მეც მივეხმარები და ნანგრევებს ტომარაში ჩავყრი-მეთქი. მუშამ შეცდომა დაუშვა, კედლის დანგრევა არასწორად დაიწყო. დაახლოებით ოთხ ტონანახევრიანი კედელი ჩამოინგრა და ქვეშ მომიყოლა.

— **მარტო თქვენ მოყევით თუ მუშაც?**

— მუშა მოშორებით იდგა, კედელმა მხოლოდ მე მომიყოლა. სხვათა შორის, მანამდე ვკითხე, კედლის ჩამონგრევის საშიშროება იყო თუ არა. არაო — მუშამ მიპასუხა. წარმოიდგინეთ, 12 კვადრატული მეტრის ბეტონი ჩამოინგრა. ისეთი დიდი კედელი იყო, ჩემმა მეგობრებმა მისი ნანგრევები დაახლოებით 150 ტომრით ჩაიტანეს.

— **სხეულის რა ნაწილზე დაგეცათ ჩამონგრეული კედელი?**

— მკერდსა და ფეხებზე. თავზე რომ დამცემოდა, დღეს ცოცხალი ნამდვილად არ ვიქნებოდი.

**„ვარსკვლავების აკადემიის" დროს ხუთსართულიანი შენობა მიწასთან გასწორდა, მხოლოდ ჩვენი საძინებელი ოთახები გადარჩა. 300 კვადრატული მეტრი ჩამოინგრა. დღემდე არ ვიცი, ჩვენი ოთახები როგორ არ დაინგრა...".**

— **საშინელ ტკივილს იგრძნობდით. იმ მომენტში გონება ხომ არ დაკარგეთ?**

— ძალიან უცნაურია, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. სამი ნეკნი გავიტეხე და ორივე ფეხი მოვიტეხე. შოკის გამო ტკივილსაც ვერ ვგრძნობდი. ერთ ფეხზე მუხლი გვერდზე მქონდა შებრუნებული. ამის შემხედვარე ჩემი ოჯახის წევრები ცუდად გახდნენ...

ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გადამიყვანეს, გამოკვლევები ჩამიტარეს, ფეხების და ნეკნების მოტეხილობის გარდა, სხვა ორგანოებიც ხომ არ მქონდა დაზიანებული, მაგრამ გადავრჩი. საავადმყოფოდან მეორე დღესვე გამწერეს, სახლში წოლითი რეჟიმი მქონდა. ფეხზე ერთი თვის მერე გავიარე.



— **ვერ დაინახეთ, კედელი რომ გეცემოდათ?**

— დავინახე, მაგრამ გაქცევა ვერ მოვასწარი, უკან შეფუთული ავეჯი იდგა და ვერ გავასწარი.

— **იმ მომენტში რა გაიფიქრეთ?**

— საერთოდ არაფერი. ალბათ ასეთ დროს ვერაფერზე ფიქრობ. მომხდარს და იმას, თუ რა შეიძლებოდა დაგმართნოდა, შემდეგში აანალიზებ. წერას ვყავდი ატანილი, მაგრამ ღმერთმა დამიფარა! მანამდე, ერთი თვის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე, სახლში ვჩხუბობდი, რემონტი გავაკეთოთ-მეთქი. ამ შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ ისრაელში გასტროლი იყო დაგეგმილი, მერაბ სეფაშვილის ბექვოკალში ვმღეროდი. ოჯახის წევრები მეუბნებოდნენ, ჯერ გასტროლზე წადი და იქიდან რომ დაბრუნდები, რემონტი მერე გავაკეთოთო, მაგრამ ავიჩემე, გინდა თუ არა, ახლა დავიწყოთ-მეთქი...

ღვთის წყალობით გადავრჩი. სხვა შემთხვევაში, იქ ადამიანის გადარჩენა გამორიცხული იყო. წარმოიდგინეთ, რამდენიმეტონიანი კედელი დამეცა! თავს არ ვიქებ, მაგრამ ფიზიკურად ფორმაში ვარ. როგორც ექიმებმა თქვეს, ჩემს ადგილზე ფიზიკურად ცოტა სუსტი ადამიანი რომ ყოფილიყო, ვერ გადარჩებოდა.

— **რთულად გადაიტანეთ ის პერიოდი, როცა სახლში იწექით?**

— გული იმაზე დამწყდა, ისრაელში გასტროლზე რომ ვერ წავედი. მეგობრები, ნინი შერმადინი და გიორგი ჩიქოვანი, ძალიან დამეხმარნენ. როცა ჩემ სანახავად მოდიოდნენ, მათი საუბარი ძალას მმატებდა. ისრაელში წამოსვლა ყავარჯნებითაც რომ მოგიწიოს, უარი მაინც არ თქვა, ჩვენ დაგეხმარებით, იქ მაცხოვრის საფლავთან რომ მიხვალ, ფეხზე გაივლი, ყავარჯნებს გადააგდებო მეუბნებოდნენ. ეს სიტყვები ძალიან დამეხმარა, მაგრამ, დედაჩემის და ექიმების დაჟინებული თხოვნით, არ წავედი. მითხრეს, შეიძლება დაკოჭლდეო და აღარ გავრისკე.

ახლა ძალიან მიკვირს, ის პერიოდი როგორ გადავიტანე, მაგრამ სახლში კარგი პირობები მქონდა, ოჯახის წევრები მივლიდნენ, მათი მადლობელი ვარ, თან გადამყვნენ. იმ პერიოდში მუსიკალური კონკურსი „ახალი ხმა" გადიოდა და ჩემი მეგობრების საგულშემატკივროდ ყავარჯნებით დავდიოდი.

— **სახლში ყოფნის პერიოდში ალბათ ბევრ რამეზე დაფიქრდით, ბევრი რამ გადააფასეთ.**

— ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ამ შემთხვევის შემდეგ უფრო ფრთხილი, ყურადღებიანი გავხდი. ყოველ შემთხვევაში, კედლის დასანგრევად არავის გავყვები. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. უფრო დაკვირვებული კი გავხდი, მაგრამ, როცა საჭესთან ვზივარ, სისწრაფე მაინც ძალიან მიყვარს... სიკვდილს ორჯერ გადავურჩი და, იმედია, არ გავასამებ.

— **მანამდე, პროექტ „ვარსკვლავების აკადემიაში" გადაურჩით სიკვდილს. მაშინაც შენობა ჩამოინგრა. ის და ეს შემთხვევა რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან?**

— ეს ორივე შემთხვევა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. მაშინ შენობის ჩამონგრევისას შოკი მივიღე, ოღონდ მას შემდეგ, როცა დავფიქრდი, თუ რა შეიძლებოდა, თითოეულ ჩვენგანს დაგვმართნოდა. იმ კონკრეტულ მომენტში კი ამაზე ვერ ვფიქრობდი, პირიქით, მხნედ ვიყავი, ბავშვებს მოვუარე, ჩავაცვი კიდეც. წარმოიდგინეთ, ხუთსართულიანი შენობა მიწასთან გასწორდა, ძალიან დიდი ალბათობა იყო, ყველაფერი საშინლად დამთავრებულიყო. მხოლოდ ჩვენი საძინებელი ოთახები გადარჩა, 300 კვადრატული მეტრი ჩამოინგრა. დღემდე არ ვიცი, ჩვენი ოთახები როგორ არ დაინგრა. მაშინ ფსიქოლოგიური შოკი მივიღე, მეორე შემთხვევაში კი საშინელი ფიზიკური ტკივილი მქონდა. ერთი სიტყვით, სამჯერ დავიბადე, ერთხელ — ბუნებრივად, ორჯერ კი — გადარჩენილი ვარ. გამოდის, რომ მართლა ხიფათიანი ვარ.

**„სამი ნეკნი გავიტეხე და ორივე ფეხი მოვიტეხე. შოკის გამო იმ მომენტში ტკივილსაც ვერ ვგრძნობდი. ერთ ფეხზე მუხლი გვერდზე მქონდა შებრუნებული. ამის შემხედვარე ჩემი ოჯახის წევრები ცუდად გახდნენ...".**

— **ახლა როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა? მოტეხილობები ბოლომდე შეგიხორცდათ?**

— მარცხენა ფეხი ბოლომდე მორჩენილი არ მაქვს. ამას წინათ კალათბურთის თამაშისას მეტკინა. კალათბურთის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ამ სპორტს ექიმის დაუდევრობის გამო ვერ გავყევი. მისი თქმით, გულის ასაკობრივი პრობლემა მქონდა და ჩემთვის არ შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევში, მოვკვდებოდი. კალათბურთს თავი რომ დავანებე, ორი წლის შემდეგ ექიმმა მითხრა, შეგიძლია თამაში განაგრძო, ისეთი არაფერი გჭირდაო.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# ნანიკო ხაზარაძემ „მაესტრო“ „დღის შოუს“ გამო დატოვა



ტელეკომპანია „მაესტრო“ კიდევ ერთმა ტელესახემ დატოვა. ამჯერად ეს ნაბიჯი ნანიკო ხაზარაძემ გადადგა. ტელეარხი, რომელმაც წლების წინ ის პოპულარულ „ტოროლად“ აქცია და რომელმაც ის ცოტა ხნის წინ, უმუშევრობის ჟამს შეიფარა, ნანიკომ ისევ „იმედში“, გადაცემა „დღის შოუში“ დაბრუნების შანსის გამო დატოვა. თურმე ის გუნდი მოენატრა, ვისთან ერთადაც ამ გადაცემაზე მუშაობდა. „სარკესთან“ შეხვედრაც ამ ტელეკომპანიაში ისურვა. თუ ვინ იქნებიან მისი თანაწამყვანები, ამის შესახებ არაფერს ამბობს, დაბეჯითებით მხოლოდ ის გვითხრა, რომ დოდო ხურცილავა და ია ფარულავა დღის შოუს ეთერში ნამდვილად არ ბრუნდებიან.

**— ნანიკო, გაგვიკვირდა, ისევ „იმედში“ რომ გიხილეთ. აქ როგორ აღმოჩნდით?**

— ტელესეზონი რომ დასრულდა, შვებულებაში გავედით, მომავალი სეზონისთვის ვემზადებოდით და ამ მოლოდინში ისევ „იმედში“ აღმოვჩნდი. ამ ტელეკომპანიიდან შემოთავაზება მივიღე და კვლავ შუადღის ეთერში დავბრუნდები.

**— ია ფარულავამ, რომელსაც „დღის შოუ“ თქვენთან ერთად მიჰყავდა, სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ამ გადაცემას აღარ წაიყვანს. თქვენ რატომ დათანხმდით ამ წინადადებას?**

— არ ვიცი, იამ უარი თქვა თუ არა. ძალიან მიყვარს ჩემი კოლექტივი და აქაურობა. ამიტომ გამიხარდა, ეს წინადადება რომ შემომთავაზეს. ძველი გუნდი ისევ ერთად ვართ, თანაწამყვანებს თუ არ ჩავთვლით. ამ ტელევიზიაში, როგორც სახლში, ისე ვგრძნობ თავს.

**— „მაესტროც“ თქვენი სახლი იყო, პირველი ნაბიჯები სწორედ ამ ტელევიზიაში გადადგით, როგორც ტელესახემ. მამუკა ღლონტთან ალბათ რთული იქნებოდა იმაზე საუბარი, რომ ისევ მიდიოდით.**

— სანამ „იმედში“ შეხვედრაზე მივიდოდი, ამის შესახებ მამუკა ღლონტს ვუთხარი. ისე ვერ წავიდოდი, რომ არაფერი მეთქვა, რადგან სინდისი შემაწუხებდა. მითხრა, თუ იქ უფრო სტაბილურად და კარგად იქნები, ცხადია, უნდა წახვიდეო. ეს ნაბიჯი მასთან შეთანხმებით გადავდგი.

**— „მაესტროზე“ როგორ აღმოჩნდით მას მერე, რაც „დღის შოუ“ დახურეს?**

— მამუკასთან სხვა გადაცემით მივედი და იმ დროს მოვიდა ნიკაც ასევე სხვა გადაცემით. მამუკამ ერთად რომ დაგვინახა, თქვა, ცუდი იდეა არ იქნება, ეთერი ისევ ერთად რომ წაიყვანოთო.

**— თქვენი პარტნიორი ნიკა ლომიძეც ხომ არ აპირებს ახლა სხვაგან გადასვლას?**

— არ ვიცი, ნიკა რას აპირებს. დიდი ხანია მასთან კონტაქტი არ მქონია.

**— როგორი იქნება ახალი „დღის შოუ“?**

— ეს ახლა წყდება. გარკვეულ მონახაზი ვიცი, მაგრამ დეტალებზე საუბრის უფლება არ მაქვს.

**— ახალ გადაცემაში ახალი იმიჯით გამოჩნდებით?**

— შეიძლება იმიჯი შევიცვალო, მაგრამ ამაზეც ვერაფერს ვიტყვი. ეთერში სექტემბრიდან გავალთ.

**— თანაწამყვანები ცნობილი სახეები იქნებიან? ვიცით, რომ ერთ-ერთ წამყვანად მსახიობი ნინო გაჩეჩილაძე მოიაზრება.**

— თანაწამყვანების შესახებაც ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ, სამწუხაროდ, ძველები არ იქნებიან.

**— გენატრებათ ძველი „დღის შოუ“?**

— ის ჩემთვის ცხოვრების წესი იყო. უკვე ჩვევაში მქონდა გადასული დილით სამსახურში მისვლა და გადაცემაზე მუშაობა. ჩემი საქმე ძალიან მიყვარდა და, ბუნებრივია, მომენატრა კიდეც. მაგრამ მან დაასრულა თავისი პერიოდი და ახლა ახალი შოუს დროა.

**— ყოფილ თანაწამყვანებთან დაკავშირებით იყო გარკვეული უთანხმოებაც...**

— მე, პირადად, უთანხმოება არავისთან მქონია.

**— დღემდე გაქვთ ურთიერთობა ყოფილ თანაწამყვანებთან?**

— ერთმანეთს ყოველდღე არ ვურეკავთ, მაგრამ ხშირად მოვიკითხავთ ხოლმე. „ფეისბუქზე“ ჯგუფი გვაქვს შექმნილი, სადაც ერთმანეთს ვეხმიანებით. ტრადიციად გვაქვს ხინკლის ერთად მირთმევა. რატომ ავიჩემეთ ეს ხინკალი, არ ვიცი.

**— როცა „დღის შოუს“ წამყვანი იყავით, ხშირად გიწევდათ კრიტიკის მოსმენა?**

— პირში არავინ გაკრიტიკებს და ეს ძალიან სამწუხაროა. ყველა გიღიმის და გეუბნება, რომ კარგი ხარ, ზურგს უკან კი თურმე გჭორავენ. ჩემ შესახებ ჯერჯერობით ისეთი არაფერი მომისმენია, რომ გული მტკენოდა. ალბათ კარგია, რომ არ გამიგია ისეთი რამ, რაც უკან დამხევდა. პირიქით, სულ კარგი მესმის. მჯერა იმ გუნდის წევრების, ვისთან ერთადაც ვმუშაობ და მათ აზრს ვითვალისწინებ.

**„პირში არავინ გაკრიტიკებს და ეს ძალიან სამწუხაროა. ყველა გიღიმის და გეუბნება, რომ კარგი ხარ, ზურგს უკან კი თურმე გჭორავენ“.**

**— ერთი პერიოდი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძის და თქვენი რომანი თუ დაშორება აქტუალური თემა იყო. დღეს რა ურთიერთობა გაქვთ მასთან?**

— ვმეგობრობთ. ცოტა ხნის წინ კაფეშიც ვისხედით ერთად. იშვიათად დავდივარ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ დღეს შევიკრიბეთ.

**— საერთოდ რა იყო ეს ურთიერთობა, ამ ხანმოკლე რომანს რას დაარქმევთ?**

— ეს იყო სოციალური ქსელით თამაშის ერთ-ერთი ნაწილი.

**— ეს არ იყო პიარი?**

— მე არ მჭირდება არანაირი პიარი. არა იმიტომ, რომ მაგარი ტიპი ვარ, არამედ უბრალოდ არ მჭირდება! მით უმეტეს, ეს ამისთვის არ გაკეთებულა. გულწრფელად ვამბობ, ამ ურთიერთობაში პიარს არანაირი ადგილი არ ჰქონია.

**— ხშირად ამბობენ, რომ პირადი ცხოვრება კარიერის აწყობაში ხელს უშლით ადამიანებს. ეთანხმებით ამ აზრს?**

— ერთი მეორეს არანაირად უშლის ხელს. ვთვლი, რომ ქალი თუ წარმატებულია პირად ცხოვრებაში, თავის საქმეს ბევრად კარგად აკეთებს.

**— თქვენ ბევრად კარგად აკეთებთ თქვენს საქმეს ამ ეტაპზე?**

— არა, ანუ არაფერი ხდება ჩემს პირად ცხოვრებაში, მაგრამ ზოგადად ვცდილობ, ჩემი საქმე შედეგიანი იყოს.

**— ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებამ ქართული შოუბიზნესი ორად გაყო. რას ფიქრობთ ამის შესახებ? თქვენ ხომ შოუბიზნესშიც პოპულარული სახე ხართ.**

— ვთვლი, რომ ეს ცუდია. ადამიანის პოლიტიკური ორიენტაცია სცენაზე მის დგომა-არდგომას არ უნდა ეხებოდეს. ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია. საერთოდ პოლიტიკა ჩემი საქმე არაა. ამ სფეროში იმდენად ღრმად არ ვარ ჩახედული, რომ ჩემი კონკრეტული მოსაზრება ხმამაღლა ვთქვა. შეიძლება ძალიან სუბიექტური ვიყო და დიდი შეცდომა დავუშვა. მირჩევნია, ანალიზი გავაკეთო სხვადასხვა წყაროდან, ვიდრე ჩემი აზრი ხმამაღლა დავაფიქსირო.

**— ამ ზაფხულს სად იყავით?**

— მხოლოდ ერთი კვირა მოვახერხე დასვენება. ჩემს შვილთან, 10 წლის ლილუ ნუცუბიძესთან, მეგობართან და მის ბავშვთან ერთად ვიყავი ურეკში. ცხოვრებაში პირველად გადავწყვიტე იქ დასვენება, რადგან არ მინდოდა ხალხმრავლობა. ჩემთვის დასვენებაა ცოტა ხალხი და ყურადღების ცენტრში ნაკლებად ყოფნა. ამ დროს კი მოვხვდი დედამიწის ცენტრში, რადგან ურეკში ძალიან ბევრი ხალხი იყო. ასე რომ, დასვენება არ გამომივიდა. დავიღალე და ჩამოვედი.

**— ლილუს რა დროს უთმობთ, როცა მუშაობთ, თქვენი გრაფიკი ხელს არ გიშლით დედა-შვილს ურთიერთობაში?**

— ისე ვახერხებ მუშაობას, რომ მე და ლილუს ურთიერთობის დეფიციტი არ გვქონდეს. ის რომ ამთავრებს სკოლას, მეც მაშინ გამოვდივარ სამსახურიდან. სკოლიდან ხშირად მე გამომყავს. არასდროს უგრძვნია უდედობა. ახლა, რაც წამოიზარდა, თავს უფლებას ვაძლევ, რომ ბებიასთან დავტოვო. ვიცი, რომ უჩემობას ისე აღარ განიცდის, როგორც პატარა ასაკში.

✓ მანანა ნოდია

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

სცენა

# ლაშა ღლონტი: „ამერიკაში კონცერტის დროს არ მინერვიულია იმდენი, რამდენიც ბათუმში ვინერვიულე“




კვარტეტ „ალილოს“ ხელმძღვანელი, ლაშა ღლონტი, სიმღერით მთელ მსოფლიოს უვლის და ქართველი ემიგრანტებისგან ყველგან დიდი სიყვარულს იღებს, მაგრამ ყველაზე თბილი ქალაქი მისთვის ბათუმია, სადაც დაიბადა და გაიზარდა. რამდენიმე კვირის წინ მომღერალმა საყვარელ ქალაქს სოლო კონცერტი მიუძღვნა. ორსაათიან პროგრამაში კვარტეტი „ალილო“ და ლაშას ქალიშვილი ანა ღლონტიც მონაწილეობდნენ. კონცერტმა ანშლაგით და ზღვა ემოციით ჩაიარა. ამ ემოციებს ლაშა ღლონტი ახლა „სარკეს“ უზიარებს.

**— ბატონო ლაშა, საკონცერტო ნერვიულობამ უკვე ჩაიარა. ახლა მშვიდად შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ შეხვდით თქვენ და ბათუმი ერთმანეთს.**

— ჩემი სოლო კონცერტი ბათუმის ოპერის თეატრში 16 აგვისტოს გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კვარტეტმა „ალილომ“ და ჩემმა ქალიშვილმა ანამ. საღამომ სრული ანშლაგით ჩაიარა. უამრავი ტურისტი იყო, მათ შორის გამოვყოფ გერმანელებს, რომლებსაც ჩვენი ენა არ ესმოდათ, მაგრამ ქართული სიმღერა ძალიან კარგად შეიგრძნეს. კონცერტის დამთავრების შემდეგ კულისებში შემოვიდნენ და თავიანთი ემოციები გამიზიარეს. ჩემი უკრაინელი მეგობრები სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვიდნენ ბათუმში.

**„ნიუ იორკში და მის შემოგარენში დაახლოებით 200 000 ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. მინდა, „სარკის“ საშუალებით ისინი მოვიკითხო, მათ უყვართ და ენატრებათ ქართული სიმღერა. გაოცებული დავრჩი — ჩემს სიმღერას „მონატრებიხარ ფიქრებს“ მთელი დარბაზი მღეროდა, ფაქტობრივად მე არ მიმღერია“.**

**— რა რეპერტუარით წარდექით მსმენელის წინაშე?**

— კონცერტი, სახელით „ლაშა ღლონტი და მეგობრები“, ერთი წლის წინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ ესტრადის მომღერლები, ჩემი მეგობრები. ამჯერად, სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს ბათუმში კონცერტზე ჩემ გვერდით ყოფნა, რადგან სხვადასხვა ტურნეებით იყვნენ დაკავებული. ბათუმის კონცერტისთვის ერთი თვით ადრე დავიწყეთ მზადება. ძველი და ახალი სიმღერები შესრულდა, ფაქტობრივად იმპროვიზირებული საღამო იყო.

მინდა, მადლობა ვუთხრა ადგილობრივ მსმენელს, თბილისელ დამსვენებელს. ისინი დარბაზში ბევრნი იყვნენ. ამ კონცერტს მედიის მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ყველა ტელეარხმა გააკეთა სიუჟეტი. მსმენელი ამბობდა, დიდი ხანია ბათუმში ასეთი კარგი საღამო არ ჩატარებულაო. ჩემი მხრიდან უხერხულია ამაზე საუბარი, მაგრამ მაყურებელი ვერ მალავდა ემოციას. კონცერტის შემდეგ ბანკეტი გვქონდა. შემდეგ ქობულეთშიც გავმართეთ კლუბური საღამო.

**— თბილად შეგხვედრიათ მშობლიური ქალაქი.**

— ბათუმი ჩემი ქალაქია, იქ დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც ბათუმში დავამთავრე. მოვიდნენ ჩემი ბავშვობის მეგობრები, სკოლის ამხანაგები, მასწავლებლები, სიმღერის პედაგოგები, ამიტომ ეს კონცერტი ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლო იყო. რამდენიმე თვის წინ მე და ნატო გელაშვილს ამერიკის შეერთებულ შტატებში გვქონდა სოლო კონცერტი და იქ არ მინერვიულია იმდენი, რამდენიც 16 აგვისტოს ბათუმში. მაყურებელი ზღვა ემოციას მაძლევდა დარბაზიდან.

**— შარშან ფილარმონიაში გამართულ სოლო კონცერტზეც იმღერა თქვენმა ქალიშვილმა. ერთი წლის შემდეგ რა ცვლილებას ამჩნევთ მასში, იგრძნობა ზრდა?**

— ჩემი ქალიშვილი თეატრალურ უნივერსიტეტში კინომცოდნეობაზე სწავლობს, დატვირთული გრაფიკი აქვს, მაგრამ სიმღერასაც ასწრებს. მიხარია, რომ ამ მხრივ მასში დიდი წინსვლა შეინიშნება. იყო პერიოდი, როცა ანა ნაკლებად იყო სიმღერით დაკავებული, მაგრამ ახლა ისევ მოიწადინა. ვნახოთ, რა გამოვა. არ მინდა, ჩემი გავლენის ქვეშ მოექცეს და ხალხმა მისი ნამღერი მარტო იმიტომ დააფასოს, რომ ჩემი შვილია.

**— რა განცდაა ქალიშვილთან ერთად სცენაზე დგომა?**

— როცა ანამ 9 წლის ასაკში გურამ თამაზაშვილთან და კვარტეტ „ალილოსთან“ ერთად პირველად იმღერა, საოცარი ემოცია მქონდა. მიხაროდა, რომ ჩემი შვილი მღეროდა. ახლა, როცა ერთად ვმღერით, ემოციები ნაკლებად მაქვს, მასთან ერთად სიმღერას ალბათ შევეჩვიე და იმიტომ. სცენაზე ჩემი პარტნიორია. რაც მთავარია, მის მუსიკალურ გემოვნებას ვენდობი, ჩემს ახალ სიმღერებს ვასმენინებ და მის შენიშვნებსაც ვიღებ.

**— შვილისადმი სად უფრო მომთხოვნი ხართ, სახლში თუ სცენაზე?**

— მუსიკას და სიმღერას რაც შეეხება, ჩემზე უფრო მკაცრი, მგონი, არავინ არის და ეს შეგიძლიათ სხვა მომღერლებსაც ჰკითხოთ. სახლში კი ზედმეტად დემოკრატი ვარ.

**— ბათუმში თქვენი და ანას ყველაზე დიდი ქომაგი ალბათ თქვენი მეუღლე იყო.**

— რასაკვირველია. თეა აჭარაშიც ჩემ გვერდით იყო და საერთოდ ჩემი ყველა კონცერტი მისი დახმარებით ტარდება. გულიანად მეხმარება, ჩემთვის მასზე სანდო ადამიანი მეორე არ არსებობს.

**— თქვენი ცოლი პროდიუსერობასაც ხომ არ ითავსებს?**

— ჩემი ძირითადი შემოსავლის წყარო სიმღერა არ არის, ბიზნესით ვარ დაკავებული. იმ შემთხვევაში კი, როცა ბევრი შემოთავაზება და რამდენიმე კონცერტი ერთდროულად მაქვს, შეიძლება ითქვას, თეა ჩემი მენეჯერიც არის.

**— ამ ზაფხულს სადმე დასასვენებლად იყავით?**

— არა.სულ რამდენიმე დღე გავჩერდით ბათუმში, სანაპიროზე გასარუჯადაც არც გავსულვარ. მაისში ოჯახთან ერთად თურქეთში დავისვენე. ჩვენ მარტო არასდროს მივდივართ დასასვენებლად. თეა და ანა პრეტენზიულები არ არიან, მათთან ერთად დასვენება დიდი კომფორტია. დიდ სამეგობროსთან ერთად დასვენებაც ძალიან კარგია. თქვენც გირჩევთ ბევრ მეგობართან ერთად დასასვენებლად წასვლას. ყველა ერთად კარგად ვისვენებთ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

**— როგორი იყო ბათუმი თქვენს ბავშვობაში და როგორია ახლა?**

— იცით, მთავარი რა არის? ბათუმში ხალხი არ შეცვლილა, როგორი კარგი ადამიანებიც ჩემს ბავშვობაში ცხოვრობდნენ, ისეთივე თბილი და მოსიყვარულე მოსახლეობაა ახლაც. ბათუმს პროვინციად არასდროს აღვიქვამდი და არა იმიტომ, რომ ბათუმელი ვარ. ცივილიზაცია იქიდან შემოდის, ამ ქალაქს ევროპული მენტალიტეტი აქვს, კარგი ინტელიგენცია ჰყავს. ბავშვობაში სასტუმრო „ინტურისტთან“ ვცხოვრობდი, სადაც ყველა ჩამოდიოდა და ისვენებდა. აი, ამ გარემოში ვიზრდებოდი. ჩემი ქალაქი ძალიან არის გალამაზებული, წელს დამსვენებელიც ბევრი იყო. ჩემდა გასახარად, დასასვენებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ ტურისტები. ბათუმი საერთაშორისო დანიშნულების ქალაქად იქცა. ჩემი იქ ყოფნის დროს საბაგირო გზა გაიხსნა, მაგრამ გასეირნება ვერ გავრისკე, ძალიან მეშინია.

**— ბათუმში ახლაც გაქვთ სახლი?**

— დიახ, ძველი კიროვის ქუჩაზე, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობენ. მინდოდა, მათთან დიდხანს დავრჩენილიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი.

**„ბათუმში ხალხი არ შეცვლილა, როგორი კარგი ადამიანებიც ჩემს ბავშვობაში ცხოვრობდნენ, ისეთივე თბილი და მოსიყვარულე მოსახლეობაა ახლაც. ბათუმს პროვინციად არასდროს აღვიქვამდი და არა იმიტომ, რომ ბათუმელი ვარ. ცივილიზაცია იქიდან შემოდის, ამ ქალაქს ევროპული მენტალიტეტი აქვს, კარგი ინტელიგენცია ჰყავს“.**

**— მსმენელი რა სიახლეს უნდა ელოდოს თქვენგან?**

— ერთი ახალი სიმღერა ჩავწერე, რომლის პრემიერაც სექტემბერში მაქვს დაგეგმილი. ოქტომბერში კი კვარტეტი „ალილო“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება და კანადასაც ვეწვევით. რამდენიმე თვის წინ მე და მურმან ჯინორია ვიმყოფებოდით ამერიკაში, შემდეგ ნატო გელაშვილთან ერთად გახლდით და ახლა „ალილოსთან“ ერთად გავმართავთ თბილ და ქართულ საღამოებს. ნიუ იორკში და მის შემოგარენში დაახლოებით 200 000 ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. მინდა, „სარკის“ საშუალებით ისინი მოვიკითხო. მათ უყვართ და ენატრებათ ქართული სიმღერა. გაოცებული დავრჩი — ჩემს სიმღერას „მონატრებიხარ ფიქრებს“ მთელი დარბაზი მღეროდა, ფაქტობრივად მე არ მიმღერია. საბავშვო სტუდია მაქვს, პატარებს ვამზადებთდა ამ საქმეს სექტემბრიდან განვაახლებ. ახლო მომავალში კი ყალიბდება ახალი ბრენდი, რომელიც დაკავშირებული იქნება კვარტეტ „ალილოსთან“. ამ ეტაპზე მეტის თქმის უფლება არ მაქვს.

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black

# ლიზი წიკლაური: „ქუსლიანი ფეხსაცმელები დავივიწყე“



ველესახე ლიზი წიკლაური დილით თვალს გაახელს თუ არა, განწყობის ასამაღლებლად მაშინვე იღიმის და მერე თავისი სუნამოებისკენ მიეშურება. მის კოლექციაში 31 სუნამოა. მათი სურნელი კარგ ხასიათზე აყენებს. შემდეგ კი მისი სამუშაო დღეც იწყება — „პირველ არხზე“, სადაც დილის საინფორმაციო გამოშვება მიჰყავს. პარალელურად კულტურის განყოფილების კორესპონდენტადაც მუშაობს.

26 წლის ჟურნალისტს მოსწონს აკადემიურ-ქალური სტილი და ცდილობს მას შეესაბამებოდეს თავისი გარეგნობით, თუმცა იშვიათად, ექსტრემალურ პირობებში ეს არ გამოდის. ერთადერთი, რასაც ლიზი დაძაბული რეჟიმის მიუხედავად, სტაბილურად ახერხებს, დილით ჯანსაღი საუზმეა.

**— ლიზი, სანამ ჩვენს მთავარ თემას შევეხებით, ტელევიზიაში თქვენი პირველი ნაბიჯები გაიხსენეთ.**

— უკვე 7 წელია „პირველ არხზე“ ვმუშაობ. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე ვიყავი, როცა „პირველ არხზე“ პრაქტიკებზე მივედი. 8 თვის მერე სამსახურში დამტოვეს. თავიდანვე მაინტერესებდა კულტურის სფერო და, როგორც კი ამის საშუალება მომეცა, კულტურის განყოფილებაში გადავედი. შემდეგ ეთერის განახლება დაიწყო და დილის საინფორმაციო გამოშვების წაყვანა შემომთავაზეს.

**— როგორც ტელეწამყვანს, რომელიც ეკრანზე მსხვილი კადრით ჩანს, გარეგნობაზე ალბათ განსაკუთრებული ზრუნვა გიწევთ.**

— ქალი მოვლილი უნდა იყოს, მაგრამ, როცა ჟურნალისტი ხარ და პირდაპირი ჩართვები ხშირად გიწევს, გარეგნობასთან დაკავშირებით მეტი პასუხისმგებლობა გმართებს. აკადემიურად უნდა გამოიყურებოდე. როცა ფორმაში ხარ, პირველ რიგში, საკუთარ თავს სცემ პატივს.

**— ყოფილა შემთხვევა, როცა პირდაპირი ჩართვის დროს მთლად აკადემიურად ვერ გამოიყურებოდით?**

— პირდაპირი ჩართვა ძალიან მაგარ ქარში მქონია. ასეთ დროს გარეგნობაზე ნაკლებად ფიქრობ, წინა პლანზე მაყურებლისთვის ინფორმაციის მიწოდება დგას. რა თქმა უნდა, ცდილობ, თმა გაისწორო და ფორმაში მოხვიდე, მაგრამ ამ დროს მაინც ინფორმაციის გადაცემაზე ფიქრობ.

**— ერთი პერიოდი ქართველი კორესპონდენტი გოგონების მიმართ ისმოდა კრიტიკა, რომ ისინი არ თვლიდნენ საჭიროდ ფორმაში ყოფნას და ამას ფორსმაჟორული სამუშაო რეჟიმით ამართლებდნენ. ეთანხმებით ასეთ შენიშვნას?**

— საინფორმაციოს ჟურნალისტს ნამდვილად რთული გრაფიკი აქვს. არ იცი, დღის განმავლობაში სად მოგიწევს მუშაობა, მაგრამ პროფესია და გარეგნობაზე ზრუნვა ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდეს. შენც უნდა გსიამოვნებდეს საკუთარი თავის დანახვა და მაყურებელსაც.

მე, პირადად, ქუსლიანი ფეხსაცმელები დავივიწყე. რა თქმა უნდა, ჩემს გარდერობში ასეთი ფეხსაცმელი მოიძებნება, მაგრამ არა — ყოველდღიურობისთვის. კაბის და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების გარეშეც შეიძლება კარგად გამოიყურებოდე. არ მიყვარს ძალიან გამოპრანჭვა. ვცდილობ, მოწესრიგებული ვიყო და ამავდროულად მოხერხებულად ვგრძნობდე თავს. მახსოვს, ერთ-ერთ კინოთეატრში გადაღება მქონდა, კოკო შანელის ფილმს აჩვენებდნენ. უცებ გავიგე, რომ დრესკოდი უნდა დამეცვა, თეთრის და შავის კომბინაციით. მეცვა თეთრი პერანგი და შავი პიჯაკიც უცბათ მოვძებნე სამსახურში. მაგრამ მაინც მომიწია დრესკოდის გარკვეულწილად დარღვევა — ჯინსის შარვლით მივედი.

**— როგორც საინფორმაციოს წამყვანს, რაიმე დრესკოდი გაქვთ?**

— ამ მხრივ, ერთადერთი აკრძალვა არსებობს — თმის ბიჭურად შეჭრა და მკვეთრად შეღებვა მიზანშეწონილი არ არის. მე ეს წესები არ მზღუდავს, რადგან ამგვარი რამ არც არასდროს მომდომებია. საინფორმაციოს ტელეწამყვანი აკადემიურად უნდა გამოიყურებოდეს, მაგრამ ვარცხნილობის შეცვლა შესაძლებელია. უკეთესია, თუ ეს ახალი სეზონის დაწყებიდან მოხდება და არა — ყოველდღიურად.

**— თქვენი თმის ფერი ბუნებრივია?**

— თმა არასდროს შემიღებავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მითხრა, შეიძლება სხვა ფერი მოგიხდესო. მირჩევნია, ბუნებრივი ვიყო.

**— მაგრამ თქვენ მუდმივად გიწევთ თმის დავარცხნა, რაც მის სტრუქტურას აზიანებს. როგორ უვლით თმას?**

— ეთერის გამო მართლა ყოველდღიურად მიწევს თმის დავარცხნა და ეს ძალიან აზიანებს. ამიტომ ვცდილობ, მას სპეციალური ნიღბებით მოვუარო.

**— მაკიაჟს, სამოსს, აქსესუარებს თქვენს მწვანე თვალებს უხამებთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ თვალების ფერს რაიმეს ვუხამებ, მაგრამ, მაკიაჟის და თმის ფერისგან განსხვავებით, სამოსში და აქსესუარებში ძალიან მკვეთრი ფერები მიყვარს. აქსესუარები აუცილებლად პატარა უნდა იყოს.

**„31 სუნამო მომიგროვდა. ვცდილობ, განსხვავებული სურნელი აღმოვაჩინო. არ მიყვარს ისეთი სუნამოები, რომლებიც ბევრს აქვს“.**

**— გარუჯული ხართ. ტელეწამყვანს ამის უფლება აქვს?**

— აკრძალული არ გვაქვს გარუჯვა, მაგრამ თავად უნდა მივხვდეთ დოზას. ბუნებრივია, არ უნდა დავიწვა და ეთერში გადამძვრალი კანით არ უნდა გამოვჩნდე. მეტისმეტად მუქი რუჯი ეთერისთვის ცუდია.

**— როგორ უვლით კანს?**

— ჩემი კოსმეტიკის ჩანთაში სახის კანის ძალიან ბევრი საცხია. თავის მოვლის საშუალებები მიყვარს. ვიცი, როგორი ტიპის კანი მაქვს და მის შესაბამის საცხებს ვიყენებ. მათ ძირითადად საზღვარგარეთ ყოფნისას ვყიდულობ.

**— რომელი სურნელია თქვენი?**

— პარფიუმერიის კოლექცია მაქვს. 31 სუნამო მომიგროვდა. ვცდილობ, განსხვავებული სურნელი აღმოვაჩინო. არ მიყვარს ისეთი სუნამოები, რომლებიც ბევრს აქვს. დილით რომ ვიღვიძებ, ჯერ ვიღიმები, კარგ განწყობაზე რომ დავდგე და შემდეგ ჩემს სუნამოებთან მივდივარ. სუნამო ნამდვილად ჩემი სისუსტეა.

**„ჩემი დილა აუცილებლად შვრიის ფაფით და რძის ნაწარმით იწყება. დიეტას არ ვიცავ, მაგრამ თუ მჭირდება, რამდენიმე დღე განტვირთვას ვიწყობ. ჩემთვის მთავარია ვარჯიში“.**

**— ჟურნალისტის არანორმირებული დღის რეჟიმის ფონზე ჯანსაღად კვებას ახერხებთ?**

— ჟურნალისტისთვის, გრაფიკიდან გამომდინარე, კვების მოწესრიგება ნამდვილად რთულია. კვების რეჟიმის დაცვას ვერ ვახერხებ, თუმცა ჩემი დილა აუცილებლად შვრიის ფაფით და რძის ნაწარმით იწყება. დიეტას არ ვიცავ, მაგრამ თუ მჭირდება, რამდენიმე დღე განტვირთვას ვიწყობ. ჩემთვის მთავარია ვარჯიში. ბავშვობიდან სპორტულ ცხოვრებას ვეწევი. ადრე ჩოგბურთზე დავდიოდი. ახლა ამას ვერ ვახერხებ, მაგრამ ზამთარში თხილამურებზე დგომასა და ზაფხულში ცურვაზე უარს არასდროს ვამბობ. სახლშიც ყოველდღე ვვარჯიშობ.

**— სარკის წინ რა დროს ატარებთ?**

— გადაჭარბებულად დიდ დროს არ ვუთმობ. არის ჩემს გარეგნობაში რაღაცეები, რაც არ მომწონს და შევცვლიდი, მაგრამ ეს უფრო განწყობაზეა დამოკიდებული. თუ კარგ ხასიათზე ხარ, თავი ყოველთვის მოგწონს.

**— პლასტიკური ქირურგიით შეცვლიდით გარეგნობას?**

— იმდენად მეშინია ნემსის და ქირურგიული ჩარევების, რომ ამაზე არ მიფიქრია. არ მიყვარს, როცა ამ მხრივ ზღვარს ვერ გრძნობენ.

**— ოჯახის წევრებიდან ვის აზრს ითვალისწინებთ თქვენი გარეგნობის შეფასებისას?**

— ყველაზე კრიტიკული შემფასებლები ამ მხრივ მამა და დედა არიან. მათ აზრს ვუსმენ და ვითვალისწინებ. ჩემი თავის მიმართ მომთხოვნი ვარ. ვთვლი, რომ, როცა ადამიანს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და კრიტიკის მიღება არ შეუძლია, ის ვერ განვითარდება.

✓ მანანა ნოდია

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58





Cyan Magenta Yellow Black

# შეეყარათ თუ არა ვარსკვლავური სენი ჯულიანა ბარ-გნარს და ოთო ფოლადაშვილს



პროფესიონალ მოცეკვავე წყვილს, ოთო ფოლადაშვილს და ჯულიანა ბარ-გნარს, პარტნიორობის სამი წელი აკავშირებთ. თავიდანვე კარგად გაუგეს და შეეწყვნენ ერთმანეთს. ორივესთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პარტნიორს ენდობოდეს, სხვაგვარად წარმატება წარმოუდგენელია. დაუღალავად ვარჯიშობენ, რომ კონკურსებზე პირველობა არავის დაუთმონ. ხშირად აღწევენ მიზანს, მაგრამ მარცხიც უგემიათ.

ოთო და ჯულიანა ფართო საზოგადოებამ პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები" გაიცნო. როგორც შევიტყვეთ, ისინი მესამე სეზონშიც მიიღებენ მონაწილეობას. ჯერ არ იციან, ვისთან მოუწევთ ცეკვა, მაგრამ ორივეს ჰყავს თავისი ფავორიტი. საკონკურსო ციებ-ცხელების წინ კარგად დაისვენეს. ჯულიანამ მშვიდი გარემო არჩია, ოთომ კი — ბობოქარი თავგადასავლები.

**ოთო: „მე და ჯულიანა არცთუ ისე ხშირად ვმარცხდებით, მიჩვეული ვართ გამარჯვებას, ამიტომ წაგება ჩვენთვის შემოლაწუნებასავით არის ხოლმე".**

**— თქვენი გამოცდილებით, რას გვეტყვით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოცეკვავე წყვილი შედგეს?**

**ოთო**: მოცეკვავეს თუ სურს, მეწყვილე ჰყავდეს, შეიძლება თავის ხასიათზე გადაბიჯება მოუწიოს. თუ ყველა თავის ხასიათს „მიაწვება", შეიძლება წყვილი არ შედგეს და სწორედ მაშინ ამბობენ ხოლმე, პარტნიორს ვერ შევეწყვეო. ზოგჯერ ცეკვის სტილით ვერ ეწყობიან, ზოგჯერ — ხასიათით, ამიტომ იძულებულები ხდებიან, სხვა გზები მონახონ. მე და ჯულიანა ხასიათითაც კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს და ცეკვაშიც. ჯერჯერობით კარგად მივდივართ, ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

**ჯულიანა**: ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნდობა და ადამიანური ურთიერთობებია. კონკურსის დროს ბევრ დეტალს ექცევა ყურადღება, ამიტომ, თუ ჩემი მეწყვილისგან მაქსიმალურ თანადგომას არ ვიგრძნობ, ვერ შევეგუები.

**— რადგან უკვე ამდენი ხანია წყვილი ხართ, ჩანს, ერთმანეთის ნდობა გაქვთ.**

**ოთო**: კი, ასეა. ჩვენ ცეკვაშიც მაქსიმალურად ვენდობით ერთმანეთს. შეიძლება პედაგოგს რაღაცის თქმა გამორჩეს, ამიტომ მე და ჯულიანა ვეუბნებით ერთიმეორეს.

**ჯულიანა**: ყოფილა შემთხვევა, როცა მეწყვილისთვის შენიშვნა მიმიცია და ამის გამო გაბრაზებულა.

**ოთო**: ამას ჩემზე არ ამბობს!

**ჯულიანა**: სწორედ იმას ვამბობ, რომ ჩემსა და ოთოს შორის ასეთი რაღაცეები არ ხდება, რაც ძალიან მიხარია. წყვილმა ერთმანეთი უნდა შეავსოს.

**ოთო**: სანამ ერთად დავიწყებდით ცეკვას, ორივეს სხვა პარტნიორი გვყავდა. ჩემს მეწყვილესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი დრო მოვჭამეთ და ამიტომ დავშორდი. ძალიან კარგი გოგო იყო და მასთან ერთად კონკურსებზე წარმატებულად ვასპარეზობდი.

**— თქვენ ისე კარგად გესმით ერთმანეთის, რომ არასოდეს კამათობთ?**

**ოთო**: როგორ არ ვკამათობთ!

**ჯულიანა**: ნებისმიერ წვრილმანზე შეგვიძლია ვიკამათოთ.

**ოთო**: სერიოზული ჩხუბი არ გვქონია, მაგრამ ზოგჯერ აბსოლუტურად განსხვავებულ რაღაცეებს ვუმტკიცებთ ერთმანეთს.

**ჯულიანა**: ყოველთვის ცეკვის გამო არ ვკამათობთ. შეიძლება ოთო ცუდ ხასიათზე მოვიდეს და ამის გამო წავკამათდეთ.

ერთხელ ვურეკავ, სად ხარ, ვარჯიშზე გაგვიანდება-მეთქი და მიპასუხა, უი, ბორჯომში ვარ და არ ვიცი, აქ როგორ აღმოვჩნდიო.

**— ოთო, ხომ არ გაზარმაცდით?**

**ოთო**: არა, ეს დღეებია, რაც არ გვივარჯიშია და ქალაქიდან გავედი, თორემ მთელი ზაფხული თავს ვიკლავდით. ჯულიანას დღესაც არ აქვს ჩემთან საკამათო, ინტერვიუს შემდეგ წავალ სახლში და საღამოს 6-დან ვივარჯიშებთ.

**ჯულიანა**: თუ პირობას დაარღვევს და არ მოვა, აუცილებლად დაგირეკავთ და გეტყვით.

**ოთო**: არადა მართლა თავს ვაკლავ ცეკვას, რადგან კარგად ვიცი, რომ სპორტსმენი სულ ფორმაში უნდა იყოს და რეჟიმიდან არ ამოვარდეს.

**— კონკურსებზე გამოსვლისას ძალიან ნერვიულობთ თუ უკვე შეეჩვიეთ?**

**ოთო**: კონკურსები დიდი ადრენალინია. მაგ დროს ჩვენი ყურადღება მთლიანად იმისკენაა მიმართული, რომ კარგად გამოვიდეთ.

**ჯულიანა**: ის ნერვიულობაც კი გვსიამოვნებს. როცა გრძნობ, რომ მზად ხარ ტურნირზე გასასვლელად, კარგი შეგრძნებაა.

**— როცა მარცხდებით, რომელი უფრო განიცდით?**

**ოთო**: ამ დროს ორივეს სტიმული გვეძლევა, რომ შემდეგ კონკურსზე მოვიგოთ. სპორტსმენის ბედი ასეთია — ხან იგებს, ხან აგებს.

**ჯულიანა**: დამარცხების შემთხვევაში ყველაზე კარგად ჩანს, როგორი მეწყვილე გყავს. ამ დროს ზოგი გეუბნება, შენი ბრალია, რომ წავაგეთო და პირველივე მარცხზე გშორდება. მე და ოთომაც წავაგეთ რამდენჯერმე, მაგრამ მარცხი ერთმანეთისთვის არ დაგვიბრალებია. უფრო მეტი ჟინი გაგვიჩნდა, უფრო მეტს ვვარჯიშობდით და ახლაც იგივენაირად ვიქცევით.

**ოთო**: ჩვენს პირველობას „ვაწვებით", გვინდა, რომ პირველებად დავრჩეთ. მე და ჯულიანა არცთუ ისე ხშირად ვმარცხდებით, მიჩვეული ვართ გამარჯვებას, ამიტომ წაგება ჩვენთვის შემოლაწუნებასავით არის ხოლმე. ის ერთი წაგება ზუსტად იმის ნიშანია, რომ ფორმიდან არ ამოვვარდეთ და თავში რაღაც არ აგვივარდეს.

**— ორივე „ცეკვავენ ვარსკვლავებ"-ის მესამე სეზონისთვის ემზადებით. ამ პროექტმა რა შეცვალა თქვენს ცხოვრებაში გარდა იმისა, რომ უკვე ძალიან პოპულარულები ხართ?**

**ჯულიანა**: ამ პროექტის შემდეგ „თელაში" ხალხი შემოგვემატა. მე და ოთოს ორი ჯგუფი გვყავს. ჩემთვის ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება. ბავშვებისგან დიდ ენერგიას ვიღებ და მათ სიყვარულს ვგრძნობ. მოსწავლეები უკვე ჩემპიონები გახდნენ, რაც ძალიან მახარებს.

**ოთო**: ჩვენი მოსწავლეები იგებენ საქართველოს, კავკასიის ჩემპიონატებს. პროექტში რომც არ გამემარჯვა, ამ ბავშვებისგან ისეთი სითბო მოდის, რომ ეს ყველაფერი ამად ღირდა.

**ჯულიანა**: თან ოთო ბავშვებზე გიჟდება.

**ოთო**: გაკვეთილზეც კი, როცა რაღაცას ვხსნი, შემიძლია ბავშვი ავიყვანო და შევჭამო. მათგანაც იმხელა სიყვარულს ვგრძნობ, რომ მთელ სიცოცხლეედ მიღირს.

**— ხომ არ მოგბეზრდათ პოპულარობა, როგორც იტყვიან, ვარსკვლავობა?**

**ჯულიანა: „ოთომ მითხრა, ამ სეზონზე ჩემს ადგილს შენ გითმობო".**

**ოთო**: ისეთი თავისუფლება აღარ გვაქვს, როგორიც გვქონდა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ცხოვრებაში რაღაც დიდად შეიცვალა. გარეთ რომ გავდივარ, ხალხი უამრავ რამეს მეკითხება და მეც ვპასუხობ. რაც შეეხება ვარსკვლავობას, უბრალოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. თუ ხალხი ვარსკვლავს გვიწოდებს, ძალიან სასაცილოა, ცნობადი სახე უფრო ითქმის ჩვენზე.

**— მესამე სეზონიდან რა მოლოდინები გაქვთ?**

**ოთო**: ჯულიანა გამარჯვებას ელის.

**ჯულიანა**: რატომაც არა? თან ოთომ მითხრა, ამ სეზონზე ჩემს ადგილს შენ გითმობო.

**ოთო**: ეს გულის გასახარად გითხარი. ჯობს, ხალხმა გადაწყვიტოს, ვის გაამარჯვებინოს. ჯულიანამ კარგად იცის, რომ ყოველთვის მის გვერდით ვარ და ვგულშემატკივრობ.

**ჯულიანა**: მეც ასევე ვარ. წინა სეზონებში, როცა პროექტი დავტოვე, სულ ოთოს ვგულშემატკივრობდი, მის სახელს ვყვიროდი.

**— ვისთან ერთად გინდათ, ამ სეზონში იცეკვოთ?**

**ოთო**: რამდენიმე ფავორიტი მყავს, ვისთანაც დიდი სიამოვნებით ვიცეკვებდი. იმედი მაქვს, მათგან რომელიმე შემხვდება.



Cyan Magenta Yellow Black

პირველი ორი სეზონის მეწყვილეებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ნუკი კოშკელიშვილიც და რუსკა მაყაშვილიც ძალიან კარგები იყვნენ. თავის საქმეს ათიანზე აკეთებდნენ, ცეკვაში „გლიჯავდნენ“. ორივეს ძალიან დატვირთული გრაფიკი ჰქონდა და მაინც ახერხებდნენ, რამდენიმე საათი ევარჯიშათ. იმედია, მესამე სეზონშიც შრომისმოყვარე

**ოთო: „ყველაფერში ურთიერთშეთანხმებაა საჭირო. თუ რომელიმე ამბობს, აუცილებლად ასე უნდა იყოსო, გამორიცხულია, ჩხუბი არ მოხდეს. თუ ვარსკვლავს უნდა კარგად გამოჩენა, ეს ჩვენც გვინდა”.**

და ნიჭიერი მეწყვილე მეყოლება, რომ ორივემ ერთად ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის.

**ჯულიანა**: მეც ვიბრძოლებ გამარჯვებისთვის! ჩემი პირველი მეწყვილე, აჩიკო მეფარიძე, მართლა ძალიან მშრომელი იყო. შეიძლება ვთქვა, რომ ყველაზე მშრომელიც კი. ჯაბა კილაძემ ბოლოს მოინდომა და ეს დაეტყო კიდეც.

**— შოუში უამრავ დეტალს ექცევა ყურადღება, ჩაცმულობას, მუსიკას... ვარსკვლავთან ამ საკითხებში სრული თანხმობა გქონდათ?**

**ოთო**: ვერ ვიტყვი, რომ ყოველთვის იზიარებენ ჩვენს აზრს, თუმცა პირველი ორი სეზონის განმავლობაში ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. მესამე სეზონში თუ გამოჩნდა ეს პრობლემები, აუცილებლად დაგირეკავთ და გეტყვით, რომ ჩემს მეწყვილეს არც მუსიკა ესმის, არც ვარჯიშობს და არც ელასტიკურია-მეთქი. მე და რუსკამაც ვიკამათეთ რამდენჯერმე მუსიკის გამო, მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ ყოფილა.

**ჯულიანა: „დამარცხების შემთხვევაში ყველაზე კარგად ჩანს, როგორი მეწყვილე გყავს”.**

**ჯულიანა**: როცა მაყურებელი ჩვენს ცეკვას უყურებს, იმაზე ადვილია ჰგონია, ვიდრე არის. ვარსკვლავი რომ მოდის, მაშინ ხვდება, რა სირთულეებთან აქვს საქმე და მეტი ძალა და შრომა სჭირდება.

**ოთო**: ყველაფერში ურთიერთშეთანხმებაა საჭირო. თუ რომელიმე ამბობს, აუცილებლად ასე უნდა იყოსო, გამორიცხულია, ჩხუბი არ მოხდეს. თუ ვარსკვლავს უნდა კარგად გამოჩენა, ეს ჩვენც გვინდა. კამათში იბადება ჭეშმარიტება და საბოლოოდ ყველაფერი კარგად მთავრდება.

**ჯულიანა**: არ მიყვარს კამათი, მაგრამ, როცა ადამიანს ადამიანურად ვუხსნი რამდენჯერმე და მაინც ვერ იგებს, მაშინ ვკარგავ მოთმინებას. საბედნიეროდ, ოთოს არ სჭირდება რამდენჯერმე ახსნა.

**ოთო**: ჯულიანა ძალიან ჩუმი და საყვარელია, მაგრამ თუ გამოიყვან წყობიდან, კამათიც იცის.

**— თაყვანისმცემლების საქმე როგორ არის, თავს ხომ არ გაბეზრებენ?**

**ოთო**: კი, ასეთებიც არიან. ძალიან დაკავებული ვარ და მათ ზარებს ვერ ვპასუხობ. ასე გრძელდება ხოლმე რამდენიმე დღე და, საბოლოო ჯამში, ხვდებიან, რომ აღარ უნდა დამირეკონ.

**ჯულიანა**: ამ მხრივ ჩემთან მშვიდობაა. არ მინდა, ადამიანებს ვაგრძნობინო, რომ მე ცნობადი სახე ვარ და ამიტომ არ უნდა დამირეკონ. თუ ვიგრძნობ, რომ ზედმეტად მაწუხებენ, მერე მივახვედრებ.

**ოთო**: რაღაც დონეზე ძალიან სასიამოვნოა ხალხის ყურადღება, მაგრამ, როცა ეს უკვე მოსაბეზრებელი ხდება, არანაირი სურვილი არ მიჩნდება, რამეზე დაველაპარაკო.

**— არც ერთი ხართ შეყვარებული?**

**ოთო**: არა, თავისუფალი ვარ. თუ ვინმე გამოჩნდება, დიდი სიამოვნებით ავაწყობ სერიოზულ ურთიერთობას. თუ გამოჩნდება ისეთი, ვინც ჭკუა-გონებას ამირევს, ჩემდაუნებურად ჩავვარდები „ცუდ დღეში“. ჯერჯერობით ჩემს ცხოვრებაში ასეთი არ გამოჩენილა.

**ჯულიანა**: ამ მხრივ არც ჩემთანაა სიახლე.

**— ზაფხული როგორ გაატარეთ, სად დაისვენეთ?**

**ჯულიანა**: ოთოსგან განსხვავებით, წყნარად და მშვიდად ვისვენებდი. მიყვარს მშვიდი დასვენება, მეგობართან ერთად ვიყავი ქობულეთში, სარფში, ბათუმში. ძალიან მიყვარს ზღვა.

**ოთო**: მე კი არ დავისვენე, დავიღალე! ზაფხულის ბოლო დღეს მივხვდი, რომ დროა, დავისვენო. საქართველოს ყველა ადგილი შემოვიარე. ცოტა ხნის წინ მეგობრებმა — მე, გიგი გაჩეჩილაძემ, რეზიკო რობაქიძემ და რატი გაჩეჩილაძემ — ტური მოვაწყვეთ. რაც კი სადმე მთა, ბარი, ზღვა არსებობდა, ყველა ადგილი კარვებით შემოვიარეთ. საქართველოში ასეთი ადგილები თუ არსებობდა, არც კი ვიცოდით. მარტვილში ისეთი საოცარი რაღაცეები ვნახეთ, არ ველოდით. ბოლოს ბათუმში აღმოვჩნდით. ორი ღამე იქ გავჩერდით. ახლა მივხვდი, რომ დასვენება მჭირდება.

**— მთელი საქართველო შემოგივლიათ და ახლა ამბობთ, დასვენება მინდაო?**

**ოთო**: იმდენი რაღაც გადაგვხდა თავს, ისე მაგრად გავერთეთ, ისეთი დრო ვატარეთ... ძალიან მაგარი იყო! ყველას ვუსურვებ, საქართველოს ლამაზი ადგილები შემოიარონ და აუცილებლად ნახონ.

**ჯულიანა**: ასეთი „დასვენებული“ დამიბრუნდა და კარგად ვივარჯიშებთ.

✓ ქეთი დინოშვილი




■ ჯულიანა და ოთო



# კრისტი ყიფშიძე: „მამაჩემის გვარი დღემდე არ მეღირსა“



მოდელმა კრისტი ყიფშიძემ 30-ს უკვე კარგახანია გადააბიჯა, მაგრამ პოდიუმს არ ტოვებს. საკუთარი თავი ბევრ საქმეში გამოსცადა, იყო რადიოწამყვანი, ტელეპროდიუსერი, ბოლო დროს დიზაინერობაც სცადა, ეს სფერო მისთვის მიმზიდველიც გამოდგა, ისე როგორც ფოტოხელოვნება, მაგრამ ცხოვრების ნომერ პირველ საქმედ მისთვის მაინც მოდელობა რჩება.

პირად ცხოვრებაში კი სტაბილურობის შენარჩუნება არ გამოუვიდა. პირველი ქორწინება მსახიობ გიორგი ყიფშიძესთან დაენგრა. მათი ოჯახი გიორგის ღალატმა შეიწირა. სამაგიეროდ ამ კავშირიდან ყველაზე დიდი შენაძენი დარჩა — გოგონა ნატალი. შემდეგ მის ცხოვრებაში იყო გატაცებები, გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი, მაგრამ ნამდვილი სიყვარული — არა.

**— კრისტი, როგორ აფასებთ სამოდელო სფეროში დღემდე გამოვლილ თქვენს გზას?**

— 20 წელია, რაც პოდიუმზე ვარ. მოდელობას რომ ვიწყებდი, მეგონა, ეს ჩემი ჰობი იყო, ახლა კი ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების საჩუქარია. განვლილი გზა ძალიან ტკბილად მახსენდება. საკუთარი თავი ამ სფეროში ვიპოვე. რომ არა ეს, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ არ მოხდებოდა. ამ პროფესიამ დიდი გამოცდილება შემძინა.

ისევ ძალიან აქტიური ვარ პოდიუმზე. ადრე თუ ყველა დიზაინერის ჩვენებაზე გამოვდიოდი, ახლა მაქვს უფლება, ავირჩიო.

**— ვინ არიან თქვენი ფავორიტი დიზაინერები, რომელთა ჩვენებებზე გამოსვლაზეც არასოდეს ამბობთ უარს?**

→38



Cyan Magenta Yellow Black

— დათუნა სულიკაშვილი, ირაკლი რუსაძე, თამუნა ინგოროყვა და ავთანდილი.

**— ვისაც უარს ეუბნებით, როგორ რეაგირებენ, არ სწყინთ?**

— უარს ცუდი ტონით არავის ვეუბნები, ასპარეზს ახალგაზრდა თაობას ვუთმობ, მათ უნდა ისწავლონ და ექსპერიმენტებზე უარი არ თქვან. ფოტოსესია კი ჩემი სტიქიაა, კამერასთან მუშაობა მიყვარს, ეს ჩემი სამყაროა.

**— როგორ აფასებთ ახალგაზრდა მოდელებს საქართველოში, მათ შანსებს, რა მოგწონთ და რა — არა მათში?**

— მათთვის მეტი კარია ღია. მყავს რამდენიმე ფავორიტი, მაგრამ არ ჩამოვთვლი. მოდელისთვის მხოლოდ ვიზუალი არ კმარა, ისეთი ენერგეტიკა უნდა ჰქონდეს, რომ პოდიუმზე გამოსვლის დროს გამოჩნდეს. სამოსი ისე უნდა მოგაწონდოს, რომ ძალიან მოგხიბლოს. ბევრი ისეთი კოსტიუმი მცმია ჩვენებაზე, რომელსაც ჩემს გარდერობში არ დავკიდებდი, მაგრამ ჩვენების დროს ყველა ღირსეულად წარმიდგენია. რთულია სხვა მოდელის მუშაობაზე საუბარი. ბევრი მოდის ამ სფეროში, შემდეგ თხოვდებიან და პოდიუმიდან ქრებიან.

**— თქვენ ყველა შანსი გამოიყენეთ?**

— ბავშვობაში არაერთი შემოთავაზება მქონდა საზღვარგარეთიდან, მაგრამ მე და დედამ არ გავრისკეთ და სხვა ქვეყანაში არ გადავბარგდით. დღეს ჩემს შვილს, ნატალიას, 14-15 წლის ასაკში თუ საინტერესო შემოთავაზება ექნება უცხო ქვეყნიდან, თავისუფლად გავუშვებ სამუშაოდ. ჩემი პროფესია ისე მიყვარს, თავს არ ვანებებ. სხვებისგან განსხვავებით,



**„გიორგისთან ოფიციალურად დღემდე ქორწინებაში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მან მიღალატა, ჩვენ სკანდალებით არ დავშორებულვართ".**

ასაკს არასოდეს ვმალავ, 35 წლის ვხდები, მაგრამ სამოდელო სფეროს მაინც ვერ ვეშვები.

**— აქტიური ქალი ხართ, ამის ხარჯზე შვილს ხომ არ აკლებთ რამეს?**

— რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ჩემს შვილს ეძღვნება. ნატალი მეტ დროს ჩემთან ატარებს. შეიძლება ითქვას, რომ სამოდელო სფეროში მისი მუზა ვარ. თვეების იყო, როცა ყველგან დამყავდა. ისეთი სამსახური არ მაქვს, რომ მისთვის დრო ვერ გამოვნახო. ნატალისთან ერთად დასვენება დიდი სიამოვნებაა. მისი ასაკის მიუხედავად, არანაირი დისკომფორტს არ იგრძნობ, პირიქით. ამ ზაფხულს ბათუმში რამდენჯერმე მომიწია წასვლა, მე და ნატალიმ ჯაზფესტივალზე ძალიან ვისიამოვნეთ. დღემდე, სადაც დავდივარ, ყველგან თან დამყავს. აპრილში ერთი კვირით ეგვიპტეში წავედით, კარგი დასვენება გამოგვივიდა.

იცით, რა მომწონს მასში? ასეთი პატარაა და ძალიან კომუნიკაბელურია, პატარა ქალივითაა, 15-20 წუთში სასტუმროში ყველა გაიცნო. მასზეა ნათქვამი, არსად დაიკარგებაო. ვიზუალურად ძალიან მგავს.

**— ხასიათით ვის უფრო ჰგავს, თქვენ თუ მამას?**

— ძალიან მიზანდასახულია. ხშირად მიფიქრია, ნეტა, მეც ასეთი ვიყო-მეთქი. დამოუკიდებელი, კეთილი, დადებითი ადამიანია. მასზე ლაპარაკი მეუხერხულება, მაგრამ ნიჭიერი გოგოა, კარგად სწავლობს, მსახიობობა აქვს გადაწყვეტილი და ვნახოთ, რა გამოუვა.

**— ესე იგი დიდი ბებიის, მამის და პაპის კვალს ადგას.**

— კი, ასე გამოდის, თუმცა იმასაც ამტკიცებს, რომ მოდელობას და მსახიობობას ერთად შეძლებს. როცა ნატალი 5 წლის გახდა, მის დაბადების დღეზე დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ რუსულ სერიალში ერთ-ერთ როლზე აირჩიეს და მონაწილეობა მიიღო. შემდეგ იყო ფილმი „აგვისტოს 5 დღე". მგონია, რომ მისგან კარგი მსახიობი დადგება. ჯერ კარგად უნდა ისწავლოს, ვეცდები, ყველაფერში შევუწყო ხელი.

**— ნატალი ორ სახლში იზრდება — დედასთან და მამასთან. ამას როგორ აღიქვამს?**

— როცა მშობლები შორდებიან, ბავშვი ყოველთვის ზარალდება. მე და გიორგი ვეცადეთ, რომ ნატალის ეს ამბავი ყველაზე ნაკლებად შეხებოდა. დღემდე ამიტომაც გვაქვს კარგი ურთიერთობა. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ბავშვი მხოლოდ დედასთან იზრდებოდეს, მამასთან კი — არა ან პირიქით.

**— თქვენს ცხოვრებაში რამდენიმე რომანი იყო, ბოლოს თქვენ გვერდით ერთი მამაკაცი ჩანდა, რომელმაც პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები" სცენაზე აგიხსნათ სიყვარული. ახლა რა ხდება, გრძელდება ის რომანი?**

— ფაქტობრივად ის ისტორიები რომანიც არ იყო. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ დღემდე ვგრძნობ, რომ არც ერთი მათგანი მყვარებია. ნამდვილი სიყვარული

**„ბედნიერება გამოწერით არ არის. მეორე წელია მარტო ვარ და დიდ სიყვარულს ველოდები".**

ამ ასაკშიც კი არ მწვევია. ამ მხრივ პაუზა მაქვს აღებული, მაგრამ შეიძლება უცბათ რაღაც შეიცვალოს, ადამიანი არაფრისგანაა დაზღვეული.

**— მეორე შვილის ყოლის სურვილი არ გაქვთ?**

— ნატალიას ძალიან უნდა, და ან ძმა გავუჩინო. რადგან მას ასე სურს, ამ თემაზე მეც ხშირად ვფიქრობ. სტაბილური ოჯახიც მინდა და მეორე შვილიც, რატომაც არა?

**— როგორც ვიცი, იურიდიულად დღემდე ქორწინებაში ხართ. პირველი ქმრის გვარს, ყიფშიძეს, ისევ ატარებთ და საზოგადოებაც ასე გიცნობთ. ეს უხერხულობას არ გიქმნით?**

— ეს ყველაზე გამაღიზიანებელი კითხვაა ჩემთვის. გიორგისთან ოფიციალურად დღემდე ქორწინებაში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მან მიღალატა, ჩვენ სკანდალებით არ

**„ჩემი წარმომავლობა არასდროს დამიმალავს. სომეხი ვარ, თან სუფთა სისხლის სომეხი! მენტალურად ქართველი ვარ, მაგრამ სისხლით — სომეხი. ვამაყობ, რომ ასეა. როცა მეუბნებიან, რა კარგად გამოიყურებით, ვპასუხობ, რომ გენეტიკის დამსახურებაა".**

დავშორებულვართ. ჩემი გვარის თემა ძალიან ბევრს აწუხებს და ვერ ვხვდები, რატომ! ბევრი ცნობილი ადამიანია, რომელიც განშორების შემდეგ ისევ ქმრის გვარს ატარებს, მაგალითად, ანგელა მერკელი, ნატო ვაჩნაძეც პირველი ქმრის გვარზე იყო და ა.შ. არ ვიცი, მათზე რატომ არ უჩნდებათ კითხვები.

არც ერთს გვაწუხებს, ყიფშიძე რომ ვარ. ჩემს შვილს დიდი სურვილი აქვს, გვარი არ შევიცვალო და ეს საკითხი ვის რაში ანაღვლებს? ზოგს ჰგონია, რადგან ქართველი არ ვარ, გვარი ამიტომ არ შევიცვალე. ჩემი წარმომავლობა არასდროს დამიმალავს. სომეხი ვარ, თან სუფთა სისხლის სომეხი! ჩემი წინაპრები თბილისში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მენტალურად ქართველი ვარ, მაგრამ სისხლით — სომეხი. ვამაყობ, რომ ასეა. როცა მეუბნებიან, რა კარგად გამოიყურებით, ვპასუხობ, ეს ჩემი გენეტიკის დამსახურებაა-მეთქი.

**— მეორედ რომ გათხოვდეთ, მაშინაც არ გექნებათ სურვილი გვარის შეცვლის?**

— თუ გავთხოვდი და ჩემს მეუღლეს ექნება კატეგორიული მოთხოვნა, რომ გვარი შევიცვალო, მერე რას ვიზამ, არ ვიცი. როცა დავიბადე, გარკვეული მიზეზების გამო სამშობიაროდან დედის გვარზე (კარაპეტიანი) გამომიყვანეს, საბუთების მხრივ გარკვეული პრობლემა შეიქმნა. მამაჩემის გვარი (სარქისოვი) დღემდე არ მეღირსა. რეალურად, იცით, რატომ მომიხდა ყიფშიძის გვარზე გადასვლა? ბაქოში ჩვენება მქონდა, სომხური გვარით ვერ წავიდოდი და ამიტომ გვარი ერთ დღეში შევიცვალე, ბევრი პროცედურა გავიარე, მაგრამ საბოლოოდ გიორგიმ ბაქოში აღარ გამიშვა. მითხრა, გაიგებენ, რომ გვარი გაქვს გადაკეთებული და მოგკლავენო... (იცინის).

ახლა კი თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა, ყველას ვთხოვო, ჩემი გვარით ნუღარ დაინტერესდებით, საკუთარ გენეტიკას მიხედეთ! ყველა ჟურნალისტს მივმართავ, რომ ეს კითხვა აღარასდროს დამისვათ!

**— ოდესმე გინანიათ, ოჯახი რომ დაგენგრათ?**

— საერთოდ ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. მე ძლიერი ადამიანი ვარ. ღალატი იოლი გადასატანი არ არის, მაგრამ მალევე დავივიწყე ეს გულისტკენა... უკვე გითხარით, რომ დღემდე არ მწვევია სიყვარული. ბედნიერება გამოწერით არ არის. მეორე წელია მარტო ვარ და დიდ სიყვარულს ველოდები. როცა იმედები გიცრუვდება, მერე ფრთხილი ხდები.

✓ ლანა ქოქაძე



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ აყურყუტეს გიორგი ვარდოსანიძე მთელი ღამე ედინბურგის პოლიციაში

## „ესტონეთში ისეთი გოგოები დადიან... დორბლი გვდიოდა“



მსახიობ გიორგი ვარდოსანიძეს მოგზაურობა იმდენად უყვარს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. რამდენიმე კვირაა, რაც ედინბურგიდან დაბრუნდა, სადაც პრემიერა უნდა ეთამაშა, მაგრამ ერთ-ერთი სცენის დროს მხარი ამოუვარდა და შუა სპექტაკლის მიმდინარეობისას სასწრაფოს გამოძახება მოუხდათ. ასე რომ, პრემიერა ვერ შედგა. მაშინ კი გამწარდა, მაგრამ ახლა ამაზე ეღიმება.

უცხო ქალაქში ძალიან უყვარს ფეხით სიარული, გიჟდება თავგადასავლებზე და სულ ცდილობს, სადმე დაიკარგოს, მაგრამ არ გამოსდის. ლაშქრობები მისი ჰობია. მანქანაში, მოგზაურობისთვის საჭირო ყველა ნივთი აქვს, კარვის ჩათვლით. სულ რომ ანტარქტიდაზე ჩამაგდონ, მაინც გადავრჩებიო, ამბობს. ისიც კი სცოდნია, „ალტერნატიული მეთოდებით“ წყალი და ცეცხლი როგორ უნდა მოიპოვოს.

და მაინც, ბოლო გასტროლი ედინბურგში გიორგისთვის განსაკუთრებულად შთამბეჭდავი აღმოჩნდა — ერთი ღამე იქაურ პოლიციაში გაატარა. თუ რატომ, მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

— **გიორგი, ბევრს მოგზაურობთ?**

— ბევრი მოგზაურობის რა გითხრათ, მაგრამ საზღვარგარეთ წასვლა თითქმის ყოველ წელს მიწევს, რაც თეატრის გასტროლებს უკავშირდება. მახსოვს, პირველად ბაქოში ვიყავი. დაახლოებით 5 წლის წინ მუსკომედიის თეატრი ბუბა კიკაბიძის კონცერტს ვაფორმებდით. ვერ გეტყვით, რომ ბაქოზე ვგიჟდები, მაგრამ, რადგან პირველი მოგზაურობა იყო, მაინც კარგად მახსენდება — ბევრი ვიბოდიალეთ და რაღაცეები დავათვალიერეთ.

— **კონკრეტულად რა ნახეთ?**

— ზღვისპირას, ცენტრალურ ქუჩაზე დავბოდიალობდით, უამრავი ისეთი მაგარი მანქანა ვნახე, რაც მხოლოდ ინტერნეტში მქონდა

**„ყოველდღე ძველ იერუსალიმში დავდიოდით, ვათვალიერებდით და არ გვყოფნიდა. ერთი კვირა კი არა, ალბათ ერთი თვეც არ გვეყოფოდა. ყველაფერი მოვიარეთ, ნაზარეთშიც კი ვიყავით. ისრაელი რადიკალურად სხვა სამყაროა“.**

ნანახი, გადავირიე! მეტს ვერაფერს გავიხსენებ. ამის შემდეგ ხორვატიაში, ესტონეთსა და ისრაელში ვიყავი.

— **ისრაელზე გვიამბეთ.**

— ისრაელში მოგზაურობა ჩემთვის განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო. იქ 3 წლის წინ თეატრთან ერთად გახლდით. თავიდან რამდენიმე დღე თელ ავივში ვიყავით, გავერთეთ და დავისვენეთ. შემდეგ იერუსალიმში წავედით, იორდანეში განვიბანეთ. იერუსალიმში გატარებული ერთი კვირა დაუვიწყარი იყო. ყოველდღე ძველ იერუსალიმში დავდიოდით, ვათვალიერებდით და არ გვყოფნიდა. ერთი კვირა კი არა, ალბათ ერთი თვეც არ გვეყოფოდა. ყველაფერი მოვიარეთ, ნაზარეთშიც კი ვიყავით. ისრაელი რადიკალურად სხვა სამყაროა.

შემდეგ კოლუმბიის გასტროლი იყო, რომელიც ასევე ძალიან დამამახსოვრდა.

— **მოგეწონათ შორეული კოლუმბია?**

— რადიკალურად განსხვავებული მენტალიტეტი, სხვანაირი ადამიანები და ბუნება დაგვხვდა. ხმაურიანი ხალხი ცხოვრობს. გენიალური, ხორცეულით გაჯერებული სამზარეულო ჰქონდათ, ყველანი გავსუქდით. ზღვის დონიდან 2400 მეტრზეა. კიბეზე 5 საფეხური სწრაფად რომ აირბინო, გული გიჩქარდება და სუნთქვა გეკვრის. პირველი 2 დღე ძალიან გაგვიჭირდა, წნევიანები კინაღამ დაგვეხოცნენ. ყველაფერი ულამაზესი იყო, მაგრამ საშიშროებებიც იყო, რადგან არსებობს ქუჩები, რომლებსაც პოლიცია ვერ აკონტროლებს და იქ არ უნდა წახვიდე. გასტროლებზე ვიყავით ჩასული, ჩვენი საქმე გვქონდა და ასეთ ტერიტორიებზე ხეტიალს ვერიდებოდით.

**„ხელბორკილები რომ დამადეს და მანქანაში ჩამსვეს, მთელი გზა მელაპარაკებოდნენ. მოვუყევი ჩემ შესახებ და ჩემი ვიდეოების ნახვა მანქანაშივე მოინდომეს. ბორკილებდადებულს ინტერნეტში ჩემს ვიდეოებს მაძებნინებდნენ“.**

ბოგოტა უზარმაზარი ქალაქია, ნახევარზე მეტი გეტოებია, მუყაოს სახლები დგას. უყურებ, ხალხი რა გაჭირვებაში ცხოვრობს, მაგრამ ამასთან ერთად უამრავ ვილასაც შენიშნავთ.

— **განსაკუთრებული აპლოდისმენტებით რომელი ქვეყნის მაყურებელმა დაგაჯილდოვათ?**

— განსაკუთრებული ტაში ხორვატიაში ვიგრძენით. სასწაული მოხდა! სპექტაკლი რომ დავასრულეთ, იმხელა პაუზა იყო, ვიფიქრეთ, ვერაფერი გაიგეს, მაგრამ უცებ დარბაზი აფეთქდა, თან ისე, რომ თავის დასაქნევად 30-ჯერ მაინც გაგვიყვანეს. ყველა ქვეყნაში ინტერესიანი მაყურებელი გვხვდება და ემოციასაც გამოხატავენ, უბრალოდ ეს ზოგან ნაკლები, ზოგან — მეტი დოზით ხდება.

— **გასტროლების დროს სასცენო კურიოზებიც იქნება, გაიხსენეთ რომელიმე.**

— რამდენი გინდათ! კურიოზებს რა დალევს. რამდენიმე კვირის წინ ედინბურგში შუა სპექტაკლის დროს მხარი ამომივარდა. ამოვარდნილი მხარით ის სცენა დავამთავრე, მაგრამ მერე ფიზიკურად ველარ შევძელი თამაში. „ზაფხულის ღამის სიზმარი“ გვქონდა წაღებული, პრემიერას ვთამაშობდი. ერთ-ერთი სცენის დროს ჩემი გმირი გავირდება და ხელებზე ეცემა. ამ დროს ხელი გამიცურდა და მხარი ამომივარდა. ჩემთან ერთად სცენაზე ბუბა გოგორიშვილი და არჩილ სოლოღაშვილი იყვნენ. აჩი მიხვდა, რომ სახეზე ფერი აღარ მედო. კულისებში შევვარდი და ვიხვეწებოდი, მხარი ჩამისვით-მეთქი, მაგრამ ვერავინ დამეხმარა.

ამ სპექტაკლის პრემიერა პირველად ედინბურგში უნდა მეთამაშა, მაგრამ ამ შემთხვევის გამო მაყურებელს ბოდიში მოვუხადეთ, სასწრაფო გამოვიძახეთ, საავადმყოფოში წამიყვანეს, ძლიერი გამაყუჩებლები გამიკეთეს და მხარი ჩამისვეს. მოხდა ისე, რომ პრემიერა ვერ შედგა, ძალიან დამწყდა გული, რადგან სხვანაირი ემოციით წავედი. ამ სპექტაკლს გარედან რომ ვუყურებდი, ისე მომწონდა, ვგიჟდებოდი, მაგრამ არა უშავს, პრემიერას თბილისში ვითამაშებ.

— **ოდესმე უცხო ქალაქში დაკარგულხართ?**

— თავგადასავლებზე ვგჟიდები და ამიტომაც ვცდილობ, დავიკარგო ხოლმე, მაგრამ ვერ ვახერხებ. მე და იმედა არაბული სულ ერთად ვართ. ისრაელში ჩახლართული ქუჩებია, მიხაროდა, დავიკარგები-მეთქი, ბოლოს კი მაინც სახლთან გამოვდიოდი. ალბათ ასეთი თავგადასავლები წინ მაქვს.

— **თეატრთან ერთად მოგზაურობას ალბათ განსაკუთრებული ხიბლი აქვს.**

— რა თქმა უნდა. ბევრი მეგობარი ერთად მივდივართ და ერთ საქმეს ვაკეთებთ. გასტროლზე ვგიჟდები! სად აღარ დავობოდიალობთ! ედინბურგის ფესტივალზე კილომეტრნახევრიან ქუჩაზე დაახლოებით 4000 წარმოდგენა იმართება, ნაბიჯს ვერ გადადგამთ ისე, რომ რაღაც არ ხდებოდეს! გამაოგნებელი ხმაურია! ვიღაც მღერის, ვიღაცეები ცეკვავენ, ვიღაც ხელს ლამაზად იჭრის! ედინბურგში ვერ მოიწყენთ!

დაუწერელი კანონია, რომ, პირველ რიგში, უცხო ქალაქი დავათვალიეროთ. სადაც ჩავდივართ, ლუდი უნდა დავაგემოვნოთ, შოტლანდიაში ვისკი უნდა გავსინჯოთ. ზაფხულში ცივი ლუდი ძალიან მიყვარს. გერმანიაში ხომ ბევრი ბარია, მაგრამ აეროპორტში ისეთ ლუდს მივაგენით... ცისტერნებით მოგვქონდა. დავლევდით, ვიღაც კლუბში წავიდოდა, ვიღაც — მუზეუმში, მაგრამ მუზეუმებში სიარულის სიყვარულით მე ვერ დავიკვეხნი. ამსტერდამში ვან გოგის მუზეუმი სიამოვნებით დავათვალიერე. საქარ-

→40

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

თველოში პარკები კი გვაქვს, მაგრამ პარკების კულტურა არ გვაქვს. ამსტერდამში რემბრანდტის მუზეუმს გაივლი, თაღში გახვალ და ცენტრში უზარმაზარი პარკი გხვდება, ვან გოგის მუზეუმიც იქვეა. ტურისტი თუ ადგილობრივი, პარკშია წამოკოტრიალებული.

რადგან ამსტერდამზე ვსაუბრობთ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ნახევარი არაფხიზელ მდგომარეობაში დადის, მაგრამ აგრესიულობით არავინ გამოირჩევა. გენიალური საკვები და ნაყინი იყიდება. მოკლედ რომ გითხრათ, გადასარევი დრო გავატარეთ.

— **ძირითადად სად ერთობით ხოლმე?**

— კლუბებში სიარული დიდად არ მხიბლავს. შოტლანდიაში გავიგეთ, რომ ძალიან მაგარი ბლუზ-ბარი არსებობდა, სადაც ცოცხალი შესრულება იყო და ყველა იქ შევიკრიბეთ, მაგრამ ეს მხოლოდ საღამოობით ხდება, დღის განმავლობაში ყველა გაფანტულია, ვიღაც ბავშვის ტანსაცმელს ეძებს, ვიღაც — გასართობად მიდის.

— **თქვენ თუ დადიხართ საყიდლებზე?**

— კი, აუცილებლად. პირველ რიგში, ქვეყნის დამახასიათებელ სუვენირს ვყიდულობ, რომელსაც შემდეგ ჩემს ოთახში ვდებ. პირველი ორი დღე თუ მცალია, ვცდილობ, მეგობრებისთვის საჩუქრები შევიძინო. საზღვარგარეთ ტანსაცმლის დიდი არჩევანია, სეილებიც თუ დაემთხვა, მით უმეტეს, უამრავ ნივთს ვყიდულობ. რაზეც გართულება მაქვს, ფეხსაცმელი და აქსესუარია. თუ შესაძლებლობა მაქვს, შემიძლია რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი და აქსესუარები ტომრებით ჩამოვიტანო.

— **ყველაზე ლამაზი გოგოები სად ნახეთ?**

— ესტონეთში ისეთი გოგოები დადიან... მე და იმედა არაბულს დორბლი გვდიოდა. ვხუმრობდით კიდეც, ცოლის მოყვანას აზრი არ აქვს, 5 წუთში უკეთესს ნახავ-თქო. პოლონეთშიც ძალიან ლამაზები ვნახეთ, მაგრამ ესტონელებს ვერ შეედრებიან.

— **უცხო ქალაქში სამართალდამცავებთან შეხება თუ გქონიათ?**

— როგორ არა. ხანდახან ხდება, რომ შენ და უცხოელი ერთმანეთს ვერ გაუგებთ და ჩხუბობთ. სხვათა შორის, ამ ამბავს პირველად თქვენ გიყვებით. შოტლანდიაში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ყმაწვილს შუა ქუჩაში არ მოვეწონე და შეურაცხყოფა მომაყენა. მეც ვიქართველე და ვიჩხუბეთ, ხელით შევეხე.

**„სადაც ჩავდივართ, ლუდი უნდა დავაგემოვნოთ. ზაფხულში ცივი ლუდი ძალიან მიყვარს. გერმანიაში ხომ ბევრი ბარია, მაგრამ აეროპორტში ისეთ ლუდს მივაგენით... ცისტერნებით მოგვქონდა".**

პოლიცია მოვიდა, გაგვაშველეს და წაგვიყვანეს. ის ბიჭი თურმე მეასედ იყო დაჭერილი. პოლიციელებს ავუხსენი, რომ ტურისტი, თან მსახიობი ვიყავი გასტროლებზე ჩასული. თავისუფლების სანაცვლოდ 150 ფუნტი გადამახდევინეს და გამომიშვეს, მაგრამ, რაც მთავარია, ძალიან მაცინეს. იქაურ პოლიციას იარაღი არ აქვს. შევეკითხე, ასე რატომ არის-მეთქი და, იცით, რა მიპასუხეს?! ჩვენს ქვეყანაში გარეთ ისეთს არავის უშვებენ, ვის წინააღმდეგაც იარაღის გამოყენება დაგვჭირდებაო.

ხელბორკილები რომ დამადეს და მანქანაში ჩამსვეს, მთელი გზა მელაპარაკებოდნენ. მოვუყევი ჩემ შესახებ და ჩემი ვიდეოების ნახვა მანქანაშივე მოინდომეს. ბორკილებდადებულს ინტერნეტში ჩემს ვიდეოებს მაძებნინებდნენ. ერთ-ერთი პოლიციელი ძალიან ლამაზი გოგო იყო, მეორე კი — ჩემზე 5-6 წლით უფროსი ბიჭი. შემომატარეს ქუჩები და თან მიხსნიდნენ, სად რა იყო. ბოლოს დამამშვიდეს, ამიხსნეს, განყოფილებაში რა როგორ მოხდებოდა და შემიყვანეს. სხვათა შორის, დიდხანს მაყურყუტეს, დილამდე იქ ვიყავი, ოღონდ ძალიან გავერთე, ტიპაჟების ცვენა იყო.



■ გიორგი ვარდოსანიძე და აჩიკო სოლოღაშვილი ედინბურგში

**„აჩიკო სოლოღაშვილი ჭკვიანი კაცია, ფრენის დროს საძილე აბებს იღებს ხოლმე. კოლუმბიიდან რომ გამოვფრინდით, მითხრა, რატომ იტანჯებიო და მეც დამალევინა. თვითმფრინავში ჩაჯდომა მახსოვს და კიდევ ის, ტრაპზე რომ გადმომათრიეს, უკვე სახლში ხარო".**

— **ამ დროს თქვენი თეატრის მსახიობები არ გეძებდნენ?**

— როცა პოლიციამ ამიყვანა, ქუჩაში მარტო ვიყავი გამოსული, ჩიზბურგერს ვჭამდი. მანქანაში რომ ჩამტენეს, პასპორტი არ აღმომაჩნდა, სასტუმროში მქონდა დატოვებული. ჩემს ვინაობას არკვევდნენ, როცა ერთ-ერთმა მსახიობმა დამინახა, დავამშვიდე და გავუშვი. დილით, გამომიშვეს თუ არა, მაისურების მაღაზიაში შევბოდიალდი, სადაც მაისურებზე წარწერებს აკეთებდნენ. მინდოდა ეს ფაქტი რაღაცით დამმახსოვრებოდა. ავუხსენი თანამშრომელს რაც ხდებოდა და შავ მაისურზე წარწერა გამიკეთა: „Scottish prison is my friend“ (შოტლანდიური ციხე ჩემი მეგობარია). დღეს ვიცვამ ხოლმე და ძალიან მეცინება.

— **ყველაზე გემრიელი სამზარეულო რომელ ქვეყანაში აღმოაჩინეთ?**

— მექსიკურ სამზარეულოზე ვგიჟდები! ხორცეულს საოცრად ამზადებენ, თან მწარე საჭმელები იციან, რაც ძალიან მიყვარს. სიმართლე გითხრათ, ქართულ საჭმელს არაფერი მირჩევნია, ზუსტად ჩემთვისაა შექმნილი! მექსიკური სამზარეულო სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს, ამიტომ საზღვარგარეთ, სადაც მექსიკურ რესტორანს წავაწყდები, ყოველთვის შევდივარ.

— **რომელიმე ქვეყანაში კვების გამო დისკომფორტი არასოდეს შეგქმნიათ?**

— ისრაელში ვერაფერს ვჭამდით. იქაური სამზარეულო ვიღაცეებს კი მოეწონათ, მაგრამ ჩემთვის ძალიან უგემური იყო. მე და იმედა არაბულმა ჰოთდოგების პატარა კუთხე ვიპოვეთ, სადაც ცხენის ხორცის ჰოთდოგები იყიდებოდა. სხვა გზა არ გვქონდა, გავსინჯეთ და მივხვდით, რომ ძალიან გემრიელი იყო. 24 საათი ამ ჰოთდოგებს მივირთმევდით. ბოლოს აღმოვაჩინეთ, რომ არსებობდა მარკეტი, სადაც ძეხვიც იყიდებოდა. ერთ დღესაც რესტორანში დაგვპატიჟეს, გვეგონა, მაშინ მაინც შევჭამდით რაღაც განსხვავებულს, შემოიტანეს შემწვარი ქათამი, გაგვიხარდა. გავსინჯეთ და თაფლში ყოფილა შემწვარი, ყველაფერი ტკბილი იყო!

— **თვითმფრინავით მგზავრობა რა პროცესია თქვენთვის?**

— ვგიჟდები თვითმფრინავზე, ოღონდ აფრენა-დაფრენაზე! აფრენის დროს წნევა სკამზე რომ გამაკრავს, ამ პროცესზე ჭკუა მეკეტება. ტურბულენტური ზონა არ მიყვარს. ერთხელ „კუკურუზნიკით“ ვიმგზავრე და ისეთ ზონაში მოვყევით, მეგონა, ძველ „ზაპოროჟეცში“ ვიჯექი. ისეთ ორმოებში ურტყამდა, კაცი იფიქრებდა, სვანეთში ავდივართო. თუ დიდხანს მიწევს ფრენა, 4 საათი მაქვს მოთმენის ლიმიტი, შემდეგ უკვე სკამის ფორმის მიღება აღარ მსიამოვნებს.

კოლუმბიისკენ ფრენის დროს 12 ფილმი ვნახე. აჩიკო სოლოღაშვილი ჭკვიანი კაცია, საძილე აბებს იღებს ხოლმე. კოლუმბიიდან რომ გამოვფრინდით, მითხრა, რატომ იტანჯებიო და მეც დამალევინა. თვითმფრინავში ჩაჯდომა მახსოვს და კიდევ ის, ტრაპზე რომ გადმომათრიეს, უკვე სახლში ხარო.

— **უახლოეს მომავალში აპირებთ სადმე გამგზავრებას?**

— თურქეთში მივდივარ მანქანით. ტაოკლარჯეთს მოვივლი და შემდეგ სადმე ზღვისპირას დავისვენებ.

— **ყველაზე კარგი დასვენება სად გამოგდით?**

— რაც შეიძლება მშვიდ ადგილას. ზღვაზე ვგიჟდები, მაგრამ ძირითადად კარვით ისეთ ადგილებში დავდივარ, მთასა და ზღვას შორის ბალანსი იყოს. სარფში, სანამ თურქეთი დაიწყება, ზემოთ, ტყეში, ულამაზესი მთაა და იქ მიყვარს ასვლა. ჩემს მანქანაში ყოველთვის დევს კარავი. საკმარისია, თავისუფალი საღამო გამომიჩნდეს და მეგობრებთად ერთად სადმე მშვიდ ადგილს უნდა მივაშურო. ბუნებაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. მანქანაში იმდენი რამ მაქვს, სულ რომ ანტარქტიდაზე ჩამაგდონ, მაინც გადავრჩები. ერთადერთი, რაც დამჭირდება, საკვებია. ესეც არაა პრობლემა. უამრავ ლიტერატურას ვკითხულობ. ალტერნატიული მეთოდებით წყალი ან ცეცხლი როგორ უნდა მოვიპოვო, ისიც ვიცი.




■ გიორგი ვარდოსანიძე და იმედა არაბული ესტონეთში

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# აპია — ჩანჩქერებისა და მარჯნის ტყვეობაში

აპია წყნარი ოკეანის სამხრეთში მდებარე სახელწიფო სამოას დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია. ის ქვეყნის სიდიდით მეორე კუნძულის, უპოლუს ჩრდილოეთ ნაწილის სანაპირო ზოლში მდებარეობს. აპია ტურისტებით განებივრებული ქალაქია. წყნარი ოკეანის ლაჟვარდისფერ წყლებში ულამაზეს ადგილებს ნახავთ. ხშირი ტროპიკული ტყეებითა და პალმის ხეებით დამშვენებულ სანაპიროებს ძირითადად ეგზოტიკისა და გარუჯვის მოყვარული ტურისტები სტუმრობენ. სანამ აპიასკენ გეზს აიღებთ, ამ ქალაქის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გაგაცნობთ.

### მცირე რამ ისტორიიდან

1837 წელს სამოას ტერიტორიაზე ევროპული დასახლება გაჩნდა. პირველად აქ ბრიტანელი მისიონერები მივიდნენ. 1900 წელს მთელი არქიპელაგი გერმანიამ და ამერიკამ გაიყვეს — დასავლეთ სამოა შევიდა გერმანიის შემადგენლობაში. 1914 წელს გერმანელებმა აპიადან ჯარი ახალ ზელანდიაში გადასხეს. აპია მალევე გახდა ადმინისტრაციული ცენტრი. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დასავლეთი სამოა ახალი ზელანდიის ტერიტორია გახდა, 1962 წლიდან კი აპია დამოუკიდებელი სამოას დედაქალაქია.

### კლიმატი

აპიასათვის სუბტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. ქალაქი წყნარი ოკეანის სანაპიროზეა გაშენებული და შესაბამისად მასზე ოკეანის ჰავა ვრცელდება. საკურორტო სეზონი ადრეული გაზაფხულიდან იწყება და გვიან შემოდგომამდე გასტანს. აპიაში ძირითადად ორი სეზონია — წვიმიანი და მშრალი. პირველი ოქტომბრიდან მარტის ბოლომდე გრძელდება. ამ პერიოდში იქ ჩასვლას ერიდეთ, რადგან ხშირია ქარიშხლები. მშრალი და საკმაოდ სასიამოვნო სეზონი მაისის ბოლოდან ოქტომბრის დასაწყისამდეა.

### ენა

აპიას ორი ოფიციალური ენა აქვს — ტრადიციული სამოური და ინგლისური. კარგი განათლების მქონე პირები ფრანგულად ან გერმანულადაც გაგესაუბრებიან. მიუხედავად იმისა, რომ სამოურ ენას საკუთარი დამწერლობა აქვს, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა ინგლისურზეა დაფუძნებული.

### ფული

სამოასა და შესაბამისად აპიას ეროვნული ვალუტა ტალაა. 1 ამერიკული დოლარი 2.13 ტალას ტოლფასია. წყნარი ოკეანის სამხრეთში სამოა ყველაზე იაფ სახელწიფოს წარმოადგენს, ამიტომ მას ძირითადად ხელმოკლე ტურისტები სტუმრობენ. თავის გატანას დღეში 25 დოლარადაც მოახერხებთ. მათ კი, ვისაც კომფორტი უყვართ, 60 დოლარი ეყოფათ. აპიაში, ამერიკული დოლარის გარდა, სხვა ვალუტით სარგებლობის იმედი არ გქონდეთ. გამონაკლის შემთხვევაში, ტურისტებით გადაჭედილ ადგილებში შეიძლება რამდენიმე ევროდ რამეს გამოჰკრათ ხელი. დედაქალაქში ფიქსირებული ფასებია, ამიტომ შევაჭრება არ გამოგივათ.

### რელიგია

რელიგიას სამოას ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. კვირა დღეს ყველა დაწესებულება იკეტება და ხალხის თავშეყრის ადგილები მხოლოდ ეკლესია-მონასტრებია. მოსახლეობის 70% პროტესტანტია, 20% — კათოლიკე, ხოლო დარჩენილი 10% მსოფლიოში გავრცელებული სხვადასხვა რელიგიისა თუ რელიგიური სექტის მიმდევრად ითვლება.

### გადაადგილება

აპიაში მოხვედრა არც ისე ადვილი საქმეა. ქვეყნის ერთადერთი აეროპორტი დედაქალაქიდან 1 საათის სავალზე მდებარეობს. თუ საფულე საშუალებას გაძლევთ, თვითმფრინავი აპიაში ჩასასვლელად ყველაზე ოპტიმალური ტრანსპორტია. შეგიძლიათ გემითაც ისარგებლოთ. სახელწიფო პორტი იდეალურად მუშაობს.



ქალაქში გადაადგილებისათვის ტურისტების დიდი ნაწილი უპირატესობას ტაქსს ანიჭებს, რომლით მგზავრობის ფასი ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე მხოლოდ 20 დოლარს (40-50 ტალას) შეადგენს. ტაქსი უსაფრთხო და ამავდროულად იაფია.

ყველაზე ეკონომიურ ტრანსპორტს კი ფერადი ავტობუსები წარმოადგენს, რომლებიც ყველა მიმართულებით დადიან, მაგრამ დიდი კომფორტით არ გამოირჩევა.

რაც შეეხება მატარებელს, ქვეყანაში სარკინიგზო სისტემა საერთოდ არ არსებობს. თუ საწვავის ჩასხმის პრობლემა არ გაქვთ და მზად ხართ, 1 ლიტრში 1.5 დოლარი გადაიხადოთ, მაშინ მანქანის დაქირავება იდეალური გამოსავალია. ადგილობრივი მართვის მოწმობის ქონა აუცილებლობას წარმოადგენს, რომლის აღება პოლიციის ნებისმიერ განყოფილებაში არ უნდა გაგიჭირდეთ თუ, რა თქმა უნდა, საბუთები წესრიგში გაქვთ.

### სამზარეულო

სამოას სამზარეულო საოცრად მრავალფეროვანი და დახვეწილია. ხორცეულის ფონზე ათასნაირი სახეობის ზღვის პროდუქტებსაც ნახავთ. ნაციონალური კერძების უმრავლესობა ხორცეულითა და ქოქოსის რძით მზადდება. ყველაზე პოპულარული ეროვნული კერძი ქოქოსის რძითა და ქათმის ხორცით მომზადებული პალუსამია. ამ კერძს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებული ადგილობრივი ლუდი „ვაილი მა“ დააყოლეთ. მათ კი, ვისაც მსგავსი მენიუ არ ხიბლავს, შეუძლიათ ფასტ ფუდებს ან აპიაში არსებულ სხვადასხვა ქვეყნის რესტორნებს მიაკითხონ.

ადგილობრივები, ისევე როგორც ტურისტები, უპირატესობას ქვებით აშენებულ ღუმელში — უმუში — მომზადებულ კერძებს ანიჭებენ. მათი მტკიცებით, ასე მომზადებულ საჭმელს აბსოლუტურად სხვანაირი გემო აქვს. ზღვის პროდუქტების მოყვარულებს შეუძლიათ ოკეანის სანაპიროზე განლაგებულ ნებისმიერ ბარ-რესტორანს მიაშურონ, სადაც ყველაზე დიდი მოთხოვნა ქოქოსის რძით მომზადებულ უმ თევზ ოკაზეა.

ლუდის შემდეგ ყველაზე გავრცელებული სასმელი ღვინოა. უალკოჰოლოებიდან კი ყავა წამყავნ პოზიციას არ თმობს.

### ღირსშესანიშნაობები

აპია თავისი მრავალკილომეტრიანი ქვიშის პლაჟებით მთელ წყნარ ოკეანეში პირველ ადგილზეა. კამკამა წყალში დაახლოებით 200 სახეობის მარჯანია და 900-ზე მეტი სახეობის თევზი ბინადრობს, ხმელეთზე კი ჟასმინის სურნელება იფრქვევა.

დედაქალაქი ყოველთვის ხმაურიანი და ხალხმრავალია. იქ ბევრი რამ დაგაინტერესებთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალისმომჭრელი ვაილალა ბიჩია თავისი ულამაზესი პარკით.

ჩანჩქერების ნაირსახეობა აპიას ბუნების უდიდესი საჩუქარია, მათგან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ჩანჩქერი ფალეფა. დედაქალაქთან ახლომდებარე ტბა ლანოტოს მიმდებარე ტერიტორია საკურორტო ზონადაა გამოცხადებული, აქ სამკურნალოა არამხოლოდ წყალი, არამედ ჰაერიც. ლანოტო ოქროს თევზებიანი ტბის სახელითაა ცნობილი.

მულინუ ძუ აპიას გარეუბნის ნაწილია, სადაც განთავსებულია პარლამენტის და სასამართლოს შენობები. აქვე შეგიძლიათ ესტუმროთ ისტორიულ ობსერვატორიასაც.

დედაქალაქში მდებარე ოლე პუ-პუს ეროვნული პარკში შესვლა სულიერ სიმშვიდეს და ჰარმონიას მოგიტანთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც აპიაში იხილავთ, ფია-ფიას ღამეებია — ტრადიციული ცეკვების წარმოდგენა, რომელიც თქვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება.

### უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, აპია ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და დაცული ქალაქია, სადაც მკვლელობებისა და თავდასხმების რიცხვი ძალზე დაბალია და მაინც... არ გაგიკვირდეთ, ტურისტების თავშეყრის ადგილებში თუ საფულეს ან ჩანთას აგწაპნიან. ასეთ შემთხვევაში ქუჩაში მოსიარულე პოლიციელებს ზრდილობიანად მიმართეთ და დახმარება გარანტირებული გაქვთ.

პირველ რიგში, რაც ადგილობრივების მიმართ გმართებთ, ეს პატივისცემაა. მეგობრულ და თავაზიან სამოელებს ასეთივე სტუმრები უყვართ.

გაითვალისწინეთ, დიდ საშიშროებას წარმოადგენს მგლების ხროვა, რომლებიც შებინდებისას ქალაქთან ახლოს მოდიან.

### უბის წიგნაკი

**ქვეყანა — სამოა;**
**დედაქალაქი — აპია;**
**მოსახლეობა — 37.708;**
**ფართობი — 60 კვ.კმ;**
**ოფიციალური ენა — სამოური, ინგლისური;**
**ოფიციალური ვალუტა — ტარა.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემმა დაქალმა ოქროსავით ქმარი ვერ შეიშნოვა“

## ცოლი, რომელიც საკუთარ ინტრიგებში გაიხლართა



ოჯახურ წყვილს შორის გაყრის მიზეზი ათასი რამ შეიძლება იყოს — ხასიათების შეუთავსებლობა, ღალატი, მანძილით სიშორე, ახლობელთა თუ შორებელთა ჩარევები... მაგრამ შემთხვევა, რომელიც ჩვენმა რესპონდენტმა მეგობრის მაგალითზე გვიამბო, იშვიათია. ქალი, რომელსაც შესანიშნავი ქმარი ჰყავდა, საკუთარმა ამპარტავნებამ დაღუპა. ცოლმა ინტრიგების ხლართვა დაიწყო, ქმრის თაყვანისმცემლებს თამაშში იწვევდა, დამცირების მიზნით ავანტიურებს უწყობდა, აბუჩად იგდებდა. თუ რა შედეგი მოიმკო საბოლოოდ და როგორი „ირონია“ შეაგება ბედმა, ამას ქვემოთ შეიტყობთ.

**ეკა:**

— მაკა ჩემი ბავშვობის მეგობარია. ჩვენი ოჯახები ახლობლობდნენ, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ და ჩვენც ერთად გავიზარდეთ. ერთ საბავშვო ბაღში გვატარებდნენ, სკოლაშიც ერთ კლასში შეგვიყვანეს. ხან დედაჩემს მივყავდით, ხან მაკას დედას — ნორა დეიდას. რომ წამოვიზარდეთ, ერთმანეთის იმედად ვიქეცით. ვერ ვიტყვი, რომ ხასიათით ბოლომდე ვეწყობოდით, მაკა ზედმეტად ამაყი და კუდაბზიკა იყო, მე — ჯიუტი და წყენია. ზოგჯერ ვკამათობდით, ვიბუტებოდით კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც ვრიგდებოდით. დებივით ვიყავით, ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით.

მერვე კლასში სხვა სკოლიდან ერთი სიმპათიური ბიჭი გადმოვიდა — ზუკა, ნიჭიერიც იყო, კარგად სწავლობდა. მაშინვე გოგოების მხრიდან ყურადღების ცენტრში მოექცა. „დიდი ვინმეც ეგ არის“, — თქვა ერთხელ მაკამ ცხვირაბზუებით, თუმცა „დიდი ვინმე“ იყო თუ „ცოტა ვინმე“, ჩემი და მაკას მთავარი სალაპარაკო თემის ძირითადი ობიექტი გახდა. მაკა მასზე სულ ცინიკურად საუბრობდა, მე კი გულის სიღრმეში მისი ამგვარი დამოკიდებულება მაღიზიანებდა. ერთ დღესაც საუბარში გავწიწმატდით და აღმოვაჩინეთ, რომ ეს ბიჭი ორივეს მოგვწონდა. მეგობარი უკვე შეგნებულად იხსენიებდა ზუკას აუგად, ასე ვთქვათ, ჩემს გაბრაზებას ცდილობდა. თავი ისე მეჭირა, ვითომ არ ვიმჩნევდი, გული კი მისივდებოდა.

**— ზუკას თქვენი და მაკას მიმართ რა დამოკიდებულება ჰქონდა?**

— მხოლოდ ამხანაგობდა. შეყვარებული არ ჰყავდა. ყველა გოგოსთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. კლასელებიდან განსაკუთრებით ანისთან მეგობრობდა. ანი ჩვენს კლასში ყველაზე მეგობრული გოგო იყო, ბიჭებს ადვილად უგებდა. ბუთხუზა გახლდათ, წრფელი, ბუნებრივი და უშუალო. სხვა გოგოებივით სარკის წინ პრანჭვა არ უყვარდა. საინტერესო გოგო იყო, განსაკუთრებული ნატურის. სამეცნიერო წიგნებს კითხულობდა, კარგად ხატავდა, ჭადრაკში ვერავინ უგებდა, ბიჭებთან ფეხბურთსაც თამაშობდა. ბავშვობაში კარატეზეც ატარებდნენ.

**— ზუკასთან ურთიერთობაში დაქალები აქტიურობას იჩენდით?**

— დამამთავრებელ კლასში რომ გადავედით, მაკა განსაკუთრებით გააქტიურდა. ცდილობდა, ყველგან ევლო, სადაც ზუკა ეგულებოდა, მის გვერდით დამდგარიყო და საუბრის საშუალება მისცემოდა. თან ხომ არ გგონიათ, სითბოს იჩენდა — ზუკასთან სულ შხამს ანთხევდა და გესლავდა, ამით იწვევდა. პრინციპში, სხვაგვარად არ შეეძლო, ეს მისი თვითგამოხატვის ფორმა იყო. მერე შინმისული ამას ძალიან განიცდიდა.

მე ზუკას წინაშე მორიდებული გახლდით, მასთან საერთოდ ვერ ვლაპარაკობდი, ენა მებმოდა. ერთი ჩვეულებრივი, ბავშვური გოგო ვიყავი, მაკა ჩემთან შედარებით ქალურად მომხიბლავი და შარმიანი ჩანდა. როცა შევნიშნე, რომ ჩემმა სათაყვანებელმა ბიჭმა მას ყურადღება მიაქცია, გადავწყვიტე, მეგობარს გზიდან ჩამოვცილებოდი და მისთვის ხელი არ შემეშალა.

თავის ხელში აყვანა შევძელი — დამეთანხმებით, განწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თან მარტო ეს არ ვიკმარე, მათ შორის შუამავლადაც ვიქეცი.

**— როგორც ჩანს, მათი სიყვარული განვითარდა.**

— დიახ, შეყვარებულები გახდნენ. გოგოები შურით სკდებოდნენ და ინტრიგებს ხლართავდნენ. მე კი მათ სიყვარულს თავგამოდებით ვიცავდი, კეთილ ფერიასავით ავი სიტყვისგან და ბოროტი თვალისგან ვიფარავდი. სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესში მოვეწყვეთ. მშობლებმა ზუკა ბულგარეთში, ოქროს ქვიშებზე გაუშვეს დასასვენებლად. მაკამ იეჭვიანა, მოსვენება დაკარგა და გადაწყვიტა, რევანშისთვის მიემართა. უბანში ერთ ბიჭს უყვარდა, რეზო ერქვა და მას დაუახლოვდა. საღამოობით მასთან ერთად დადიოდა. რომ ვსაყვედურობდი, ზუკა ამას არ იმსახურებს, ასე ნუ იქცევი-მეთქი. მპასუხობდა, შენ რა გესმის, ამას განგებ ვაკეთებ, ზუკა რომ ჩამოვა და შეიტყობს, რეზოსთან დავდივარ, მარტო აღარასოდეს დამტოვებსო.

ერთ დღესაც მისი ქცევებით შეგულიანებულმა რეზომ მაკა მოიტაცა, მოტყუებით ჩაისვა მეგობრის მანქანაში და სოფლისკენ გააქანა. იმ დღეს მაკასთან ერთად კინოში ვაპირებდი წასვლას, შეთანხმებულები ვიყავით. რომ აღარ გამოჩნდა, ავფორიაქდი. ეზოში ბავშვებმა მითხრეს, რეზოს ჩაუჯდა მანქანაში და წავიდნენო. მაშინვე მაკას მშობლებთან მივიჭერი და ვუთხარი. ერთი მხრივ, მაკას ოჯახმა და, მეორე მხრივ, ჩემმა მშობლებმა ქვეყანა შეძრეს, მოტაცებული მაკას ადგილსამყოფელს იმ საღამოს მიაკვლიეს და უკან დააბრუნეს.

**— ზუკამ მაკას მოტაცების ამბავი გაიგო?**

— უცხოეთიდან ჩამოსულ ზუკას ცხელ-ცხელი ამბავი დახვდა. გაგიჟდა, გადაირია, გაარკვია, რომ რეზოს მაკა მოტყუებით ჰყავდა წაყვანილი. სოფელში ჩააკითხა და რეზოს თავპირი გაუერთიანა. მერე ორ თვეში მაკა დანიშნა და ცოლად მოიყვანა. მაკას მშობლები ქალიშვილის გათხოვებას ჯერ არ გეგმავდნენ, მაგრამ, იმის შიშით, რომ უარესს არ გადაჰყროდა, დათანხმდნენ. თანაც ზუკა, მიუხედავად იმისა, რომ დაოჯახებისთვის ასაკით პატარა გახლდათ, სანაქებო ბიჭი იყო, კარგი ოჯახიშვილი და სასურველ სასიძოდ ითვლებოდა.

**— მაკამ და ზუკამ როგორი ოჯახი ააწყვეს?**

— ზუკა საუკეთესო მეუღლე გამოდგა, თბილი, მზრუნველი, ყურადღებიანი. მაკა იფერებდა და თავს იწონებდა. ქალობაც მოუხდა, უფრო დამშვენდა და გალაღდა. ულამაზესი გოგონაც შეეძინათ.

ანი ხომ გახსოვთ, ზემოთ რომ გიყვებოდით? ერთხელ ჩემთან მისი და მოვიდა.

> **„მიხვდა, რომ ქმარი არ უნდა დაეკარგა, მით უფრო — ასეთი კაცი. თანაც რა მიზეზით — თავი ვერ მოთოკა, ქედმაღლობა და ამპარტავნება ვერ დაძლია, გულის ჯიბს იხარებდა და ქმრის თავმოყვარეობას არად აგდებდა... ბოლოს სინანულმა შეიპყრო, მაგრამ ძალიან დააგვიანდა“.**

მითხრა, საიდუმლოდ უნდა გაგიმხილო და იმედი მაქვს, დამეხმარებიო. ზუკა და ანი მეგობრობას აგრძელებდნენ. ანის დას უნდოდა, ზუკას ანისთან სიახლოვე შეეწყვიტა და ამისთვის მთხოვდა დახმარებას.

**— მიზეზად რა დაასახელა?**

— თქვა, ზუკა უკვე ცოლიანი კაცია და მისი ხშირი ვიზიტები ანისთან მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო. გაკვირვება გამოვხატე — მერე რა მოხდა, ბავშვობის მეგობრები არიან, რაც მთავარია, ცოლი არ აპროტესტებს-მეთქი. ასე ამიხსნა — ხომ იცი, ქალის გული დაუცველია, შეიძლება ამ სიახლოვის გამო ზუკასთან დაკავშირებით ანიმ იმაზე მეტი წარმოიდგინოს, ვიდრე სინამდვილეშია და ტყუილუბრალოდ გული რატომ უნდა ეტკინოსო.

ამ სიტყვებმა ძალიან დამაფიქრა. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, ნუთუ ანის ზუკა უყვარდა? ანის და საკმაოდ სერიოზული გოგო იყო, არაფრის გამო ჩემთან არ მოვიდოდა.

**— რამით დაეხმარეთ?**

— მაკას გავუმხილე, თან ვაფიცე, საიდუმლოდ შეენახა. მასაც ძალიან გაუკვირდა,

ზუკა გოგოებში ძალიან პოპულარული იყო, მაგრამ ანიზე ვერაფერს წარმოიდგენდა. მაკა დამპირდა, ჩემი იმედი გქონდეს, ზუკას თანდათან ჩამოვაშორებო.

ერთხელ ანი ავარიაში მოყვა და სახე ძალიან დაუზიანდა. დეპრესიაში ჩავარდა, შინიდან გასვლა არ უნდოდა, თავისი დამახინჯებული სახის გამოჩენის რცხვენოდა. მაკამ მისი მონახულება გადაწყვიტა. ვეხვეწე, შენი მხრიდან ეს ზედმეტია, ნუ წახვალ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა, თითქოს ჯიბრზე საუკეთესოდ შეიმოსა, შვილიც გამოპრანჭა და ანის მოსანახულებლად გასწია. ანი უზომოდ შემეცოდა. ვინანე, ნეტა, მაკასთვის ანის გრძნობის შესახებ არ გამემხილა-მეთქი.

**— ამ სტუმრობამ როგორ ჩაიარა?**

— მაკა კმაყოფილი დაბრუნდა, თითქოს საკუთარ გამარჯვებას ზეიმობდა. ტრავმირებული ანის მიმართ სიბრალულს კი გამოთქვამდა, მაგრამ მაინც ნიშნისმოგების პოზიცია ეკავა. ზუკამ უსაყვედურა, ანისთან მეგობრობას მიშლი და თავად კი მის სანახავად უჩემოდ დადიხარო. მაკამ თავი იმართლა, ამ მდგომარეობაში მყოფ ანის შენი დანახვა შერცხვებაო (თითქოს მაკას და მათი შვილის ნახვა საბრალო გოგოს დიდად ეამებოდა). ბოლოს ანი მშობლებმა საზღვარგარეთ გაუშვეს სამკურნალოდ, სადაც სახის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. მერე იქ კოლეჯიც დაამთავრა და რამდენიმე წელი იცხოვრა.

**— როგორც ამბობთ, ზუკა გოგონებში პოპულარობით სარგებლობდა. ქმრის თაყვანისმცემლების შემოტევებს მაკა როგორ იგერიებდა?**

— ზუკა ქალებს არ აძლევდა საშუალებას, მაკას მისწვდომოდნენ. ცოლს და ოჯახს თავგამოდებით იცავდა. დამეთანხმებით, როცა მამაკაცი ძლიერია, ქალები ზედმეტს ვერ ბედავენ. ზუკა იმ ქალების მოთოკვას კი ახერხებდა, მაგრამ ცოლს ვერაფერს უხერხებდა. მაკა მათ თავად იწვევდა ფარულ ბრძოლაში, რაღაც ავანტიურებს ხლართავდა. მათი დამცირება და აბუჩად აგდება სიამოვნებას გვრიდა. რაკილა ზუკასთან ოჯახი ჰქონდა და შვილიც ჰყავდა, ეგონა, ქმრის სიყვარული გარანტირებული ექნებოდა.

თავიდან ზუკა ამას ვერ ხვდებოდა. მაკას ვეხვეწებოდი, ცეცხლს ნუ ეთამაშები, ზუკას ეს არ მოეწონება და შეიძლება ვერ გაპატიოს-მეთქი, მაგრამ მაკა ისე აზარტულად იყო იმ თამაშში ჩართული, რომ ჩემი დარიგება არც შეისმინა. მერე მაკას დედას მივმართე. ნორა დეიდა აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, მაგრამ მაკა მასთან ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა, იფიცებოდა, არაფერს ჩავდივარო. მე კი გამიწყრა, დედაჩემთან რატომ დამასმინეო. დიდხანს ხმას არ მცემდა.

ბოლოს ზუკამ ყველაფერი შეიტყო და მაკას მოსთხოვა, ინტრიგები შეეწყვიტა. ჩემი დაქალი კი ისე იყო სხვისი აბუჩად აგდებით გატაცებული, ვეღარც განსაზღვრა, რომ საქმე მის ქმარს ეხებოდა — ზუკასაც ზემოდან დაუწყო ყურება, მის კაცურ თავმოყვარეობას უხეშად ეხებოდა. ფაქტობრივად თავზე გადაუარა.

**— საბოლოოდ ამან რა შედეგი გამოიღო?**

— ზუკამ ცოლს დამცირება არ აპატია და შინიდან წავიდა. მაკას მასთან შერიგება არ უცდია. კუდი ყავარზე გაიდო, აქეთ მომიბოდიშოს და შემირიგდესო. მისმა ამპარტავნებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ საბოლოოდ დაკარგა ქმარი.

**— ანუ ზუკა სხვასთან წავიდა?**

— უბანში ხმა დაირხა, ზუკა სხვა ქალთან დადისო. როგორც ამბობდნენ, მისი ახალი შეყვარებული ძალიან ლამაზი იყო, ამბობდნენ, რომ ზუკას ის გოგო უზომოდ უყვარდა... გამოვქექეთ და, იცით, ვინ აღმოჩნდა მისი შეყვარებული? ანი, ზუკას ბავშვობის მეგობარი.

**— პლასტიკურმა ოპერაციამ ისე შეცვალა, რომ ვეღარ ცნობდნენ?**

— არამარტო ოპერაციამ შეცვალა, არამედ ვარჯიშებმაც. წონაში დაიკლო, საუცხოო ტანი დაუდგა, საოცრად დამშვენდა. ზუკამ ცოლად მოიყვანა და დღესდღეობით ბედნიერი ოჯახი აქვთ.

რაც შეეხება მაკას, თავიდან არც აღიარებდა, რომ ქმართან ურთიერთობა თავად დაანგრია, ზუკას აბრალებდა — აი, ხომ ხედავთ, ჩემი ღირსი არ ყოფილაო. მერე მარტოობამ შეაწუხა და მიხვდა, რომ ქმარი არ უნდა დაეკარგა, მით უფრო — ასეთი კაცი. თანაც რა მიზეზით — თავი ვერ მოთოკა, ქედმაღლობა და ამპარტავნება ვერ დაძლია, გულის ჭიას იხარებდა და ქმრის თავმოყვარეობას არად აგდებდა... ბოლოს სინანულმა შეიპყრო, მაგრამ ძალიან დააგვიანდა.

✓ **ნანი კახიძე**

## ანტისტრესული ჩაი



სტრესის დროს ჩვენი დამხმარეა სამკურნალო ბალახების ბაზაზე დამზადებული დამამშვიდებელი ჩაი. ის მომატებულ ნევროზულობას ხსნის და ძილის ნორმალიზებას ეხმარება. გთავაზობთ ანტისტრესული ჩაის რეცეპტებს:

1. აიღეთ 2 წილი პიტნის ფოთოლი, 2 წილი წყლის სამყურა, 1 წილი ვალერიანის ძირები და 1 წილი სვიის გირჩები. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, 20 წუთი დადგით, გაწურეთ. 0,5 ლიტრი დილით და საღამოს დალიეთ.

2. თანაბარი რაოდენობით აიღეთ შავბალახა და ბერულა, კუნელისა და გვირილის ყვავილები. 1 სუფრის კოვზ ნარევს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, შეფუთეთ და 6 საათი დადგით, შემდეგ გაწურეთ. 0,5 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამიდან ერთი საათის შემდეგ დალიეთ.

3. აიღეთ 2 წილი ვალერიანის ძირები, 3 წილი გვირილის ყვავილები და 5 წილი კვლიავის ნაყოფი. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით. 20 წუთი დადგით, გაწურეთ. დილით და საღამოს 0,5 ჭიქა დალიეთ.

## ეს იცოდით?

❖ ერთ წუთში ერთი გვერდის წაკითხვისას ტვინში 70 უჯრედი კვდება. 40 წლის მერე ტვინის დეგრადაციის პროცესი ჩქარდება, ხოლო 50 წლის შემდეგ ტვინის მოცულობა მცირდება.

❖ დალტონიზმს კაცებში 10-ჯერ უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე ქალებში.

❖ საშუალოდ ადამიანს 725 კმ სიგრძის თმა ეზრდება სიცოცხლის განმავლობაში.

❖ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მკვიდრი ქალები იშვიათად ავადდებიან ძუძუს კიბოთი. ექიმების აზრით, ამის მიზეზი ზეთისხილის მთავარი კომპონენტი — ზეითუნის მჟავაა. ეს ნივთიერება არამარტო ამცირებს ამ დაავადების განვითარების რისკს, არამედ აძლიერებს მკურნალობის ეფექტსაც.

❖ მეცნიერების აზრით, ცრემლში შემავალი ნივთიერებები დადებითად მოქმედებს სახის კანზე, ხელს უწყობენ მის გასუფთავებას, აქვთ ანტიალერგიული და ანთების საწინააღმდეგო თვისებები, ხსნიან სტრესს, დაძაბულობას და აახალგაზრდავებენ ორგანიზმს.

❖ უძველესი ნავი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, ნაპოვნია კუნძულ ფიუნზე, ბალტიის ზღვაში. ხის ნავი, რომლის სიგრძეც — 8 მეტრს, ხოლო სიგანე 80 სანტიმეტრს უტოლდებოდა, განკუთვნილი იყო გველთევზების საჭერად. იგი ქრისტეს შობამდე დაახლოებით 4490 წელს ააგეს.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# კეფირი – განძი ქალებისთვის



კეფირი შინაურ კოსმეტიკაში უკვე რამდენიმე ასეული წელია გამოიყენება და დღემდე ძალიან პოპულარულია, ვინაიდან არამხოლოდ ეფექტური, ასევე ხელმისაწვდომია. კეფირი სილამაზის ძლიერი საშუალებაა.

კეფირის შემადგენლობა დაბალანსებულია და რეგულარულად გარეგანი გამოყენებისას კანს ვიტამინებით, მინერალებით ამდიდრებს, ასევე ათეთრებს, ასუფთავებს და აახალგაზრდავებს.

კეფირის ნიღბები გამოიყენება მშრალი და ცხიმიანი კანისთვის. ცხიმიან კანზე ფორებს ავიწროებს, ზედმეტი ბრწყინვისგან ათავისუფლებს. ნიღბების ეფექტი რომ გაძლიერდეს, კეფირი 2-3 დღე თბილ ადგილას დადგით.

ნებისმიერი კანის გასასუფთავებლად საკმარისია ბამბის ტამპონი კეფირში დაასველოთ და სახე გულმოდგინედ გაიწმინდოთ. კეფირში არსებული რძისმჟავა ძლიერ ანტისეპტიკად ითვლება.

კეფირზე დამზადებული ნიღბები სისხლის მიმოქცევას აქტიურებს და ატონიზირებს.

კეფირი აუცილებლად ჩართეთ ყოველდღიურ რაციონში. ის ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ჯანმრთელობას ეხმარება, ამხნევებს, კანს მუწუკებისა და ანთებისგან იცავს.

კეფირი უნივერსალური კოსმეტიკური საშუალებაა. მისი დახმარებით არამხოლოდ სახის კანის, ასევე ხელების, ფეხების, თმის და მთელი ორგანიზმის გაჯანსაღება-გაუმჯობესება შეიძლება. მთავარია, რეგულარულად გამოიყენოთ.

## სისუფთავე უმთავრესია

არც ნიღაბი, არც მასაჟი სასიკეთოდ არ წაგადგებათ, თუ კანს წინასწარ არ გაისუფთავებთ.

**ღრმა გაწმენდა** — ეს არის პილინგი. მას ჩვეულებრივ თვეში 1-2-ჯერ იკეთებენ კანის ტიპის მიხედვით. პილინგი შეგიძლიათ ჩაიტაროთ სილამაზის სალონში ან სახლში.

აიღეთ 1 კვერცხის გული, 1/2 ჭიქა კეფირი, 50 მლ არაყი და ამდენივე ლიმონის წვენი. ათქვეფილი კვერცხის გული და კეფირი აურიეთ. ნარევს არაყი და ლიმონის წვენი დაუმატეთ. ისევ ათქვიფეთ და ნიღაბი სახეზე 15 წუთი დაიდეთ. თუ ძლიერ წვას იგრძნობთ, ნიღაბი მითითებულ დრომდე ადრე მოიცილეთ.

კეფირის ასეთი პროცედურები მკვდარ უჯრედებს ეფექტურად აცლის, კანს ასუფთავებს და კვებავს.

**მეორე რეცეპტი** პილინგისთვის უფრო უხეშია. ბრინჯი ან შვრია დაფქვით. 1 სუფრის კოვზ ფქვილს იმდენი კეფირი დაუმატეთ, ფაფა რომ მიიღოთ. მასაჟის მოძრაობებით არამხოლოდ სახეზე, ასევე ყელზე წაისვით. თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

## განძი თავის მოსავლელად

კეფირი მშრალ თმას აცოცხლებს, მოვლილ იერს აძლევს. ის ტრადიციული ხალხური საშუალებაა. კეფირი შეიცავს ბიოკულტურებს, რომლებიც თმის ძირებს ამაგრებენ, მათ სტრუქტურას აუმჯობესებენ, ცხიმის ჯირკვლების მუშაობას არეგულირებენ.

1 კვერცხის გული და 1 ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი აურიეთ. 3 სუფრის კოვზი კეფირი დაუმატეთ, ისევ აურიეთ და თმაზე დაიდეთ. თავზე ცელოფანი დაიფარეთ, შემდეგ — პირსახოცი. 1 საათის შემდეგ თმა კარგად ჩამოიბანეთ. ბოლოს ნებისმიერი მჟავე ხსნარი გადაივლეთ.

კეფირი სასარგებლოა არამხოლოდ თმისთვის, ასევე კარგია სხეულის მასაჟისთვის კვირაში 2-3-ჯერ. ის კანს ატონიზირებს და გაცვლით პროცესებს ააქტიურებს. ამისათვის საუკეთესო დრო შხაპის მიღებამდეა. უბრალოდ, ხელჯაგი თბილ კეფირში დაასველეთ და მთელი სხეული წრიული მოძრაობით დაიზილეთ. ასეთი მასაჟის შემდეგ სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება, კანი ჟანგადით მარაგდება და მისი ტონუსი მაღლდება.

## ცხიმიანი კანის პრობლემის გადაჭრა

ცხიმიანი კანი ყველაზე პრობლემურია. ამბობენ, რომ გვიან ბერდება. სამაგიეროდ ახალგაზრდობაში მის მფლობელს ბევრ საზრუნავს უჩენს.

**ნიღაბი ცხიმიანი კანისთვის:** 1 ჩაის კოვზ სალბის ფოთლებს და 1 ჩაის კოვზ გვირილის ყვავილებს 1/2 ჭიქა მდუღარე დაასხით. როდესაც ნაყენი გაგრილდება, გაწურეთ და 3 სუფრის კოვზი ჩაასხით კერამიკის ჭურჭელში. 3 სუფრის კოვზი კეფირი და ამდენივე ფქვილი დაუმატეთ სისქისთვის. ნიღაბი სახეზე 20 წუთი დაიტოვეთ. კეფირისა და ბალახეული ნიღბის ნარჩენები კეფირში დასველებული ბამბით მოიცილეთ. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოიბანეთ სახე თბილი წყლით.

ასეთი ნიღაბი ფორებს ავიწროებს და კანს ასუფთავებს. ნაყენისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა სამკურნალო მცენარეები, მაგალითად, კალენდულა და მუხის ქერქი.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

## ცელულიტის საწინააღმდეგო დიეტა



დიეტა გათვლილია 10 დღეზე. მისი ღირსება ისაა, რომ შიმშილი არ მოგიწევთ. გარდა ამისა, ნივთიერებათა ცვლა მოწესრიგდება, ცხიმის რაოდენობა შემცირდება, ტოქსინები გარეთ გამოსვლას დაიწყებს.

თქვენს რაციონში ლუწი და კენტი რიცხვები ცოტა განსხვავებული იქნება. პირველ, მე-3, მე-5, მე-7 და მე-9 დღეს მხოლოდ ქორფა ბოსტნეულსა და ხილს შეჭამთ. ხოლო ლუწ დღეებში შეგიძლიათ მოხარშული პროდუქტები დაუმატოთ. მინიმუმამდე შეზღუდეთ ან უკეთესი იქნება საერთოდ გამორიცხოთ შემდეგი პროდუქტები:

მარილი, რომელიც წყალს აკავებს და შეშუპებას იწვევს;

შაქარი და ტკბილეული, რომლებიც ცელულიტური უჯრედების წარმოქმნას ხელს უწყობს;

ალკოჰოლი, რომელიც ნივთიერებათა ცვლას არღვევს და სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს;

ყავა და მაგარი ჩაი, რომლებიც წვრილი სისხლძარღვების ტონუსზე ასევე გავლენას ახდენს;.

ბუნებრივია, უარი უნდა თქვათ ცხიმიან საკვებზე, კონსერვებზე, მარინადებსა და ნახევარფაბრიკატებზე.

### რა ვჭამოთ?

#### კენტი რიცხვები

**საუზმე და სამხარი:** ნებისმიერი ქორფა ხილი განუსაზღვრელი რაოდენობით.

**სადილი:** ნედლი ბოსტნეულის სალათა ზეითუნის ზეთით შეკმაზული, გაღივებული ხორბალი ან წიწიბურა, გოგრის თესლები ან მზესუმზირა.

**ვახშამი:** ბოსტნეული და ხილი ნებისმიერი რაოდენობით, როგორც ცალკე, ასევე სალათებში მცენარეული ზეთის დამატებით.

#### ლუწი რიცხვები

**საუზმე და სამხარი:** ქორფა ხილის სალათა.

**სადილი:**დასაწყისში ნედლი ბოსტნეულის სალათა, შემდეგ ერთი თეფში მოშუშული ან მოხარშული უმარილო ბოსტნეული, ცოტა მოხარშული წიწიბურა.

**ვახშამი:** ცოტა ქორფა ბოსტნეულს პლუს ორთქლზე მომზადებული ერთი თეფში ბოსტნეული.

დიეტის შემდეგ მაშინვე ჩვეულებრივ კვებას არ უნდა დაუბრუნდეთ, მიღწეული შედეგი რომ არ გადახაზოთ.

ეცადეთ, ჯანსაღი კვების პრინციპები მომავალშიც დაიცვათ. ძირითადად ყველაფერი ნატურალური ჭამეთ. შეარჩიეთ მჭლე ხორცი, რუხი პური, რძის მჟავე პროდუქტები. ეს არამხოლოდ ცელულიტს არ დააბრუნებს, ასევე საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას გააუმჯობესებს, მომხიბლავ ფიგურას შეინარჩუნებთ და ახალგაზრდობას გაიხანგრძლივებთ.



Cyan Magenta Yellow Black

# ბავშვისთვის ხვრინვა სახიფათოა!

ხვრინვა პატარა ასაკის ბავშვებისთვისაც დამახასიათებელია, თანაც არა მხოლოდ ღამით, არამედ დღის საათებში ძილის დროს. ხვრინვა გენეტიკურად არ გადაეცემა, შესაძლებელია ბავშვმა ის მოგვიანებით „დაიჭიროს“. მის მიმართ მიდრეკილნი არიან როგორც გოგონები, ისე ბიჭები.

რატომ არის ხვრინვა სახიფათო ბავშვებისთვის და რა უწყობს ხელს სუნთქვის დარღვევის პროცესს?

ხვრინვა დაავადება არ არის (როგორც ამას ბევრი მიიჩნევს). ეს სუნთქვის დარღვევაა, რომელიც იმის ნიშანია, რომ ორგანიზმში გარკვეული გადახრაა. ხვრინვით პატარას ორგანიზმი სიგნალს იძლევა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალური არ არის და საჭიროებს დახმარებას. მანამ, სანამ არ მოხდება ხვრინვის კონკრეტული მიზეზის დადგენა, პრობლემის მოგვარება შეუძლებელია.

უმეტეს შემთხვევაში პატარებში ხვრინვის მიზეზი სასუნთქ გზებთან და ყელთან დაკავშირებული პრობლემებია. დედიკოებისთვის შვილების ხვრინვის მიზეზის დადგენა დამოუკიდებლად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ოტოლარინგოლოგთან კონსულტაცია სავალდებულოა და უაღრესად მნიშვნელოვანია, დროულად მიმართოთ სპეციალისტს.

## ყელის ტკივილი და ცხვირით გართულებული სუნთქვა

ყელ-ყურ-ცხვირის ქრონიკული დაავადებებით ბავშვები საკმაოდ ხშირად ავადმყოფობენ. ამის მიზეზი ძირითადად ცხვირ-ხახის ღრუს ანატომიური აგებულება და ლორწოვანი გარსების მაღალი მგრძნობელობაა. ასევე დასუსტებული იმუნური სისტემა, რომელსაც სხვადასხვა მიკრობებთან და ვირუსებთან გამკლავება უჭირს. ამ პროცესის ქრონიკულ ფაზაში გადასვლას ხელს ისიც უწყობს, რომ ხშირად დედიკოები თვითმკურნალობას მიმართავენ, რის გამოც პატარების სპეციალისტთან მიყვანა, როგორც წესი, მოგვიანებით ხდება. ამ ყველაფრის შედეგად კი, სავსებით შესაძლოა, რომ მსუბუქი სურდოც კი ქრონიკულში გადაიზარდოს. სუნთქვის გართულება კი ხვრინვის განვითარების მაპროვოცირებელია.

პატარებს ხშირად აწუხებთ რინიტი, სინუსიტი, ტონზილიტი. თუ ბავშვი ხშირად სუნთქავს პირით და არა — ცხვირით, უჩივის ცხვირიდან გამონადენს, შედეგად, ნუშურა ჯირკვლებში ცვლილებები მიმდინარეობს. ეს ხელს უწყობს ხვრინვის განვითარებასაც. თუ დროულად არ მოხდა ამ სიმპტომებზე ყურადღების გამახვილება და მკურნალობა, შესაძლოა მოგვიანებით თავი იჩინოს გულთან, თირკმლებთან, სისხლძარღვებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. ექიმი პატარას შესაბამის მკურნალობას დაუნიშნავს. თუ მკურნალობა შედეგს ვერ გამოიღებს, ერთი გამოსავალი რჩება — ქირურგიული ჩარევა.

ბავშვების სასუნთქი გზები უფროსებისგან ანატომიურად განსხვავებულია. ისინი ზომაშიც პატარაა და შედარებით ვიწროც. ცხვირხახის ლორწოვანი გარსი გაცილებით თხელი, ნაზი და იოლად ტრავმირებადია. ამასთან ბარიერული ანუ დამცავი ფუნქციაც ბევრად სუსტია. ამიტომაა, რომ ბავშვები უფროსებთან შედარებით ხშირად ხდებიან ავად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხვრინვის მიზეზი მჭიდროდაა დაკავშირებული პატარების ანატომიურ აგებულებასთან. ხვრინვა განსაკუთრებით აქტუალურია პატარებში, რომლებსაც ცხირ-ხახის ორგანოების ანომალიური აგებულება აქვთ. ამ შემთხვევაში გამოსავალი უმეტესად ქირურგიული ჩარევაა.

## ადენოიდების ზომაში მატება

ადენოიდების ფუნქციაა, დაიცვას ორგანიზმი სხვადასხვა ინფექციებისგან. ის ერთგვარი ჭიშკარია, რომელიც დაავადების წარმომქმნელ ბაქტერიებს ხელს უშლის, ცხვირხახის ღრუში მოხვდნენ. ადენოიდები ზომაში იმატებს, როცა ბავშვი ხშირად ავადმყოფობს. ამ დროს ადენოიდები იძულებულნი არიან, გაძლიერებულად იმუშაონ, თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგ ისინი ჩვეულ ზომას უბრუნდებიან.

ჩვილებში ადენოიდების ზომაში მომატებაზე მიგვანიშნებს ცხვირით გართულებული სუნთქვა, რეგულარული ხვრინვა, ყელ-ყურ-ცხვირის ხშირი დაავადებები, რომლებიც დიდხანს გრძელდება, ხმის ტემბრის შეცვლა, სმენის გაუარესება. ასეთ დროს ბავშვს პირი პრაქტიკულად მუდმივად ღია აქვს.

როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, თუ ამ ჩივილებზე მშობელი დროულ რეაგირებას მოახდენს, დაინიშნება შესაბამისი მკურნალობა, რომელიც ბოლომდე მივა, ალბათობა იმისა, რომ ოპერაციული ჩარევა გახდება საჭირო, მინიმუმამდე დავა. ხშირად მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ იმუნიტეტის გამაგრებაც საკმარისია.

## პოლიპები ცხვირში

ბავშვებში ცხვირში პოლიპები იშვიათობას არ წარმოადგენს. ისევე როგორც იზრდება ადენოიდები, ასევე იზრდება ლიმფოიდური ქსოვილებიც და ცხვირში არსებული პოლიპებიც. ამის პროვოცირებას ახდენს ხშირი გაციება, სურდო, ალერგია, სხვადასხვა ინფექციები. თუ პატარას მთელი დღის განმავლობაში ცხვირი „გაჭედილი“ აქვს და ამის გამო იოლად იღლება, ხშირად აცემინებს, აწუხებს სურდო და ხვრინავს, ამ შემთხვევაში საჭიროა ყელ-ყურ-ცხვირის ექიმთან კონსულტაცია, რადგან ეს უკვე ნათელი სურათია, რომ პატარას ცხვირში პოლიპებმა აშკარად ზომაში მოიმატეს. მათი არსებობა არამარტო ბავშვის ძილის რეჟიმის დარღვევას განაპირობებს, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად ბავშვის თვითშეგრძნებაზე — უარესდება მისი გუნება-განწყობა, გაღიზიანებულია, ჭირვეულობს. ამას გარდა, საჭიროა აქვე აუცილებლად აღინიშნოს ისიც, რომ პოლიპების არსებობა უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის სამეტყველო აპარატზე, მის საუბარზე. ჩვილების შემთხვევაში კი ხშირად ხდება უმადობის მიზეზი.



## მკურნალობა სავალდებულოა!

ხვრინვა ორგანიზმის საგანგაშო სიგნალია, ამიტომ ის არავითარ შემთხვევაში დატოვოთ უყურადღებოდ. რაც უფრო ადრე მოხდება ადეკვატური მკურნალობის ჩატარება, მით ნაკლებია ალბათობა, რომ პროცესი ქრონიკულში გადავიდეს.

არავითარ შემთხვევაში მიმართოთ თვითმკურნალობას და მოერიდეთ ხალხური რეცეპტების გამოყენებას. ხვრინვის მიზეზის დადგენა აუცილებელია! მდგომარეობის დროებით შესამსუბუქებლად, თუ ბავშვი მუცელზე ან ზურგზე წევს, უნდა გადააბრუნოთ და გვერდზე დააწვინოთ.

# 3 წლამდე პატარებს ტელევიზორთან ნუ მიუშვებთ

თანამედროვე ბავშვებისთვის ტელევიზორი და კომპიუტერი აუცილებელი ნივთებია. ჩვენი და ბებია-პაპების დროს ასე არ იყო, ამიტომ იმ თაობის ბავშვებისთვის ტელევიზორთან და კომპიუტერთან გატარებული დრო პრობლემური არ იყო. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დღეს ამ თემაზე ყველა მშობელი კარგადაა ინფორმირებული, მაგრამ პრაქტიკაში ცოტა თუ ახერხებს ბავშვის მიერ ტელეეკრანთან გატარებული წუთებისა და საათების მკაცრ კონტროლს.

## ანგელოზის თვალები

პირველი და ყველაზე მთავარი, რაზეც მშობლებმა უნდა იზრუნონ, თუ მათი შვილი ტელევიზორს ხანგრძლივად უყურებს, ეს მხედველობისა და მისი სიმახვილის შენარჩუნებაა. მხედველობის ანალიზატორის ფორმირება გვიან ხდება — 15-18 წლის ასაკში სრულდება. 3 წლამდე პატარებისთვის ტელევიზორის ყურება კატეგორიულად დაუშვებელია, მაგრამ, თუ ამ ასაკის პატარა ამ ჯადოსნურ ყუთთან მეგობრობს (მულტფილმებს უყურებს), უპრიანი იქნება, თუ კომპიუტერის მონიტორს მიანიჭებთ უპირატესობას, რადგან თანამედროვე მონიტორები ნაკლებ დატვირთვას ახდენენ თვალებზე. ამის მიუხედავად, 15 წუთზე მეტი დროის გატარება არც ამ შემთხვევაშია რეკომენდებული.

## სუპერგმირი დახმარებისათვის მზად არის!

მნიშვნელობა აქვს იმასაც, რა სახის გადაცემას უყურებს ბავშვი. 3-5 წლის პატარებს შეიძლება შევთავაზოთ საბავშვო გადაცემები, სადაც გამოსახულება დიდი ზომისაა, მკვეთრადაა გამოხატული საგნებისა და ფიგურების საზღვრები, ფერები. სასურველია მოარიდოთ ისეთ გადაცემებს, სადაც კადრები სწრაფად იცვლება, მუსიკალური გაფორმება დომინანტური არ არის. იდეალურია სუპერგმირების შესახებ ფილმები და მულტფილმები.

5 წლის ბავშვმა შესაძლებელია შედარებით რთული სიუჟეტის მულტფილმებს უყუროს. რაც შეეხება ე.წ. 3 დე ფორმატის მულტფილმებს, სკოლამდელ პერიოდამდე მათი ცქერა დაუშვებელია, რადგან ეს ფორმატი გაცილებით მეტად ტვირთავს თვალებს.

## სავარჯიშოდ მოემზადეთ!

იმისათვის, რომ დავიცვათ ბავშვების თვალები, საჭიროა რამდენიმე რჩევის გათვალისწინება:

პროფილაქტიკისთვის აუცილებლად მიიყვანეთ შვილი ყოველწლიურად ოფთალმოლოგთან.

ყურადღება მიაქციეთ თვალების ჰიგიენას.

მკაცრად აკონტროლეთ, რას უყურებს ტელევიზორში და რა ხანგრძლივობით.

ტელევიზორს აუცილებლად მჯდომარემ უყუროს 1 მეტრის მოშორებიდან და განათებულ ოთახში.

ყოველდღიურად გააკეთებინეთ ვარჯიში თვალებისათვის (განსაკუთრებით ტელევიზორის ყურების შემდეგ). ამ ვარჯიშის ჩატარება სასურველია დღეში რამდენჯერმე 3-5 წუთის განმავლობაში. მისი ფუნქციაა, თვალის კუნთის გაძლიერება. გაახედეთ ფანჯარაში ჯერ მარჯვნივ, შემდეგ — მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ. შემდეგ თვალები დახუჭოს 2-3 წუთი და კვლავ გაიმეოროს სავარჯიშო.

დაბოლოს, აუხსენით შვილს გასაგებ ენაზე, რატომ ჯობია ტელევიზორის ყურებას ეზოში თამაში, სუფთა ჰაერზე ყოფნა და თანატოლებთან ურთიერთობა.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black



# ბექა ონიანი ცოლმა ჭკვიან კაცად აქცია

## „მე და ნატოს გაჭირვება დიდმა სიყვარულმა გადაგვატანინა“

იუმორისტ ბექა ონიანს 13 წლის ასაკიდან უყვარს ქალი, რომელსაც დღეს მისი მეორე ნახევარი ჰქვია. ბავშვობიდან იბრძოდა ნატო ნონიაშვილის გულის მოსაგებად და დღეს უკვე ორ შვილს, გოგონებს, 7 წლის ელენეს და 4 წლის ლილეს, ზრდიან. მართალია, ბექას ოჯახში უმრავლესობაში ქალები არიან, მაგრამ ლიდერობას არავის უთმობს, თუმცა აღიარებს, რომ ცოლი მასზე ჭკვიანია.

სტუდენტები იყვნენ, როცა შეუღლდნენ. უჭირდათ, ღარიბულად ცხოვრობდნენ. ბექა ამბობს, რომ გაჭირვების დამარცხების ერთადერთი იარაღი არსებობს და ეს სიყვარულია.

**— ბექა, ვინ არის თქვენი რჩეული, ნამდვილი სიყვარული როდის გეწვიათ?**

— ჩემი მეუღლე ნატო ნონიაშვილია. მას დედაჩემის მშობლიურ ქალაქში, კასპში შევხვდი. მე 13 წლის ვიყავი, ის — 12-ის. 3 წლის განმავლობაში ცალმხრივად ვიყავი შეყვარებული, მერე მასაც შევუყვარდი და 5 წელი შეყვარებულები ვიყავით. ფაქტობრივად ერთმანეთი გავზარდეთ. ჩვენი ურთიერთობა კი ოჯახის შექმნით დავაგვირგვინეთ.

**— როგორ შეძელით ნატოს გულის მონადირება?**

— ვერ გეტყვით, რომ ეს საქმე მარტივად გამომივიდა, მაგრამ ისეთ ასაკში ვიყავი, ნებისმიერ სისულელეზე წასვლა არ გამჭირვებია.

**— კონკრეტულად რა სისულელე ჩაგიდენიათ?**

— ვერ გეტყვით, რომ განსაკუთრებული რაინდობით გამოვირჩეოდი, მაგრამ თავსხმა წვიმაში კი დავლოდებივარ საათობით. პარასკეობით, როცა სწავლას მოვრჩებოდი, კასპში მივდიოდი. თუ რომელიმე პარასკევს გავაცდენდი, მომდევნო პარასკევს მის შესარიგებლად სერიოზული ძალისხმევა მჭირდებოდა. ჩვენი შეხვედრის ადგილი სკოლის ეზო იყო. ერთხელ ღამის 10 საათზე წვიმაში ვიდექი და შუაღამის 3 საათზე, როგორც იქნა, გამოჩნდა. იქვე ახლოს ცხოვრობდა და გამოიპარა. ახლა ამ ამბავს რომ იხსენებს, ამბობს, ძალიან მეშინოდაო.

**„თავს ყველა ქალი უნდა იწესრიგებდეს, ოღონდ არა — ზედმეტად. მაკიაჟსაც უნდა იკეთებდეს, უნდა მუშაობდეს კიდეც და კარგია, თუ მანქანაც ეყოლება. უნდა იყოს სადა, ლამაზი, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად".**

სტუდენტობის პერიოდიც ერთად გავატარეთ. ნატო უნივერსიტეტში დიპლომატიის ისტორიაზე სწავლობდა, მე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. მის ლექციებს ხშირად მამასავით ვესწრებოდი. ბევრჯერ ღვეზელზეც გვიქეიფია. მეოთხე კურსს ამთავრებდა, როცა ცოლად მოვიყვანე.

**— სტუდენტურ ოჯახს რა სირთულეებთან მოუხდა გამკლავება?**

— როცა დავოჯახდით, ერთი თვით საფრანგეთში წავედით. თავიდან ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით. მე მეორე სახლიც მქონდა და მარტო ცხოვრება გადავწყვიტეთ. 20 წლის ასაკში ოჯახის შექმნა და თან ცალკე ცხოვრება ძალიან რთული აღმოჩნდა. თავიდან ერთი ხალიჩა გვქონდა, სკამიც არ გაგვაჩნდა. ორი საწოლი ერთმანეთთან შევატყუპეთ და მე და ჩემს ცოლს იქ გვეძინა. ფანჯარაზე ფარდა არ გვეკიდა. მეგობრებმა ტოსტერი გვაჩუქეს და იქ ვწვავდით ყველაფერს — კვერცხს, თევზს, ყველს, პურს და ძეხვს... თან არ დაგავიწყდეთ, ხალიჩაზე ვისხედით და ერთჯერადი თეფშებიდან ვჭამდით.

**„ოჯახის უფროსი მე ვარ! ნატას ძალიან ვუყვარვარ და თვითონაც დიდი სიამოვნებით მითმობს ლიდერობას, თუმცა ხანდახან ძალიან მეჯიუტება... ვცდილობ, რომ ჩემს ოჯახში ქართული სული ჩავდო".**

მე და ჩემს ცოლს ცხოვრებაში უამრავი ფინანსური დაბრკოლება გვქონდა, მაგრამ ეს ყოველივე დიდმა სიყვარულმა გადაგვატანინა. მაღალფარდოვანი სიტყვებით საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ადამიანს რაც უნდა გაგაჩნდეს, სიყვარული უპირველესია. ნამდვილი სიყვარული ამაში საბოლოოდ გარწმუნებს. შეუღლებიდან ორი წლის თავზე ელენე გაგვიჩნდა. ახლა ის 7 წლისაა, ლილე — 4-ის. ჩემს ოჯახში ქალები ლიდერობენ, უმრავლესობას წარმოადგენენ.

**— როგორ ქმარი დადგა თქვენგან, ცოლს ეხმარებოდით შვილების გაზრდაში?**

— რა თქმა უნდა. პირველი შვილი 8 თვის იქნებოდა, როცა ნატამ მუშაობა დაიწყო. ელენეს ხან დედაჩემს ვუტოვებდით, ხან — მამიდაჩემს. ვთვლი, რომ ქალმა საკუთარი თავის რეალიზება უნდა შეძლოს და იმუშაოს. ნატა ყოველ მესამე ღამეს მუშაობს. იმის წინააღმდეგი კი არ ვარ, ღამით რომ მუშაობს, უბრალოდ მას ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს, სხვა განათლება აქვს, სულ სწავლობს. ახლაც მაგისტრატურაზე ჩააბარა, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მოახერხებს სიარულს. ძალიან ჭკვიანი ცოლი მყავს.

**— ჭკვიან ქალთან ურთიერთობა რთული არ არის?**

— ჩემმა მეუღლემ სტიმული მომცა, რომ მე უფრო ჭკვიანი გავმხდარიყავი. ნატას წიგნების კითხვა ძალიან უყვარს, რამდენიმე ენას ფლობს, გამუდმებით ახლის ძიებაშია. მე კი სწავლით დიდად არასდროს ვიკლავდი თავს, მაგრამ იმდენად მინდოდა, ის ჩემზე ჭკვიანი არ ყოფილიყო და თუნდაც რომელიმე გადაცემაში ჩემზე წინ არ გაეცა პასუხი, შევეცადე, ყველაფერზე მაქსიმალური ინფორმაცია მიმეღო ინტერნეტის თუ წიგნის მეშვეობით. სხვათა შორის, ფრანგული ენა მეუღლემ ისე მასწავლა, ჩვეულებრივად ვსაუბრობ, ოღონდ ვერ ვწერ და ვერ ვკითხულობ. სანამ საფრანგეთში წავიდოდით, 600 ფრანგული სიტყვა მასწავლა. მას უფრო გაუჭირდა საფრანგეთში საუბარი, ვიდრე მე. ის ფიქრობდა, არაფერი შეშლოდა. არ ვამბობ, რომ მასზე ჭკვიანი ან ნიჭიერი ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემმა ცოლმა სტიმული მომცა.

**„თავიდან ერთი ხალიჩა გვქონდა, სკამიც არ გაგვაჩნდა. ორი საწოლი ერთმანეთთან შევატყუპეთ და მე და ჩემს ცოლს იქ გვეძინა. ფანჯარაზე ფარდა არ გვეკიდა... ხალიჩაზე ვისხედით და ერთჯერადი თეფშებიდან ვჭამდით".**

**— ცოლის განათლება კარგად გამოგიყენებიათ. ეს კარგი მაგალითი იქნება იმ მამაკაცებისთვის, ვისაც ჭკვიანი ქალები არ მოსწონთ და მათი ეშინიათ კიდეც.**

— თუ რატომ არ მოსწონთ, ალბათ ამის მიზეზს თქვენც ხვდებით — კაცებს ლიდერობა გვიყვარს. ქართველი მამაკაცები ოჯახის უფროსები ვართ და ყველაფერს ჩვენ ვწყვეტთ. ნებისმიერი საკითხი, რაც ჩვენზე მეტად ეცოდინება ქალს, არ გვესიამოვნება, მაგრამ ჩვენი რქების მიწოლით ეს დაბალანსდება. არ ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც ცოლს მიუთითებს, ოჯახში რა დროს რა უნდა გააკეთოს, მაგრამ ოჯახის უფროსი მე ვარ! ნატას ძალიან ვუყვარვარ და თვითონაც დიდი სიამოვნებით მითმობს ლიდერობას, თუმცა ხანდახან ძალიან მეჯიუტება და წინააღმდეგობასაც მიწევს. გამორჩეული ლიდერი არ ვარ, მაგრამ მაინც ვცდილობ, ჩემს ოჯახში ქართული სული ჩავდო. წარმოიდგინეთ, ოჯახის უფროსი ქალი რომ იყოს, ის კაცივით მუშაობდეს, ქმარი კი სახლში იჯდეს და ბავშვებს ზრდიდეს. ეს ხომ არასწორია? რაღაც ხომ მაინც ირღვევა?

**— დღეს როგორი ქალია საქართველოში პოპულარული?**

— ძალიან რთული შეკითხვაა, ამ ინტერვიუს შემდეგ შეიძლება ვიღაცამ გამკიცხოს, მაგრამ მაინც იმედს დავიტოვებ, რომ ასე არ მოხდება. დღეს ისეთი ქალია პოპულარული, რომელიც თავს უვლის. შეიძლება კარგ თანამდებობაზე არ მუშაობდეს, მაგრამ სამსახურის სახელი კარგად უნდა ჟღერდეს და აუცილებლად მენეჯერი უნდა იყოს. საკუთარი მანქანა უნდა ჰყავდეს; შვილის გაჩენაზე დიდად არ უნდა ფიქრობდეს და იმაზე მეტს უნდა ხარჯავდეს, ვიდრე ხელფასი აქვს, თან უნდა ამბობდეს, ჩემი ხელფასი, არ ვიცი, სად მიდისო. ასეთ ქალს ქმარი ჰყავს თუ არა, ეს მისთვის და გარშემომყოფებისთვის მეორეხარისხოვანია, რადგან ის უკვე მენეჯერია! ასეთი ქალი მე არ მხიბლავს.

**— თქვენთვის მისაღები ქალი როგორია?**

— თავს ყველა ქალი უნდა იწესრიგებდეს, ოღონდ არა — ზედმეტად. მაკიაჟსაც უნდა იკეთებდეს, უნდა მუშაობდეს კიდეც და კარგია, თუ მანქანაც ეყოლება (პირადად მე, ძალიან მინდა, ჩემს მეუღლეს ავტომობილი ჰყავდეს). უნდა იყოს სადა, ლამაზი, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად.



Cyan Magenta Yellow Black

კარგად საუბარი უნდა შეეძლოს და სიტყვა „მენეჯერი“ დამახინჯებით და ტყლარჭვით არ თქვას, თავმდაბლურად გითხრას, რომ ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს. ჩემთვის ასეთი ქალი უფრო მიმზიდველია.

— **რამ შეიძლება გაგაღიზიანოთ, რა არ უხდება ქალს?**

— კარგია, როცა ქალი იპრანჭება, მაგრამ ზედმეტმა მანევრულობამ შეიძლება წყობიდან გამომიყვანოს. როცა ქალი ბევრს ლაპარაკობს, ეს სულაც არ მაღიზიანებს, მით უმეტეს, თუ სისულელეებს არ ბოდავს. თავხედური ლაპარაკი არ უხდება, საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი. კარგი იქნება, თუ სიგარეტს არ მოსწევს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ჩემმა შვილმა რომ სიგარეტი მოსწიოს, მეწყინება და აუცილებლად დავუშლი. ადრე სხვა ქვეყნებში ასეთი ტენდენცია იყო, ვინც არ ეწეოდა, „ტეხავდა“. დღეს კი ევროპაში პირიქითაა, მოწევაა სირცხვილი. იმედია, ეს ტენდენცია როდესმე ჩვენთანაც შემოვა. ნატა რომ ცოლად მოვიყვანე, ერთადაც ვეწეოდით სიგარეტს, მაგრამ ფეხმძიმობის პერიოდში საერთოდ დაანება თავი. ახლა ხანდახან თუ გავაბოლებთ ხოლმე ერთად. წინაპრებიდან მოგვდევს, რომ მწეველი ქალი მაინც თავში „გვირტყამს“ მამაკაცებს.

— **სახლშიც ისეთივე მხიარული ხართ, როგორიც ეკრანზე ჩანხართ?**

— ვერ გეტყვით. როგორც ჩემი ცოლი ამბობს, მძიმე კაცი ვარ, ხშირ შემთხვევაში რთული ხასიათი მაქვს. სვანი ვარ და

**„ქართველმა ქალებმა შუბლი გახსნან და გაღიმებულებმა იარონ. ვილაც ბიჭი რომ შეხედავს, არ დაუბღვირონ, პირიქით, გაუღიმონ. ბიჭმა იმიტომ შეხედა, რომ ლამაზია და იმ სილამაზით იამაყონ“.**

წარმომავლობას ვამართლებ. მე არ ვთვლი, რომ მძიმე ხასიათი მაქვს, ამას უფრო სამსახურებრივ დაღლას ვაბრალებ. თანაც სულ გაღრეჭილი ხომ არ ვივლი? ცოლი ხანდახან მსაყვედურობს კიდეც, სამსახურში კარგ ხასიათზე ხარ, სახლში კი — აუტანელიო.

— **თქვენს მეუღლეს იუმორის გრძნობა რა დოზით აქვს?**

— თავიდან ჩემი იუმორი ძალიან რთულად ესმოდა. „კავეენ“-ზე რომ დადიოდა, ვერ ხვდებოდა, ხალხი რაზე იცინოდა. ახლა კი ისე დაიხვეწა, აქეთ მეუბნება ხოლმე მაგარ ხუმრობებს. სულ მაკრიტიკებს. ჩემი სათვალეებიანი გმირი არ მოსწონს. ალბათ ამ როლში, როგორც მამაკაცს, ვერ აღმიქვამს.

— **კარგი დიასახლისია, გემრიელად გაქმევთ?**

— მზარეულობით დიდად არ გამოირჩევა, მაგრამ, რაც იცის, ძალიან კარგი გამოსდის. მაგარ გუფთას აკეთებს, ისეთს ვერსად ვჭამ. ვერ გეტყვით, რომ ხაჭაპურს დააცხობს, ზუსტად ვიცი, ან ყველი იქნება ნაკლები, ან — ცომი.

— **ქართველ ქალებს რას უსურვებდით?**

— ყველა ქართველ ქალს თავმდაბლობას ვუსურვებ. შუბლი გახსნან და გაღიმებულებმა იარონ. ვილაც ბიჭი რომ შეხედავს, არ დაუბღვირონ, პირიქით, გაუღიმონ. ბიჭმა იმიტომ შეხედა, რომ ლამაზია და იმ სილამაზით იამაყონ.

✓ სოფიო ბოჭორიძე



# „ჩელსიმ“ უეინ რუნის ულტიმატუმი წაუყენა



■ უეინ რუნი

ლონდონის „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიუმ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდ უეინ რუნის 48 საათიანი ვადა მისცა, რათა ამ უკანასკნელმა გადაწყვიტოს, გადავა თუ არა ლონდონურ კლუბში. პორტუგალიელი მწვრთნელის თქმით, თუ რუნი უარს იტყვის კლუბში გადასვლაზე, მაშინ „არისტოკრატები“ სხვა მოთამაშეს შეიძენენ.

მოურინიუმ აღნიშნა, რომ, როგორც წესი, საფეხბურთო კლუბების ფანები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, როდესაც მოთამაშე კლუბიდან წასვლის სურვილს გამოთქვამს, მაგრამ, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა შეიტყვეს რუნის სურვილი, დატოვოს „წითელი ეშმაკები“ და სხვა გუნდში გადავიდეს, მას მოუწოდეს, ეს რაც შეიძლება მალე გადაწყვიტოს.

მიმდინარე წლის ზაფხულში ბრიტანულ პრესაში ბევრი იწერებოდა რუნის „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლაზე. იუწყებოდნენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლონდონური კლუბის ორი წინადადება უარყო. „ჩელსი“ მანჩესტერელებს 27 წლის მოთამაშეში 30 მილიონ ფუნტ სტერლინგს და კიდევ ბონუსებს სთავაზობდა, რაც რუნის ახალ კლუბში ნაჩვენებ შედეგებზე იქნებოდა დამოკიდებული.

უეინ რუნი „მანჩესტერ იუნაიტედში“ 2004 წლიდან თამაშობს, სადაც იგი ლივერპულის „ევერტონიდან“ გადავიდა. მანჩესტერული კლუბის შემადგენლობაში რუნიმ ხუთჯერ მოიგო პრემიერლიგა და ერთხელ ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

# ფეხბურთელი მატჩის დროს გარდაიცვალა

არგენტინული კლუბის „დეპორტივო ლაფერერეს“ მოთამაშე, ექტორ სნაბრია, მატჩის მიმდინარეობის დროს გარდაიცვალა. ფეხბურთელი 27 აგვისტოს თავისი გუნდის შემადგენლობაში „ჯენერალ ლამადრიდთან“ მატჩში გამოვიდა მოედანზე. მატჩის 29-ე წუთზე ის მოულოდნელად მოედანზე დაეცა. სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იმ მომენტისთვის ექტორი უკვე მკვდარი იყო. სნაბრიას გარდაცვალების მიზეზად, რომელიც 28 აგვისტოს 28 წლის გახდებოდა, გულის შეტევა დასახელდა.

მატჩის მთავარმა მსაჯმა ერნან მასტრანხელომ განაცხადა, რომ გონების დაკარგვის მომენტისთვის სნაბრიას სხვა ფეხბურთელებთან შეხება არ ჰქონია და იქვე დაამატა, რომ მატჩის პირველივე წუთებიდან ის ინერტულად გამოიყურებოდა, ბურთისთვის ძალისმიერ ორთაბრძოლებში მონაწილეობას არ იღებდა, რასაც შესაძლოა გულის შეტევის პროვოცირება გამოეწვია.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, უახლოეს დღეებში გასამართი ყველა ოფიციალური მატჩი სნაბრიას ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყება.

# გაქცეულ კუბელ მძლეოსანს იტალიაში მიაგნეს

კუბელი მძლეოსანი ორლანდო ორტეგა, რომელიც მოსკოვში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დროს გაიქცა თავისი ქვეყნის ნაკრებიდან, ამჟამად იტალიაში იმყოფება. ამ ინფორმაციას ავრცელებს „ასოშეიტედ პრესის“ სააგენტო, რომელმაც სპორტსმენთან ტელეფონით დაკავშირება მოახერხა.




■ ორლანდო ორტეგა

ორტეგამ, რომლის ადგილსამყოფელი 21 აგვისტოს შემდეგ უცნობი იყო, განაცხადა, რომ ამჟამად ის მეგობრებთან იმყოფება იტალიის ქალაქ პადუაში. იტალიიდან სპორტსმენი აშშ-ში გამგზავრებას და დედასთან შეხვედრას აპირებს, რომელიც ფლორიდას შტატის ქალაქ ტამპაში ცხოვრობს.

აშშ-ში გადაბარგების გადაწყვეტილება ორტეგამ იმით ახსნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ იგი კუბის ეროვნული ნაკრებიდან ექვსი თვით გარიცხეს იმის გამო, რომ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო შეჯიბრის ერთ-ერთ ეტაპზე.

— მათ ჩემი და ჩემი მწვრთნელის მიმართ უდიდესი უსამართლობა ჩაიდინეს, — განაცხადა სპორტსმენმა, — მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე შეჯიბრში მონაწილეობის შესაძლებლობა მომისპეს.

მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ორტეგას დისკვალიფიკაცია, რომელსაც სეზონში მესამე შედეგი ჰქონდა ნაჩვენები, გაუქმდა და ის კუბის ნაკრების შემადგენლობაში მოსკოვში გაემგზავრა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსასვლელად. თუმცა ტურნირზე ორტეგას გამოსვლა წარუმატებელი გამოდგა, მან ვერ მოახერხა 110 მეტრზე თარჯბენში ფინალურ ეტაპზე გასვლა და შესარჩევ ეტაპზევე გამოეთიშა ასპარეზობას.

22 წლის ორლანდო ორტეგა ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ კუბელ მძლეოსნად ითვლება. 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მან ფინალურ გარბენში მოახერხა გასვლა და საბოლოოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა. ერთი წლით ადრე კი მან პანამერიკულ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიგო.

კუბელი მძლეოსანი თავისი სპორტული კარიერის სამომავლო პერსპექტივებზე საუბარს ჯერჯერობით თავს არიდებს.

— ერთადერთი, რაც ამჟამად მსურს, ის არის, რომ დედას შევხვდე, სხვა არაფერზე ვფიქრობ, — განაცხადა ორლანდო ორტეგამ.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# მიმიკა განწყობასა და კარიერაზე მოქმედებს



მისი დახმარებით ურთიერთობენ არამხოლოდ ისინი, ვინც მეტყველების უნარს მოკლებული არიან, არამედ ყველანი. თავადაც ვერ ვხვდებით ისე, გარშემომყოფებს მუდმივად ვაწვდით ინფორმაციის მთელ მასას და ასევე მათგან ვიღებთ მას ჟესტებით, მიმიკით, გარკვეული პოზებით. ხშირად ეს ქვეცნობიერის დონეზე ხდება. მაგალითად, ნაცნობი, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანი შორიდან შენიშნეთ. როგორ იქცევით? ულიმით და ხელს უქნევთ. ან კიდევ, როდესაც რაღაც გემუქრებათ, ინსტინქტურად ხელს წინ იშვერთ, იფარებთ. ასეთი მაგალითი უამრავია. მიმიკისა და ჟესტების დახმარებით სხვა ადამიანებზე ზემოქმედება ან მათი ზეგავლენისგან თავის დაცვა შეიძლება.

## იდუმალი ნიშნები

შეფის ღიმილმა შეიძლება ადამიანს „ფრთა გამოასხას“, ხოლო მისმა შუბლშეკრულმა სახემ სამუშაო პრობლემების განხილვისას მის ხელქვეითს ჰიპერტონიის შეტევა დამართოს.

თქვენი არგუმენტების განსამტკიცებლად კოლეგასთან ან კლიენტთან ურთიერთობისას არ ღირს მათ ცხვირწინ ავტოკალამი, ფანქარი ატრიალოთ. ასეთი ჟესტი აღიქმება, როგორც აგრესიის სიგნალი.

ზეაწეული ხელისგული შეჩერების სიგნალია.

თუ თქვენი თანამოსაუბრე სკამის საზურგეზე გადაწვა, თანაც გულზე ხელები დაიკრიფა, იმაზე მეტყველებს, რომ საუბრის მიმართ ინტერესი დაკარგა.

საუკეთესო პოზა სამუშაო დიალოგისთვის თანამოსაუბრისკენ ოდნავ დახრაა.

ბევრად უფრო დიდ ნდობას მოიპოვებთ ადამიანში, ე.წ. „სარკეში თამაშის“ დროს. ეს ნიშნავს, დროდადრო მისი პოზა გაიმეოროთ.

სხვათა შორის, ეს მეთოდი იდეალურია ოჯახური დიალოგებისთვის: თუ თქვენთვის ახლობელი ადამიანი განაწყენებულია, ეცადეთ, მოუსმინოთ. თავი გვერდზე დახარეთ არა ზრუნვით შეწუხებული, არამედ კეთილმოსურნე სახით — ეს მხარდაჭერისა და გაგების ნიშანია.

უსიტყვო ურთიერთობის ანუ ჟესტებითა და მიმიკით სწორად ურთიერთობის მეთოდი მრავალია. მათი ტექნიკის ათვისება შეიძლება სპეციალურ კურსებზე, ფსიქოლოგთან მეცადინეობებზე ან დამოუკიდებლად. ამ თემაზე ბევრი წიგნია გამოცემული.

## რეჟისორი თავად ხართ

მიმიკითა და ჟესტებით საკუთარი ემოციების მართვა შეიძლება. გაიხსენეთ, როდის გაქვთ შესანიშნავი თვითშეგრძნება, კარგი განწყობა. შინაგან პოზიტიურ განწყობაზე მეტყველებს სწორი ზურგი, გაშლილი მხრები, მსუბუქი სიარული, ღიმილი, ხოლო შეჭმუხნილი შუბლი, ჩამოშვებული ტუჩები პრობლემების აშკარა ნიშანია.

წინ მძიმე სამუშაო გელით და უკვე დილიდან ცუდი განწყობა გაქვთ? სარკესთან მიდით, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ და თავს გაუღიმეთ. ასეთ პოზაში რამდენიმე წამი დაყავით. თავს ბევრად უკეთესად და თავდაჯერებულად იგრძნობთ.



# სამსახური გონივრულად გამოიცვალეთ

კარგია, როდესაც პროფესიული საქმიანობა სიხარულს განიჭებთ და ცუდია, თუ ყოველდღიურად სამუშაოზე იძულებით მიდიხართ. მეგობართა ერთი ნაწილი სამსახურიდან წამოსვლას და ახალი სამუშაოს მოძებნას გირჩევთ, მეორე თვლის, რომ ბუზს სპილოდ აქცევთ. გადაწყვეტილების მიღება თავად არ შეგიძლიათ. ერთი მხრივ, სამუშაო მოგბეზრდათ და მისი მიტოვება გსურთ. მეორე მხრივ, წამოსვლის გეშინიათ, ვინაიდან ახალი სამუშაოს პოვნა ადვილად და სწრაფად არ ხდება.

### გრძნობებზე მუშაობა

**სიტუაცია:** კომპანიაში რამდენიმე წელია მუშაობთ, მაგრამ ხელფასი ჯერ კიდევ არ მოგიმატეს. რაც რამდენიმე წლის წინ გვარიან ანაზღაურებად ითვლებოდა, ინფლაციის წყალობით, გროშებად იქცა. ხელმძღვანელი თქვენს თხოვნაზე ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით მიკიბულ-მოკიბულად გპასუხობთ.

**როგორო მოიქცეთ?** შრომის ბაზარი კარგად შეისწავლეთ. ამის წყალობით, შეიტყობთ, ახალ ადგილზე როგორი ხელფასის იმედი უნდა გქონდეთ. შემდეგ შეფს კიდევ ერთხელ შეახსენეთ, რომ თქვენი ხელფასი დიდი ხანია „მოძველდა“. თუ თქვენი მცდელობა წარმატებით არ დაგვირგვინდება, სამსახურისთვის თავის დანებებას ნუ იჩქარებთ, ახალი სამუშაო მშვიდად ეძებეთ.

### გადატვირთული სამუშაო რეჟიმი

**სიტუაცია:** შეფი ბევრ დავალებას გაძლევთ, შესვენებით არ სარგებლობთ და გვიან საღამომდე მუშაობთ. დათხოვნის შიშით, ყველა დავალებას უსიტყვოდ ასრულებთ. გგონიათ, თუ გააპროტესტებთ, იფიქრებენ, კარგი თანამშრომელი არ ხართ და ხელმძღვანელობის მაღალ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებთ.

**როგორ მოიქცეთ?** ეცადეთ, სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალოთ. ისწავლეთ, შეფს უთხრათ, რომ ამა თუ იმ დავალებას დღეს ვერ შეასრულებთ, ვინაიდან ბევრი სამუშაო გაქვთ ან იმიტომ, რომ თქვენი სამუშაო დღე დასრულდა, მაგრამ, თუ თქვენი ხელმძღვანელი შრომისდამკვრელია, სულ ერთია, გვიანობამიდე მუშაობა მაინც მოგიწევთ. მთავარია „ზოგჯერ“ არ იქცეს „მუდმივად“.

### დესპოტი

**სიტუაცია:** ერთი საქმეა, როდესაც ხელმძღვანელი შრომისდამკვრელია და სულ სხვაა, როდესაც ნამდვილი დესპოტია, რომელიც თავს უფლებას აძლევს, თანამშრომელს უყვიროს, შეურაცხყოფა მიაყენოს და მეტყველებაში უცენზურო გამოთქმები გამოიყენოს. მასთან მუშაობა ნამდვილი სტრესია, მაგრამ სამუშაოს შეცვლაში რაღაც ხელს გიშლით.

**როგორ მოიქცეთ?** არ ღირს, ვინმეს უდიერი მოპყრობა აიტანოთ. ორი გზა გაქვთ: იბრძოლოთ ან სამსახურიდან წამოხვიდეთ. წამოსვლას ყოველთვის შეძლებთ. ამიტომ, როდესაც შეფი ხმას აუწევს, თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ სთხოვეთ, ყვირილი ან თქვენი შეურაცხყოფა შეწყვიტოს. შემდეგ ყველაფერი დამოკიდებულია მის რეაქციაზე. თუ თქვენი მეთოდი იმოქმედებს, ნორმალური ურთიერთობა შესაძლებელი გახდება, თუ არა — ახალი სამუშაო მოძებნეთ.

### ბოროტი ენები

**სიტუაცია:** თქვენს სამუშაო კოლექტივში ერთმანეთზე ჭორაობა უყვართ. დარწმუნებული იყავით, თქვენი არც ერთი შეცდომა უყურადღებოდ და განუხილველი არ დარჩება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ კოლეგებს თავიანთი შეცდომისა და მარცხის ერთმანეთზე გადაბრალება სჩვევიათ.

**როგორ მოიქცეთ?** თანამშრომლებთან ურთიერთობა თუ ძალიან არ გესაჭიროებათ, ხელმძღვანელობას სთხოვეთ (თუ ეს შესაძლებელია) ცალკე ოთახი გამოგიყონ ან საყურისით მუშაობა ისწავლეთ. თუ ამა თუ იმ მიზეზით, თქვენთვის კოლეგებთან ხშირი ურთიერთობა აუცილებელია, უმჯობესია, სამსახური გამოიცვალოთ და უფრო კეთილმოსურნე კოლექტივი მოძებნოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black



# დეზოდორანტი თუ ანტიპერსპირანტი – რაშია განსხვავება?



როგორ შევარჩიოთ ეფექტური და ხარისხიანი პროდუქტი, როდესაც დეზოდორანტების ასეთი დიდი ასორტიმენტი ნებისმიერს თავს აურევს? რა თქმა უნდა, არჩევანის მთავარი კრიტერიუმია მისი ქიმიური შემადგენლობა. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ნივთიერება მოხვდება ჩვენს კანზე ისეთ სათუთ ადგილებში, როგორიცაა იღლია.

ოფლთან ბრძოლის ყველა საშუალება იყოფა ორ სახეობად: დეზოდორანტებად და ანტიპერსპირანტებად. რაშია განსხვავება?

### დეზოდორანტი

თუ ძლიერი ოფლდენით არ იტანჯებით, გამოიყენეთ დეზოდორანტები. მათი ძირითადი კომპონენტია ანტიბაქტერიული ნივთიერებები, რომელთა როლია, კანის ზედაპირზე ბინადარი ბაქტერიები გაანადგურონ ან მათი გამრავლება შეაფერხონ. ასეთი თვისებები გააჩნიათ, მაგალითად, ტრიკლოზანს, ქლორჰექსიდინს და სხვა. საქმე ისაა, რომ ოფლის უსიამოვნო სუნი (გარდა სერიოზული დაავადებებისა, როდესაც ის გამოწვეულია ორგანიზმში მიმდინარე დარღვევებით) განპირობებულია მასში არსებული ზოგიერთი ცხიმმჟავითა და ამინომჟავით, ასევე ოფლის ბაქტერიების ცხოველმოქმედების პროდუქტებით. დეზოდორანტების შემადგენლობაში აგრეთვე შედის ტენის მშთანთქავი (პუდრა ან ტალკი), კანის დამარბილებელი (გლიცერინი, გვირილის, ლამინარიის ან ალოეს ექსტრაქტები).

ფხიზლად იყავით. ანტიმიკრობული დეზოდორანტების ხანგრძლივად გამოყენება შეიძლება კანის ნორმალურ მიკროფლორაზე უაყოფითად აისახოს.

### ანტიპერსპირანტი

მომატებული ოფლდენის დროს ანტიპერსპირანტი გამოიყენება. ეს საშუალება უფრო სწორხაზოვნად მოქმედებს. საოფლე ჯირკვლების გამომყოფ სადინარებს ავიწროებს და ამგვარად ინტენსიურ ოფლდენას აბრკოლებს. ანტიპერსპირანტების გამოყენებას სიფრთხილით მოეკიდეთ. ოფლის ინტენიურად გამომუშავებისას სადინარების შევიწროებამ შეიძლება მათი დაცობა გამოიწვიოს, რაც ხშირად დაჩირქების მიზეზი ხდება. ამ დროს ქირურგიული ჩარევა პრაქტიკულად გარდაუვალია.

აღნიშნული საშუალება არ გამოიყენოთ აბანოში, საუნაში ან პლაჟზე წასვლის, მძიმე ფიზიკური დატვირთვის წინ. მხოლოდ სუფთა, მშრალ კანზე წაისვით, უმჯობესია, შხაპის შემდეგ.

ყურადღება მიაქციეთ დეზოდორანტებისა და ანტიპერსპირანტების ვარგისიანობის ვადას. ვადაგასული პროდუქტი არამხოლოდ უსარგებლოა, ასევე მავნეც.

## გული და სისხლძარღვები შემოდგომისთვის გაამაგრეთ

ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლა გულისა და სისხლძარღვების მდგომარეობაზე არაკეთილსასურველად აისახება.

ჰიპერტონიისა და სტენოკარდიის შეტევები შემოდგომაზე ხშირია. უბედურება შეუმჩნევლად რომ არ მოგეპაროთ, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ზრუნვა ახლავე დაიწყეთ.

მოძრაობითი აქტივობა, თუნდაც ყოველდღიურად ერთსაათიანი გასეირნება გულისა და სისხლძარღვების გასამაგრებლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. გარეთ წვიმს? კიბეზე რამდენჯერმე ადით და ჩადით.

სისხლძარღვების გაწვრთნაში დაგეხმარებათ კონტრასტული შხაპი ან დანამული პირსახოცით სხეულის დაზელა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ფეხებს და მკერდის მიდამოს, მაგრამ უცბათ ცივი წყლის გადავლებით არ დაიწყოთ. ეს უძლიერესი სტრესია ორგანიზმისთვის, რომელსაც შეიძლება გულის შეტევა მოჰყვეს.

ყოველდღიურად ჭამეთ 1 სუფრის კოვზი შინაური „გულის წამალი“. გარგრის ჩირი, ნიგოზი, შავი ქიშმიში, ლიმონი თანაბარი რაოდენობით აიღეთ და ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. შემდეგ თაფლი დაუმატეთ.

გულის გამაგრებასა და დამშვიდებაში დაგეხმარებათ ასეთი სამკურნალო ნაყენი: 3 სუფრის კოვზ კუნელის ნაყოფს და შავბალახას ბალახს 3 ჭიქა მდუღარე დაასხით, 2 საათი შეფუთეთ. გაწურეთ და თითო ჭიქა დღეში 2-3-ჯერ დალიეთ. ნაყენი შეგიძლიათ მაცივარში შეინახოთ.



## ზაფრანის საიდუმლო

ზაფრანის სამშობლოდ ესპანეთი ითვლება, თუმცა ის სხვა ქვეყნებშიც მოჰყავთ. მსოფლიოში საუკეთესოდ სწორედ ესპანური ზაფრანა ითვლება. მისი წყალობით, ესპანელებს პრაქტიკულად გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები არ აწუხებთ.

ზაფრანის სასარგებლო თვისებების შესახებ უძველესი დროიდან იცოდნენ. ეს სანელებელი მთელ ორგანიზმს აჯანსაღებს, რაც თანამედროვე მეცნიერებმა მრავალი გამოკვლევით არაერთხელ დაამტკიცეს.

ზაფრანა გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ორგანიზმის დამცავ ძალებს ამაგრებს, სისხლს ეფექტურად წმენდს, თირკმლებსა და შარდის ბუშტში ქვების დაშლას ეხმარება, ტვინის აქტივობას ატონიზირებს. ზაფრანის რეგულარულად გამოყენება ნევროზის, თავის ტკივილისა და უძილობისგან ათავისუფლებს, მეხსიერებასა და მხედველობას აუმჯობესებს, კუჭისა და შინაგანი ორგანოების მუშაობას არეგულირებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ის ქალის რეპროდუქტიულ სისტემაზე სასიკეთოდ მოქმედებს. ტყუილად არ არის, რომ ზაფრანა მსოფლიოში ყველაზე ძვირფას, რჩეულ, ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სანელებლად ითვლება. საზღვარგარეთ ეს ნარინჯისფერი სანელებელი კილოგრამი 1000 დოლარი ღირს.

ზაფრანა გამოიყენება თევზისა და ზღვის კერძების მოსამზადებლად. მას ვეგეტერიანულ წვნიანებში უმატებენ. კარგად ეხამება ბრინჯის, პომიდვრისა და სატაცურის კერძებს.

## თავდაუჯერებელი მამაკაცი უკეთესი საქმროა

თავდაჯერებული მამაკაცი ავტომატურად უფრო მიმზიდველი გვეჩვენება, ვიდრე მორიდებული. მგზნებარე ურთიერთობა და მატერიალური კეთილდღეობა — ასე წარმოვიდგენთ ძლიერი ხასიათის მამაკაცის პლუსებს. მაგრამ მეცნიერებმა საწინააღმდეგო დაამტკიცეს: დაბალი ან საშუალო თვითშეფასების მქონე მამაკაცი ბევრად უკეთესი საქმროა, ვიდრე თავდაჯერებული. საკუთარი თავის რწმენის არმქონე მამაკაცი და თავდაჯერებული ქალი — ყველაზე მტკიცე კავშირია. ძლიერი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებიც კონფლიქტებს ერიდებიან, სტაბილური ურთიერთობის გარანტად ითვლებიან.

## საზამთროს კოსმეტიკა



საზამთროს გულის, ასევე თესლებისგან სახის შესანიშნავ ნიღაბს აკეთებენ. ფერისმჭამელების, ჭორფლის, პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად ასეთი ნარევი მოამზადეთ:

საზამთროს თესლები როდინში დანაყეთ, შემდეგ ცოტა წყალი დაუმატეთ, ერთგვაროვანი ფაფა რომ მიიღოთ (თესლებისა და წყლის თანაფარდობა 10:1). ფაფა სახეზე 20 წუთი გაიჩერეთ, შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



## ქალი ლეგოს პროთეზით

31 წლის ამერიკელმა ექიმმა კრისტინა სტივენსმა მარცხენა ფეხი უბედური შემთხვევის გამო დაკარგა. ამპუტაციის შემდეგ კრისტინა მალევე დაუბრუნდა აქტიური ცხოვრების წესს და ახლა სხვა ადამიანების გამხნევებითაა დაკავებული. ახლახან მან ლეგოს სათამაშოებისაგან ფეხის პროთეზი ააწყო, რომლითაც სიარული, მისივე თქმით, სულაც არ არის მტკივნეული ან სახიფათო. სურვილის შემთხვევაში, ის ნებისმიერ ადამიანს სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარება.

## ყველაზე სწრაფი ცხვარი



დიდ ბრიტანეთში, კერძოდ ბაკინჰემფშირის საგრაფოს ქალაქ ჰაი უაიკომბში, ბინადრობს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ცხვარი, სახელად ზიპი-ლამბორჯინი. ფერმაში ზიპის გამორჩეული ადგილი უკავია, პატრონი მას განსაკუთრებულად უვლის. ზიპი სისტემატურად მონაწილეობს ცხვრების დოღში. მას უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, სწორედ მათ შეარქვეს მეტსახელად ზიპი ლამბორჯინი, რადგან რეკორდსმენმა ცხვარმა 179 შეჯიბრებიდან 165-ში გაიმარჯვა.

## ორი კაცი ერთ ქალზე ქორწინდება

კენიაში, ქალაქ მომბასაში, მცხოვრები ორი მეგობარი მამაკაცი, სილვესტერ მენსვა და ელიჯაჰ კიმანი, ერთ ქალზე ქორწინდება, რადგანაც ამ უკანასკნელმა მათ შორის არჩევანის გაკეთება ვერ შეძლო. მეგობრებმა მხოლოდ 4 წლის შემდეგ გაარკვიეს, რომ ამ ხნის განმავლობაში ორივენი ერთ ქალს ხვდებოდნენ. მასთან დაშორება არც ერთს სურდა, ამიტომ გადაწყვიტეს, დღეგამოშვებით, რიგრიგობით ენახათ საყვარელი ქალი.

მეგობრების გადაწყვეტილებით, დაქორწინების შემდეგ საცხოვრებლად ქალთან სახლში გადავლენ და მის ორ შვილს მამობას გაუწევენ.

შეგახსენებთ, რომ კენიაში რამდენიმე მამაკაცზე ერთდროულად ქორწინება დანაშაულს არ წარმოადგენს.

## ექიმებმა ორთავიანი ბიჭი გადაარჩინეს



ინდოეთის ქალაქ კალკუტაში ექიმებმა ურთულესი ოპერაცია ჩაატარეს — 8 თვის ბიჭს მეორე, ე.წ. პარაზიტული თავი მოაშორეს. თავი თითქმის 1 კილოგრამს იწონიდა. ოპერაციამ 5 საათს გასტანა და წარმატებით დამთავრდა.

ამგვარი შემთხვევა 40-45 ათას ბავშვში ერთი ფიქსირდება. ბიჭი სახლში უკვე გაწერეს. აღსანიშნავია, რომ ტრიპუტაში — ბავშვის მშობლიურ ქალაქში, ექიმებმა მშობლებს იმედი გადაუწურეს და უთხრეს, რომ ბიჭუნა მალე მოკვდებოდა, მაგრამ მშობლები არ დანებდნენ და კალკუტის კლინიკას

## მანჰეტენზე ცხოველებისთვის ღამის კლუბი გაიხსნა



ნიუ იორკში, მანჰეტენზე, ღამის ცხოვრება არამარტო ადამიანებისთვის, არამედ უკვე მათი საყვარელი შინაური ცხოველებისთვისაც ხელმისაწვდომია. ბიზნესმენმა პიტერ ბალესტრიერიმ ღამის კლუბი გახსნა, სახელწოდებით „ფეთჩ ქლაბი“ სპეციალურად მათთვის, ვისაც ღამის გართობა უყვარს, მაგრამ არ იცის, სად შეიძლება დატოვოს საყვარელი შინაური ცხოველი. კლუბის ყველა თანამშრომელს შინაურ ცხოველებთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს და შეუძლია, პირველადი ვეტერინარული დახმარების აღმოჩენა.

კლუბის მენიუში შემავალი საკვები ყველაზე განებივრებული ცხოველის გემოვნებასაც კი დააკმაყოფილებს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ცოტა ხნის წინ გაიხსნა, მას უკვე ბევრი მომხმარებელი ჰყავს. უკმაყოფილონი კი კლუბთან ახლოს მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. მათ ხმაურის გამო კლუბის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც შეიტანეს, რომლის გადაწყვეტილება ჯერჯერობით უცნობია.



Cyan Magenta Yellow Black

## შოკოლადის კოშკი ბრაიტონ ბიჩზე




29 აგვისტოს შოკოლადის მოყვარულებს ბრაიტონ ბიჩზე ნამდვილი სასწაული დახვდათ — ბრიტანულმა საკონდიტრო კომპანიამ იქ შოკოლადის კოშკი დადგა. საბანკო დღესასწაულისათვის მიძღვნილი კოშკის ასაგებად კონდიტერებმა 90.000 რძიანი შოკოლადის პატარა ბურთი გამოიყენეს. შოკოლადის კოშკი ნახევარ ტონას იწონის და მას 5 ადამიანი ზუსტად 100 საათის განმავლობაში აშენებდა.

— ჩვენ ძალიან გვინდოდა, ბანკის თანამშრომლებისათვის რაიმე განსაკუთრებული გაგვეკეთებინა, — აღნიშნა საკონდიტრო კომპანიის წარმომადგენელმა.

## ჩემპიონატი მობილურების ტყორცნაში

ფინეთის ქალაქ სავონლინაში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა მობილური ტელეფონების სროლაში. ჩემპიონატის წესების თანახმად, მობილურის წონა 220-დან 400 გრამამდე უნდა ყოფილიყო. უცნაური ჩემპიონატის ჩატარების იდეა 2000 წელს ადგილობრივ მცხოვრებს, კრისტინა ლუდის გაუჩნდა. მას შემდეგ შოუ ასობით ტურისტსა და მონაწილეს იზიდავს. ამჯერად მამაკაცებს შორის ფინელმა რიკუ ხავერინემ გაიმარჯვა, რომელმაც თავისი მობილური 97,73 მეტრზე ისროლა, ხოლო ქალებს შორის საუკეთესო შვედი ოსა ლუნდგრენი აღმოჩნდა, რომელმაც მობილური 40,41 მეტრზე ისროლა. მომავალი ჩემპიონატი 2014 წლის აგვისტოში ისევ სავონლინაში ჩატარდება.





## ამერიკელებმა ესპანური დღესასწაულები მოიწვევს

ვირჯინიის შტატში ესპანეთისათვის დამახასიათებელი ორი ფესტივალი ერთდროულად გაიმართა — ხარების გამოშვება და პომიდვრების სროლა. 12 ხარისგან თავის დასაღწევად 500-ზე მეტმა ამერიკელმა მოიყარა თავი. მონაწილეებს აგრეთვე მომარაგებული ჰქონდათ 25 ტონა პომიდორი, რომელსაც ერთმანეთს დაუნდობლად ესროდნენ.

აღსანიშნავია, რომ, ესპანეთისგან განსხვავებით, სადაც ხარების გამოშვება წელიწადში ერთხელ ტარდება, ამერიკის სხვადასხვა შტატში ეს სანახაობა საკმაოდ ხშირი გასართობია.

## გარდაცვლილი ქალი 13 დღეში სახლში დაბრუნდა

აშშ-ში, ფილადელფიაში, მომხდარმა ინციდენტმა მსოფლიო შეძრა. 50 წლის შაროლინ ჯექსონი დაკრძალვიდან ზუსტად 13 დღეში სახლში დაბრუნდა. საქმე ის გახლავთ, რომ შაროლინი სახლიდან 18 ივლისს გავიდა და მას შემდეგ პოლიცია უშედეგოდ ეძებდა. 20 ივლისს ქუჩაში გარდაცვლილი ქალის გვამი იპოვეს, რომელიც შაროლინს ძალიან ჰგავდა. მისმა შვილმა გვამის ფოტოსურათების ნახვის შემდეგ განაცხადა, რომ ის დედამისი იყო. მოგვიანებით შაროლინის კვალს ცენტრალურ ფილადელფიაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიაგნეს. როგორც გაირკვა, ოჯახმა სხვა ქალის გვამი დაკრძალა. შესაბამისი საბუთების გაფორმების შემდეგ გვამის საფლავიდან ამოღება და მისი ვინაობის იდენტიფიცირება მოხდება.

## თავში ლითონგაყრილი კაცი საავადმყოფოში თავისი ფეხით მივიდა

45 წლის სერბ კაცს ბარში მომხდარი ჩხუბის დროს თავში სკამის ფეხი შეერჭო. 11 სანტიმეტრი სიგრძის ლითონის ფეხმა კაცის ტვინი საგრძნობლად დააზიანა. მიუხედავად ამისა, გადაუდებელი ოპერაციისა და 2 კვირიანი ინტენსიური მკურნალობის შედეგად სრულიად გამოჯანმრთელდა.



სამართალდამცავებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, თუ როგორ შეერჭო კაცს თავში სკამის ფეხი და ამის შემდეგ მარტო როგორ მივიდა საავადმყოფოში. ყველა იმედოვნებს, რომ ამ კითხვებზე პასუხს პაციენტი სახლში გაწერის შემდეგ გასცემს. კაცს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება და ჭამა. მკურნალი ექიმის, პაველ როდენკოს თქმით, მათ დაზარალებულის თავიდან ლითონის ჯოხის ამოღება ყოველგვარი გართულების გარეშე შეძლეს.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# რომელ ძვირფას ქვას ჰგავხართ?

**1. დასვენების როგორ სტილს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) მშვიდს, პლაჟზე წოლა ყველაფერს მირჩევნია.

ბ) აქტიურს, თხილამურებით სრიალი მიყვარს.

გ) კულტურულს, ექსკურსიებზე სიარულს ვალმერთებ.

დ) სათავგადასავლოს, საფარის არაფერი შეედრება.



**2. ლიდერების რომელ ტიპს მიაკუთვნებთ თავს?**

ა) ლიდერი მსახური, რომელიც თავის ქვეშევრდომებს ემსახურება.

ბ) ლიდერი წინამძღვარი, რომელიც ქვეშევრდომებს სწორ გზას უჩვენებს.

გ) ლიდერი ორატორი, რომელიც საუბრითა და თავდაჯერებულობით ყოველთვის თავისას აღწევს.

დ) ლიდერი მომრიგებელი, რომელსაც ყველანაირი კონფლიქტისა და გაუგებრობის მოგვარება შეუძლია.

**3. რომან „ომი და მშვიდობის“ რომელი გმირი გესიმპათიურებათ?**

ა) ნატაშა როსტოვა.

ბ) მარია ბოლკონსკაია.

გ) ელენე კურაგინა.

დ) სონია.

**4. რომელია თქვენთვის ყველაზე ახლობელი?**

ა) მეცნიერება.

ბ) ხელოვნება.

გ) მორალი.

დ) ფილოსოფია.

**5. თქვენი აზრით, რომელი აფორიზმია ყველაზე მართებული?**

ა) „ქალს ყოვლისმხედველი თვალის მოტყუებაც კი შეუძლია“ (ფიოდორ დოსტოევსკი).

ბ) „ქალისათვის ყველაზე ლამაზი მაკიაჟი ვნებაა, მაგრამ კოსმეტიკის ყიდვა უფრო ადვილია“ (ივ სენ ლორანი).

გ) „მამაკაცების უმრავლესობას აინტერესებს, რას ფიქრობენ გარშემომყოფები მათზე, ქალებს კი — პირიქით, მხოლოდ თავიანთი აზრი აინტერესებთ სხვებზე“ (ჯონათან სვიფტი).

დ) „ჩვენი ქალები იმით ინარჩუნებენ სილამაზეს, რომ არასოდეს არაფერზე ფიქრობენ“ (ალექსანდრ ოსტროვსკი).

**დაითვალეთ თქვენს პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.**

**შედეგები:**

### „ა" ვარიანტი — ქარვა

ქარვა შესაძლოა ყველაზე ძველი ნახევრადძვირფასი ქვაა, რომელსაც სამშვენისად იყენებდნენ. ქარვის მძივები და გულსაკიდები სამხრეთ ევროპაში არქეოლოგიური გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი და ისინი ჩვ. წ. აღ-მდე 8000 წლითაა დათარიღებული. ძველბერძნული ლეგენდის თანახმად, ქარვა მზის ღმერთ ჰელიოსის ცრემლებია, რომლებიც მაშინ წამოსცვივდა, როცა შვილს, ფაეტონს, ციური ეტლი მისცა სამართავად, მან კი ვერ დაიმორჩილა და დაიღუპა. იმისათვის, რომ ფისი ქარვად იქცეს, მილიონობით წელია საჭირო.

ქარვა სინათლის სიმბოლოა. ჩინეთში მას სიმამაცის ქვას, ვეფხვის სულს უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, ქარვას ბედნიერება მოაქვს. თქვენ გულღია ადამიანი ბრძანდებით, ეგოიზმით ნატამალიც არაა თქვენში, მუდმივად მზად ხართ, ნებისმიერს გაუწოდოთ დახმარების ხელი. თავშეკავებული და გაწონასწორებული ბრძანდებით. არ გახასიათებთ მოვლენების შელამაზებულად დანახვა, მათ ყოველთვის რეალურად აღიქვამთ.

### „ბ" ვარიანტი — ლალი

ასწლეულების განმავლობაში ლალის ქვას შეყვარებულები ჩუქნიდნენ ერთმანეთს. ლალისთვლიან ბეჭედს მეგობრობის, ხსოვნის, მადლობის ნიშნად ჩუქნიდნენ. ლალს არამარტო სიყვარულის ქვად მიიჩნევდნენ, არამედ „სიმართლის ქვასაც“ უწოდებდნენ. აღმოსავლეთში კი ლალს მისი სამკურნალო თვისებების გამო აფასებდნენ.

დახვეწილი, ნატიფი ნატურა გაქვთ, გიყვართ თქვენ გარშემო ლამაზი გარემოს შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან შესაძლოა ზედაპირულ ადამიანად წარმოჩნდეთ, თქვენეული ვნება გეხმარებათ, აღაფრთოვანოთ და მოაჯადოვოთ გარშემომყოფები.

### „გ" ვარიანტი — ტანზანიტი

ექსტრაორდინარული, ნახევრადძვირფასი ქვაა და ის გაცილებით იშვიათია, ვიდრე ალმასი. ეს ქვა 1967 წელს იპოვეს და იმ აფრიკული სახელმწიფოს პატივსაცემად უწოდეს სახელი, სადაც აღმოაჩინეს (ტანზანია). აღსანიშნავია ისიც, რომ, ტანზანიის გარდა, დღემდე სხვაგან ჯერ არ აღმოუჩენიათ. ამ ქვის შეფერილობა იმის მიხედვით იცვლება, თუ რა კუთხით უყურებთ მას. იუველირმა ტიფანიმ ის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას ქვად აქცია. მისით შემკობილი სამკაულები კი სიმდიდრისა და დახვეწილი გემოვნების სიმბოლოდ იქცა.

ამ ქვასავით ორიგინალური ხართ და საკუთარ თავში უამრავ პოტენციალს ინახავთ. სამყაროს თქვენებურად ხედავთ — ერთ მთლიანად და არ იციკლებით მის სხვადასხვა მხარეებზე. მიუხედავად იმისა, რომ ცვალებადი ხასიათი გაქვთ, არაორდინარულობა გეხმარებათ, ყველაფერს ნოვატორულად მიუდგეთ.

### „დ" ვარიანტი — ქრიზოლითი

ქრიზოლითს მეორენაირად „საღამოს ზურმუხტსაც“ უწოდებენ — საღამოს ხელოვნური განათების დროს მისი მოყვითალო ციალი მწვანეში გადადის. ერთ-ერთი ცნობილი ისტორია ნერონს უკავშირდება, რომლის მონოკლშიც ვითომდა ზურმუხტის შუშა იყო, სინამდვილეში კი ეს ქრიზოლითი გახლდათ. ნერონი მონოკლში კი არ იყურებოდა, არამედ მას უყურებდა და თვალებს ასვენებდა, რომლებიც ძალიან ეღლებოდა რომის ცირკის არენაზე მოფენილი მარმარილოს კენჭებიდან არეკლილი სხივების გამო. ინდოეთში ქრიზოლითს საქმეში წარმატების მომტან თილისმად მიიჩნევდნენ.

თქვენ გამჭრიახი გონების ადამიანი ხართ. ყოველ ნაბიჯს სათანადოდ წონით, მიდრეკილი ხართ გონებრივი სამუშაოსკენ. გიყვართ სიახლეები და გაინტერესებთ შეუცნობელი. შესაძლოა გარშემომყოფებს ცოტა ზანტ და ჩაკეტილ ადამიანად მიაჩნიხართ, მაგრამ თქვენი სიბრძნე ყოველთვის იზიდავს თქვენკენ ადამიანებს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 74

## სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | | 1 | | | |
| | | 6 | | | | 9 | 3 | |
| | 5 | | | 7 | | | | 8 |
| 2 | | | | 4 | | 2 | | 5 |
| | | 8 | | | | | 1 | |
| | | | 7 | 8 | 3 | | | |
| 6 | | | 5 | 1 | | | | 3 |
| | 9 | | | | 5 | | 7 | |
| | | 3 | | | | 6 | | 4 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | | 9 | 3 | | |
| | 4 | | | 5 | | 9 | | 7 |
| | | 6 | 4 | | | 1 | | |
| | | | 8 | 9 | | | 3 | |
| 7 | | | | 1 | | | | 4 |
| | | 1 | | | 6 | | | 2 |
| | 9 | | | 2 | | 8 | | |
| 8 | | | 7 | | | | 5 | |
| 5 | | 3 | | | 4 | | | 6 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# ქალებო, რას გეუბნებათ თქვენი ზოდიაქო სიყვარულის შესახებ?



### ვერძი

გამარჯობა, დამოუკიდებელო ქალო! შენ შეიძლება მუდმივად მარტო ხარ, მაგრამ ეს შენთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ასტროლოგების თქმით, ვერძის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს უჭირთ ურთიერთობის აწყობა, რადგანაც ისინი ჯიუტები არიან და თავისი გააქვთ ყოველთვის. შეუძლიათ ცხოვრება ურთიერთობის გარეშე, ისინი დამოუკიდებლები არიან და არ მიდიან კომპრომისზე. იმ შემთხვევვაშიც კი, თუ მათი ურთიერთობა ვინმესთან დალაგდება, ვერძები ბოლომდე ნეტარებაში არ არიან. უყვართ დაპირისპირებები, ხშირად მიდიან კონფრონტაციაზე, მოსწონთ დრამების გამართვა.ვერძის ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ძალიან ძლიერები არიან და მათ მხოლოდ ისეთი მამაკაცის გვერდით შეუძლიათ ყოფნა, ვინც მათზე ძლიერი იქნება.

### კურო

როცა კურო თავის კაცს ხვდება, ის მას „ეჭიდება“. ძალიან მგრძნობიარე და შეხებაზე ორიენტირებული ნიშანია, ამავე დროს — თბილი და მომაჯადოებელი. კუროს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ურთიერთობისკენ ისწრაფვიან და ამის გამო შეიძლება ცოტა მომაბეზრებლად „მიეკრონ“ ვინმეს. ეს იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ კაცებიც შეხებაზე მგრძნობიარენი არიან. თუ ასე არ არის, არ შეაშინოთ კაცი! კუროები ცოტათი ეჭვიანები არიან. იგივე თვისება კაცის მხრიდან კურო-ქალისთვის პირველ ადგილზეა. ადამიანები გაურბიან კუროებს იმიტომ, რომ ისინი ზემგრძნობიარენი არიან და ამ გრძნობას ხშირად გამოხატავენ.

### ტყუპები

კარგია ის, რომ ტყუპების ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები სუპერაქტიურები არიან საზოგადოებაში და ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობენ მამაკაცებში. ცუდი კი ისაა, რომ ხანდახან შეიძლება ძალიან დამღლელნი იყვნენ ზეაქტიურობის გამო. ტყუპებს უყვართ ყველაფრის გაანალიზება რაც ხდება, სიამოვნებთ კონფლიქტის შესახებ ლაპარაკი. ტენდენცია, გაანალიზონ ყველაფერი, ნიშნავს, რომ ზედმეტად აფასებენ საგნებს, რაც შეიძლება სტრესული იყოს იმ მამაკაცისათვის, ვისაც ხვდებიან.

### კირჩხიბი

ისინი ბუნებრივები და ემოციურები არიან. სიამოვნებთ სხვაზე ზრუნვა და პატრონობა, ამიტომ კაცებს მოსწონთ ასეთ ქალებთან ყოფნა, რადგან თავს კომფორტულად გრძნობენ და მოსწონთ, როცა მათზე ვიღაც ზრუნავს. კირჩხიბის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს მიდრეკილება აქვთ, ყველაფერი თავის თავზე აიღონ. დაწყნარდით, თუ თქვენი მეორე ნახევარი აბოდებს დედამისის მომზადებულ მაკარონზე, ეს არ ნიშნავს, რომ ამით თქვენ გამცირებთ და არ მოსწონს, როგორი დიასახლისი ხართ.

### ლომი

ლომის ნიშნის ქვეშ დაბადებულებს უყვართ, როდესაც ამჩნევენ და ხშირად ახერხებენ კიდეც ყურადღების ცენტრში ყოფნას. ასტროლოგიაში ლომს აღწერენ, როგორც ენთუზიასტს, რომელსაც უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. მათთვის ბევრად უფრო იოლია პირველი ნაბიჯის გადადგმა, ვიდრე სხვებისთვის, ამიტომ მამაკაცები მათ აუცილებლად ამჩნევენ. ხანდახან ლომის თავდაუჯერებლობა ცუდად ერევა ურთიერთობაში. მათი თავდაცვის მექანიზმი ისე მძლავრად მუშაობს, რომ ნებისმიერი წვრილმანიდან ბრაზილიური ტელესერიალის ჩახლართული ამბები შეიძლება გამოგივიდეთ. მიიღეთ ურთიერთობა ისეთი, როგორიც არის.

### ქალწული

პრაქტიკიდან გამომდინარე, ასტროლოგები ასკვნიან, რომ ქალწულები საუკეთესო პარტნიორები არიან, რადგან არ მოელიან ბევრს. ამიტომ მათი ურთიერთობა უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივად და ადვილად წარიმართება. აქვთ ნიჭი, იყვნენ ბედნიერები უმნიშვნელო ამბითაც კი. ასე რომ, კაცები მაინცდამაინც მთავარი არ არის მათ ცხოვრებაში. ქალწულები მათ გარეშეც ადვილად აღწევენ წარმატებას. ცხოვრებას ლოგიკურად უყურებენ, ხანდახან ემოციების გარეშეც კი, რაც, თავის მხრივ, კარგია, როცა ამ ცხოვრების ორომტრიალში ებმებით. უდიდესი დაბრკოლება ქალწულების სასიყვარულო ურთიერთობაში მათი ზედმეტად მორიდებულობაა, რაც კაცებს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებთ.

### სასწორი

სასწორის ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონები შესანიშნავი მეგობრები და მეუღლეები არიან. ალბათ ნაწილობრივ ეს იმითაა განპირობებული, რომ ძალიან უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა. თქვენ, სასწორის ნიშნის ქვეშ დაბადებულო ქალებო, შეიძლება მუდმივად შეყვარებულთა კატეგორიაში იყოთ, რადგან იცით, რომ საუკეთესო გზა დაჭრილი გულის სამკურნალოდ — ეს ახალი რომანია. უარყოფითი მხარე? ხანდახან მაინც ძველი ურთიერთობის შენარჩუნების მომხრე ხართ.

### მორიელი

მორიელები ყველაზე რთულად მისადგომები არიან. ისინი ადვილად არავის ენდობიან და ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ სხვების გეგმებს. წინდახედულობისა და სიფრთხილის გამო უფრთხილდებიან იმ ურთიერთობას, რომელიც აქვთ და ამიტომ მზად არიან, გადაჭრან ნებისმიერი პრობლემა, რაც გზაზე გადაეღობებათ, ისინი ამას გასაოცრად აკეთებენ. ყოველთვის საფუძვლიანად იკვლევენ პრობლემას, არ ერიდებიან შეკითხვების დასმას და არც პასუხის მოსმენის ეშინიათ. როდესაც ქალი-მორიელი და მისი პარტნიორი გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებიან, ამას მორიელები ცხოვრებისეულ მისიად ისახავენ და მთელ ენერგიას მის გადასაჭრელად წარმართავენ.

### მშვილდოსანი

მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი გული დაამსხვრიონ, რადგანაც ისინი არ ყოყმანობენ და თვალი ყოველთვის გაქცევაზე უჭირავთ. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები თავისუფლების მოყვარულები არიან, ამიტომ ხშირად აქვთ პრობლემები კანონთან, არ უყვართ ვალდებულებების აღება. ურჩევნიათ, იყვნენ მარტო მანამ, სანამ არ იპოვიან იმ ადამინს, რომლის ცხოვრება თავგადასავლებითა და ხიფათით არის სავსე, კაცს, რომელიც გაუგებთ და უსაზღვრო თავისუფლებას მიანიჭებთ.

### თხის რქა

ასტროლოგის თქმით, თხის რქას აქვს ის, რითიც შეუძლია ყველას გაოცება. ისინი არასოდეს ჩადიან უგუნურ საქციელს. მათი მეგობრების თქმით, მომთხოვნი ადამიანია, იცის, რა სჭირდება, ამიტომ არასოდეს თანხმდება მცირედზე. ამიტომაც ადამიანთა წრე, ვისაც შეიძლება პაემანზე დათანხმდეს, საკმაოდ ვიწროა. არ აწყობს დრამებს, მომთმენია და არასოდეს უხვევს არჩეული გზიდან. შეუძლია, მშვიდად დაელოდოს ადამიანს, რომელსაც იმსახურებს.

### მერწყული

უჭირთ, გარშემომყოფებს გააგებინონ საკუთარი გრძნობები. ასტროლოგების განმარტებით, მერწყულის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს აქვთ ნიჭი, გრძნობები თვალით უხილავ ტალღებს გააყოლონ, თუმცა ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ მერწყულები ცოტა უფრო ცივები ხდებიან, ვიდრე იყვნენ. შეიძლება ჩანდნენ საოცრად ჩაკეტილები და გულცივები მაშინაც კი, თუ ეს სულაც არ უნდათ. ჰაერის ნიშნის ქვეშ დაბადებულები დაჯილდოებულები არიან უნარით, გააანალიზონ ყველაფერი აღელვებისა და ემოციების გარეშე. ამან შეიძლება ისინი გზაჯვარედინამდე მიიყვანოს: პირველი — შეუძლიათ, პარტნიორთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა გადაჭრან რაციონალურად, აღელვების გარეშე, ზედმეტად მშვიდადაც კი და მეორე — უგრძნობი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვონ.

### თევზები

მათი რეპუტაცია ასეთია — ძალიან მოკრძალებულები არიან, ამიტომ ხანდახან შეიძლება, რაღაც სირთულეებს წააწყდნენ ურთიერთობისას. ერთი მხრივ, ეს მათი პლუსია. თავდაუზოგაობა და ადამიანთა დახმარების სურვილი მათ ყველაზე კარგ კომპანიონებად აქცევს. მეორე მხრივ, კეთილი ბუნებიდან გამომდინარე, ადვილად შეიძლება მოტყუებულთა რიგებში გადაინაცვლონ. თევზები უკეთესს იმსახურებენ. ასე რომ, თავიდან მოიცილეთ კაცები, რომლებიც თქვენნაირი გულკეთილები არ არიან.



Cyan Magenta Yellow Black

# თიხა და ორაგული სახსრების სამსახურში



**ფიზიოლოგების გამოთვლით, ადამიანის სხეულში 200-ზე მეტი სახსარია. თითოეულ მათგანს დიდი „საგარანტიო ვადა" აქვს. ყოველი მათგანი თავისი აგებულების წყალობით, აუცილებელ სამუშაოს იდეალურად ასრულებს.**

**ხრტილი** —ღრუბლოვანი, სწორზედაპირიანი ქსოვილი, ხახუნს ამცირებს, მოძრაობის დროს ბიძგებს არბილებს.

**სახსრის კაფსულა,** რომელიც ფიბროზული იოგებისგან შედგება, სახსარს ეკვრის, მის შინაგან ქსოვილებს იცავს და ძვლებს სიმტკიცეს მატებს.

**სინოვიალური ფენა** (განსაკუთრებული სითხე) სახსარს შიგნიდან ეფინება. მისი მოვალეობა კვება, დატენიანება და სახსარში ხახუნის შემცირებაა.

**სახსრის გარშემო ქსოვილი** — იოგები, კუნთები, მყესები, სისხლძარღვები და ნერვები — მუშაობაში ეხმარება, სახსრებს ამაგრებს და მის მოძრაობას, კვებასა და ცვლის პროდუქტების მოშორებას უზრუნველყოფს.

ასეთი აგებულების წყალობით, სახსრებს გარემოს ზემოქმედების მიმართ გამძლეობა-ამტანობის დიდი მარაგი აქვთ. და მაინც, ტრავმებისკენ, დაავადებებისკენ მიდრეკილები არიან. სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში დამნაშავე თავად ვართ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია უბედურების თავიდან აცილება. თუ ის მაინც მოხდება, მაშინ საჭიროა ზომების რაც შეიძლება ადრე მიღება.

## სახსრების მთავარი მტრები

*რა ანგრევს სახსრების დაცვას?*

1. ინფექციები სახსრების ქსოვილის დაშლას იწვევს. მათი გამომწვევი სახსარში სისხლის ნაკადით ხვდება, ძალიან იშვიათად — პირდაპირი გზით. ამიტომ დროულად უმკურნალეთ ანგინას, გრიპს, თირკმლებს, კუჭისა და ნაწლავების ქრონიკულ დაავადებებს, ჩვეულებრივ კარიესს, რათა რევმატიზმის ან რეაქტიული ართრიტის განვითარება თავიდან აიცილოთ.

2. სახსრების ტკივილის მიზეზი ხშირად ტრავმებია. მოტეხილობისა და ღრძობის გარდა, სახსრები ყოველდღიურად განიცდიან მიკროტრავმებს მძიმე ფიზიკური სამუშაოს, არასწორი სპორტული წვრთნის დროს. ტრავმების შემდეგ სახსრის ჩანთის მთლიანობა ირღვევა და მასში ინფექციები ადვილად ხვდება.

3. უმოძრაობა ან პირიქით, მეტისმეტი დატვირთვა — სახსრების უბოროტესი მტერია. ჰიპოდინამია სახსრების იოგებს ასუსტებს, სისხლით მომარაგება, კვება და ხრტილის ქსოვილის განახლება ირღვევა. დიდი დატვირთვა და სახსრებზე ზეწოლა, მაგალითად, მოუხერხებელი ფეხსაცმლის ტარებისას, ხრტილების განლევასა და ართროზის განვითარებას იწვევს.

4. ასევე უარყოფითად აისახება ნივთიერებათა ცვლის მოშლა. პირველ რიგში, ზედმეტი ჭამა, არაბალანსირებული კვება, ხორცითა და ნახევარფაბრიკატებით მეტისმეტი გატაცება. თამბაქოს მოწევა და ალკოჰოლიც ასევე მტრებია — პოდაგრისა (შარდმჟავა მარილების დალექვა) და ოსტეოპოროზის (ძვლის სიმყიფე) განვითარებას ხელს უწყობს.

## მსგავსი სახელწოდებები — სხვადასხვა დაავადებები

ტერმინები „ართრიტი" და „ართროზი" მსგავსია, მაგრამ სახსრების ამ დაავადებების მიზეზები და მკურნალობის მეთოდები განსხვავებულია.

ართრიტი სახსრების ქსოვილის ანთებაა და შეიძლება სხვადასხვა მიზეზით აღმოცენდეს, მაგალითად, ინფექციის (რეაქტიული ართრიტი), აუტოიმუნური დარღვევის (რევმატოიდური ცვლილებები), ტრავმების გამო. ასევე უარყოფითად აისახება მეტისმეტი დატვირთვა, ასაკობრივი ცვლილებები (ოსტეოართრიტი), მარილების დაგროვება (პოდაგრული ართრიტი).

ართრიტის დროს ტკივილი არამხოლოდ ფიზიკური დატვირთვის დროს, ასევე მოსვენებით მდგომარეობაში და ღამითაც კი ვლინდება. დამახასიათებელია დილით სახსრებში შებოჭილობა, რომელიც თანდათან გადის. კანი მტკივნეულ ადგილზე სივდება, წითლდება, ცხელდება.

ართროზი დაავადებაა, რომლის დროსაც სახსრების ქსოვილები, განსაკუთრებით ხრტილები, იშლება. ართროზის განვითარების მიზეზი სრულად გამოვლენილი არ არის, თუმცა ტრავმებს, ზედმეტად დატვირთვას, სახსრების სისხლით მომარაგებასა და კვების დარღვევას აქაც მნიშვნელობა აქვს. ართროზი ხშირად აღმოცენდება უშუალოდ ფიზიკური დატვირთვის დროს. მოსვენებით მდგომარეობაში მცირდება და ადამიანს მუდმივად არ აწუხებს, როგორც ართრიტის დროს.

ართრიტის დროს მთავარი ამოცანაა ანთების ჩაქრობა, ინფექციის აღმოფხვრა. ართროზის დროს მნიშვნელოვანია სახსრების მოძრაობის აღდგენა და ქსოვილის რღვევის შეწყვეტა. გამოიყენება ქონდროპროტექტორების პრეპარატები, მასაჟი, სამკურნალო ვარჯიში, მძიმე შემთხვევებში ოპერაცია — სახსრის შეცვლა.

## გავათბოთ თუ არ გავათბოთ?

„თუ სახსარი გტკივათ, თბილი დაიდეთ" — ეს ძალიან პოპულარული, მაგრამ აბსოლუტურად არასწორი და მავნე ჩვევაა. ანთების ნებისმიერი ნიშნის დროს მტკივნეულ მიდამოში სითბური ზემოქმედება მას მხოლოდ გააძლიერებს. თუ სახსარი აგტკივდათ, ყურადღება მიაქციეთ სხვა სიმპტომებს. ისინი მკაცრად უკუნაჩვენებია სითბური პროცედურების მიმართ: კანის გაწითლება, სახსრების მიდამოში შეშუპება, კანის მომატებული ტემპერატურა, სახსრის შებოჭილობა ერთ მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ. ასევე კატეგორიულად არ შეიძლება თბილის დადება ნებისმიერი ტრავმის შემდეგ, პირველ დღეებში. ეს ტკივილს უფრო გააძლიერებს და უფრო მეტ ანთებას გამოიწვევს.

ხოლო, როდესაც საჭიროა სახსრისკენ სისხლის ნაკადის გაძლიერება, ე.ი. ქსოვილების კვების გაუმჯობესება და მათი ჟანგბადით მომარაგება, მაშინ სითბო სასარგებლოა. ამიტომ თბილი კომპრესები ართროზის დროს და ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელების პერიოდში ეხმარება, როდესაც ანთება უკვე სრულად დაცხრება.

## მკურნალი თიხა

თიხის აპლიკაციები ართრიტის, პოდაგრისა და ართროზის კარგი სამკურნალო საშუალებაა. თიხა შესანიშნავი სორბენტია, რომელიც სახსრების ირგვლივ ქსოვილს ტოქსინებისგან ასუფთავებს, მიკრობებს ანადგურებს და ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს. მასში არის შენაერთები, რომლებიც დაზიანებულ სახსრებს აღადგენენ. აპლიკაციისთვის გამდგება ნებისმიერი ფერის თიხა. მთავარია, სუფთა და გაცრილი იყოს.

თიხა სქელ კონსისტენციამდე გააზავეთ. მისგან 1-1,5 სმ-ის სისქის კვერი გააკეთეთ. მან მთელი მტკივნეული ნაწილი უნდა დაფაროს. თიხა ტენიან ბამბის ქსოვილზე მოათავსეთ და კანზე დაიდეთ. ბინტით დააფიქსირეთ. 2 საათი გაიჩერეთ. შემდეგ სახსრის მიდამოზე მცენარეული ზეთი ან დამატენიანებელი კრემი წაისვით. ამ პროცედურის შესრულება შეიძლება ყოველდღიურად, დილით და საღამოს ტკივილისა და ანთების სრულ გაქრობამდე.

## საუკეთესო პროდუქტები სახსრებისთვის

სწორად კვება — ჯანსაღი სახსრების საწინდარია. ზოგიერთი პროდუქტი განსაკუთრებულად სასარგებლოა მათთვის და ისინი თქვენს რაციონში აუცილებლად უნდა იყოს.

ორაგული, კალმახი, ღურკანა და სხვა ცხიმიანი თევზი ომეგა-3-ის შესანიშნავი წყაროა. ეს ცხიმმჟავა ერთ-ერთი საუკეთესო შენაერთია ბუნებრივი ანთების საწინააღმდეგოდ. აღნიშნულ თევზის სახეობებში არის ვიტამინიD, რომელიც ძვლის ქსოვილისთვის აუცილებელია.

კომბოსტო, ბროკოლი მდიდარია სულფორაფანით, რომელიც იმუნიტეტს ააქტიურებს, მავნე თავისუფალ რადიკალებს ებრძვის, ართრიტს თავიდან აგაცილებთ.

შავი ლობიო ბევრ ამინომჟავას შეიცავს, რაც ხრტილების ფორმირებისთვის აუცილებელია.

ნუშით ანტიმჟანგავებსა და E ვიტამინს ვიღებთ. ისინი სახსრების უჯრედების გარსს იცავს.

ვაშლი, განსაკუთრებით წითელი, ბევრ კვარცეტინს შეიცავს. ეს ნივთიერება კოლაგენის (ხრტილის ქსოვილის ძირითადი სტრუქტურული ელემენტი) წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— ხშირად მტკივა ზურგის კუნთები. როგორ მოვიქცე? მასწავლეთ რაიმე მეთოდი ხალხური მედიცინიდან.**

— თქვენ ალბათ მიოზიტი გჭირთ — ჩონჩხის კუნთების ანთება. ტკივილი ზოგჯერ ისეთი ძლიერია, რომ ადამიანს მოძრაობაში უშლის ხელს. ზოგჯერ ანთება არ არის, მაგრამ კუნთის ძლიერი ტკივილი ვითარდება, ამ დაავადებას მიალგია ეწოდება. იგი შეიძლება გაციების, უხეში მოძრაობის ან ინფექციის შედეგად განვითარდეს. მიოზიტის დროს კარგია სითბო. მოხარშეთ კარტოფილი, შემდეგ ცხელ კარტოფილს რამდენიმე წვეთი იოდი დააწვეთეთ, გასრისეთ კარგად და მტკივან კუნთზე დაიდეთ. ზემოდან შალის ქსოვილი დაიფარეთ და ეცადეთ, დიდხანს გქონდეთ თბილად, არ გაცივდეთ.

**— ხშირად მაქვს ძირმაგარა. რა მიშველის?**

— ფურუნკული ანუ ძირმაგარა თმის ბუდისა და კანის ცხიმოვანი ჯირკვლის მწვავე ანთებაა. ძირითადად იმ ადგილებში ვითარდება, სადაც არის საოფლე ჯირკვლები, რომლებიც მექანიკურად ღიზიანდებიან. ფურუნკული ძირითადად ერთი ამოდის, იშვიათად რამდენიმე ერთად ამოვიდეს, მას კარბუნკული ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ფურუნკული მტკივნეულია, ადამიანის ორგანიზმში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იწვევს. ფურუნკულით დაავადებაში მნიშვნელოვანია ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითება. ზოგჯერ შეიძლება მდგომარეობა დამძიმდეს, რადგან ორგანიზმში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. ფურუნკულის სამკურნალოდ კარგია, თუ ოდნავ შემწვარ ხახვის ფურცელს დაიფენთ მტკივან ადგილზე. არის სხვა საშუალებაც — ცომი ჩვეულებრივი წესით მოზილეთ (წყალი, საფუარი და ფქვილი), რამდენიმე საათი გააჩერეთ სიცხეში. გაფუებას რომ დაიწყებს, მოაყარეთ ცოტა მარილი და დაიდეთ დაავადებულ უბანზე. რამდენიმე საათში შვებას იგრძნობთ, ფურუნკულის ჩირქოვანი კვანძისგან გათავისუფლდებით.

**— ვარ 32 წლის. მაქვს მიომა (3 სმ). შეიძლება ეს უშვილობის მიზეზი გახდეს?**

— მიომა კუნთოვანი ქსოვილისგან წარმოქმნილი სიმსივნეა. ყველაზე ხშირად საშვილოსნოს მიომა ვითარდება. მიომა ძირითადად 30-40 წლის ასაკში იჩენს თავს, იშვიათად — უფრო ახალგაზრდა ასაკში. მიომის დროს პათოლოგიური ცვლილებები, საშვილოსნოს გარდა, ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზ-საკვერცხე-თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრეებშიც მიმდინარეობს. ამ დროს შეიძლება ჰიპოფიზის გონადოტროპული ფუნქცია მოიშალოს. უმრავლეს შემთხვევაში, არასრულფასოვანი ყვითელი სხეული წარმოიქმნება, რაც, ბუნებრივია, დაფეხმძიმებას ხელს უშლის. საშვილოსნოს მიომა დასაწყისში მხოლოდ კუნთოვანი ბოჭკოების ნაკრებია. შემდეგ ეს კვანძები შეიძლება გაიზარდოს და გიგანტურ ზომასაც მიაღწიოს. თქვენი მიომა კატასტროფული ზომის არ არის, მაგრამ მთავარია, რა ტიპისაა და სად მდებარეობს. დღეისთვის, უსისხლო (ლაპარასკოპიული) ოპერაციით მიომის მოცილება პრობლემას არ წარმოადგენს. ამ დროს საშვილოსნოს ღრუ არ იხსნება და შვილოსნობის უნარს ქალი არ კარგავს. მიმართეთ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგს და შესაბამისად დაგეგმეთ ფეხმძიმობა.

**— აღმომაჩნდა ციტომეგალოვირუსი. საშიშია? ვარ 22 წლის, გასათხოვარი.**

— ციტომეგალოვირუსი აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას, რაც ძირითადად ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებით გამოიხატება. მკურნალობას ვიტამინებით ნუ დაიწყებთ. მიმართეთ ექიმს, რომელიც როგორც ანტივირუსული, ასევე იმუნური სისტემის გამაძლიერებელ საშუალებებს დაგინიშნავთ. გათხოვილ ქალებში ციტომეგალოვირუსი ხშირად ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხდება.

**— პროფილაქტიკისთვის შეიძლება დავლიო კლიმაქსის საპროფილაქტიკო საშუალებები? ვარ 47 წლის.**

— თუ პრობლემა არ გაქვთ, არ ღირს რომელიმე პრეპარატის წინასწარ მიღება, მით უმეტეს, თვითნებურად.

**— მაქვს მუდმივი შიშები, გულის აჩქარება. რისი ბრალია?**

— ადამიანი თუ შეამჩნევს, რომ გულის რიტმის დარღვევამ სტაბილური ხასიათი (ხშირი აჩქარება ან შენელება) მიიღო, აუცილებელია, სასწრაფო წესით გადაიღოს ელექტროკარდიოგრამა და მიმართოს კარდიოლოგს. უპრიანი იქნებოდა, თუ ნევროპათოლოგთან გაივლიდით კონსულტაციას. ჩამოთვლილი ჩივილებიდან თქვენ ალბათ ვეგეტონევროზი გჭირთ, რაშიც გადამწყვეტი თქვენივე განწყობაა. ვეგეტონევროზის დროს ნერვული სისტემის ორგანული დაზიანება (სტრუქტურული შეცვლა) არ მიმდინარეობს. ამ დროს ორგანიზმი ყველაფერზე რეაგირებს, იცვლება გუნება-განწყობა, ქვეითდება შრომისუნარიანობა, ზოგჯერ კანი მშრალია, გაფერმკრთალებული, გაძლიერებულია ოფლიანობა, აღინიშნება სისხლის წნევის მკვეთრი მატება. სისხლში შეიძლება მცირე ცვლილებები მიმდინარეობდეს.

ვეგეტონევროზის დროს მიიღეთ კუნელის, ვალერიანის, „პუსტირნიკის“, კორვალოლის წვეთების ნარევი დღეში სამჯერ 20-20 წვეთი. შემდეგ ნელ-ნელა დოზა შეამცირეთ. თუმცა ეს მკურნალობის კურსი არ არის, იგი მდგომარეობას დროებით შეგიმსუბუქებთ. ნევროპათოლოგის ჩარევა შეიძლება აუცილებელი გახდეს.

**— ბავშვი დაიბადა დღენაკლული — 8 თვის. ახლა არის 3 თვის. შეიძლება დამატებითი საკვების მიცემა და რისი?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მის პედიატრს შეუძლია. ბავშვის კუჭში ყველანაირი საკვების გადამუშავებაში ხელშემწყობი ფერმენტები არ არსებობს. ისინი დროთა განმავლობაში გამომუშავდება. თვითნებურად არანაირი საკვები არ მისცეთ, ვინც უნდა გირჩიოთ, რადგან შეიძლება ბავშვს კუჭნაწლავის ტრაქტი სერიოზულად დაუზიანოთ.

**— ერთი მკერდი სხვანაირი მაქვს, მეორე — სხვანაირი. მარჯვენა მკერდი გაწითლებული მაქვს. ვის მივმართო?**

— მკერდის ფორმის, ზომისა და ფერის შეცვლა მასში მიმდინარე პათოლოგიურ ცვლილებებზე მიუთითებს. ჩაიტარეთ მკერდის ექომამოგრაფია და მიმართეთ მამოლოგს. შეიძლება მკვეთრი ცვლილებები ჯერ არ გაქვთ, მკერდის გამოკვლევა არასდროს არის ადრე.

**— როგორ უნდა იკვებოს ახალნამშობიარევმა ქალმა, რომ წონაში არ მოიმატოს?**

— ახალნამშობიარევის, ისევე როგორც ფეხმძიმე ქალის, კვება უნდა იყოს სრულფასოვანი. უნდა შეიცავდეს ცილასაც, ცხიმსაც და ნახშირწყლებსაც, მაგრამ არა — გადაჭარბებით. ბავშვი თუ ბუნებრივ კვებაზეა, დაუშვებელია დედის დიეტა და საკვებიდან რომელიმე მნიშვნელოვანი პროდუქტის გამორიცხვა, ამით შეიძლება თქვენი პატარა დააზარალოთ. იკვებეთ ხშირად და ცოტ-ცოტა. შეგიძლიათ სალამოს საათებში თავი შეიკავოთ და მხოლოდ მაწონი მიიღოთ. არ ჭამოთ ძალიან ცხიმიანი საკვები, ეს თქვენც და ბავშვსაც ავნებს. თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გყავთ, მაშინაც კი არ შეიძლება ახალნამშობიარევი ქალისთვის ხანგრძლივი და მკაცრი დიეტა, რადგან ორგანიზმი მოძლიერებას საჭიროებს, დიეტა კი შეიძლება ავიტამინოზის მიზეზი გახდეს.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

1„... ჩვენი არსობისა“; 2. სასაქონლო ნიშანი, ეტიკეტი; 3. ... ბოლდუინი; 4. ქიმიური ელემენტი; 5. ცირკის მოედანი; 6. პატარა დროშა; 7. იგივეა, რაც თავზრუ; 8. ... კოლინზი; 9. ქართული ფოლკლორის ხევსური პერსონაჟი 10. სურათი ზღვის ხედით; 11. შუადღის დასვენება ლათინურ ამერიკაში; 12. ნივთიერებათა კინემატიკური სიბლანტის ერთეული; 13. სამეტყველო ორგანო; 14. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 15. საჭმელი სოკო; 16. ... ასათიანი; 17. თვალების უნებური, ავადმყოფური მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით; 18. მდინარე შვეიცარიაში; 19. ელდა, თავზარი; 20. ქალდეური ქალღვთაება; 21. სამკურნალო მცენარე ყვითელი ყვავილებით; 22. ... თორაძე; 23. ხანა, ეპოქა; 24. ქალაქი ლატვიაში; 25. კერძი მოხარშული ცომის ნაჭრებით; 26. მიმართვისას ხმარებული შორისდებული; 27. რძის პროდუქტი; 28. სირაქლემასებური ავსტრალიური ფრინველი; 29. ... კასპაროვი; 30. კატის ხმიანობა; 31. მესამე ნოტი; 32 რუდოლფ ... (ბალეტის მოცეკვავე); 33. მაგარი ქანი; 34. ... სარაჯიშვილი; 35. ანჯელი...; 36. ქუთაისი ძველად; 37. ბალჩეული მცენარე ტკბილი ნაყოფით; 38. ღრმა და ვიწრო ხეობა; 39. ... მონტანი; 40. სწორი აღქმის დარღვევა; 41. პატარა სარწყავი არხი; 42. ... ბენდელიანი; 43. ყაზბეგი ანუ... (მწვერვალი); 44. დამხმარე თეორემა; 45. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი; 46. ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ქოხი; 47. ბერის, მონაზვნის ცალკე ოთახი; 48. მიმზიდველი, მაცდუნებელი; 49. სამაგიეროს გადახდა დამარცხებისთვის; 50. თხის ჯოგი; 51. მიწის ფართობის ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 52. სახალხო დღესასწაული-მასკარადი ღია ცის ქვეშ; 53. სისხლის შენადედი სისხლძარღვში; 54. ... პაჩინო; 55. ტროპიკული ხილი; 56. ნაბიჯი ბალეტში; 57. კატების ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 58. ერთმანეთზე მიწყობილი წვრილი ნაკეცები კაბაზე; 59. ზოგიერთი საკრავის ნაწილები (მხ. რიცხვში); 60. ასო „ლ“-ს სახელწოდება; 61. საფოსტო გზავნილი; 62. ქალბატონი (ინგლისურად); 63. ყაიმი.





**სიტყვა-კოდი**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

საბურთალი ჩოგანი (საბა)





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. რაფია; 2. სალაკა; 3. ფხა; 4. არა; 5. აგნი; 6. გალი; 7. თამასა; 8. მაკეტი; 9. ობობა; 10. კია; 11. კიი; 12. ორე; 13. ნოე; 14. თალანთინი; 15. ტრეკი; 16. კარტინგი. 17. ბაირალი; 18. „თემა“; 19. ლემა; 20. მირეი; 21. ლემპირა; 22. აერობიკა. 23. პრიშტინა; 24. მისის; 25. ნიდაო; 26. მიომა; 27. სინაპი; 28. მასრა; 29. იაგო; 30. პენსი; 31. კამეჩი; 32. ასკილი; 33. ღადო; 34. ჯანდაბა; 35. აბაი; 36. ჯემალ; 37. ანაშა; 38. არმია; 39. მადამ; 40. აკრი; 41. იიპე; 42. დივანია; 43. სან; 44. სია; 45. ნომი; 46. აარე; 47. რელიკვია; 48. იდეა; 49. ანგინა; 50. არენდა; 51. ჩამიჩი; 52. ბილიარდი; 53. სერ; 54. ჰონდა; 55. ანაპა; 56. რიმესა; 57. სკეტჩი; 58. სირ; 59. დომიე; 60. „მინდია“; 61. არი; 62. თმა. 63. იერი; 64. ალვირი. **სურათებზე:** ოსკარ პიტერსონი; ქაუნტ ბეისი; ჩიკ კორეა; მიშელ პეტრუჩიანი.

**კოდი: ღიანტე**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. იაპონური თეატრი
2. ღამის ფრინველი
3. ... პამპანინი
4. მოკლე და მსხვილი (მაგ. თითი)
5. ... რიჩი
6. „ჩვენი... (ფილმი)
7. კეთილი გველი („მაუგლი“)
8. საწინდარი
9. დარიუს ... (კომპოზიტორი)
10. პორტუგალიის დედაქალაქი
11. ტურგენევის მოთხრობა
12. შეძახილი ალტაცებისას
13. პარკოსანი მცენარე
14. მზია... (მსახიობი)
15. ჩასაბერი საკრავი
16. იაპონური ჭიდაობა
17. სხეულის ნაწილი
18. ნელი ცეკვა ბალეტში
19. ტემპის მცირე შეცვლა მუსიკაში
20. გომბეშო
21. ფრანგული ოქრო-ვერცხლის ფული (ძვ.)
22. თევზის წვნიანი კერძი
23. იუპიტერის თანამგზავრი
24. შეძახილი გაოცების დროს
25. ვივიენ ...
26. ვაჟიშვილი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ლა; 2. სე; 3. მარაკანა; 4. იამანიძე; 5. არვე; 6. ძე. 7. აიოვა; 8. ოფოფი; 9. როქი; 10. ძნა; 11. „ბომონდი“;. 12. ფორდი; 13. ბექინსეილი; 14. კაფე; 15. ფშა; 16. ბოცა; 17. ედი. 18. კამიკაძე; 19. მიკ; 20. არკა; 21. „ორასი“. 22. დი; 23. პოდგორიცა.**სურათებზე:** ჭადრაკი; ნარდი; შაში; დომინო.



Cyan Magenta Yellow Black



# ხილი პრობლემური კანისთვის

კოსმეტიკური ნიღბებისთვის სწორად შერჩეული ხილი კანს არამხოლოდ აახალგაზრდავებს, ასევე კანის სხვადასხვა პრობლემისგან იცავს.

**ფერისმჭამელების დროს** სასარგებლოა გახეხილი სტაფილოს ნიღბები. შეარჩიეთ პატარა ზომის ძირხვენა — მასში მეტი წვენია, მაშასადამე, ბევრი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება.

**კანს ანთებისა და სიწითლის დროს** პრობლემის დაძლევაში ქორფა გარგრის პიურე ეხმარება.

**მშრალი კანისთვის** გამოდგება ნიღბები ყურძნის, კიტრის, ყაბაყისა და ბადრიჯნის შემადგენლობით. ისინი კანს შესანიშნავად ატენიანებენ და არც გაღიზიანებას იწვევენ.

**მზისგან დამწვრობასა და სიწითლეს** ყველაზე კარგად აქრობს ქორფა კიტრი და კიტრის წვენი.

ატამი კანს არაჩვეულებრივად ამშვიდებს.

ალუბლის, შავი მოცხარისა და ჟოლოს შემადგენლობით ნიღბები ეპიდერმისს აძლიერებს.

კანის მეტისმეტი პიგმენტაციისა და მასზე მუქი ლაქების გაჩენისას გამოიყენეთ გახეხილი მარწყვი ან ჟოლო. მათ მათეთრებელი ეფექტი აქვთ.

# ნიორი ყველასთვის სასარგებლოა?

ნიორი ქოლესტერინის დონეს ამცირებს და წნევას არეგულირებს, ბუნებრივ ანტიბიოტიკად და ვირუსებთან მებრძოლად ითვლება, მაგრამ, როგორც ყველა ნებისმიერი სხვა ძლიერი საშუალება, მასაც აქვს უკუჩვენებები, რაც ბევრს ავიწყდება.



მისი ჭამა არ შეიძლება წყლულოვანი დაავადებისა და კუჭის მომატებული მჟავიანობის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და თირკმლების ანთებითი დაავადებების დროს.

მოერიდეთ ნივრისა და სხვა ცხარე საკვების ყავასთან, მაგარ ჩაისთან და იმუნომოდულატორებთან (მაგალითად, ექინაციასთან) შეთავსებას.

ნივრის მუდმივად ჭამა არ შეიძლება. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პროფილაქტიკისთვის შეიძლება დღეში ერთი პატარა კბილი მიიღოთ. თუ უკვე გაცივდით და ნივრით მკურნალობთ, ყოველდღიური დოზა 2-3 კბილს არ უნდა აჭარბებდეს. ზედმეტის მიღებისას შეიძლება გულის პრობლემა, პულსის გახშირება აღმოცენდეს.

ნიორი უზმოზე არ ჭამოთ, თორემ კუჭისა და თირკმლების გაღიზიანების დიდი რისკია.



# პლაჟზე ფეხშიშველი სეირნობა — საუკეთესო სეირნობა ორგანიზმისთვის

ქვიშიან პლაჟზე ყოფნისას ფეხშიშველამ ერთი საათი აუცილებლად ისეირნეთ. ეს მთელი ორგანიზმისთვის საუკეთესო გასეირნებად ითვლება, ვინაიდან სილაში ფეხშიშველა სიარულს დამატებით რამდენიმე უპირატესობა გააჩნია.

როგორც ცნობილია, ტერფებზე განლაგებულია დიდი რაოდენობით ბიოლოგიურად აქტიური წერტილები. სილა და პატარა კენჭები ფეხებს მასაჟს უკეთებს, რაც მთელ ორგანიზმზე დადებითად აისახება.

სანაპიროს გასწვრივ სეირნობით გაკაჟების პროცედურას იტარებთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ წყალი ცივია. სპეციალისტების აზრით, ასეთი სეირნობა კონტრასტული შხაპის ტოლფასია — თბილი ქვიშა და ჰაერი, პლუს ცივი წყალი.

ფხვიერ სილაში მოძრაობა უფრო რთულია, ვიდრე მიწაზე. მუშაობაში ჩართულია ფეხისა და ზურგის მეტი რაოდენობის კუნთები. ეს ძალიან კარგი წვრთნაა მუსკულატურის, რომელიც კუნთური ტონუსის ამაღლებას ეხმარება და სისხლით მომარაგებას აუმჯობესებს.

ზღვის სანაპიროზე სუნთქავთ ჰაერს, რომელიც გაჯერებულია მიკროელემენტების იონებით. ეს მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით სასუნთქი ორგანოებისთვის. თირკმლები და ბრონქები ძლიერდება და სუფთავდება, იმუნიტეტი მაღლდება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძე

## ეს იცოდით?

❖ ყველაზე ძვირადღირებული სახლი მდებარეობს ქალაქ მონრეალის ერთ-ერთ რაიონში, რომელიც 29,7 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

❖ ალკოჰოლის ყველაზე დიდი მომხმარებელი ქვეყანა მოლდოვა გახლავთ. იქ ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 18,21 ლიტრი ალკოჰოლი მოდის.

❖ ინგლისელებმა აღმოაჩინეს, რომ, თუ ალკოჰოლის მიღებამდე ლიმონიან ყავას მიირთმევთ, აღარ დათვრებით.

❖ ფუტკრების დედა-დედოფალი დღეში 1500 კვერცხს დებს.

❖ ფუტკრებს არასოდეს სძინავთ.

❖ ფუტკარი წითელ ფერს ვერ არჩევს. ის მას მუქ ნაცრისფრად ან შავად აღიქვამს; ქათმები ცისარტყელას ყველა ფერს არჩევენ; კატა ფერებს ვერ არჩევს, ის საგნებს იმ ფერად აღიქვამს, რა ფერის გარემოშიცაა; მაიმუნი კი არაჩვეულებრივად აღიქვამს ფერებს.

❖ ახალდაბადებული ჟირაფის სიმაღლე 183 სმ-ია, ზრდასრული მამრი ჟირაფი 5 მეტრი და 80 სმ-ია, მდედრი — 5 მეტრი და 19 სანტიმეტრი.

❖ მოლაპარაკე ჯიშის თუთიყუშები ყველაზე ადვილად ლათინურ ენას სწავლობენ.

❖ ალგოლოგია მეცნიერებაა, რომელიც წყალმცენარეებს შეისწავლის.

❖ „იდიოტი“ სულაც არ არის შეურაცხმყოფელი სიტყვა, ის ბერძნულიდან წარმოდგება და კერძო პირს ნიშნავს.

❖ ანტარქტიდაში აღმოაჩინეს ტბა, რომელშიც წყალი 11-ჯერ მლაშეა, ვიდრე ზღვაში, ამიტომ იგი მხოლოდ მინუს 50 გრადუსზე იყინება.

❖ მთვარის 41% არასოდეს ჩანს დედამიწიდან.

❖ არაბეთის ნახევარკუნძულზე ხარობს მცენარე, რომელსაც „სიცოცხლის ყვავილს“ ეძახიან. მის თესლს შეუძლია, ადამიანს უმიზეზოდ სიცილი დააწყებინოს. შეტევა 30-35 წუთი გრძელდება, შემდეგ კი ადამიანს ეძინება. აღნიშნულ თესლს ადგილობრივი მოსახლეობა კბილის ტკივილის გასაყუჩებლად იყენებს.



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**— ბრალდებულო, რატომ არ მიეხმარეთ თქვენს სიდედრს, როცა დაინახეთ, რომ ხულიგანი სცემდა?**

**— რა მიხმარება უნდოდა, ბატონო მოსამართლევ, ისედაც მაგრად ურტყა მაგ საწყალ ხულიგანს.**



**თათარი მწვანილს ყიდის. მიადგა გაპრანჭული ქალი.**

**— რა ღირს კონა პეტრუშკა?**

**— ათი თეთრი.**

**— ხუთად არ მომცემ?**

**— ვაააა, ეგეთი ლამაზი ქალი ხართ თქვენა... აი, თქვენ რო ჩემი ადგილზე იყოთ, ხუთად მიცემ?**

**— არა...**

**— მა რა გიკვირს, ქალოჯან?**



**— ბრალდებულო ტაბალუა, თქვენ ცოლი გყავთ?**

**— კი, ბატონო.**

**— სიდედრი?**

**— სიდედრიც მყავდა... სანამ დამიჭერდით...**

— ბრალდებულო, თქვენ ჯარიმდებით მეზობლის ცემისთვის 3000 ლარით, ხომ არაფერს დაუმატებდით?

— დავუმატებდი, რავა არ დავუმატებდი, მარა ძაან ძვირი ჯდება ეგ უპატრონო...

❖ ❖ ❖

— იდიოტია ჩემი ქმარი! — ქოთქოთებს ტასიკო, — ციხეში ნამცხვრით ქლიბი შევუგზავნე...

— უპოვეს?

— არა, ქალო, ნამცხვართან ერთად ჩაუყლაპია...

❖ ❖ ❖

გვიანი ღამეა, ცოლი ქმარს აღვიძებს:

— კაცო, ოთახში რაღაც ფაჩუნობს, თაგვი ხომ არაა?

— ალბათ, — გვერდი იცვალა კაცმა.

— მერე, რა გაძინებს, კაცო, რამე ზომა მიიღე!

— თაგვია, ქალო, ეხლა ეგ მაზომვინე ამ შუაღამეზე!

❖ ❖ ❖

— ბრალდებულო წოწორია, თქვენ ქურდობისთვის 3 წელს გისჯით.

— რა ამბავია 3 წელი, ღმერთი არ გწამთ, ბატონო მოსამართლევ?!

— ალიბი გაქვს?

—ოხ, ახლა მაგის ქურდობაც გინდათ შემომტენოთ?!

❖ ❖ ❖

ქუთაისელი ინსპექტორი ჟიგულს აჩერებს:

— რა მოხდა, მიტუშა ბიძია (ქუთაისში ყველა ერთმანეთის ბიძა-ძმისშვილია), დავარღვიე რამე?

— 100-ით მოდიოდი.

— კაი, ახლა, მიტუშა ბიძია, შარზე ხარ ალბათ თვარა, სა შოუძლია ამ საწყალ მაშინას მასთე ჩქარა სიარული. მაგი კარა, სიდედრი არ წამევიყვანე ამ დილას ბაზრისკენ და ორჯერ გამიკეთა აბგონი ფეხით...

❖ ❖ ❖

— ალო, ფსიქიატრიულია? — ისმის ტელეფონში ქალის შეშფოთებული ხმა.

— დიახ, რაშია საქმე, ქალბატონო?

— ქმარი გამიგიჟდა.

— რაზე ატყობთ?

— იძახის, ძროხა ვარ, ძროხა ვარო და ზმუის.

— წამოიყვანეთ, დავაწვენთ და გამოვიკვლევთ.

—იფ, რა კაია! მერე, საღამოს შენ მოგწველო?!

❖ ❖ ❖

— რატომ სვამ? სულ გალოთდი ამ ბოლო დროს.

— ჩემს ცოლს ფულები მოაქვს სახლში და ვერ გევიგე, საიდან მოაქვს.

— შე კაცო, მაგან როგორ გადაგრია, ალბათ შოულობს ეგ ქალი.

— აგაშენა ღმერთმა, მე შტერი ვფიქრობდი, ხომ არ ბოზობს-თქვა.

❖ ❖ ❖

მოსამართლე ბრალდებულს:

— რატომ ამბობთ უარს უკანასკნელ სიტყვაზე?

— რა ვქნა, უფროსო, რაც უნდა მექვა — ადვოკატმა თქვა და რაც არ უნდა მეთქვა — პროკურორმა.

❖ ❖ ❖

— მიხოვ, გუშინ რო ორიანი დაგიწერე, მამაშენმა ნახა? — ეკითხება ზოდინა მასწავლებელი პატარა კახელს.

— ნახა, მასწ.

— მერე რა თქვა?

— რა თქვა და... თუ კიდევ დაგიწერს ორიანს, მითხარი და იმ შენ ზოდინა მასწავლებელს დავხვდები და ვენახი ძირში ვიხმარო.

— და... დრო? დრო არ უთქვამს?

❖ ❖ ❖

განცხადება:

„დავკარგე ცოლი, მპოვნელს ვთხოვ, უთხრას, რომ სახლში ნუღარ მოვა, ახალი შევირთე“.

❖ ❖ ❖

— ახალი ადვოკატი დაგიქირავე, — ახარა პატიმარს ცოლმა ციხეში.

— მაგარია?

— ძალიან.

— გამოცდილება აქვს ამნაირ საქმეში?

— აბა, რა! რვაჯერაა ნასამართლევი.



**გამომძიებელი:**

**— ბრალდებულო გეჯაძე, როგორ მოახერხეთ, რომ დაზარალებულს ხელის ერთი დარტყმით ექვსი კბილი ჩაამტვრიეთ?**

**— გამიხსნან ხელები და გაჩვენებთ.**

❖ ❖ ❖

— ბატონო ადვოკატო, მეშველება რამე?

— შევეცდები, ყველაფერი სიმართლე დავამტკიცო.

— მღუპავ, შე შობელძაღლო?!

● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ●

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები



**— ბრალდებულო, ნანობთ, რომ მოქალაქეს არყის ბოთლი ჩაარტყით თავში?**

**— ვნანობ რომელია! გაუხსნელი ბოთლი იყო...**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

კლოდ იზნერი

დასაწყისი №24-35

# მკვლელობა ეიფელის კოშკზე



ცერემონიის მონაწილენი ეიფელის კოშკის ირგვლივ შეკრებილიყვნენ. მზე უმოწყალოდ აჭერდა, თუმცა საერთო მხიარულებასა და ამაღლებულ განწყობილებას ეს ხელს არ უშლიდა.

მარიუს ბონე, ედოქსი, ალარი, ანტონენ კლიუზელი და ტაშა ხერსონი პრესის სხვა წარმომადგენლებს შორის იდგნენ, ორკესტრის სიახლოვეს. ფოტოგრაფმა დრო იხელთა და ეს სცენა დააფიქსირა, რასაც აპლოდისმენტები მოჰყვა.

საზეიმოდ გამოწყობილი მუსიე და მადამ მუანო ბედნიერები იყვნენ. მათი გოგონა ავგუსტა-ეიფელინა ეიფელის კოშკის პირველ და მეორე პლატფორმებს შორის მოევლინა ქვეყანას, რის აღსანიშნავადაც მის მშობლებს თავად გუსტავ ეიფელი გადასცემდა ფულად პრემიას.

ერთადერთი, ვისაც ეს ყველაფერი აღიზიანებდა, მგონი. ანდრე მაიო იყო, ჩრდილოეთის შესასვლელის კარისკაცი, რომელსაც წყურვილი კლავდა, მუცელი კი შიმშილისგან უყურყუტებდა. ფაქტობრივად უსაქმოდ იყო — ამ მხრიდან არავინ შემოდიოდა, არადა კარისკაცი აქედან გვიანობამდე ფეხს ვერ მოიცვლიდა.

ანაზდად მამაკაცი შენიშნა, უფრო იაპონელი, მისკენ რომ მოიჩქაროდა. მაიომ ის აღმოსავლეთის რომელიღაცა დელეგაციის წევრად ჩათვალა და როცა მამაკაცმა იეროგლიფებით აჭრელებული სავიზიტო ბარათი გაუწოდა, არც კი დაუხედავს, ისე გაატარა სტუმარი.

კენძიმ კარისკაცს თავაზიანად დაუკრა თავი, ბარათი ჯიბეში ჩაიდო და ლიფტს მიაშურა.

ვიქტორი ფიაკრიდან გადმოხტა და კოშკისკენ გაიქცა. შეშინებული იყო — გრძნობდა, რაღაცა უბედურება რომ უნდა მომხდარიყო.

იდაყვების მოშველიებით უკმაყოფილო ბრბო გაარღვია და გუვიეს მოსაწვევის ფრიალ-ფრიალით ლიფტში შევარდა...

ის, ვისაც ეძებდა, არსად ჩანდა.

უცებ შავი ცილინდრების მიღმა ზიზილები დაინახა: ტაშა ესკიზების ბლოკნოტს დასცქეროდა და ნახშირის ფანქრით ყვავილებს ხატავდა. მასთან ახლოს მარიუს ბონე, ედოქსი ალარი და ანტონენ კლიუზელი იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ის იყო, მათთან მისვლა დააპირა რომ... მის ყურადღება რესტორნის კუთხეში მდგარმა მამაკაცმა მიიქცია, რომელსაც ვარდისფერი აბრეშუმის ჰალსტუხი-პეპელა ეკეთა და ამით აშკარად თავს იწონებდა. გაოცებული ვიქტორი ადგილზე შედგა — ერთადერთი ადამიანი, ვინც ამგვარად გამოეწყობოდა, კენძი მორი იყო!

— მუსიე ლეგრი! გამოიხედეთ! აქ ვართ! — ეს ედოქსი იყო და ვიქტორს ხელს უქნევდა.

მარიუსმა, ანტონენმა და კენძიმ ერთდროულად გამოიხედეს ვიქტორისკენ, ერთ-ერთმა მათგანმა კი ხელი მაღლა ასწია და ისე უხმო თავისთან. ვიქტორს სუნთქვა შეეკრა: ხელთათმანები! ამ ტიპს სქელი ხელთათმანები ეკეთა, თან ასეთ სიცხეში! ვინ ახსენა? ჰო, ხელთათმანები იმ მეეტლემ ახსენა, ოსტროვსკი რომ გადაჰყავდა! ამას რატომ უკეთია? ცხადია, რატომაც! შხამისგან რომ დაიცვას თავი!

ვიქტორმა საფრთხე იგრძნო, გახევებული იდგა და აღარ იცოდა, რა ექნა. ეს ის იყო, ის! სერიული მკვლელი!

აპლოდისმენტებს „მარსელიეზას“ პირველი ტაქტები მოჰყვა, შემდეგ კი ტრიბუნაზე თავად გუსტავ ეიფელი ავიდა. ხალხი ამოძრავდა, ყველას სურდა, ორატორი კარგად დაენახა.

ვიქტორმა არეულობით ისარგებლა, ჯერ ტაშასკენ გაქანდა, მერე კი გეზი იცვალა და მეორე პლატფორმაზე ამავალი კიბისკენ გაიქცა. რამდენიმე საფეხური ისე აირბინა, უკან არც მოუხედავს — დარწმუნებული იყო, ის ტიპი რომ გამოეკიდებოდა! ასეც მოხდა: სუვენირების ჯიხურის ვიტრინაში დაინახა, რა გამალებით მოსდევდა.

ვიქტორმა სისწრაფეს უმატა. შემდეგ ლიფტიდან გამოსულ ხალხს შეერია და თითქოს სული მოითქვა.

— რა პატარაა ეს ქვეყანა, — მოესმა ანაზდად ყურს უკან, — არა, მეგობარო?

— ვიქტორი შემოტრიალდა. ხელთათმანებიანს ხელები ჯიბეში ჩაეწყო და დამცინავად ულიმოდა.

— გუვიემ მოსაწვევი მომცა და...

— აღარ დაგჭირდებათ... — ის ისევ იღიმებოდა, მერე კი ჯიბიდან რაღაცა დააძრო და ვიქტორმა გუმანით იგრძნო, მისი აღსასრული რომ ახლოვდებოდა.

უეცრად ხელთათმანებიანის უკან ნაცნობი სილუეტი დალანდა. მათი ორთაბრძოლა ხანმოკლე გამოდგა: ვიქტორისთვის გამიზნულმა ნემსმა კენძის წყალობით გეზი იცვალა და ხელთათმანებიანის ბარძაყში შეაღწია...

პლატფორმაზე მარიუს ბონე ეგდო და აღარ სუნთქავდა.

— თქვენ კი მე მეგონეთ მკვლელი, — ჩაილაპარაკა კენძიმ.

— რა დროზე მომისწარით... — მხოლოდ ეს ამოღერღა ვიქტორმა და თავის მხსნელს მადლიერებით სავსე მზერა მიაპყრო.

გრაფინია დე სალინიაკი, თავის განუყრელ დაქალებთან ერთად, წიგნების თვალიერებით იყო გართული. უეცრად კარი გაიღო და მაღაზიაში ჟოზეფი შემოიჭრა „პასპარტუს“ ფრიალით:

— სპეციალური გამოშვება! სერიული მკვლელი ცნობილია და თავადვე ემსხვერპლა თავის ავ ჩანაფიქრს!

— ვინ არის, ვინ? — იხუვლეს ქალებმა.

— სიჩუმე! — ჟოზეფმა ხელი ასწია, — აქ სტატიაა, რომელსაც ხელს ანტონენ კლიუზელი აწერს. ვიცი, მუსიე ლეგრის ნაცნობია.

— მუსიე ლეგრი სად არის? — იკითხა გრაფინიამ.

— პოლიციის პრეფექტურაში. ინსპექტორმა ლეკაშერმა დაიბარა ის და მუსიე მორი.

— დასაკითხად?

— რა თქმა უნდა. ეს ისტორია მართლა რომ უნიკალურია თავის შინაარსით!

— წაგვიკითხეთ, რა, წაგვიკითხეთ! — აყაყანდნენ ქალები.

— ოღონდ არ გამაწყვეტინოთ. მპირდებით?

— აბა რა!

— მაშინ ვიწყებ.

**მკვლელის ექსკლუზიური აღიარება მხოლოდ „პასპარტუს“ მკითხველებისთვის**

უბედური შემთხვევები, რაც ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის კარგადა ცნობილი და ძირითადად ეიფელის კოშკს უკავშირდება, დღემდე ამოუხსნელი იყო: ზოგი ამას ფუტკრის ნაკბენს უკავშირებდა, ზოგიც — განზრახ მკვლელობებს. ამ საიდუმლოს ფარდა მარიუს ბონეს აღიარებამ ახადა, რომელიც ანტონენ კლიუზელისთვის გადაუცია საკუთარი სურვილით, თავად კი გუშინ საღამოს მკვდარი იპოვეს ეიფელის კოშკის პირველ პლატფორმაზე.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა გრაფინიამ, — ჩვენც ხომ იქ ვიყავით!

ჟოჟომ გაზეთი დაუშვა:

— მოსმენა აღარ გინდათ?

— როგორ არა. განაგრძეთ! განაგრძეთ! — შესძახეს ქალებმა ერთხმად.

ჟოჟოს აღარაფერი უთქვამს, ისე განაგრძო კითხვა:

„როცა ექიმმა მითხრა, გულის მანკი გაქვს და მალე მოკვდებიო, ვა-ბანკზე წასვლა გადავწყვიტე, რადგან ჟურნალისტობა ძალიან მიყვარს და ვერ მივატოვებდი. მოკლედ, საკუთარი გაზეთის დაარსება გადავწყვიტე, რასაც თანხა სჭირდებოდა, მე კი არ მქონდა. მდიდარ ინვესტორად კონსტანტინ ოსტროვსკი გამომიჩნდა, რომელმაც დამაფინანსა და სათანადო ვადებზეც შევთანხმდით. შემდეგ მან თანხის და პროცენტის ვადაზე ადრე დაბრუნება მომთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკოტრებით დამემუქრა. რა უნდა მექნა? ბევრი ფიქრის შემდეგ მისი მოკვლა გადავწყვიტე, ოღონდ ეს ისე უნდა მექნა, ჩემზე ეჭვი არავის აეღო.

მოკვლის გეგმა მალე მზად მქონდა: ჯერ რამდენიმე სხვა ადამიანი უნდა გამესაღებინა, მერე კი, ცხადი იყო, მათ რიცხვს ოსტროვსკიც მიემატებოდა, თან ეს ძირითიდად ერთსა და იმავე ადგილას უნდა მომხდარიყო.

იარაღად რევოლვერი არ გამოდგებოდა — ხმაურის გამო, არც დანა ივარგებდა — ბევრი სისხლი დაიღვრებოდა და იმიტომ



Cyan Magenta Yellow Black

საუკეთესო ვარიანტს თავად ოსტროვსკისთან ვიზიტებმა და მასთან საუბარმა მიმაგნებინა. ეს კურარე იყო, მცენარეული შხამი, რომელსაც ის ბოთლში ინახავდა სხვა ათასგვარ ეგზოტიკურობებთან ერთად. საინექციოდ ნემსი მჭირდებოდა, ოღონდ ისეთი არ გამოდგებოდა, ჩვეულებრივ ავადმყოფებს რომ უკეთებენ.

აქაც შემთხვევა დამეხმარა: ჩემი მეგობრის ვიქტორ ლეგრის წიგნების მაღაზიაში ვიტრინაა, სადაც მის კომპანიონს მუსიე კენძი მორის სხვადასხვა მოგზაურობებიდან ჩამოტანილი სუვენირები აქვს გამოფენილი. სწორედ მანდ ვნახე სიამიდან ჩამოტანილი ნემსი, ტატუირებისთვის რომ იყენებენ იქაურები. ნემსის მოპარვა, ცხადია, არ გამჭირვებია და, უკვე საბოლოოდ შეიარაღებული, ჩემი ჩანაფიქრის ასრულებას შევუდექი.

იმ სრულიად შემთხვევით ადამიანებს, ვინც ჩემს მთავარ სამიზნეს შეეწირა, აღარ ჩამოვთვლი, რადგან ეს ყველაფერი „პასპარტუში“ საკმაოდ დეტალურად იყო აღწერილი.

ახლა ტაშა ხერსონის რიგია, რაც, ჩემი აზრით, პრობლემას არ შემიქმნის“.

ჟოზეფმა გაზეთი დაკეცა:

— აბა, რას იტყვით?

— თქვენ ერთხელაც არ უხსენებიხართ! — ნაწყენი ხმით შენიშნა ვალენტინამ.

— ნამდვილი გმირები ყოველთვის ჩრდილში რჩებიან — სევდანარევი სიამაყით დაასკვნა ჟოჟომ.



პრეფექტურიდან წამოსულ ვიქტორსა და კენძის სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. მაღაზიას რომ მიადგნენ, დიდი გაწევ-გამოწევა ატყდა, რომელს დაეთმო გზა მეორისთვის. შიგ რომ შევიდნენ, მათი ლოდინით თვალებზმოქცეულ ჟოზეფს წესიერად არც კი მისალმებიან, რითაც ის ძალიან განაწყენდა და მხოლოდ მოკლედ ისროლა:

— ჟერმენამ საჭმელი დაგიტოვათ!

კენძიმ თეფშები გადმოიღო, სხვა რამ საჭიროც და მაგიდას მიუსხდნენ.

— ეს შაშხი ცუდად გამოიყურება, — შენიშნა კენძიმ.

— როგორც ჩვენ, — დაამატა ვიქტორმა.

კენძიმ ჩაი მოსვა:

— არ მეგონა, თუ ადამიანი, რომელსაც შვილად ვთვლი, ჩემზე იეჭვიანებდა.

— თქვენი ინსპექტორ ლეკაშერსაც არ სჯეროდა, მე კი უფრო იმ არგუმენტებს ვეძებდი, თქვენ რომ გაგამართლებდათ.

მათ საკმაოზე მეტხანს ისაუბრეს, ბევრი რამ გაარკვიეს, ბოლოს კი მარიუს ბონეს შეეხნენ.

— როგორ გგონიათ, ჩამოახრჩობენ? — იკითხა ვიქტორმა.

— არ ვიცი. შეიძლება ელექტრულ სკამზეც დასვან.

— გეცოდებათ?

— მკვლელის შეცოდება, თანაც სერიულის, ქალური გულჩვილობა იქნებოდა, — შენიშნა კენძიმ, — ისე კი, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ადრე თუ გვიან ყველა დავიხოცებით, ოღონდ სხვადასხვანაირად.

— სიკვდილის გეშინიათ?

— არა იმდენად სიკვდილის, რამდენადაც გაქრობის, არარსებობის, როცა გაივლის დრო და არც აღარავის ემახსოვრები.

— მერე ამას როგორ მიხვდებით?

— ვიქტორ, რა, საიქიოში გადაიჭერით? — გაიღიმა კენძიმ, — ამას ახლა ვამბობ ასე, თორემ მერე რა იქნება, არც არავინ იცის.

— დავიღალე...

— მეც, — თქვა იაპონელმა, საკე გადაჰკრა და წამოდგა: — უკვე ძილის დროა.

— ჰო, დროა, — დაეთანხმა ვიქტორი და ისიც წამოდგა.

ტაშამ თვალები გაახილა. ერთხანს გარინდებული იწვა, მერე თავი მოაბრუნა და მძინარე ვიქტორს დააცქერდა. თითქოს იგრძნოო, კაცმაც გაახილა თვალები და თავით ქალის თბილ, შიშველ მკერდს მიეყრდნო. ცოტა ხანს ასე იყო, მერე შებრუნდა და მის ნაზ ტუჩებს ხარბად დაეწაფა...

— ასე თუ გააგრძელე, საწოლი ვერ გაგვიძლებს, — თქვა ღონემიხდილმა ტაშამ რაღაც ხნის შემდეგ.

— მართლა? მაშინ ახალი ვიყიდოთ და მაგარი, — გაიცინა ვიქტორმა.

— მიყვარხარ.

— როგორ გამახარე!

— მიუხედავად იმისა, მოძალადე რომ ხარ და მკვლელი რომ გეგონე.

— მაშინ... ცოლად გამომყევი!

ქალს არაფერი უთქვამს, წამოდგა და მოლბერტთან მივიდა.

— გამომყვები?

— რაც გინდა, მთხოვე, ოღონდ ეს არა.

— რატომ?

იმიტომ რომ... მე ჩემი თავისუფლება მჭირდება!

— თავისუფლება... შენს მეგობრებს რომ შეხვდე? — ვიქტორს წვერიანი ლომიე წარმოუდგა თვალწინ.

— მე შემოქმედებით თავისუფლებას ვგულისხმობ!

— მერე ვინ გიშლის? რამდენიც გინდა, იმდენი ხატე! ისე, თავისუფლება მეც მიყვარს. ვიცი, ორი ადამიანის ერთად ცხოვრება ადვილი რომ არ არის.

— როდისმე გიცდია? — მე — კი.

— ლომიესთან? — ვიქტორი ეჭვის ჭიამ გაღრღნა.

— დამცინი? არა, იმას ჰანსი ერქვა. ბერლინში გავიცანი. ცნობილი მხატვარი და მოქანდაკე იყო...

— გიყვარდა? — კაცის ხმას ნაღველი შეეპარა.

— ჰო, მიყვარდა. ბიჭი არც შენ ხარ და ქალებიც გყოლია. ჰანსმა ბინა მიქირავა და მხატვრისთვის საჭირო ყველა ნივთით მომარაგა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემი ნამუშევრების გაკრიტიკება დაიწყო. ეს ვერ ავიტანე, მივატოვე და პარიზში ჩამოვედი.

— სწორადაც მოიქეცი! — შესძახა ვიქტორმა კმაყოფილებით, — ოღონდ შენ ერთი რამ გავიწყდება: მე ჰანსი არ ვარ.

— ვიცი, ვიქტორი ხარ, — გაიცინა ტაშამ.

— ანუ შეყვარებული და ეჭვიანი მამაკაცი.

— არ შეიძლება, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის? ჩვენ ისედაც შეგვიძლია, ყოველდღე შევხვდეთ ერთმანეთს.

— აკი ვთქვი, ეჭვიანი ვარ-მეთქი. შენ არა?

— ვიდრე შენს კომოდზე ჩემი ფოტო დევს, ამის საფუძველი არ მაქვს, ფოტო, რომელსაც, სხვათაშორის, შენი კომპანიონიც ხედავს, იმას კი, არ ვიცი, რატომ, გულზე არ ვეხატები.

— ეს, რაც მე ვიცი, — აღიარა ვიქტორმა, — აბა რა ვქნათ? სულ აქ ხომ არ ვივლი?

— რატომ აქ? — ეშმაკურად ჩაიცინა ტაშამ, — სასტუმროები გამოილია?

— მერე შეგვიშვებენ? — დაეჭვდა ვიქტორი, — ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი არ ვართ!

— ფულით ყველაფერი კეთდება,— შენიშნა ქალმა, — მარტო სიკვდილია აულებელი კოშკი.

— კოშკი რაღამ გაგახსენა?

— რა ვიცი... ალბათ ეიფელმა.

— ტაშა, ახლა ავდგები და, იცი, რა ვქნათ?

— უნდა ვისაუზმოთ.

— ჰო, ოღონდ აქ არა.

— მაშ სად?

— ეიფელის კოშკმა მეც გამახსენა ერთი რესტორანი,— ვიქტორმა ჩაცმა დაიწყო, — ისეთი ზღაპრული მენიუ აქვთ, ვიღაც-ვიღაცეები სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიან. წავიდეთ?

— მივდივართ, — გაუღიმ ატაშამ.

**დასასრული**

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-35

www.facebook.com/Tinatinbonney

## თავი 6

სიონიდან დავბრუნდით. იმდენად ლამაზი იყო თუნდაც გზა, რომ ძალიან მინდა, კიდევ წავიდე. მანქანა ტყეში გავაჩერეთ და ფოტოები გადავიღეთ. ბედნიერი ვარ, რომ სოფიკოს ოჯახს ასე დავუახლოვდი და მიშოს მომავალზე მშვიდად ვარ. სოფიკო გადასარევი ცოლი იქნება და მერე ეყოლებათ პატარა ბასასოები. ვწევარ ტახტზე და ვუყურებ ტელევიზორს. რა კარგად ვარ. ფასეულობების გადახალისება მოვახდინე და შვებაც ამაში ვნახე.

— რას აკეთებ? — მიშო ფეხებთან მიჯდება.

— ბედნიერი ვარ, — ვეუბნები ალალი ღიმილით.

— დალიე უკვე? — მეკითხება გაოცებული.

— არა, — ვჯდები და ვეხუტები.

— ნამდვილად არ დაგილევია? — წარბს სწევს.

— გეფიცები.

— აბა, რა დაგეტაკა?

— ისე, უბრალოდ. დიდი მადლობა, რომ სიონში წამიყვანე.

— იცი, როგორ ვნერვიულობდი?

— კაიი... რატომ?

— ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ სოფიკოს ოჯახთან შენ და ლილი იყოთ ახლოს. მეტი ოჯახი მე არ მყავს.

— მიშ, დედაშენისგან ისმის რამე?

— არა. იყოს, სადაც არის.

— ჩემი დამოკიდებულება შენ იცი...

— ვიცი და მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია და აკეთებ!

— ხვალ უკვე შემეძლება მოგცე საჭირო თანხა და ქორწილამდე შენს ანგარიშზე დადე.

— ოდესმე თუ გადაგიხდი საკადრის მადლობას?

— კაი, გეხვეწები, მასე ნუ ამბობ, — შუბლზე ვკოცნი.

— შენ რომ არ მყავდე...

— ცხოვრებას სად აპირებთ? აქ ხომ?

— კი. ჩვენ ერთოთახიანიც რომ გვქონდეს სადმე, ეგეც დაგვაკმაყოფილებდა.

ამათ ხომ არ ვუყიდო მართლაც ბინა და მე აქ დავრჩე, დედაჩემთან ერთად?

— იცი, მიშ, მოდი, ამაზე მერე დავილაპარაკოთ.

— რაზე?

— რამდენად ღირს, აქ რომ იცხოვროთ ან ცალკე.

— მე არ მინდა, შენ კიდევ დახარჯო ჩვენზე ფული.

— დაწყნარდი.

მე მინდა, რომ მიშოსთვის კარგი გავაკეთო, თუმცა ამჯერად გამოუვალი მდგომარეობა მაიძულებს, რომ ასე მოვიქცე.

❖ ❖ ❖

დაღვრემილი ირაკლი თვალებს ისრესს. ისევ ცუდად ეძინა. ამჯერად მარტო იყო. რაღაცა ახალი უნდა და ვერ ისვენებს. რაც ჩამოვიდა, ვერ ისვენებს. ეს იძულებითი ცხოვრება და წესები, ყველგან რაღაც წესები. ირაკლი პერანგის ღილებს იკრავს. დღეს აქციონერების შეკრებაა და მამამისიც მოვა ოფისში. აუცილებლად რამეზე მისცემს შემჩნევას და შემდგომ საათი დაარიგებს ჭკუას და უამბობს, თუ როგორი ჭკუადამჯდარი იყო ირაკლის ასაკში.

მას ბავშვობიდან უნიკალური ეგონა თავი. იცოდა, რომ მისი დროც დადგებოდა, მაგრამ, რაც წლები გადის, მით უფრო და უფრო ნაკლებად გრძნობს ამ უნიკალურობას. მისი ცხოვრების შემხედვარე ბევრი იტყოდა, რომ უმადურია, მაგრამ ეს ხომ მასზე არ არის დამოკიდებული. ის ხომ უბედურია.

ირაკლი მაცივარს აღებს. რატომ აქვს ამდენი თევზი? ან როდის იყიდა? მისი მობილური რეკავს და ირაკლი სწრაფად ხურავს მაცივრის კარს.

— გისმენთ, — პასუხობს ისე, როგორც დირექტორს შეეფერება.

სიჩუმეა. ალბათ ნომერი შეეშალათ. ირაკლი მობილურს ტახტზე აგდებს და მაცივარს უბრუნდება.

❖ ❖ ❖

ვზივარ და ინტერნეტბანკში გამოსახულ ციფრს ვუყურებ. ეს არის მთელი ჩემი ქონება. ახლა გადავურიცხავ ნინიას ბიძას მკურნალობის თანხას, მერე მიშოსთვის გამოვიტან და ინტერნეტსაც შევათვალიერებ ერთოთახიანების თემაზე. ყველაზე კარგი ვარიანტია. ვხსნი „ფეისბუქს". საერთოდ რად მინდა? დროის კარგავის მეტი არაფერი მოაქვს ამ სოციალურ ქსელებს. მეგობრობის მოთხოვნა. ირაკლი მეტრეველი. ეს მოკლედ არ ნებდება! ვაძლევ მეგობრობაზე თანხმობას. იმ წამსვე მომდის შეტყობინება: „ხომ არ ვისადილოთ?". ვპასუხობ: „არა". კიდევ მწერს: „რა კატეგორიული ხარ". მეც ვწერ: „შენ კიდე შეუგნებელი". ვაპირებ, რომ გავთიშო, მაგრამ ასწრებს ერთხელაც მოწერას: „ძალიან მინდა შენი ნახვა". ვეყოყმანობ. ნუ რატომ არ შემიძლია, რომ შანსი მივცე? რა დაშავდება? ვწერ: „გამომიარე 20 წუთში".

გადარიცხვას ვასრულებ და ვდგები, რომ გამოვიცვალო.

ვდგავარ ქუჩაში. აგვიანებს. შორიდან ვხედავ მის ფარებს და მალევე ჩემს ფეხებთან ამუხრუჭებს.

— ბოდიში, ბოდიში, ბოდიში! — გადმოდის მანქანიდან და ლოყაზე მკოცნის.

— ამერიკიდან მოდიხარ თუ რა იყო ამდენ ხანს?

— საბურავი დამეშვა.

— ვთქვათ, დავიჯერე, — მანქანის კარს ვაღებ და ვჯდები. ირაკლი საჭესთან ჯდება. ჩუმად ვსხედვართ.

— სად წავიდეთ? — მეკითხება.

— მე რას მეკითხები?

— რისი ჭამა გინდა?

აი, ამ გაურკვევლობას ვერ ვიტან, რა! თუ მეძახი, მაშინ უნდა იცოდე, სად მიგყავარ.

— ჯანდაბას! — ვცრი კბილებში.

— ამბობენ, ჯანდაბა გემრიელიაო.

— ეტყობა, გაგისინჯავს.

— ნუ მეჩხუბები.

— არ გეჩხუბები!

— ნუ... მაშინ ჩემთან ავიდეთ, მე მაქვს სახლში არაჩვეულებრივი რიზოტო და ქათამი ტკბილ-მჟავე წვენში, — ამბობს ღიმილით.

რესტორნის მერე რომ შემოეთავაზებინა, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ასე მალე. ისე, ამ ჩემს ფეხებს. გადავვერთვები ცოტას.

— ეს მხოლოდ სადილია, — ვამბობ მკაცრად.

— და ვინ გაბედა, რომ მეტის იმედი ჰქონოდა?

— სულ არ გიფიქრია არაფერზე.

— თქვენ მე ვინ გგონივართ, ქალბატონო? — ამბობს ვითომ აღშფოთებული.

— კაი, მორჩი მაიმუნობას, მშია, — ვამბობ სიცილით.

ადგილიდან ვიძვრით და სასიამოვნო მუსიკის თანხლებით მივემგზავრებით მისი აპარტამენტებისაკენ.

ლიფტში პატიოსნად იქცევა. ზედმეტს არ კადრულობს. ძალიან ლამაზი ბინა აქვს. ახალგაზრდა, უცოლო კაცისთვის იდეალური საცხოვრებელი პირობები. ალბათ ძალიან ბევრი ქალია ამ სახლში ნამყოფი, თუმცა მე ეს არ მეხება.

— დაჯე, ჩართე, რაც გინდა, — სავარძელზე და ტელევიზორზე მიმითითებს.

— მადლობა, — ვჯდები და ბინის თვალიერებას ვაგრძელებ.

— მე ორ წუთში გავამზადებ ყველაფერს.

— არ დაგეხმარო?

— არა. კაცები საუკეთესო მზარეულები არიან. ეს ფაქტია.

— შენი გაკეთებული საჭმელია? — ვეკითხები გაოცებული.

— დიახ, — ამბობს ამაყად.

— კარგი, სუფრას მაინც გავშლი.

— შენ დაისვენე, მე მივხედავ.

ხოდა, მეც ვზივარ და ვისვენებ. უნდა, რომ მასიამოვნოს და ნამდვილად არ შევუშლი ხელს. ნეტა რატომ გადამეკიდა ასეთი? არაფერი რომ არ გვქონოდა, ვიფიქრებდი, ჩემი ლოგინში შეთრევა უნდა-მეთქი, მაგრამ ახლა არ ვიცი, რისთვის ირჯება.

— მზად არის, — მესმის მისი ხმა.

ვდგები და სამზარეულოში გავდივარ. მაგიდა ძალიან ლამაზად არის გაშლილი. გამჭვირვალე დოქში ასხია წითელი ღვინო. ირაკლი სკამს მიწევს, რომ დავჯდე.

— იმედია, მოგეწონება.

— უკვე მომწონს, — ვამბობ და სურნელს ვყნოსავ.

ვიწყებთ ჭამას. ძალიან გემრიელია. ხმას არ იღებს. ეტყობა, ეშინია, რომ ეს მშვენიერი საღამო მალე დასრულდება.

— ძალიან გემრიელია, — ვამბობ ღიმილით.

— მიხარია, რომ მოგწონს.

— იცი, არ მინდოდა შენთან უხეში ვყოფილიყავი, უბრალოდ



Cyan Magenta Yellow Black



ძალიან ბევრი რამ მოხდა.

— მესმის და ნუ ფიქრობ მაგაზე. მთავარია, ახლა აქ ხარ.

— მთავარია, — ვამბობ კმაყოფილი.

— დესერტს მიირთმევ?

— გააჩნია, რას მთავაზობ, — ვნებიან მზერას ვესვრი.

— ნაყინს, — ამბობს დაბნეული.

— მინდა, — უფრო ვაბნევ.

საყინულეს აღებს და ხმამაღლა იცხადებს: „შეუჭამია ვიღა-ცას!“

— კაი, არა უშავს, არ გვინდა დესერტი!

— გვინდა, — ადგილიდან ხტება და გარეთ გარბის.

რატომ ნერვიულობს ასე? მე ვმოქმედებ მის ემოციურ ფონზე? ნუ, უნდა და მოიტანოს ნაყინი. მაგრამ სანამ წასულია, მე სახლი კარგად უნდა დავათვალიერო. ლამაზი ნახატები კედლებზე, ძვირფასი ავეჯი. გემოვნებიანია ყველაფერი. უეცრად ვამჩნევ მის მობილურ ტელეფონს და თვითონაც არ ვიცი, რატომ ვიღებ ხელში. უბრალოდ მესიჯებში შევიჭვრიტები. არა, ეს მდაბიო საქციელია! ნამდვილად. მაშინ მის ტელეფონების წიგნაკს ვნახავ, მაინტერესებს, რამდენი ქალის ნომერი უწერია. ვიწყებ თვალიერებას და გონებაში ვითვლი. ვითვლი იმ მომენტამდე, სანამ ჩემ წინ არ ჩნდება ტელეფონის ნომერი დასახელებით: ზურაბ სტეფანიდი. ყელი მიშრება. ზომბივით ვიწერ ნომერს და სწრაფი ნაბიჯებით მივდივარ.

❖ ❖ ❖

ზურა ჰალსტუხს ისწორებს. ძალიან მნიშვნელოვან კლიენტს ხვდება, რომელმაც მხოლოდ მასთან ისურვა შეხვედრა. მნიშვნელობა არა აქვს, რატომ, მთავარია ასე მოხდა და ამიტომაც ზურა საუკეთესო ფორმაში უნდა დახვდეს. მდივანი ატყობინებს, რომ მასთან მოვიდნენ და ზურა სთხოვს, რომ შემოუშვას სტუმარი. კარი იღება და ჭაღარა მამაკაცი კოჭლობით შედის ოთახში. ისინი ერთმანეთს ართმევენ ხელს და სავარძლებში სხდებიან.

— მიირთმევთ რამეს?

— არა, გმადლობთ. ზურაბ, ბევრ დროს არ წაგართმევთ.

— რას ბრძანებთ, რამდენი ხანიც იქნება საჭირო. მე გავითავისუფლე გრაფიკი.

— ნამდვილად არ იყო საჭირო. საქმე საკმაოდ მარტივია... თუმცა კონფიდენციალური.

— გისმენთ, — ზურა წელში იმართება.

— ჩვენს კომპანიას ანგარიში აქვს თქვენს ბანკში.

— კი, ბატონო.

— პირდაპირ გეტყვით... მე ვიცი, რომ შემიძლია გენდოთ.

— ბრძანეთ.

— მე მსურს, რომ ვაწარმოო დიდი ფულადი გადარიცხვები თქვენი ბანკის მეშვეობით.

— ეს ხომ მშვენიერია?

— არის ერთი „მაგრამ“...

ზურას მიმიკას ეჭვის ნოტები ეუფლება, მაგრამ იმ წამსვე იმორჩილებს სახის გამომეტყველებას.

— გისმენთ.

— ამის შესახებ არც ჩემმა პარტნიორებმა და, მით უმეტეს, არც... სამთავრობო ინსტანციებმა არ უნდა გაიგონ...

— მესმის, — ზურა ძალიან მშვიდია.

— მესმის, რომ საკმაოდ სერიოზული საქმეა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ პატივისცემა არ მოგაკლდებათ.

ზურას სახის გამომეტყველება ისევ უცვლელია.

— მე იმედი მაქვს, რომ თქვენ გზას გამონახავთ.

— მე დრო დამჭირდება საბოლოო პასუხის გასაცემად.

— მესმის, — მამაკაცი დგება.

ზურაც დგება და მას კარამდე აცილებს.

— გთხოვთ, ამ საუბრის შესახებ არავინ გაიგოს, — ერთხელაც ახსენებს მამაკაცი.

— თავისთავად.

კარი იხურება და ზურა სავარძელში ჯდება. ასეთი მსხვილი კლიენტი და საკმაოდ ბინძური თხოვნა. უარის შემთხვევაში აშკარაა, რომ კლიენტს დაკარგავენ. ზურა მობილურს იღებს და ზარს ახორციელებს.

— გამარჯობა. შეხვედრა მინდა. გადასარევი. შემომიარე.

თიშავს მობილურს. მთლიანად თიშავს და ჯიბეში იდებს. კარი იღება და საშუალო სიმაღლის, კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი ოთახში შემოდის.

— კარგია, რომ აქეთ იყავი და არ მომიწია დღეს თქვენთან გამოსვლა, — შვებით ისუნთქავს ზურა.

— აბა, რა ხდება? — ინტერესით კითხულობს ჯონი.

— ძალიან მსხვილი კლიენტი მესტუმრა ახლა...

— გისმენ.

— მსხვილი გადარიცხვები უნდა...

— ოფშორი?

— კი.

— და პრობლემა რაშია?

— ამ გადარიცხვების შესახებ მისმა პარტნიორებმა არ უნდა გაიგონ.

— აჰა.

— და მთავრობისგანაც უნდა, რომ ჩრდილში დარჩეს...

— პრაქტიკულად გთხოვს, რომ დაეხმარო გადასახადების დამალვაში... იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ პარტნიორებს უტეხავს ფულს, — ჯონი უკმაყოფილოდ აქნევს თავს.

— ჩვენი პრესტიჟის ამბავია, არ ვიკადრებ მასეთს არაფერს, უბრალოდ ამხელა კლიენტის დაკარგვაც არ მინდა და ვიცი, რომ წავა ისეთ ბანკში, სადაც დაეხმარებიან.

— წავიდეს. მასეთი ფული არაფრად გინდოდეს. მთელი ბანკი გახდება შემოწმების მიზეზი.

— მართალი ხარ. საგადასახადოს თემის მამა რომ ხარ, მაგიტომაც მინდოდა შენთან დალაპარაკება.

— არა, ნამდვილად არ ღირს.

— მადლობა, რომ გადაწყვეტილება გამამყარებინე.

ჯონი ფეხზე დგება.

— კიდევ რამე ხომ არ გინდა?

— მაინტერესებს, ჩვენი ამბები როგორ არის.

— ისე, როგორც წესი და რიგია.

— ეს იმიტომ, რომ შენ ჩაუდექი სათავეში.

— შექებას ვეღირსე თვით ბატონი ზურაბისგან, — იცინის ჯონი.

— ხვალ არ ვსადილობთ ერთად?

— კი, დრო და ადგილი დათქვი.

— მდივანს ვეტყვი და შეგატყობინებს.

— კიდევ რამეთი თუ შემიძლია დაგეხმარო?

— არა. მადლობა, რომ დრო დამითმე.

ჯონი ოთახიდან გადის. ზურა შუბლს ჭმუხნის. ახლა მოუწევს კლიენტისთვის კულტურული უარის თქმა და იმის ცდა, რომ პატიოსნად შეინარჩუნოს. სამწუხაროა, რომ ბიზნესში ხშირად საკუთარ პარტნიორსაც ვერ ენდობი. ცოცხალი მაგალითი ჰყავდა დღეს სტუმრად.

ზურა მდივანს ურეკავს და სთხოვს, ყავას, ლოდინის დროს კი მობილურს რთავს. რამდენიმე გამოტოვებული ზარი აქვს და ერთი მესიჯი უცხო ნომრიდან, ტექსტით: „ზურა, როგორ ხარ?“.

მდივანი შემოდის და ყავა შემოაქვს.

— მადლობა, — ეუბნება ზურა მკაცრი გამომეტყველებით.

— კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ, ბატონო ზურაბ? — მდივანი ცდილობს, რომ გაუღიმოს.

— არა.

მდივანი გადის, ზურა კი მობილურს უბრუნდება. ნომერი შეეშალათ? ზურას იმ წამსვე შეუძლია გაიგოს, ვის სახელზეა ფიქსირებული ნომერი, მაგრამ რატომღაც ამას არ აკეთებს. ის პასუხს კრეფს: „კარგად. შენ?“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black



# საზღვაო რომანი

**ლელა ცუცქირიძე**

საღამოა. გრილი, წვიმიანი საღამო. ზუსტად ისეთი, როგორიც უყვარს მარტას. რამდენიმე საათის წინ ჩამოვიდა, სასტუმროში ნომერი აიღო და მაშინვე გარეთ გამოვიდა.

სეზონამდე ჯერ კიდევ შორია და კაფეში კანტიკუნტად თუ შევა ვინმე. თავად კარგა ხანია აქ ზის, ბეილისს სვამს და კაფეს ვიტრაჟებში იხედება. უყვარს ბეილისი, ოდნავ ათრობს და სასიამოვნოდ ადუნებს. კიდევ თურქული ყავა უყვარს, აქ მოდუღებული, აქაური, მწარე, შოკოლადისფერი ქაფის პატარა ბორცვით, კაპუჩინოს და ლატეს ჰაეროვან, რძისფერ ღრუბლებს ვერ ეგუება. ჩაიც უყვარს, ხილის არომატით, ნეილონის გამჭვირვალე პირამიდაში რომ ყრია ქვიშის საათიდან ჩაცრილივით. რაც შემოვიდა, ჯერ ერთი დააგემოვნა, მერე — მეორე, მერე — მესამე. ცუდი ამინდი არ აფიქრებს, არც გარუჯვა უნდა ან პლაჟზე წოლა. გარეთ ისე წვიმს, თითქოს კაფეს ვიტრაჟზე წვიმის შპალერია აკრული. ზღვა თითქოს თუხთუხებს წვიმის წვეთებისგან.

კაფე მყუდროა. სასიამოვნო ინტერიერით, შინდისფერსა და ფორთოხლისფერს აღმოსავლეთის მსუყე სისავსე მოაქვს, სალათისფერს — მკვახე ლიმონის სიგრილე. უყვარს გრილი სურნელიც, ზოგადად უყვარს. თავადაც გრილი სურნელი დაჰყვება ყოველთვის აბრეშუმის ჰაეროვანი შლეიფივით. ოდნავ ისმის წყნარი მუსიკა, თითქოს გარეთ უკრავენ და არა — კაფეში. ეს სიწყნარე და მუსიკით გაზავებული სიჩუმე ამშვიდებს. ხმაურმა დაღალა და თბილისსაც ნაწილობრივ ამის გამო გამოექცა. გამოექცა მუდმივად დაგეგმილ დღეებსა და გათვლილ საათებს. სამსახურის გაუთავებელ ორომტრიალს. მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება და ზღვისპირა ქალაქში შაბათ-კვირის გატარება გადაწყვიტა.

წელან ლიამ დაურეკა, მეგობარმა, ერთად იყვნენ გოგოები და უნდოდათ, მარტაც იქ ყოფილიყო.

— არა, ვერაფრით მოვახერხებ, — უთხრა მარტამ.

— კარგი, რა, გამოდი, რას აკეთებ მაგ ცარიელ სახლში, — სთხოვა ლიამ.

— სახლში არ ვარ, სამსახურში ვარ, საქმეები მაქვს ეს დღეები, — იცრუა მარტამ.

— და როცა მორჩები მაგ საქმეებს, მერე აუცილებლად გამოდი, — არ მოეშვა ლია.

— არა, ამ დღეებში ვერაფრით მოვახერხებ, მერე კი გამოვალ, აბა, რას ვიზამ, — ისევ არ უთქვამს, რომ თბილისში არ იყო.

საერთოდაც არავისთვის უთქვამს, ისე წამოვიდა.

„წამოვედი და სიმარტოვეც გამომყვა. ეგ ხომ კუდში დამდევს მაწანწალა ძაღლივით, — გაიფიქრა, — თითქოს გრძნობს, რომ მისი მეშინია და არ მშორდება, ფეხდაფეხ მომდევს. მე კი არაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ მოვიშორო, უფრო სწორად, ვერ ვაკეთებ. ნეტავ ეს კომპლექსები როდემდე უნდა მაწუხებდეს, მთელი ცხოვრება? სხეულში მძიმე ქვებივით მილაგია და მისგან გათავისუფლებას ვერ ვახერხებ. რამდენჯერ მიფიქრია, მორჩა, დამთავრდა, რაც მინდა, იმას გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ — ვერა. და თან იმისიც მრცხვენია, რომ კომპლექსები მაქვს, თავი ისე მიჭირავს, თითქოს არავინ და არაფერი მინდა ქვეყნად. შეუვალი, ცხვირაწეული, უკარება და მკაცრი ქალბატონი... წარმომიდგენია, როგორ ვერ მიტანენ თუნდაც თანამშრომლები...

სინამდვილეში კი ამ ნიღბით და ამ იმიჯით ჩემს კომპლექსებს ვფუთავ. ვერაფერს იტყვი, მშვენივრად გამომდის. არადა ერთი მარტივი თავგადასავალი, რომელიც მხოლოდ ჩემი იქნება, არ მაწყენდა. აი, თუნდაც საზღვაო რომანი. მართალია, ამისთვის საუკეთესო სეზონი ზაფხულია, მაგრამ სამაგიეროდ ამ დროს სიწყნარე და სიმშვიდე არაა ირგვლივ. ჩემისთანებს კი სწორედ ისეთი სიცარიელე სჭირდებათ, როგორიც ახლაა — კონსპირაციისთვის. აი, რატომ წამოვედი“, — გამოუტყდა თავს, მერე ანგარიში მოითხოვა, გადაიხადა და კაფედან გამოვიდა.

ისევ წვიმდა. მარტამ ქოლგა გაშალა და ზღვისკენ წავიდა. კარგახანს იდგა ნაპირზე, ნესტიან, მლაშე ჰაერს ხარბად ისრუტავდა. ამ ჰაერით ეჟღინთებოდა გაშლილი თმა, ევსებოდა სხეული. ზღვა ნაპირებს ლოკავდა დამშეულივით. მარტამ ჰორიზონტს გახედა. „ახლა რომ ბოთლი გამოირიყოს“, — გაიფიქრა და გაახსენდა, ბავშვობაში რა ხშირად მჯდარა ზღვის ტალღოვან ზედაპირს თვალმიბჯენილი, იქნებ მომხდარიყო სასწაული და წერილიანი ბოთლი დაენახა. რამდენჯერ უოცნებია, ყოფილიყო იმ არარსებული წერილის ადრესატი. მღვრიე ჰორიზონტს გახედა.

„წერილიანი ბოთლი კი არა, კაცი რომ არ ჩანს ჰორიზონტზე, ჩვეულებრივი, რეალური კაცი, იმაზე ვიფიქრო“... უცებ გაეცინა, მოტრიალდა, ქუჩას გაუყვა, ახლა სხვა კაფეში შევიდა.

— ჩაის ვერ მომიდუღებთ? — ჰკითხა დახლის იქით მოფუსფუსე გოგონას.

— სიამოვნებით, — გაუღიმა გოგონამ, — ახლავე მოგართმევთ.

მარტა მაგიდას მიუჯდა.

გოგონამ ჩაი მოიტანა, დაჭრილი ლიმონიც დადო მაგიდაზე პატარა ლამბაქით.

— სხვას ხომ არაფერს ინებებთ? — ჰკითხა მარტას.

— არა, გმადლობ, — გაუღიმა მარტამ, მერე ცარიელ კაფეს მოავლო თვალი, — ჩემ გარდა, მგონი, არც არავინ გყავთ, არა?

— ნაკლებად, — გაუღიმა გოგონამაც, — ხომ იცით, სეზონი არაა.

— არადა, მე ასეთ დროსაც მიყვარს აქაურობა, — გარეთ გაიხედა მარტამ, — სიმშვიდე, სიწყნარე, სიგრილე და, რაც მთავარია, ზღვა.

— დასასვენებლად ჩამოხვედით? — ჰკითხა გოგონამ.

— ასე გამოდის, — მარტამ ცხელი ფინჯანი თითებს შორის მოიმწყვდია, — ცოტა შემცივდა.

— გნებავთ, კონიაკს მოგიტანთ ან ვისკის, — შესთავაზა გოგონამ.

— რატომაც არა? — იდეა მოეწონა მარტას, — მაშინ ერთი სირჩა კონიაკი მომიტანეთ, კონიაკიან ჩაის დავლევ.

გოგონამ კონიაკი მოიტანა, მარტამ ჩაიში გააზავა, ფინჯანი აიღო, თბილი, არომატული სურნელი ხარბად შეისუნთქა და ჩაი მოსვა.

„რა კარგია, როგორ მესიამოვნა“, — გაიფიქრა და თვალები დახუჭა.

— უკაცრავად, შეიძლება? — მოესმა ხმა.

მარტამ თვალები გაახილა. უცნობი მამაკაცი უღიმოდა. მარტამ კაფეს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი.

„აჰა, გასაგებია. ყველა მაგიდა თავისუფალია და მაინცდამაინც ჩემთან უნდა, რომ დაჯდეს“.

უცნობი პასუხს არ დაელოდა, სკამი გამოსწია და მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა. ახლა უცნობმა შეათვალიერა მარტა.

„ოჰო, — გაიფიქრა მარტამ, — ცოტა თავხედიც. ან თავდაჯერებული. აშკარად ჩემზე პატარაა, თან ბევრად. კარგი, ბატონო, რას ვერჩი, დაჯდა, დაჯდა, ალბათ ესეც მარტოა, საუბარი უნდა, ფლირტი, თავის მოწონება“...

— ცუდ დროს მოვხვდით ამ ქალაქში, — გაუღიმა უცნობმა.

„ესეც საზღვაო რომანს ეძებს, — თავისთვის გაეღიმა მარტას, — უარს არ ვიტყვი, ცოტას მაინც გავერთობი. სიმკაცრე და ბუტბუსურობა თბილისშიც მეყოფა, — უნებურად თმაზე გადაისვა ხელი, — ღმერთო ჩემო, მგონი, ვიპრანჭები კიდეც“.

— დღეს ჩამოვედი და საქმე რომ არა, ლამის დღესვე გავბრუნდე უკან, — გააგრძელა უცნობმა.

მარტას არაფერი უთქვამს, ჩაი მოსვა.

— თქვენც ალბათ, არა? — ჰკითხა უცნობმა.

— დიახ, — მშვიდად იცრუა მარტამ.

— ჰო, აბა, ასეთ დროს აქ რატომ უნდა ჩამოხვიდე ადამიანი, — გაუღიმა უცნობმა და დაამატა, — მე ლაშა მქვია.

„კარგი ბიჭია, სიმპათიური, ახალგაზრდა, ალბათ მოწყენილობისგან აღარ იცის, რა ქნას“, — გაიფიქრა მარტამ და გაუღიმა:

— მე მარტა ვარ.

სულაც არ არის საჭირო, იცოდეს, რომ სინამდვილეში მარტა არ ჰქვია. მარტიაშვილია და ასე გვარის გამო ეძახიან უახლოესი მეგობრები, დანარჩენებისთვის ჩვეულებრივად მანანაა, სამსახურში — ქალბატონი მანანა. თავად მარტა ურჩევნია, მოსწონს ეს სახელი.

— რა ლამაზი სახელია და უცხო, — ისევ გაუღიმა ლაშამ.

— კი, მეც მომწონს, — მარტამ ჩაი ისევ



Cyan Magenta Yellow Black

მოსვა. კონიაკმა სასიამოვნოდ გააბრუა.

— რამეს ხომ არ დალევთ? — ჰკითხა ლაშამ, მენიუ აიღო, გადაფურცლა.

— მგონი, უკვე ვსვამ, — ჩაის ფინჯანს დახედა მარტამ და გაეცინა.

— არა, სწორედ ვერ გაიგეთ, მე უფრო მაგარი სასმელი ვიგულისხმე, — გაეცინა ლაშასაც, — კონიაკი, ვისკი, მარტინი, გნებავთ, წითელი ღვინო.

— თქვენც ვერ გამიგეთ, — ისევ გაეცინა მარტას, — ჩაის კონიაკით ვსვამ.

— ოო, მაშინ, კონიაკი დავამატოთ, რას იტყვით? — ლაშამ მიმტანს გახედა და მარტას პასუხს არ დაელოდა, კონიაკი შეუკვეთა.

„მაბამს, — გაიფიქრა მარტამ, — პრინციპში, რატომაც არა? მშვენივრად გამოვიყურები, არც ასაკი მეტყობა“...

— მაგარ ფორმაში ხარ, მარტა, არ იცვლები, მოკლედ, — უთხრა ლიამ, ზუსტად წამოსვლის წინა დღეს კაფეში ისხდნენ.

— რა შეცვლის, ერთი მითხარი, ქმარი თუ შვილები, თუ დედამთილი?
— ვითომ გაიკვირვა მარიმ.

— თუ საყვარელი? — აჰყვა ლიაც.

— ვაიმე, მაგ სიტყვასაც კი ნუ ახსენებ მარტასთან, — მარტას გადახედა მარიმ, — ქალი-პატიოსნება, ქალი-უმწიკვლოება, ქალი-სინდისი და ნამუსი!

— და რატომ, აი, ვერ გავიგე, რატომ? — ჩაეკითხა ლია.

— როგორ თუ რატომ! — შეიცხადა მარიმ, — მერე, რას იტყვიან მეზობლები? რას იტყვიან ნათესავები? და საერთოდ, რას იტყვის ხალხი?

— და სამსახური არ გამოგრჩეს, — შეახსენა ლიამ, — იქ ხომ არ აალაპარაკებს ვინმეს? უნდა ნახო, რა მიუკარებელია, მკაცრი. ყველა ფეხისწვერებზე დადის: „დიახ, ქალბატონო მანანა, ახლავე, ქალბატონო მანანა, აუცილებლად, ქალბატონო მანანა, მაპატიეთ, ქალბატონო მანანა“...

— გეყოფათ, — გაეცინა მარტას, — თქვენს თავებს მიხედეთ.

— მეტი რაღა მივხედო?! — გაიოცა მარიმ, — მითხარი, რა, სამი ქმარი მყავდა...

— ეს ოფიციალურად, — ჩაუმატა ლიამ.

— ჰო, — სწრაფად დაეთანხმა მარი და გააგრძელა, — თუ საჭიროა, მეოთხეც მეყოლება. ეს ქალბატონიც, — ლიაზე ანიშნა მარტას, — არ უჩივის ბედს და იღბალს. წარმატებული პირადი საიდუმლოებებით ცხოვრობს და ახლა შენზე ვზრუნავთ, ჩემო კარგო, მაგრამ რად გინდა. შენ არ ინდომებ და შენ ნაცვლად მე ხომ არ ვიმოქმედებ.

— ერთხელ მეც ხომ ვიყავი გათხო... — თავისმართლება დაიწყო მარტამ.

— ოჰ, ეგ რა იყო, ჩემო კარგო, სანამ გავიგებდით, რომ გათხოვდი, უკვე გამოიქეცი, — სიტყვა გააწყვეტინა ლიამ.

— სექსს გამოექცა, — სიცილი აუტყდა მარის, — და იმის მერე ემალება და ემალება.

— სამაგიეროდ, წერილიან ბოთლს ელოდება და ელოდება, — გაიხსენა ლიამ მარტას ოცნება.

ზღვაზე ერთად იყვნენ და მაშინ უთხრა მარტამ, როგორ ელოდებოდა ბავშვობაში წერილიან ბოთლს. მეორე დღეს კი წყალში შესული მარტას ცხვირწინ მართლაც ამოტივტივდა თავდალუქული ბოთლი. მარტამ მოულოდნელობისგან და სიხარულისგან შეჰკივლა, ბოთლს ხელი ჩაავლო და ნაპირისკენ სწრაფად გაცურა.

— დაგველოდეეე! — უკან მიჰყვებოდნენ მარი და ლია.

მარტამ ბოთლი კენჭებზე გადატეხა და ფურცელი გულისფანცქალით გადაშალა.

„ამის დალოდებას, კაცს დაელოდო ხმელეთზე, აჯობებს. ნეპტუნის რჩევებიდან“.

მარტა მიხვდა, რომ ყველაფერი გოგოებმა მოუწყვეს. ჯერ გაბრაზდა, მერე ახარხარებულ გოგოებს რომ შეხედა, თავადაც სიცილი აუტყდა.

— მოკლედ, ვინმე უნდა გავაცნოთ, აი, იცი, როგორი? ძალიან აქტიური, ჰიპერენერგიით, სანამ ჩვენი მარტა აზრზე მოვა და კომპლექსები გაახსენდება, მანამდე რომ... — თქვა ლიამ.

— ჰიპერაქტიურიო? ვაიმე, ეგეთს თუ



იცნობ ვინმეს, ჯერ მე გამაცანი, რა! — შეეხვეწა მარი.

— რა სიხარბეა, ხანდახან მეგობარზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ, — დატუქსა ლიამ.

გაეცინათ.

„რა უცნაურია, უკომპლექსო მეგობრები მყავს და მე რა მჭირს? თბილისში რომ ჩავალ, აუცილებლად უნდა მივიდე ფსიქოლოგთან, აუცილებლად. ახლა კი უნდა დავლიო, ცოტა მოვეშვა, მოვდუნდე და, რაც მთავარია, ამ მკაცრი და შეუვალი ნიღბისგან გავთავისუფლდე“, — გაიფიქრა მარტამ და კონიაკი მოსვა.

თანდათან დაძაბულობა მოეხსნა, ლაშას საუბარში აჰყვა.

როცა გამოვიდნენ, გარეთ ისევ წვიმდა.

— ჩემს ნომერში გეპატიჟებით, — უთხრა ლაშამ.

მარტამ გამომცდელად შეხედა.

— ყავაზე, — გაუღიმა ლაშამ, — არ მინდა, ასე მალე დავშორდეთ ერთმანეთს. არ დაგიმალავთ და ძალიან მომწონხართ.

— არა, იყოს, ახლა მარტო მირჩევნია ყოფნა, — იუარა მარტამ, მერე სწრაფად დაამატა, — მაშინ უშაქრო ყავა.

— აბა, რა, — სახე გაუნათდა ლაშას.

ლაშას სასტუმრო შორს არ იყო, ფეხით გავიდნენ. ლაშამ ნომრის კარი გააღო, მარტა შევიდა, ოთახს მოავლო თვალი, კისერთან ლაშას სუნთქვა იგრძნო, მერე მისი ხელები მხრებზე, მერე ხელები ზურგზე — კაბის შესაკრავთან... სასიამოვნო ტალღამ მთელ სხეულში დაუარა.

„რატომაც არა? რატომაც არა?“ — გაიფიქრა...

...დილით წვიმის ხმამ გააღვიძა, ფრთხილად წამოჯდა საწოლში, მძინარე ლაშას გადახედა. მერე ფრთხილადვე ადგა, ჩაიცვა და სასტუმროდან გამოვიდა.

„ესეც ჩემი საკურორტო რომანი. აქ დარჩება, აქ დამთავრდება. არ არის საჭირო გაგრძელება. ჩემი ამბავი რომ ვიცი, ვერც გავაგრძელებ. გოგოებსაც კი არ ვეტყვი. არ მინდა, ვინმემ იცოდეს. არადა, რომ გაგრძელდეს რა? მერე რა? არა, არა, არ არის საჭირო“...

საღამოს უკვე თბილისში იყო. მერე კი ისევ ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ორომტრიალში ჩაება. ბევრი საქმე ჰქონდა, ახალ ფილიალს ხსნიდა და მთლიანად გადაერთო, მთელი კვირა თავი არ აუღია საბუთებიდან, ლიასთანაც ძლივს მოახერხა მისვლა.

— რადგან შენ გამოჩნდი, რაღას დავეძებ, — შეეგება ლია, მერე ხმას დაუწია, — რომ იცოდე, რა კარგ დროს მოხვედი, ძალიან მაინტერესებს შენი აზრი, აი, ძალიან.

— რა იყო, თხოვდები? — გაეცინა მარტას.

— მე — არა, მაგრამ ელენკა... — შვილზე უთხრა ლიამ.

— რას ამბობ, მართლა? — გაუხარდა მარტას.

— არა, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ელენკას ძალიან მოსწონს, გიჟდება. წელან მოიყვანა ის ბიჭი, — ოთახისკენ ანიშნა ლიამ, — მინდა, შენ და მარიმაც ნახოთ, ხომ იცი, თქვენი აზრი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, განსაკუთრებით — შენი. ჩვენ შორის ყველაზე ჭკვიანი ხარ, დინჯი, დაკვირვებული, — ლიამ ხელი მოჰკიდა და ოთახში შეიყვანა.

— აი, ჩემი უახლოესი მეგობარია, ეს კი ელენკას მეგობარია, მამუკა.

მარტას ღიმილი სახეზე შეაშრა, მის წინ ლაშა იდგა, სწორედ ის, ვისთანაც ერთდღიანი საზღვაო რომანი ჰქონდა.

„ჰმ, თავადაც მომატყუა და სხვა სახელით გამეცნო, მაგრამ ეს არაფერი, ახლა რა უნდა ვქნა? ხომ არ ვიტყვი, ამ ბიჭთან ერთი კვირის წინ ღამე გავატარე-მეთქი? ან ამან რომ ისევ მოინდომოს ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება... რა საშინელებაა! ერთადერთხელ გადავწყვიტე მალულად რაღაცის გაკეთება და ისიც არ შემერგო“, — კედელს მიეყუდა, ფერი დაკარგა.

— რა გჭირს? აშკარად გადაიღალე. მოეშვი, რა, ამ სამსახურს დროებით და ცოტა ხნით მაინც გადი ქალაქიდან, დაისვენე, — შეწუხდა ლია, მარტას ხელი შეაშველა.

— დეიდა მანანა, ცუდად ხართ? — მიუახლოვდა ელენეც.

— არაფერია, არაფერი, — მარტამ ნაძალადევად გაიღიმა, თავი არ აუწევია, — ცოტა ხნით იქით გავალ და მერე შემოგიერთდებით, ეტყობა, მართლა გადავიღალე.

მარტა კედელს მოშორდა, სანამ გავიდოდა, ლაშას თუ მამუკას მოჰკრა თვალი. ფეხზე იდგა, გაურკვეველი გამომეტყველებით სახეზე და დაჟინებით უყურებდა ქალს.

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 7 სექტემბერი 17 საათი.

### 2017

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ კარგ გოგოს. ვარ 27 წლის, სამტრედიიდან. 551008145. ლევანი

2. გავიცნობ ქუთაისელ გოგოს. ვარ 27 წლის. 558672494. ლევანი

3. გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ლამაზ, მაღალ ქალს შეხვედრებისთვის. 551901204

4. ვარ 33 წლის ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. 555515334

5. ვარ 31/190/90, თბილისელი ბიჭი, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის 175-185 სმ თბილისელ, 26 წლამდე ქალიშვილ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. 577437727

6. გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ ლამაზ 25-დან 40 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს. 598405598. ჯეკო

7. შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. ვარ 23 წლის, თბილისელი ბიჭი. 557905602. გიგა

8. გავიცნობ გათხოვილ ან განათხოვარ, წესიერ 20-40 წლამდე ქალს. ვარ 27 წლის, ცოლიანი. 555163585

9. სამეგობროდ გავიცნობ ერთგულ, თბილ, მოსიყვარულე, თბილისელ 25-დან 35 წლამდე ქალს. 599008105

10. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ ქუთაისელ გოგოს. 551526235

11. ვარ 31 წლის, სიმპათიური, განათლებული, ყოფილი სპორტსმენი, მწვანეთვალება მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე ინტელექტუალურ, ლამაზ ქალს. 555619588

12. გავიცნობ 25-35 წლამდე მიმზიდველ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 25 წლის. 577334112

13. სამეგობროდ გავიცნობ სერიოზულ გოგოს. ვარ 28 წლის. 557969763. გოგა

14. ვარ სიმპათიური, თბილისელი, მყავს მანქანა, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

15. გავიცნობ თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 25 წლის ბიჭი. 514121212. ნიკა

16. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ 28 წლის. თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234. ლუკა

17. გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, 36 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ 38 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი

18. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე მაღალ, გამხდარ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, მაღალი, გამხდარი. 555494212

19. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მდიდარ და თბილ ქალს. 555675264. ნიკა

20. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს ან ქალს, სასურველია თბილისელი. ვარ 30 წლის. 557240429. ნიკა

21. ვარ 35 წლის, ვცხოვრობ თბილისში, გავიცნობ 25-დან 55 წლამდე ქალს. 557634122

22. გავიცნობ მარტოხელა 25-დან 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული 35 წლის მამაკაცი. 595619959

23. სამეგობროდ გავიცნობ 35-დან 45 წლამდე ქალს თბილისიდან ან რუსთავიდან. ვარ 30 წლის მამაკაცი. 558168751

24. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, მოწესრიგებულ, სასიამოვნო გარეგნობის 35-45 წლამდე ასაკის ქალს. 555917751

25. გავიცნობ 30 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ყველანაირად დავუდგები გვერდში, სასურველია იყოს გორელი. 558159554. თემო

26. გავიცნობ თბილისში ან მის შემოგარენში მცხოვრებ მომხიბვლელ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 23 წლის ბიჭი. 599994777. ზურა

27. ვეძებ ორ ლამაზ და თავისუფალ დაქალს. 557905602. კოკა

28. გავიცნობ 25-35 წლამდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის, დასაქმებული ბიჭი. 551202570. იკა

29. ვარ 44/178/75, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს შეიძინოს თბილი, ერთგული და ყველანაირად გვერდში მდგომი, ნამდვილი მეგობარი მამაკაცი. 593638594

30. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ 25 წლამდე ქალს. 555241143

31. ვარ 33/172, სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. 555179655. ტატო

32. გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვინც თბილისში თავისთან მაცხოვრებს. ვარ 27 წლის, დაოჯახებული, დასავლეთიდან, მუშაობას ვიწყებ თბილისში, ვიქნები ერთგული და თბილი. 555511447. ლუკა

33. ვარ 26 წლის, სპორტსმენი, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს სამეგობროდ. 558951387

34. შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. 558454430

34. ვარ გულისხმიერი და ერთგული, თბილისელი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ მარტოსულ, თბილისელ ქალს. 595976976

36. გავიცნობ 30-40 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს სამეგობროდ. ვარ 41 წლის თბილისელი მამაკაცი. 555650016

37. გავიცნობ სულიერად მდიდარ, ლამაზ და მშვიდ ქალს. 555675264. ნიკა

38. ვარ სიმპათიური, ფინანსურად უზრუნველყოფილი 35 წლის, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, გათხოვილ ქალს. 593050806

39. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. ვარ 26 წლის მამაკაცი. 555109884

40. ვარ 35/180/83, ევროპული სტილის, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ შესაფერის, არაშავგვრემან თბილისელ ქალს. 557317378

41. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. ვარ 38 წლის. 555570389

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ქალს. ვარ სიმპათიური, შრომისმოყვარე, ენერგიული და ყველანაირად უზრუნველყოფილი ადამიანი. 593105380

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, სუსტი აღნაგობის, თუნდაც განათხოვარ 30-დან 38 წლამდე ქალს. ვარ 41 წლის მამაკაცი.

3. ვარ თბილისელი მამაკაცი, მაქვს ჩემი ბიზნესი, ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 32 წლის ქალიშვილ, თბილისთან ახლოს მცხოვრებ, გამხდარ, მშვიდ პიროვნებას. 558215498

4. გავიცნობ ლამაზ, პატიოსან, დასაქმებულ 30 წლამდე გოგოს სარძლოდ, დედისერთას, დასაქმებულს, მაღალს, თბილისელი ბიძაშვილისთვის. 557701130

5. გავიცნობ 28-38 წლამდე, სერიოზულ ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 599109319. დიმიტრი

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის გოგოს. ვარ უცოლო, მაქვს ქონებაც და დიდი ბინაც. 598285425. კახა

7. ვარ მარტოხელა, გემოვნებიანი, მორწმუნე მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ ანალოგიური მდგომარეობის და ბუნების მქონე 50-52 წლის სიმპათიურ, ინტელიგენტ ქალს. 599106036

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ თბილისელი, სიმპათიური, ერთგული მამაკაცი. 577602383

9. ვარ 50 წლის, სპორტული აღნაგობის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, სიმპათიურ ქალს. 551554115. დავითი

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კარგ, პატიოსან გოგოს. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს სამსახური და მყავს მანქანა. 557720462

11. ახალგაზრდა, სიმპათიური, მარტოხელა თბილისელი მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. 558270100

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე წესიერ ქალს. 593336965

13. გავიცნობ 25-36 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 558141644. გიორგი

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 46 წლის ქალი, ნაკლებად მჯერა, მაგრამ იქნებ გაამართლოს და ვიპოვო ის, ვისაც ნამდვილად უნდა მშვიდი და მყუდრო ოჯახი. 599901182. ნუცა

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-42 წლამდე მამაკაცს, ვისაც ნამდვილი ოჯახი სურს, აუცილებელია იყოს დასაქმებული და ბინით უზრუნველყოფილი, სასურველია დასავლეთიდან. ვარ პუტკუნა, მაღალი. სმს-ს არ ვპასუხობ. 555446811. მარიამი

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. თუ განიცდით სულიერ მარტოობას, ხართ თბილისელი, დასაქმებული, განათლებული მამაკაცი, დამირეკეთ. 557701130

2. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, გავიცნობ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

3. ვარ 45 წლის თბილისელი ქალი, გავიცნობ 44-დან 53 წლამდე დასაქმებულ მამაკაცს შეხვედრებისთვის. 557942247

## გილოცავ

ნუცი დეკანოიძე, გილოცავ დაბადების დღეს, დიდი გოგო გაიზარდე, ჩემო პატარა. მიყვარხარ.

## მიყვარხარ, მენატრები

პაჩანიკა, ჩემო უსაყვარლესო მეუღლევ, როგორ ხარ? ჩვენც ვართ, რაა. ვემზადებით სკოლისთვის. ძალიან გვენატრები, ხშირად დაგვირეკე და ნუ ბრაზობ, რაღაც იქნება, გული არ გაიტეხო. მიყვარხარ. წრიპა

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 7 სექტემბრის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი ადრესატისადმი მიწერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

# მამა გიორგი: „ადამიანი სადაც უნდა წავიდ-წამოვიდეს, ყველაზე დიდ სიყვარულს, სიკეთესა და სიმართლეს ეკლესიაში იპოვის“

მამა გიორგი (ჯულუხაძე) რამდენიმე კვირაა, რაც უმძიმეს გზას დაადგა. 21 ივლისს მღვდლად აკურთხეს. ის ვაკის წმინდა გიორგის ტაძარში მსახურობს. მამა გიორგი წარმოშობით ბაღდათიდან გახლავთ და სამომავლოდ სურვილი აქვს, რომ სასულიერო ცხოვრება თავის მშობლიურ მხარეში გააგრძელოს, რადგან სწორედ იქ ეზიარა მართლმადიდებლურ სწავლებას. 17 წლის ასაკში მოინათლა. ნათლია თავად აირჩია. თუმცა ეკლესიაში მანამდეც დადიოდა. ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება სასულიერო ცხოვრება იყო, ამიტომ სწავლა სასულიერო სემინარიაში განაგრძო. ერთხანს ბერად აღკვეცა სურდა, მონასტერში ცხოვრობდა, მორჩილი იყო. ბოლო მომენტში მიხვდა, რომ ამ სირთულეს ვერ შეეჭიდებოდა, მაგრამ ეკლესიის წიაღში მაინც დარჩა. მამა გიორგიმ „სარკესთან“ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდები გაიხსენა.

**— მამა გიორგი, გვიამბეთ, როგორ გარემოში იზრდებოდით, სანამ თქვენი ცხოვრება ეკლესიას დაუკავშირდებოდა.**

— 17 წლამდე მოუნათლავი ვიყავი, მაგრამ ტაძარში ჩვეულებრივად დავდიოდი. თითქოს ჩვენი ოჯახი ეკლესიურად ასე თუ ისე ცხოვრობდა, მაგრამ მე და ჩემი და-ძმა მოუნათლავები ვიყავით. მამა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო, პარტიული გახლდათ და ეს უშლიდა ხელს, რომ შვილები თავის დროზე მოენათლა. მამამ რამდენმჯერმე კომუნისტებისგან საყვედურიც მიიღო იმის გამო, რომ ჩვენი სოფლიდან სამი კაცი მღვდელი გახდა. საერთოდ მამა ბევრ სასულიერო პირთან მეგობრობდა, მაგრამ სამსახური ბევრ რამეში ხელს უშლიდა. ნათლობა ბევრჯერ გადაიდო და დროში გაიწელა. ამასობაში გავიზარდეთ. ერთ დღეს ბაბუა გარდაიცვალა და მე და ჩემი ძმა ორმოცამდე მოგვნათლეს, ჩემი და კი მანამდე მამას დაუკითხავად მოინათლა.

ჩემი ნათლია, მერაბ კვირიკაშვილი, ოჯახის ახლობელი იყო, თან მასთან ფიზიკა-მათემატიკაში ვემზადებოდი. ჩვენ ხშირად გვქონია საუბრები უფალზე. ამიტომაც ეს ადამიანი ნათლიად თავად ავირჩიე. ის ბაღდათის სკოლის დირექტორი გახლავთ, სტიქაროსანიც არის. კომუნისტების დროიდან მოყოლებული, დღემდე ეკლესიის აქტიური მრევლია.

**— ეკლესიაში სიარულს ხშირად იმიტომ იწყებენ, რომ პრობლემები აქვთ ოჯახში, საკუთარ თავთან და ა.შ. თქვენ შემთხვევაში ასეთ რამ მოხდა?**

— პრობლემები ყველა ოჯახშია. თუმცა ისეთი დიდი გასაჭირი არ მქონია, რომ ამას მივეყვანე ტაძარში. უბრალოდ ჩემი სულიერი მოთხოვნილება იყო ასეთი. შეძლებულ ოჯახში გავიზარდე და ბავშვობაც საკმაოდ ლაღი მქონდა. თანატოლებისგან იმით გამოვირჩეოდი, რომ ყველაფერი გამაჩნდა. მაგრამ ამ დალხენილი ცხოვრების მიუხედავად, სულიერება და შინაგანი სიმშვიდე მაკლდა. ეს ყველაფერი კი ტაძარში აღმოვაჩინე. ეკლესიური ცხოვრება სკოლის დამთავრების შემდეგ, 18-19 წლის ასაკში დავიწყე. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უმაღლესში ჩაბარებას ვაპირებდი. მალევე ჩავაბარე და ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

ჩვენს მეზობლად ერთი მიტოვებული სახლი იდგა, სადაც ჩვენს ეკლესიაში მოღვაწე მღვდელი — მამა ავგუსტინე (დუნდუა) დაასახლეს. ის ძალიან კარგი ადამიანი იყო და მასთან ურთიერთობამ ჩემს შემდგომ ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. კიდევ ერთი რაღაც მახსენდება. სკოლაში ჩვენი დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მადონა ხელაძე და მათემატიკის მასწავლებელი ნანა ჭულუხაძე სწავლის წინ და სწავლის შემდეგ ლოცვებს გვაკითხებდნენ. საერთოდ ყოველთვის, როცა ტაძარში შევიდოდი, იქიდან დამშვიდებული გამოვდიოდი. ვილებდი იმ უხილავ ძალას, რაც სულს ეკლესიის გარეშე აკლდა. ამიტომ ეკლესიასთან ახლო ურთიერთობის მოთხოვნილება სულ მქონდა. შემდეგ გავიცანი ასევე ძალიან კარგი მოძღვრები — მამა ლონგინოზი (მანაგაძე), მამა იაკობი (ჩოგოვაძე) და სხვები. ისინი ჩვენთან, ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში მსახურობდნენ. მათი რჩევით ლოცვებზე სიარული დავიწყე. ნელ-ნელა იურიდიული ან ეკონომიკური განათლების მიღების სურვილი დამეკარგა. გადავწყვიტე, რომ სასულიერო სემინარიაში ჩამებარებინა.

> „ეკლესიაში სიარულის შინაგანი მოთხოვნილება უნდა გქონდეს, თორემ ძალდატანებას აზრი არ აქვს. ქადაგებით თუ გაუღვიძებ ადამიანს სულიერების შეგრძნებას, თორემ ძალას ვერ დაატან. ადამიანი ტაძარში გულწრფელი სიყვარულით უნდა მოვიდეს. ღმერთმა თავისუფლება მოგვცა და უფლამდე მისვლაც ჩვენი ნებით უნდა მოხდეს".

კატეგორიულად დავისახე მიზანი, რომ ღვთის მსახური გავმხდარიყავი. იმიტომ რომ, ადამიანი სადაც უნდა წავიდ-წამოვიდეს, ყველაზე დიდ სიყვარულს, სიკეთესა და სიმართლეს ეკლესიაში იპოვის. ქუთაისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გავხდი. ორი წელი იქ ვისწავლე. შემდეგ თბილისში გადმოვედი და სწავლა აქ დავამთავრე. სწავლის პარალელურად სტიქაროსანი ვიყავი და ყოველ შაბათ-კვირას ბაღდათში დავდიოდი. მეუფე ანტონს (ბულუხია) ყველგან დავყვებოდი. მასთან დიდ დროს ვატარებდი და ჩემი ცხოვრების სწორად წარმართვაში მას მიუძღვის წვლილი.

ერთი პერიოდი გადაწყვეტილი მქონდა, რომ ბერი გავმხდარიყავი. მონასტერშიც ვიყავი წასული. თუმცა ისე მოხდა, რომ ვერ შევძელი. შემდეგ დავოჯახდი კიდეც. დიაკვანი გავხდი და ახლა რამდენიმე კვირაა, რაც მღვდლის ხარისხში ამიყვანეს.

**— მშობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას, რომ სასულიერო პირი გამხდარიყო?**



— დედას ეს ამბავი ძალიან გაუხარდა. მამამ მირჩია, რომ ლექტორი გავმხდარიყავი, წინააღმდეგი არ ყოფილა, უბრალოდ თავისი აზრი გამოხატა. მამა ზურაბი (ცხოვრებაძე) ჩვენი ნათესავია. მამამ მითხრა, როგორც ჩვენი ზურა გახდა თეოლოგი (იმ დროს ის მხოლოდ ლექტორი იყო და მღვდლად არ იყო ნაკურთხი), შენც ამ კუთხით გააგრძელე სასულიერო ცხოვრებაო. შემდეგ, როცა ბერად აღკვეცის სურვილი გამიჩნდა, მამაჩემი ამის წინააღმდეგი იყო. სხვათა შორის, მართალია, მამა ათეისტურ პერიოდში გაიზარდა, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ხელისშემწყობი არავინ მყავდა, თორემ მეც სასულიერო პირი გამოვიდოდიო. რაც შეეხება დედას, მისი დამსახურებაა, რომ ეკლესიური ცხოვრებით დავინტერესდი. ტაძარში ხშირად არ დადიოდა, მაგრამ ბიბლიას სულ კითხულობდა. შემდეგ ამ ყველაფერს მე მიყვებოდა. პატარაობაში ბევრი იგავი ვიცოდი. რელიგიურ ლიტერატურას მაკითხებდა.

**— თქვენი და და ძმა თუ ცხოვრობენ ეკლესიურად?**

— თავიდან სამივემ ერთად დავიწყეთ ტაძარში სიარული. ცდილობენ, ეკლესიურად იცხოვრონ, მარხვასაც ინახავენ, მაგრამ მათ უფრო „ტურისტებს“ დავარქმევდი. სამწუხაროდ, აქტიური მრევლი არ არიან. ეკლესიაში სიარულის შინაგანი მოთხოვნილება უნდა გქონდეს, თორემ ძალდატანებას აზრი არ აქვს. როგორც გრძნობა ვერ იქნება ხელოვნური, ისე სულიერება ვერ იქნება ხელოვნური. ქადაგებით თუ გაუღვიძებ ადამიანს სულიერების შეგრძნებას, თორემ ძალას ვერ დაატან. ადამიანი ტაძარში გულწრფელი სიყვარულით უნდა მოვიდეს. ღმერთმა თავისუფლება მოგვცა და უფლამდე მისვლაც ჩვენი ნებით უნდა მოხდეს.

**— ამჟამად ვაკის წმინდა გიორგის ტაძარში მსახურობთ. დიაკვნობის პერიოდი აქ გაატარეთ?**

— დიაკვნობის ორი-სამი თვე ბაღდათში გავატარე, შემდეგ კი →71

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black



# ღმერთი ყველგან ჩვენ გვერდით არის, თუ ჩვენ გვაქვს მის გვერდით ყოფნის სურვილი

## ცხოვრება ღირსისა მამისა მიქაელ აღმსარებელისა, სინაიდელი ეპისკოპოსისა

წმინდანები, რომელთაც ისეთ საზომს მიაღწიეს, რომ წმინდანები გამხდარიყვნენ, ბუნებრივია, ყველანი განსაკუთრებულნი არიან, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კიდევ უფრო განსაკუთრებულად გამორჩეული და მისაბაძი მაგალითები არიან ქრისტიანებისთვის. სწორედ ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ წმინდა ღირსი მამა მიქაელი აღმსარებელი, რომელიც ამავდროულად იყო სინაიდელთა ეპისკოპოსიც და რომლის ხსენებასაც ეკლესია აღნიშნავს ახალი სტილით 23 მაისს.

ალბათ უმჯობესი იქნება, ვიცოდეთ, თუ სად მდებარეობდა სინაიდელთა ეპარქია, რათა გაგვიადვილდეს იმის აღქმა, რაოდენ დიდ მოღვაწესთან გვაქვს საქმე წმინდა ღირსი მამის, მიქაელ აღმსარებელის სახით. სინაიდა იყო ფრიგიაში ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი, რომლისგანაც, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ გაუდაბურებული ნანგრევებიღა არის შემორჩენილი. ღირსი მიქაელ აღმსარებელის ცხოვრება ხელნაწერის სახით ათონის წმინდა მთაზე, ათანასეს ლავრის წიგნთსაცავში არის შემონახული. სამწუხაროდ, არ ვიცით, მისი დაბადების ადგილმდებარეობა და ის, თუ სად გაატარა ბავშვობა, თუმცა ვიცით, რომ დაიბადა მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში. ეს არის ურთულესი პერიოდი, ზოგადად თანამედროვე კაცობრიობისთვის და კიდევ უფრო სასტიკი და დაუნდობელი ქრისტიანებისთვის. იმპერიას მართავდა ლეონ მეხუთე სომეხად წოდებული, რომელიც ცნობილია ქრისტიანობის მოძულეობით. ამიტომაც სწორედ ამ პერიოდში, დევნის წყალობით, უამრავი ღირსეული წევრი შეემატა ეკლესიას და მათ შორის არის ღირსი მამა მიქაელ აღმსარებელი, რომელზეც გვსურს, რომ გესაუბროთ.

როგორც უკვე გითხარით, უცნობია, სად დაიბადა და გაიზარდა ღირსი მამა, შეიძლება, ეს იყოს თვით ფრიგიაც, მაგრამ დანამდვილებით ეს არ ვიცით. ვიცით ის, რომ ყოფილა მდიდარი მშობლების ნანატრი შვილი. მის მშობლებს დიდხანს არ უჩნდებოდათ შვილი. უფალს სთხოვდნენ შვილიერებას და აღსრულების შემთხვევაში მასვე, უფალსვე, დაუთმობდნენ. მართლაც, მოიღო უფალმა მოწყალება მათზე და შეეძინათ ვაჟი, რომელსაც მთავარანგელოზთა სამადლობელად მიქაელი უწოდეს. იგი სიყრმიდანვე ღვთის სიბრძნით, ზნეობით და გონიერებით იზრდებოდა, სხვა ბავშვებს არაფრით ჰგავდა. ბავშვებთან არასდროს ერთობოდა უსაქციელო თამაშობებით. ყოველთვის მასთან მოდიოდნენ ისეთი ბავშვები, რომელთათვისაც მიქაელის ასეთი ღვთივსულიერი ცხოვრება იყო მისაღები. როცა კიდევ უფრო წამოიზარდა, იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მოეპოვებინა კიდევ უფრო მეტი სიმშვიდე, ან რა იყო კიდევ უფრო სათნო უფლისთვის, რომელმაც მოავლინა ამქვეყნად.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკმა მიიღო გადაწყვეტილება, უფლისთვის მიეძღვნა თავი, რისთვისაც მიაშურა კონსტანტინეპოლს, სადაც შეხვდა და დაემოწაფა სულიერად გამოცდილ მოძღვარ თეოფილაქტეს. ეს არის ის თეოფილაქტე, რომელიც შემდგომში ნიკომიდიის ეპისკოპოსი გახდა. მისი მეშვეობით და მოღვაწეობით ნიკომიდია გახდა სულიერად სამოღვაწეო ასპარეზი. ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ გავაცნობიეროთ, თუ ვისი ძალისხმევით და მოწაფეობით მიაღწია წმინდა მიქაელმა იმ საზომს, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. წმინდა თეოფილაქტე, ვიდრე ნიკომიდიის ტახტზე ავიდოდა, წმინდა პატრიარქის, ტარასი კონსტანტინეპოლელის დამხმარე ეპისკოპოსად მოღვაწეობდა მსოფლიო საპატრიარქოში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ პარალელურად, დამხმარე ეპისკოპოსობასთან ერთად, მოღვაწეობდა იმპერატორის მდივნადაც. აქედან ალბათ ყველაფერი ნათელი ხდება, თუ რა გამოცდილება შეიძინა წმინდა მიქაელ სინაიდელი თავისი მოძღვრის, ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურის გვერდით.

„არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიედ სახლსა შინა“ (მთ.5,15.). საღვთო წერილის ეს სიტყვები პირდაპირ კავშირშია ისეთ მოღვაწესთან, როგორიცაა წმინდა მიქაელ სინაიდელი. სიკვდილამდე განუყრელი ერთობა აკავშირებდა საკუთარ მასწავლებელთან, ისე, როგორც ფსალმუნში აღწერს წინასწარმეტყველი დავითი: „აჰა ესერა რაი-მე კეთილ, ანუ რაი-მე შუენიერ, არა-მე დამკვიდრებაი ძმათაი ერთად?“... (ფს. 132,1-2).

წმინდა მიქაელი მუხლჩაუხრელად იღწვოდა მშიერ-მწყურვალთათვის, ობოლთათვის, მოხუცებულთათვის, მათი დაპურება მისთვის იყო უმთავრესი მონაპოვარი. ასეთმა ცხოვრებამ განაპირობა, რომ წმინდანი ყველასთვის საყვარელი და მისაღები გახდა არა მარტო საკუთარ საეპისკოპოსოში, არამედ ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებში. ეს ყოველივე კი, ბუნებრივია, მიუღებელი აღმოჩნდა და ვერაფრით ეთანხმებოდა კეთილისმოძულე ეშმაკი, რომელსაც ზოგადად აღიზიანებს კაცთა მოდგმის წინსვლა და წარმატება.

ამასობაში იმპერიის სამეფო ტახტი დაიკავა ლეონ მეხუთე სომეხად წოდებულმა, რომელიც ქრისტიანობდა კიდეც და, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ეს მოჩვენებითი ყოფილა, რადგან ტახტზე ასვლიდან რამდენიმე თვეში შეიძულა ხატები და ბრძანება გამოსცა, თუ კედლის მხატვრობა იყო, ჩამოეფხიკათ კედლიდან და, თუ ფიცარზე იყო შესრულებული ან ტილოზე, უნდა დაეწვათ ცეცხლში, რადგან ყოველივე საშინელ კერპთაყვანისცემად მიაჩნდა. უმოწყალოდ უსწორდებოდნენ, ვინც გაბედავდა და ხატების დაცვას, გამოსარჩლებას შეეცდებოდა.

ლეონ მეხუთისთვის დაუძლეველ წინააღმდეგობას წარმოადგენდა წმინდა პატრიარქი ნიკიფორე, რომელიც წმინდა ტარასის შემდეგ ავიდა ტახტზე, ასევე მიუღებელი იყო ექვთიმე, სარდინიის ეპისკოპოსი, ემილიანოსი — კიზიკიის ეპისკოპოსი, იოსები თესალონიკელი, ამორიის ეპისკოპოსი ევდოქსიოსი, თეოფილაქტე ნიკომიდიელი და თვით მიქაელ სინაიდელი. ჩამოთვლილ მღვდელმთავართაგან უკლებლივ ყველამ თავიანთი მრევლის და მთლიანად მართლმადიდებელი ქრისტიანების სახელით თხოვნით მიმართეს იმპერატორს, რომ ეს ბრძანება ეწინააღმდეგებოდა მამათა გადმოცემას, საეკლესიო სწავლებას, იმ უამრავ სასწაულს, რაც აღსრულებული იყო ან სრულდებოდა ყოველდღიურად და იქნებ გაეუქმებინა ეს ღვთის, ღვთისმშობლის, წმინდანთა საგმობი გადაწყვეტილება, რადგან სხვა შემთხვევაში სისხლისღვრა გარდაუვალი გახდებოდა. მოუწოდებდნენ იმპერატორს, ამაო იყო მისი მცდელობა. რის შემდგომაც პატრიარქმა ნიკიფორემ თხოვნის და დახმარების წერილი გაუგზავნა რომის პაპ ადრიანეს, სათხოვარი ეპისტოლის სახით. აღნიშნული საკითხის თეოლოგიური დასაბუთება დაევალა ყველაზე სულიერად გამოცდილ და წიგნიერებით გამორჩეულ ეპისკოპოსს, მიქაელ სინაიდელს, რომელმაც გარკვევით ჩამოაყალიბა მეფის ცდომილება და დასავლეთის ეკლესიის აუცილებელი და უპირობო მხარდაჭერა აღმოსავლეთის ეკლესიისადმი.



Cyan Magenta Yellow Black

თვითონ ჩავიდა წმინდა მიქაელი რომში და ადგილზე პირადად გააცნო პაპს შექმნილი მდგომარეობა. ამ უკანასკნელს კი ისღა დარჩენოდა, რომ სინოდი შეეკრიბა, რომელზეც ანათემას გადასცეს იმპერატორი ლეონი. კრების დადგენილება წერილობით გააცნეს კიდეც ერთხელ, თუმცა ამაოდ, რადგან ხატმებრძოლი იმპერატორი ბოროტი სულის ტყვეობაში იყო და იქიდან თავის დახსნა შეუძლებელია, თუ თავად არ ითხოვ შეწევნას ღვთისგან. ამის შემდეგ წმინდა მიქაელი იძულებული იყო, პირდაპირ ეთქვა სათქმელი მტარვალისთვის: „უნდა შეგეგონებინა, მეფეო, წმინდა მამათა შეგონება და ხელი აგელო შენს ბოროტ განზრახვაზე, რადგან ის, ვინც შეურაცხყოფს ღვთის ხატს, ღვთისმშობლის ან თუნდაც წმინდანთა ხატებს, შეურაცხყოფს ზოგადად ღმერთს და ყოველგვარ სიწმინდეს, ხოლო, ვინც შეურაცხყოფს სიწმინდეს, ის არის უწმინდური ისევე, როგორც შენ, ამ ქვეყნის ულირსო და უწმინდურო ხელმწიფევ!“. ამ სიტყვების წარმოთქმისას წმინდანს არაფრად ჩაუგდია ლეონის უმაღლესი თანამდებობა, მოურიდებლად, ღვთის სახელით ამხილა უწმინდური. პასუხად მტარვალი და ღვთისმგმობელი ხელმწიფისაგან მათ მიიღეს სასჯელად გადასახლება სხვადასხვა ადგილებში, ერთმანეთისგან შორს, რათა საერთო ენა აღარ გამოეძებნათ ერთმანეთთან ურთიერთობისთვის.

წმინდა პატრიარქი ნიკიფორე კუნძულ თასოზე გადაასახლეს, თეოფილაქტე, წმინდა მიქაელის მოძღვარი — იმპერიის საზღვარზე, აღმოსავლეთის განაპირას, ცხელ უდაბნოში, კერძოდ კი, სტროვილონში; თვით წმინდა მიქაელიც — აღმოსავლეთის განაპირას, ოღონდ სხვა მიმართულებით, კერძოდ, ევდოკიადაზე, სადაც წმინდანმა ათი წელიწადი გაატარა მყუდროებასა და ღვთის დიდებაში, როგორც დევნილმა, ქრისტეს სახელის დამცველმა და აღმსარებელმა.

წმინდა მიქაელი არასდროს ივიწყებდა სიტყვებს საღვთო წერილიდან: „გიყვარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ“ (მთ. 5,44). ენით აუწერელი ტანჯვა-წამება გადაიტანა იმ მხარეში, სადაც ექსორია უყვეს, თუმცა წმინდა მამა უნუგეშოდ ვერც იქ ვერ იქნებოდა და ეს ნათლად ჩანს მის ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ რთული საცხოვრებელი პირობები ჰქონდა, ლოცვას, მარხვას, კეთილ საქმეს, მოწყალებას ყოველთვის ახერხებდა. ეს ყველაფერი მისთვის იყო ნუგეშიც და საქმეც, რომლითაც წმინდანი იყო დაკავებული, ღვთის შეწევნით კურნავდა ავადმყოფებს — ხორციელად და სულიერადაც, აგრეთვე, მათ პირუტყვსაც.

მიუხედავად რთული და ურჯულო ხალხისა, წმინდანმა მათაც აჩვენა უფლის გზა, ადგილობრივებისთვის იყო, როგორც მშობელი მამა, პატრონობდა მათაც და მათ პირუტყვსაც.

ერთხელ ერთი ადგილობრივი თავისი ხარ-ურემით ბაზარში მიდიოდა დატვირთული. უცებ ხარმა გზაზე ფეხი მოიტეხა. უნუგეშოდ დარჩენილი კაცი სასოწარკვეთილებას მიეცა. ამ დროს გზად წმინდა მამა მოდიოდა, რომელმაც ნახა მეურმე და უთხრა: „რის გამო ხარ, ადამიანო, ასე უგუნებოდ და შეწუხებული?“, მეურმემ უპასუხა: „ნუ მეკითხები, ღვთის კაცო, სიცოცხლე მძულს, ჩემი ბედის გადამკიდე, უმჯობესი იქნებოდა, მოვმკვდარიყავი, ვიდრე ცოცხალი ვუყურო ჩემი ხარის საცოდაობას“. წმინდანმა კი მიუგო: „მითხარი, კაცო, რაც გიჭირს, იქნებ მე შემიძლია შენი დახმარება“. გლეხმა აუხსნა მომხდარი უბედურების შესახებ. მაშინ წმინდა მიქაელმა ხარს მოტეხილ ფეხზე მოახვია მატყლისგან ნაქსოვი სახვევი, რომელიც სველი იყო წმინდანის ოფლით, თავისი კვერთხი შეახო ჭრილობას და, ჰოი საოცრებავ, მაშინვე წამოდგა ხარი, სრულიად ჯანმრთელი. ამის მნახველი პირუტყვის პატრონი, გაოგნებული, თვალებს არ უჯერებდა და სიხარულისგან ხმას ველარ იღებდა. ერთი ისღა მოახერხა, წმინდა მიქაელის ფეხებთან მიწაზე განერთხა და აქვითინდა. უთხრა წმინდანს: „უფალმა შენ სხვა საქმისთვის მიგავლინა და ჩემი დახმარება კი გამოგივიდა“. წმინდანმა ამაზე არაფერი უპასუხა, ჯვარი გადაისახა და გზა განაგრძო. ეს სასწაული შეიტყო ბევრმა და პატივით ხვდებოდნენ წმინდა მამას. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ უნდოდათ მომხდარის დაჯერება.

**ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# „მლიქვნელ ადამიანთან შეხვედრა უდიდესი განსაცდელია“

მლიქვნელობა და ფარისევლობა ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა, რაც მოყვასის მოტყუებას გულისხმობს. მლიქვნელობის მიზეზი ხშირად პირადი გამორჩენაა. ამ ვნების შესახებ ბალზაკი წერდა: „მლიქვნელობა გულისხმობს ანგარებას“. ადამიანები უფრო შორსაც მივდივართ და მხოლოდ მოყვასთან თამაშს არ ვჯერდებით, ღმერთის მოტყუებასაც კი ცდილობს ზოგიერთი და ფარისევლური დამოკიდებულების მსხვერპლი ხდება. უფრო ზუსტად, თუ რას ნიშნავს მლიქვნელობა და ფარისევლობა, გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე).

— **მამაო, რას ნიშნავს მლიქვნელობა და ფარისევლობა?**

— „ფარისეველი“ უძველესი სიტყვაა და სახარებაშიც გვხვდება. ერთ დროს თანამდებობაც კი იყო, მაგრამ მან შემდეგ პრაქტიკაში სხვა მნიშვნელობა და დატვირთვა შეიძინა, კერძოდ, მლიქვნელობას დაუახლოვდა. ამ დროს ადამიანი კარგავს თავის „მე“-ს და უფალთან დამოკიდებულებას. მლიქვნელი თავის ნებას კი არ მიჰყვება, არამედ ცდილობს, მოჩვენებით ისე მოიქცეს, როგორც მის ზემდგომს, მეფეს ან იმპერატორს ეამება. შეიძლება მამაკაცი იყოს მლიქვნელი ქალის მიმართ და პირიქით, ქალი — მამაკაცის მიმართ. ეს სიცრუის გამოხატულებაა ანუ ცხოვრება სიცრუეში, მაგრამ ისინი უფალს ვერ მოატყუებენ, რადგან ადამიანი მხოლოდ მოქმედებას ხედავს და წარმოთქმულ სიტყვას ისმენს, ხოლო ღმერთი ჩვენს სულს ჭვრეტს. მთავარია, გულში რას ვფიქრობთ. ზოგჯერ ადამიანიც ამჩნევს, რომ ვიღაც მლიქვნელობს.

მლიქვნელობა და ფარისევლობა სუსტთა ხვედრია. ამ ცოდვამ საუკუნეეების განმავლობაში მეფეთა კარზე დიდი გაქანება მოიპოვა. ასეთი გამოთქმა არსებობს: „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, ანუ სიმართლეს თუ იტყვი,

**„მლიქვნელი თავის ნებას კი არ მიჰყვება, არამედ ცდილობს, მოჩვენებით ისე მოიქცეს, როგორც მის ზემდგომს ეამება. შეიძლება მამაკაცი იყოს მლიქვნელი ქალის მიმართ და პირიქით, ქალი – მამაკაცის მიმართ. ეს სიცრუის გამოხატულებაა ანუ ცხოვრება სიცრუეში, მაგრამ ისინი უფალს ვერ მოატყუებენ, რადგან ღმერთი ჩვენს სულს ჭვრეტს“.**

შენი ზემდგომი იქ აღარ გაგაჩერებს, მზად უნდა იყო და იცოდე, რომ შეჯდე ცხენზე და გააჭენო. ეს ფენომენი მარტო მლიქვნელებისა და ფარისევლებისგან კი არ მოდის, არამედ იმ ხელმძღვანელებისგან, რომელთაც თავიანთ გარემოცვაში ამგვარი ადამიანების ყოფნა სიამოვნებთ. არადა მლიქვნელ ადამიანთან შეხვედრა, მათთან ურთიერთობა უდიდესი განსაცდელია. ხალხი, რომელიც სიცრუეში ცხოვრობს და ჭეშმარიტ გულისნადებს არ ემონება, დაღუპვისთვისაა განწირული. მლიქვნელობა და ფარისევლობა დაპყრობის, წარმატების ან რაღაცის გამოძალვის ხელოვნებად ითვლება. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გულისხმისყოფა, გულითადი სიყვარული და მოჩვენებით, პირფერობით, მლიქვნელობით ჩადენილი ესა თუ ის საქციელი.

— **რა სახის ცოდვაა მლიქვნელობა და ფარისევლობა?**

— ეს ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა. ფარისეველი ადამიანი სათნოებას შეურაცხყოფს და თავისი საქციელით იმ პიროვნებებსაც აბრკოლებს, რომელთაც გულწრფელად სურთ, უფლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ და მართლმადიდებლური წესების აღსრულებით იცხოვრონ. ასეთ ადამიანებს არ გააჩნიათ უმთავრესი — ღვთის მოშიშებასთან შერწყმული სიყვარული უფლისადმი და ვერც იმას ხვდებიან, რომ თავიანთი ქმედებით სულს წარიწყმედენ და სასუფეველში დაბრუნების უფლებას სამუდამოდ კარგავენ.

თანამედროვეობაში ძნელად მოიპოვება კაცი, რომელშიც ეს ცოდვა არ ბუდობს. ფარისევლობაა, როცა წირვა-ლოცვისას ეკლესიაში მხოლოდ ფიზიკურად ვიმყოფებით, გონება კი ამქვეყნიურ საქმეებზე ზრუნვას სულ რაღაც რამდენიმე საათითაც ვერ წყდება. ვფარისევლობთ, როდესაც ერთს →70





Cyan Magenta Yellow Black




**„ეს ცოდვა მარტო მლიქვნელებისა და ფარისევლებისგან კი არ მოდის, არამედ იმ ხელმძღვანელებისგან, რომელთაც თავიანთ გარემოცვაში ამგვარი ადამიანების ყოფნა სიამოვნებთ. ხალხი, რომელიც სიცრუეში ცხოვრობს და ჭეშმარიტ გულისნადებს არ ემონება, დაღუპვისთვისაა განწირული“.**

ვფიქრობთ და მეორეს ვლაპარაკობთ. აი, რას ქადაგებდა წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) ამ ცოდვის შესახებ:

„ყოველთვის, როდესაც შენ ნაცვლად გულის განწმედისა და ცუდთა ჩვეულებათაგან განშორებისა, ჰმალავ ცოდვასა სიღრმესა შინა გულისა შენისასა და მიიღებ კეთილსა გარეგანსა სახესა, ფარისევლობასა შინა შთავარდები. ფარისევლობ, ოდეს შენ პირისპირ კაცს აქებ და ეფერები და პირიქით ცუდათ ახსენებ მას; ფარისეველი ხარ, როდეს ელაპარაკები შენზე უფროსს კაცსა, ამბობ არა იმას, რასაც გული გეტყვის, არამედ, რაც იამება იმ კაცს; არა სიმართლეს იტყვი, არამედ, რასაც მოითხოვს შენი საკუთარი სარგებლობა. ფარისეველი ხარ, ოდეს შენ ერთს კაცს აქებ, არა მისთვის, რომელ ღირსი არის ქებისა, არამედ მისთვის, რომ იგი არს მოყვარე და მეგობარი შენი, ხოლო მეორეს განკითხავ მისთვის, რომელ იმას აქვს შენთან მცირეოდენი უკმაყოფილება; ოდეს ენითა შენითა ამტკიცებ დიდსა სიყვარულსა სიმართლისა და სათნოებისასა, ხოლო საქმით კი უმართლო ხარ. რა არის, თუ არა ფარისევლობა, ოდეს სინიდისი გამხილებს შენ რომელთამე ცოდვათათვის და შენ კი პირმოთნედ იტყვი: ღმერთი მოწყალე არის, რა ვქმნა, კაცი სუსტი არის, სხვანიც ესრეთ სცხოვრობენ, ვინ არის უცოდველი ქვეყანაზედ, თავის დროზედ მოვინანებო; ყოველთა შინა ესევითართა შემთხვევათა კაცი ცხადად ეზიარება ფარისევლობის ცოდვასა“.

სახარებაში ვკითხულობთ: „აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუმლისაი და პიტნაკისაი განსწმიდით, და შინაგანი თქუენი სავსე არს ნატაცებითა და უკეთურებითა. ორგულნო, ანუ არა რომელმან იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა? გარნა ესე, რომელი ჯერ არს, მიეცით მოწყალებაი, და, აჰა, თქუენი ყოველი წმიდა არს. არამედ ვაი თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა, და თანაწარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა: ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატევებად. ვაი თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქუენ ზემოჯდომაი შესაკრებელთა შორის და მოკითხვაი უბანთა ზედა. ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ხართ, ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენან და არა იციან“. ასევე უფალი ბრძანებს: „ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაისა, რომელ არს ორგულებაი. ხოლო არარაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს. ამისთვის რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა შინა ისმეს, და რომელსა ყურსა ეტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა“.

წმინდა მამების გამონათქვამები კი მლიქვნელობისა და ფარისევლობის შესახებ ასეთია: „ვეცადოთ ძმანო, ლიტონობას, სიწრფოებას და უმანკოებას, რაცა ვართ ისე გამოვსჩნდეთ, ე.ი. ბუნებით რაცა ვართ, ისე ვიყოთ ყოველთა მიმართ. ნუ ვიცვლებით ფერუმარილითა, რამეთუ სწორედ იმისი მსგავსია ესეც, ვითარ იგი დედაკაცი, რომელიც ცდილობს, სახე შეიცვალოს და რა იგი არს ბუნებით, დაფაროს და ეჩვენოს კაცთა ფეროვან და სპეტაკ, სწორედ ესრეთ არს ყოველი მაჩვენებლობა. და ვითარ იგი იცნობება ფერუმარილიანი სიცრუის წარმომადგენლად, ეგრეთ ყოველი გარეგან მაჩვენებელი ცნობილია სიცრუის მუშაკად“ (წმინდა ალექსი ბერი, შუშანია).

„ვინც ერთს ამბობს და გულში სხვა აქვს, ცბიერებით, მისი ლოცვები ამაოა“ (ღირსი აბბა ისაია).

„ვინც გემლიქვნელება, ის იმაზე უფრო საშიშია, ვინც აშკარად გემტერება“ (წმინდა გრიგოლ დიოლოღოსი).

„ნურც შენ იქნები პირმოთნე და ნურც სხვებს მისცემ ნებას, რომ შენს წინაშე დამდაბლდნენ და გემლიქვნელონ: პირველი შემთხვევა ცბიერი და ვერაგი ადამიანის თვისებაა, მეორე — დიდებისმოყვარე და ამპარტავანისა (წმინდა ამბროსი მედიოლანელი).

„არ არსებობს უფრო მძიმე განსაცდელი, ვიდრე მლიქვნელ ადამიანთან მოხვედრა (წმინდა იოანე ოქროპირი)“.

„მლიქვნელები ჩვენი დიდი მტრები არიან: ისინი თვალებს გვიბრმავებენ, არ გვაძლევენ ჩვენი დიდი ნაკლოვანებების დანახვის საშუალებას და ამიტომაც სრულყოფისკენ გზას გვილობავენ, მით უმეტეს, თუ ჩვენ თავისმოყვარენი და ახლომხედველნი ვართ (წმინდა იოანე კრონშტადტელი).

„ვაი მას, ვინც მლიქვნელებითაა გარშემორტყმული; კარგია, ვინც უბრალო ადამიანების გარემოცვაშია, რომლებიც არ ფარავენ სიმართლეს, მაგალითად, გვამხელენ ჩვენს სისუსტეებს, შეცოდებებს, ვნებებს, ცდომილებებს (წმინდა იოანე კრონშტადტელი).

„უმჯობესია კარგი იყო და სხვებს ცუდი ეგონო, ვიდრე ცუდი იყო და კეთილი სახელი გქონდეს, ხალხის წინაშე მაცდუნებელ საფლავს ჰგავდე — შიგნიდან გახრწნილი გვამებისგან ამომავალი სიმყრალით სავსეს, ხოლო გარედან სისპეტაკითა და თვალისთვის საამო სალებავებით მბრწყინავს (წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).

„მიაჩვიე ენას თქვას ის, რაც გულში გაქვს“ (ღირსი აბბა პიმენი).

„თუ ჭეშმარიტად გვინდა ცხონება, მთელი ძალითა და მონდომებით უნდა შევიყვაროთ ჭეშმარიტება და თავი დავიცვათ ყოველგვარი სიცრუისაგან, რომ მან არ განგვაშოროს ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისაგან“ (წმინდა ბარსანუფი დიდი და წმინდა იოანე წინასწარმეტყველი).

„არის სიცრუის სამი სხვადასხვა სახე: ერთი აზრებით ცრუობს, მეორე სიტყვით, მესამე კი თავისი ცხოვრებით. აზრით ცრუობს ის, ვინც თავის დაშვებებს, ანუ მოყვასზე ამაო ეჭვებს იღებს, როგორც ჭეშმარიტებას. ამგვარი კაცი, როდესაც ხედავს, რომ ვინმე თავის მოყვასს ესაუბრება, იგონებს საკუთარ ვარაუდებს და ამბობს: ის ჩემზე საუბრობს. თუკი საუბარს შეწყვეტენ, ის კვლავ ეჭვობს, რომ მის გამო შეწყვიტეს საუბარი. თუკი ვინმე რაღაცას იტყვის, ის ვარაუდობს, რომ ეს მისი შეურაცხყოფისთვისაა ნათქვამი... ხოლო სიტყვით სცოდავს, ვისაც, მაგალითად, მოწყინების გამო დაეზარება ღამისთევისთვის ადგომა და არ იტყვის: შემინდე, რომ დამეზარა ადგომა, არამედ ამბობს: სიცხე მქონდა, ძალიან დავიღალე შრომით, ადგომის ძალა არ მქონდა, შეუძლოდ ვიყავი და ათ ცრუ სიტყვას იტყვის იმისთვის, რომ ერთი მეტანია არ გააკეთოს და არ დაიმდაბლოს თავი... კვლავ, თუკი მას რაიმე მოუნდება, არ სურს თქვას: მე ეს მინდა, არამედ სულ ამრუდებს თავის სიტყვებს, ამბობს: ეს სნეულება მჭირს და ეს მჭირდება; ეს მაქვს ნაბრძანები და ცრუობს მანამდე, სანამ სურვილს არ აისრულებს.

**„თანამედროვეობაში ძნელად მოიპოვება კაცი, რომელშიც ფარისევლობის ცოდვა არ ბუდობს. ფარისევლობაა, როცა წირვა-ლოცვისას ეკლესიაში მხოლოდ ფიზიკურად ვიმყოფებით, გონება კი ამქვეყნიურ საქმეებზე ზრუნავს სულ რაღაც რამდენიმე საათითაც ვერ წყდება. ვფარისევლობთ, როდესაც ერთს ვფიქრობთ და მეორეს ვლაპარაკობთ“.**

ყველა ცოდვა წარმოიშვება ან ტკბობისმოყვარებისგან, ან ვერცხლისმოყვარებისგან, ან დიდებისმოყვარებისგან, სიცრუეც ამ სამი მიზეზისგან არის ხოლმე... თავისი ცხოვრებით ცრუობს ის, ვინც მეძავია და თავს თავშეკავებულად აჩვენებს; ან ხარბია და მოწყალებაზე საუბრობს, აქებს მოწყალების გაცემას; ანდა ქედმაღალია და სიმდაბლეს განადიდებს... ვერც ერთი ბოროტება, ვერც ერთი მწვალებლობა ვერავის შეაცდენს, თუ არა სათნოების ნიღბით. მოციქული ამბობს: „თვით იგიცა ეშმაკი იცვალისვე ანგელოზად ნათლისა. არა უკუე დიდ არს, მსახურნიცა თუ მისნი გარდაიცვალნენ ვითარცა მსახურნი სიმართლისანი“ (2 კორ. 11, 14-15).

მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

←67 თბილისში გადმოვედი — ვაკის წმინდა გიორგი ტაძარში. მე სხვა ფიქრები მქონდა, ბაღდათში დარჩენა და ყველაზე გაჭირვებულ სოფელში მსახურება მსურდა. არიან მოძღვრები, რომლებსაც სოფელში მსახურება ძალიან უჭირთ, ხშირად სამგზავრო ფულიც კი არ აქვთ. ჩემს ოჯახს კი იმის შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ადვილად მევლო სოფლებში. რატომღაც ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ აქეთ წამოსვლა მომიწია. იქაურობა ძალიან მიყვარს და ვნახოთ, რა და როგორ იქნება მომავალში. შეიძლება ბაღდათში დავბრუნდე კიდეც.

**— მღვდლად კურთხევის დღე ალბათ განსაკუთრებული იყო თქვენს ცხოვრებაში.**

— ჩემი მღვდლის ხარისხში აყვანა 21 ივლისს მოხდა. მთელი 15 წელი მქონდა სურვილი, რომ ღვთისმსახური გავმხდარიყავი. ამიტომ ეს დღე ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. პასუხისმგებლობა მომემატა. ჩემი მიზანი სულის ცხონებაა. ასევე ის, რომ ჩემი სასულიერო ცხოვრებით მეტი ადამიანი მივიყვანო ტაძარში და მომავალ თაობას ღვთის სიტყვა გადავცე. ემოციურად ძალიან დატვირთული დღე იყო. ისეთი უჩვეულო შეგრძნებები მქონდა, ბევრი რამ აღარც მახსოვს. მღვდლის ხარისხში ჩემი აყვანა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორისა და ბოდბელი ეპისკოპოსის მეუფე იაკობის (იაკობიშვილი) კურთხევით მოხდა. მღვდლად ხელი დამასხა ჩემმა გამზრდელმა, მეუფე ანტონმა. კურთხევის ცერემონიალი ბაღდათში — წმინდა გიორგისა და ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში გაიმართა (ტაძარი ორსართულიანია. ქვედა სართული წმინდა გიორგის სახელობის არის, ზედა კი — ივერიის ღვთისმშობლის).

**— ხშირად ამბობენ, იყო სასულიერო პირი, ეს საკმაოდ რთულ გზაზე სიარულს ნიშნავს. თქვენ ჯერ ახალბედა ხართ, მაგრამ გაცნობიერებული გექნებათ ეს ყველაფერი.**

— ამ ბოლო დროს ჩემი ახლობელ-მეგობრები რომ მხვდებიან, მეუბნებიან, რთულ გზაზე დგახარო. მე დიდად ვერ ვგრძნობ ამ სირთულეს. ადამიანი როდესაც იმ საქმეს ემსახურება, რაც მოსწონს, ამას სიამოვნებით აკეთებს. პასუხისმგებლობის კუთხით თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, რთულია. თუ სხვა მხრივ მივუდგებით, მაგალითად, ჩემთვის ექიმობა უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე მღვდლობა. ეკლესიაში დაძაბულობა ნაკლებია, სიყვარული და სიმშვიდე მეტია, შესაბამისად, აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. პატარ-პატარა დაბრკოლებები ყველგან არის და ყველაფერს უნდა გავუმკლავდეთ.

**— მრევლთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჯერ არ გაქვთ, მაგრამ მაინც გკითხავთ, სულიერ შვილებთან როგორ ურთიერთობას ამჯობინებთ, სიმკაცრეს გამოიჩენთ თუ პირიქით?**

— როგორც აღვნიშნე, ჩემი გამზრდელი არის მეუფე ანტონი. მასზე ხშირად ამბობენ, ძალიან მკაცრიაო, მაგრამ მე ასე ვერ ვიტყვი. ვანისა და ბაღდათის ეპარქია თავისი სიწესრიგით გამორჩეულია. მეუფე საერთოდ არ არის მკაცრი, ის ძალიან მზრუნველია. ყველა სასულიერო პირს, ვისაც რამე უჭირს, აუცილებლად ეხმარება. სიმკაცრეს იმ შემთხვევაში იჩენს, როცა საჭიროა, რომ სასულიერო პირმა პასუხისმგებლობა იგრძნოს, ეს აუცილებელია. მეუფე უბრალოდ მომთხოვნია და არა — სასჯელების მოყვარული. ამიტომაც არის მის ეპარქიაში სრული წესრიგი. რომელ მამაოსთანაც მქონია შეხება, მკაცრი არც ერთი ყოფილა. შესაბამისად, არც მე ვიქნები მკაცრი მოძღვარი. მაგალითი იესო ქრისტესგან უნდა ავიღოთ, რომელიც არასდროს იჩენდა სიმკაცრეს და ადამიანებს საქმით აჩვენებდა, რა იყო სწორი და რა — არასწორი. ალბათ მომთხოვნი მოძღვარი ვიქნები, მაგრამ სასჯელებს არ დავაწესებ. შენთან მოსული მრევლი სიმკაცრით უკან არ უნდა გააქციო.

**„შესაბამისი სიძლიერე ვერ გამოვიჩინე, რომ ბერი გავმხდარიყავი. მივხვდი, ეს იმდენად რთული იყო, ვერ შევძლებდი. მართალია, შავი სამღვდელოება ყველაზე ჭეშმარიტი გზაა, მაგრამ მაინც არ ვნანობ, რომ ამ გზას არ დავადექი. ჩემი თავი მოძღვრობაში ვიპოვე".**



**— თქვენს მეუღლეზე გვიამბეთ. რამდენი წელია, რაც დაოჯახდით?**

— ორი წელია. ჩემი მეუღლე არის ნატალია ჭეიშვილი. ის ვანში გავიცანი. პირველად რომ შევხედე, მივხვდი, ამ ადამიანის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. ცოტა გამაწვალა. მაშინ სტიქაროსანი ვიყავი და მეუფეს ვემსახურებოდი. ბერად აღკვეცას ვაპირებდი, ჯერ მხოლოდ მორჩილი გახლდით. ვანის რეზიდენციის სააქტო დარბაზი დროებით სამლოცველოდ იყო გადაკეთებული, სანამ წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ტაძარი აშენდებოდა. დარბაზში იყო ყოველთა წმინდანთა სახელობის ტაძარი. ნატალია იქ მოდიოდა ხოლმე, მონაზვნებს ეხმარებოდა და მეც შევნიშნე.

**— ბერად აღკვეცა მასთან შეხვედრის გამო ხომ არ გადაიფიქრეთ?**

— არა, მიზეზი ეს არ ყოფილა. ნატალიას გაცნობამდე უკვე გაორებულ მდგომარეობაში ვიყავი. არ ვიცოდი, ბერობას შევძლებდი თუ ვერა. შესაბამისი სიძლიერე ვერ გამოვიჩინე, რომ ბერი გავმხდარიყავი. მივხვდი, რომ ეს იმდენად რთული იყო, ვერ შევძლებდი. მართალია, შავი სამღვდელოება ყველაზე ჭეშმარიტი გზაა, მაგრამ მაინც არ ვნანობ, რომ ამ გზას არ დავადექი. ჩემი თავი მოძღვრობაში ვიპოვე და ამიტომაც ვარ ამ გზაზე. მორჩილების პერიოდი იმიტომ არსებობს, რომ ამ დროს ადამიანმა თავისი შესაძლებლობები შეამოწმოს და დარწმუნდეს იმაში, მზად არის თუ არა ბერობისთვის. როცა ნატალია გავიცანი, ჩემი თავი უკვე შეფასებული მქონდა და ისიც ვიცოდი, რომ ბერობას ვერ შევძლებდი.

**— როცა ცოლად გამოგყვათ, უკვე იცოდა თქვენი სამომავლო გადაწყვეტილების შესახებ?**

— კი, იცოდა, რასაც ვაპირებდი. ჩემს არჩევანს სიხარულით შეხვდა. თვითონაც ღვთისმოსავია, ბავშვობიდან ასე იზრდებოდა, ერთმანეთს ეკლესიამ დაგვაკავშირა. ამიტომაც სიამოვნებს, რომ მისი ქმარი მოძღვარია. ჩემი სასულიერო პირობა მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ყველაფერში გვერდში მიდგას, ყველგან დამყვება. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ნუგეშია. ნატალია ეკლესიურად ცხოვრობს. მედავითნე იყო, როცა გავიცანი და ახლაც, დროდადრო, ჩემს ეკლესიაში მოდის და მედავითნეებს ეხმარება. ჩემი მეუღლე ძალიან სათნო ადამიანია და სწორედ ამით მომხიბლა. ვიგრძენი, რომ ჩემსსულთან ახლოს იდგა და ნელ-ნელა დავიახლოვე კიდეც. მალევე თავი შევაყვარე და ჩემი მეუღლე გახდა. შემოსავლების სამსახურში მუშაობს. თან მაგისტრატურაზე სწავლობს, მაკროეკონომიკის განხრით. ჯერჯერობით შვილი არ გვყავს. იმედი გვაქვს, რომ ღვთის წყალობით, მალე გვეყოლება, თუ არადა, რამეს მოვიფიქრებთ.

**— რას უსურვებთ ჩვენს მკითხველს?**

— მთელ საქართველოს სულის ცხონებასა და ერთმანეთის სიყვარულს ვუსურვებ. რომ ვუყურებ დღევანდელობას, ვხედავ, რომ ხალხს ისეთი სიყვარული არ აქვს, როგორიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ. ხშირად ვლაპარკობთ ქვეყნის გამთლიანებაზე. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, თუ ერთმანეთის მიმართ სიყვარული და პატივისცემა არ გავაძლიერეთ, ისე არაფერი გამოვა. ეგოისტები არ უნდა ვიყოთ და მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ვიფიქროთ. ათეისტობის ხანაში თითქოს მეტი სიყვარული იგრძნობოდა. დღეს სხვა დროა, ხალხი ასე თუ ისე ეკლესიურად ცხოვრობს, ყოველ სოფელში ტაძარი არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, სიყვარული ნაკლებია. მერე რა, თუ ვინმემ რამე დააშავა. ის კი არ უნდა განვიკითხოთ და ცუდზე ცუდით ვუპასუხოთ, არამედ ერთმანეთის მიმართ სულგრძელობა გამოვიჩინოთ. ყველა ადამიანმა ჩვენს თავში უნდა მოვძებნოთ უარყოფითი თვისებები და მის აღმოფხვრაზე ვიბრძოლოთ. ქართველ ერს სულიერებაში გაძლიერებას ვუსურვებ. ღმერთმა დალოცოს თქვენი მკითხველიცა და მთელი საქართველოც!

**„ყოველ სოფელში ტაძარი არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, სიყვარული ნაკლებია. მერე რა, თუ ვინმემ რამე დააშავა. ის კი არ უნდა განვიკითხოთ და ცუდზე ცუდით ვუპასუხოთ, არამედ ერთმანეთის მიმართ სულგრძელობა გამოვიჩინოთ".**

✓ **თეონა კენჭიაშვილი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ლაბირინთი

დაეხმარეთ ჭიანჭველებს, გზა გაიკვლიონ



# გააფერადეთ







Cyan Magenta Yellow Black

## ძროხის ხორცი ბურგუნდიულად

**მასალა:**

ძროხის ხორცი — 1 კგ
შებოლილი ხორცი (მკერდის ნაჭერი) — 150 გ
ხახვი — 1 თავი
დაფნის ფოთოლი — 3 ცალი
პიტნა — 3 ძირი
როზმარინი — 1 ძირი
ნიორი — 2-3 კბილი
ძროხის ხორცის ბულიონი — 400 მლ
წითელი ღვინო (ბურგუნდიული) — 1 ბოთლი
ფქვილი — 1 ს.კ.
კარაქი — 20 გ
ზეთი — შესაწვავად
მარილი, პილპილი — გემოვნებით

**გარნირისათვის:**

კარაქი — 20 გ
ქამა სოკო — 350 გ
სტაფილო, კარტოფილი — თითო ცალი
მარილი — გემოვნებით



**მომზადება:** ხორცი — მსხვილ ნაჭრებად, სტაფილო — კუბებად, ხახვი რგოლებად დაჭერით. ჯამში ღვინო ჩაასხით, ჩაყარეთ ხახვი და სტაფილო და 3 საათით შიგ ხორცი ჩაალაგეთ.

სქელძირიან ქვაბში კარაქი გაადნეთ, დაუმატეთ დაჭრილი შებოლილი ხორცი და შებრაწეთ. ამოიღეთ ქვაბიდან და ცალკე თეფშზე დაალაგეთ.

ხორცი მარინადიდან ამოიღეთ, თითოეული ნაჭერი ფქვილში ამოავლეთ და ქვაბში შებრაწეთ. როცა მთელ ხორცს მოამზადებთ, ესეც ცალკე თეფშზე გადაიტანეთ, შეაზავეთ მარილით და პილპილით.

მარინადი წამოადუღეთ, გაფილტრეთ, ამოიღეთ სტაფილო და ხახვი და ზეთში მოშუშეთ, დაუმატეთ დაჭრილი ნიორი.

ცალკე ქვაბში გადაიტანეთ შემწვარი და შებოლილი ხორცი, დაუმატეთ ბულიონი და მოშუშული ბოსტნეული, დაუწიეთ ალს და ადუღეთ 2 საათი.

გარნირისათვის ქამა სოკოს ფეხები მოაჭერით, ქუდები კი რამდენიმე ნაწილად გაჭერით, სტაფილო კუბებად დაჭერით. ორივე მოშუშეთ კარაქში. კარტოფილი მოხარშეთ, დაჭერით და სოკოსა და სტაფილოს შეურიეთ, შეაზავეთ მარილით.

ქვაბიდან ხორცი ამოიღეთ, დარჩენილი სოუსი გაფილტრეთ, ჩააბრუნეთ ქვაბში და იმდენი ადუღეთ, რომ განახევრდეს.

ფართო თეფშზე გარნირი დადეთ, მოუწყვეთ ხორცი და მოასხით სოუსი.

## ბლითები ბერძნულად

**მასალა:**



პური ფქვილი — 150 გ
მარილი — 1/2 ჩ.კ.
რძე — 200 მლ
ნაღები — 100 მლ
კვერცხი — 2 ცალი
კარაქი — 60 გ
ყველი „ფეტა“ — 300 გ
იოგურტი — 300 მლ
1 ცალი ლიმონის წვენი
კამა — 1 კონა

**მომზადება:** ფქვილი, მარილი, რძე, ნაღები და კვერცხი გათქვიფეთ. შეურიეთ 40 გ დარბილებული კარაქი და 15 წუთი ცომი დააყოვნეთ.

ყველი გახეხეთ, ხახვი რგოლებად დაჭერით, კამა აკეპეთ და ყველაფერი იოგურტს და ლიმონის წვენს შეურიეთ.

დარჩენილ კარაქში ცომით ბლითები გამოაცხვეთ. თითოეულს ზემოდან ყველიანი მასა დაადეთ, გადაახვიეთ და სუფრასთან მიიტანეთ.

## ინდაურის ფილე კუნჟუტით და სტაფილოთი

**მასალა:**



ინდაურის ფილე — 1,5-1,7 კგ
კოჭა (დაფქული) — 1 ს.კ.
სოიას სოუსი — 2 ს.კ.
ლიმონი — 1 ცალი
გარგარის ჯემი — 3 ს.კ.
კუნჟუტის თესლი — 100 გ
სტაფილო — 800 გ
კარაქი — 2 ს.კ.
შაქარი — 2.ს.კ.
ფორთოხლის წვენი — 100 მლ
მარილი, პილპილი, მწვანილი — გემოვნებით

**მომზადება:** ჯერ მარინადი მოამზადეთ. ამისათვის აურიეთ სოიას სოუსი, ლიმონის წვენი და გახეხილი ცედრა, გარგარის ჯემი და კუნჟუტის თესლები.

ინდაურის ფილე გარეცხეთ და შეაშრეთ. ამოავლეთ მარინადში და მთელი ღამით მაცივარში შედეთ.

მეორე დღეს ღუმელი 180-200 გრადუსამდე გაახურეთ. ფილე ფორმაში ჩადეთ და 60-75 წუთი გამოაცხვეთ (დროდადრო მარინადი მოასხით).

სტაფილო რგოლებად დაჭერით და კარაქში მოშუშეთ, დაუმატეთ შაქარი და მოურიეთ. შემდეგ ჩაასხით ფორთოხლის წვენი, შეაზავეთ მარილითა და პილპილით და დაბალ ალზე კიდევ 10-15 წუთი გააჩერეთ. ეს მასა ინდაურს მოასხით, მოაყარეთ აკეპილი მწვანილი და კერძიც მზადაა.

## შოკოლადისა და ალუბლის ნამცხვარი

**მასალა:**

კვერცხი — 3 ცალი
შაქარი — 0,5 ჩ.ჭ.



კარაქი — 80 გ
პურის ფქვილი — 1/2 ჩ.ჭ.
კაკაო — 1 ს.კ.
გამაფხვიერებელი — 25 გ

შიგთავსისა და სიროფისათვის:

შაქარი — 0,5 ჩ.ჭ.
ალუბალი (კურკაგამოცლილი) — 400 გ
წითელი მშრალი ღვინო — 1 ჩ.ჭ.
სახამებელი — 1 ჩ.კ.

**მომზადება:** ალუბალი ტაფაში ჩაყარეთ, დაუმატეთ შაქარი და ღვინო, შემოდგით ნელ ცეცხლზე და ადუღებამდე მიიყვანეთ. ადუღეთ მანამ, სანამ სითხე არ განახევრდება. შემდეგ მასა გაფილტრეთ. ალუბლები ცალკე შეინახეთ. სიროფს სახამებელი შეურიეთ, შემოდგით ცეცხლზე და მუდმივი მორევით ადუღებამდე მიიყვანეთ. შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით.

კარაქი ოთახის ტემპერატურამდე გაალღვეთ და მიქსერით ათქვიფეთ შაქართან ერთად. შეათქვიფეთ თითო-თითოდ კვერცხი, შეურიეთ კაკაო, გამაფხვიერებელი და ფქვილი. ბოლოს შეურიეთ ალუბალი.

გამოსაცხობი ფორმის ძირში პერგამენტი ჩააფინეთ და ცომი გადაანაწილეთ. გამოაცხვეთ 220 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში (25-30 წუთი). როცა გამოცხვება, გამოიღეთ და გააგრილეთ.

სახამებლიანი სიროფი ბისკვიტს მოასხით, გააჩერეთ, რომ შეიწოვოს, შემდეგ 15 წუთით მაცივარში შედგით. სუფრასთან მიტანის წინ ნამცხვარი ულუფებად დაჭერით.



Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# ყვავილები სიმინდის ფუჩეჩისგან

ბუნებრივი მასალისგან, იქნება ეს კურკები, ხის ფესვები, ფოთლები, ხმელი ყვავილები, ტოტები თუ სხვა, საინტერესო ნივთებსა და აქსესუარებს ამზადებენ, სიმინდის ფუჩეჩისგან წნავენ კალათებს, იყენებენ საჩუქრის შესაკრავ თასმებად, ალბომების და უბის წიგნაკების გასაფორმებლად...

ახლა სეზონია და თქვენც შეგიძლიათ მისგან თუნდაც ასეთი ყვავილები დაამზადოთ. დიდი დროს ნამდვილად არ წაგართმევთ, შედეგით კი კმაყოფილი დარჩებით. დაგჭირდებათ სიმინდის ფუჩეჩი, წებო და მაკრატელი.

გავასწოროთ ფუჩეჩი, დავხატოთ მასზე ყვავილის ფურცლები და გამოვჭრათ. დამატებით გამოვჭრათ ერთი წრე ყვავილის ძირზე მისაკრავად და ერთიც — თასმა. თასმა დავახვიოთ სპირალისებურად და დავაწებოთ წრეს, ანუ ყვავილების ძირს, შემდეგ კი გარშემო შემოვუწებოთ უკვე გამოჭრილი ყვავილის ფურცლები. ვეცადოთ, რომ ფურცლები ძირს მთლიანად არ ეხებოდეს.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე







## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 7 | 5 | 8 | 9 | 6 | 3 | 4 |
| 5 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 | 1 | 2 | 9 |
| 3 | 9 | 4 | 1 | 2 | 6 | 7 | 8 | 5 |
| 7 | 6 | 9 | 8 | 5 | 2 | 4 | 1 | 3 |
| 2 | 5 | 1 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 | 7 |
| 4 | 3 | 8 | 6 | 1 | 7 | 5 | 9 | 2 |
| 8 | 7 | 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 4 | 6 |
| 9 | 1 | 2 | 4 | 6 | 5 | 3 | 7 | 8 |
| 6 | 4 | 3 | 7 | 9 | 8 | 2 | 5 | 1 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 2 | 3 | 6 | 5 | 8 | 4 | 9 |
| 5 | 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 1 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 4 | 8 | 1 | 9 | 5 | 7 | 2 |
| 2 | 4 | 3 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 1 | 7 | 6 | 2 | 3 | 4 | 9 | 5 | 8 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 7 | 6 | 2 | 3 | 4 |
| 3 | 2 | 9 | 6 | 4 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 4 | 5 | 1 | 7 | 8 | 2 | 3 | 9 | 6 |
| 8 | 6 | 7 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 |

## ეს იცოდით?

❖ „ლივერპულის“ დანიელ ფეხბურთელ დანიელ აგერს ტანზე მთელი დანიური მითოლოგია აქვს ამოსვირინგებული.

❖ მსოფლიო ჩემპიონატი, სახელწოდებით „დიდი ცხვირი“, იმართება გერმანიის ქალაქ ლანგენბრუკში (1961 წლიდან).

❖ პენსილვანიაში 1979 წელს ახალდაბადებულთა ორი უჩვეულო სახელი დარეგისტრირდა — პეპსი და კოლა.

❖ პირველი, ვინც პროსტიტუციისათვის გადასახადი დააწესა, ბერძენი კანონმდებელი სოლონი იყო. მის დროს შეიქმნა პირველი ოფიციალური ბორდელებიც, რომელთა შესასვლელთან ნახევრად შიშველი გოგონები კლიენტურის მოზიდვას ცდილობდნენ.

❖ 1941 წელს მექსიკაში საპნის ისეთი დეფიციტი იყო, რომ მას ფულის ფუნქციაც კი ეკისრებოდა.

❖ ყველაზე დიდი, 1850 კილოგრამიანი შოკოლადი დაამზადეს ნიდერლანდებში 1990 წლის 11-13 მაისს.

❖ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფატა ომსკში მცხოვრებ ერთ-ერთ პატარძალს ეკეთა. მისი სიგრძე 3 კმ და 686 მეტრი გახლდათ. ფატის სიგრძეს ადასტურებს ოფიციალური სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია რუსეთის რეკორდების წიგნის ჩანაწერების სააგენტოს მიერ.

❖ ახალ ზელანდიაში უფასოა გულის დაავადებებისა და ცოფის მკურნალობა.

❖ კენტუკის შტატში მამაკაცს, კანონით, შეუძლია 3-ჯერ დაქორწინდეს.

❖ სახელოების ბოლოში ღილების დამაგრების იდეა ნაპოლეონ ბონაპარტს ეკუთვნის. მან ეს იმისთვის მოიგონა, რომ ჯარისკაცებს ცხვირი სახელოთი ველარ მოეწმინდათ.

❖ მე-19 საუკუნეში დიზაინერებს არ ჰყავდათ მოდელები. ისინი თავიანთ ნამუშევრებს პატარა თოჯინებს აცმევდნენ და ასე ახდენდნენ დემონსტრირებას კლიენტებისთვის.

❖ დღესდღეობით ბევრი ცნობილი თუ უცნობი ადამიანი ატარებს წვერს, თუმცა ეს ტენდენცია ასეთი მოდური არ იყო რუსეთში, როცა პეტრე დიდმა მამაკაცებს ჯარიმის გადახდა დაუწესა წვერის ტარებისთვის. ეს ჯარიმა იმისთვის შემოიღო, რომ რუსებს წვერი გაეპარსათ და ევროპელებს დამსგავსებოდნენ.

❖ დღეისათვის ხელნაკეთი ტანისამოსი ძვირად ფასობს, რადგან ექსკლუზიურად ითვლება, მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. 1850 წლისთვის ადამიანების 70% საკუთარი ხელით იკერავდა სამოსს.

❖ დღეს ქალს ცხოვრება წარმოუდგენლად ეჩვენება სამკაულების გარეშე, თუმცა ქალებზე ადრე მამაკაცები იყენებდნენ სამკაულებს თავიანთი სოციალური სტატუსის ხაზგასასმელად.

❖ დღესდღეობით ნებისმიერ ქალს უპრობლემოდ შეუძლია ატაროს მოკლე თმა, ადრე კი თმას მოკლედ მხოლოდ მოღალატე ცოლებს ჭრიდნენ — ეს მათთვის სასჯელი იყო.



Cyan Magenta Yellow Black

# ვენეციის კინოფესტივალის პიკანტური დეტალები

ვენეციის 70-ე საიუბილეო კინოფესტივალი ჰოლივუდური ფილმით, „გრავიტაციით“ გაიხსნა, ამიტომ წითელ ხალიჩაზე ამ ფილმის მთავარი ვარსკვლავები სანდრა ბალოკი და ჯორჯ კლუნი ბრწყინავდნენ. 49 წლის სანდრა ბალოკმა სპეციალურად ამ დღისათვის ჯო მენდელის წითელი კაბა აირჩია, რომელიც მსახიობის სხეულს გამოკვეთდა. ჯორჯ კლუნი კი შავი აბრეშუმის კოსტიუმში იწონებდა თავს. თუმცა კრიტიკას მაინც ვერ ასცდა, შარვალი იმდენად ფართხუნა იყო, რომ მოდის კრიტიკოსებმა ის პიჟამასაც შეადარეს. წითელ ხალიჩაზე ბალოკის და კლუნის გამოჩენას პიკანტური დეტალიც ახლდა — ფოტოობიექტივების წინ პოზირებისას ჯორჯ კლუნის სანდრა ბალოკის საჯდომზე ედო ხელი. როგორც ჩანს, ის საკუთარი სექსსიმბოლოს სტატუსის განმტკიცებას ცდილობს.



■ მარინა რიპ დი მიენა



■ ჯორჯ კლუნი და სანდრა ბალოკი

ვენეციის კინოფესტივალის წითელ ხალიჩაზე ძირითადად ევროპული კინოს ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. ყველაზე თამამი ჩაცმულობა მოდელმა ნატალია ბორგესმა წარმოადგინა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არამარტო გრძელი ფეხები აქვს, არამედ იმასაც, რომ საცვლებს არ ატარებს. სცენარისტმა მარინა რიპ დი მიენამ სტუმრებს თავი არა საკუთარი გარეგნობით, არამედ უცნაურობით დაამახსოვრა — თავზე ჩიტების გალია ედო. ასეთი ნაბიჯით მან ბევრი ლამაზმანი დაჩრდილა.

## კეიტ ბოსუორტი გათხოვდა



30 წლის ამერიკელი მსახიობი კეიტ ბოსუორტი 42 წლის რეჟისორ მაიკლ პოლიშს ცოლად გაჰყვა. საქორწინო ცერემონიალი მაიკლის რანჩოზე, მონტანას შტატის ქალაქ ფილიპსბურგში შედგა.

კეიტ ბოსუორტი და მაიკლ პოლიში ორწლიანი რომანის შემდეგ ზაფხულის ბოლო დღეს დაქორწინდნენ. სიძე-პატარძალმა ერთგულების ფიცი 75 სტუმრის თანდასწრებით დადეს. საქორწინო ცერემონიალისათვის პატარძალმა ოსკარ დე ლა რენტას სპილოსძვლისფერი კაბა შეარჩია, რომელსაც გრძელი ფატა ამშვენებდა. წვეულებაზე კი ყვავილებით დაქარგულ აჟურულ კაბაში გამოჩნდა.

— პირველივე შეხვედრისას მივხვდი, რომ მაიკლი ჩემი მეორე ნახევარი იყო. ჩვენ ერთად ვმუშაობთ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ოჯახურ ცხოვრებაში. ჩვენ კარგი გუნდი ვართ. ბედის მადლობელი ვარ, რომ მას შემახვედრა, — განაცხადა პატარძალმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ კეიტ ბოსუორტს მაიკლთან შეხვედრამდე ხანგრძლივი რომანი ჰქონდა ორლანდო ბლუმთან.

## ფერჯი ბიჭის დედა გახდა



ამერიკელი მომღერალი ფერჯი და მისი ქმარი ჯოშ დიუმელი პირველი შვილის მშობლები გახდნენ. ჰიპ-ჰოპის 38 წლის დედოფალს და 42 წლის მსახიობს ბავშვი ლოს ანჯელესის კლინიკაში ეყოლათ. ჩვილს აქსელ ჯეკ დიუმენი დაარქვეს.

ფერჯი და ჯოში 2009 წელს დაქორწინდნენ. თავისი ორსულობის შესახებ მომღერალმა ერთ-ერთ მუსიკალურ ცერემონიალზე მიანიშნა თაყვანისმცემლებს. ის ცერემონიალზე მივიდა კაბით, რომლის ქვეშაც ბალიში ჰქონდა დამაგრებული. ასე ამცნო თაყვანისმცემლებს, რომ მალე დედა გახდებოდა.

— ჩვენ უკვე დავბრძენდით და მზად ვართ იმისათვის, რომ მშობლების პასუხისმგებლობა ავიღოთ. მყარი ოჯახი გვაქვს, ამიტომ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენს შვილს კარგი მომავალი ექნება. მას დიდ სიყვარულს ვაჩუქებთ, — განაცხადა ფერჯიმ.

ბავშვის დაბადებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ფერჯიმ სახელი და გვარი შეიცვალა. ახლა მას პასპორტში სტეისი ენ ფერგიუსონის ნაცვლად ფერჯი დიუმელი უწერია.

## ჯასტინ ბიბერმა ღამის კლუბში ოქროს ძეწკვი დაკარგა



თინეიჯერების საყვარელმა მომღერალმა ჯასტინ ბიბერმა ღამის კლუბში 40 ათას დოლარად ღირებული ოქროს სამკაული დაკარგა. შემთხვევა ტორონტოს ღამის კლუბში მოხდა. უცნობი მამაკაცი კლუბში შესულ პოპულარულ მომღერალს აუშარდა. შელაპარაკება სერიოზულ დაპირისპირებაში გადავიდა, რის გამოც საქმეში კლუბის დაცვა ჩაერთო. ამბობენ, რომ ჯასტინს უცნობმა კაცმა ხელი გაარტყა. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს მოსწყდა მკერდზე ჩამოკიდებული ძვირფასი ოქროს ძეწკვი. სამკაულის მპოვნელი არ გამოჩენილა. ჯასტინმა კი სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ამიერიდან ფანებთან ფოტოების გადაღებას მოერიდება. ღამის კლუბში უცნობი მამაკაცი მას ფანად გაეცნო და სურათის გადაღება სთხოვა.



■ კლინტ ისტვუდი და დინა როუზი

## 83 წლის კლინტ ისტვუდი ცოლს გაეყარა

ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი კლინტ ისტვუდი 83 წლის ასაკში ცოლს გაეყარა, რომელთანაც 17 წელი გაატარა. ტელეწამყვანი და პროდიუსერი დინა როუზი, რომელიც ისტვუდზე 35 წლით პატარაა, მისი მეორე ცოლი გახლდათ. მათ საერთო შვილი, მორგან ისტვუდიც ჰყავთ, რომელიც ახლა 16 წლისაა.

როგორც ბრიტანული ტაბლოიდი აცხადებს, წყვილი ბოლო ერთი წლის განმავლობაში ერთად აღარ ცხოვრობდა. აპრილში კლინტ ინსტვუდი ნიუ იორკის კინოფესტივალზე ქორწინების ბეჭდის გარეშე გამოცხადდა. ყველაფრის მიზეზი კი 48 წლის როუზის დეპრესია გახდა. მართალია, ის პრესტიჟულ კლინიკაშიც მკურნალობდა, მაგრამ — უშედეგოდ. კლინტ ისტვუდს კი არაჯანსაღ ოჯახურ გარემოში ცხოვრება აღარ შეეძლო.

მსახიობის პირველი ცოლი მეგი ჯონსონი იყო, რომელთანაც ორი შვილი — კეილი და ელისონი ეყოლა. მათი ქორწინება 15 წელს გაგრძელდა.


სილქნეტი
SILKNET
Silk SPORT HD
BARCLAYS
PREMIER LEAGUE
პრემიერ ლიგის თამაშები
ექსკლუზიურად Silk Sport HD-ზე
მხოლოდ სილქტივის აბონენტებისთვის, ინგლისის
პრემიერ ლიგა, 17 აგვისტოდან, ახალ არხზე!
Silk TV
Find us on: facebook
2 100 100
www.silknet.com
ინტერაქტიული ტელევიზია